

ს-9016

ს. სარგაძის

მჭარაძის კიბის
თავისუფლება

თბილისი - 1978

პ. ნოლაიძელი

ეჭარული ქილოს
თავისებურებანი

*

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი — 1960

შ ა ს ა ვ ა ე ლ ი

აქარის, საქართველოს ამ მნიშვნელოვანი ნაწილის, ისტორიული წარსული ჯეროვნად შესწავლილი არ არის. აქადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვით „აქარის მოსახლეობის შესახებ ჯერჯერობით მეტად მცირედი ცნობები მოგვეპოვება“¹.

ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ აქარა ოსმალეთის ბატონობამდე სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდა. დღევანდელი საბჭოთა აქარის მიწა-წყალი ხან სამცხე-საათაბეგოს განკუთვნიებულია, ხან ფეოდალური გურიის ფარგლებში იყო მოქცეული, ხან კიდევ ნაწევრდებოდა: მთის აქარა სამცხე-საათაბეგოს შემადგენლობაში რჩებოდა, ხოლო ბარის აქარა — ქობულეთ-ბათუმ-განიოს. სანაპირო ზოლი — გურიის ნაწილს წარმოადგენდა.

საქართველოს ფეოდალური ნონარქიის ძლიერების ხანაში აქარა სხვა კუთხეებთან ერთად ფეოდალურ საფუძველზე გაერთიანებულ ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

მე-16 საუკუნის მიწურულსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში თურქეთმა დაიპყრო საქართველოს ეს ნაწილი. ამ დროიდან მოყოლებული აქარაში ცუცხლითა და მახვლით ვრცელდებოდა მაჰმადიანური სარწმუნოება და იშლებოდა ქრისტიანული კულტურის ყოველგვარი კვალი. თურქებმა დაანგრიეს ეკლესიები და მის ადგილას ააგეს მეჩეთები; დაწვეს და გაანადგურეს ისტორიული ძეგლები. ფერთლად აქციეს ქართული წიგნები და ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტა. ხელოვნების ნიმუშები.

მოსწყვიტეს რა აქარა საქართველოს, თურქებმა მოინდომეს აქარლების გალორქება, მაგრამ ისტორიულად ცნობილია ქართველი ხალხის გამძლეობა თავზე დატეხილი უბედურების დროს და

¹ ქართული ერის ისტორია. II, გვ. 326.

აქარლებმაც ეგ მძიმე უღელი სამასიოდე წლის მანძილზე ზიდეს, ზიდეს, მაგრამ არ მოიღრიკენენ, თუმცა თურქებმა აქარლების გადასავარებლად მაშინ მეტად მოქმედი საშუალება გამოიყენეს: ეს იყო მუსლიმანური რელიგია.

ამას გარდა სხვა ხერხსაც მიმართავდნენ. თურქეთის სულთნის ხელისუფლება ყოველნაირ დამნაშავესა და ბოროტმოქმედს სასჯელის მოსახდელად აქარაში გზავნიდა; უკანასკნელნი მათთვის ჩვეულ საზიზღროებას სჩადიოდნენ და ხალხს ავიწროებდნენ; დამნაშავედ გამოცხადებული აქარელი კი შუა თურქეთში იგზავნებოდა ხოლმე. ასეთი საშუალებით მრავალი ათასი ოჯახი მოაშორეს აქარას და თურქეთში გადაასახლეს.

თვითმპყრობელური რუსეთის ბატონობის დროს აქარაში გათურქების ტენდენცია არ შენელებულა. პირიქით. ამას ხელს უწყობდნენ.

სამი საუკუნის მანძილზე თურქეთის ბატონობამ აქარას თავისი დალი დააჩნია. ოდესღაც კულტურული კუთხე ჩამოქვეითდა და ხალხი იქამდე დაბეჩავდა, რომ მაჰმადიანური რელიგიით გაბრუებული თავის თავს ვეღარ ცნობდა.

სამასი წლის განმავლობაში ქართული კულტურა განვითარდა. წინ წავიდა, აქარაში კი კულტურული წინმსვლელობა შეფერხდა, შეჩერდა, მაგრამ მშობლიური ენა — ქართული — დაცულ იქნა. და ეს იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია. ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალდატანებითს ასიმილაციას. ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით.

თურქეთის სულთნის ხელისუფლება ცდილობდა აქარაში თურქული ენის დამკვიდრებას. ყველა რელიგიური წესის შესრულება არაბულ-თურქულ ენაზე მიმდინარეობდა. ბევრი თურქული ჩვეულება გავრცელდა აქარელთა ყოფა-ცხოვრებაში. მაგრამ აქარლები ურთიერთგაგებინების საშუალებად მაინც ქართულ ენას იყენებდნენ. ქართული ენის შენახვა-შენაოჩუნებას. ვიდრე აქარლები განთავისუფლდებოდნენ და დაუბრუნდებოდნენ ეშოალიურ კერას, აქარელ ქალებს უნდა ვუმაღლოდეთ. რადგანაც აქარელი დედისაგან ბავშვს პირველად ქართული სიტყვა ესმოდა. ამის საუკეთესო ილუსტრაციას ზემო აქარის ორი მეზობელი სოფლის შესწავლა იძლევა. ხულოს რაიონში, სხალთის ხეობაში, მდებარეობს ორი ერთმანეთის მოსაზღვრე სოფელი: ხიხაძირი და მუნსუი. ხიხაძირში ურთიერთგაგებინების საშუალებად ქართულ ენას იყენებენ როგორც შინ. ისე ოჯახის გარეთ, მუნსუიში კი

ნის აქარულის თავისებურებებია აღწერილი. ბევრი მოვლენა სწორად არის შენიშნული (სრული ასიმილაცია, უარყოფითი მიმღეობა და სხვა), მაგრამ შრომას დადებით მხარეებთან ერთად აქვს მკიროლოდენი ნაკლიც. აღენიშნავთ ზოგიერთს.

ავტორს შეცდომით ნამყო მრავალგზითის ფორმებად მიუჩნევია ენებითი გვარის აწყო-ყოფადის ფორმები: ეკოთვის, იპარვის, ლეიმაღვის... (გვ. 15). ნამყო-მრავალგზითი აქარულმა არ იცის. არც გაქონან ზმნის ფორმას იცნობს აქარული. მის ნაცვლად იხმარება მხოლოდ გაქენ ან გაქვან.

შრომაში, სამწუხაროდ, შეინიშნება შეცდომები, მაგ., იქ მოყვანილი წინადადება: „ქუა შვა და ქუა შვა ჩაასო კინები და ეულა ისე“ (გვ. 9). სინამდვილეში ითქმის: „ქვა შუა და ქვა შუა ჩაასო კინები და ეულა ისე“. აქარელი არ იტყვის სოფლის სახელს ჭვანა (გვ. 17), არამედ ჭვანა. არც წინადადება „შუდი ხარი მოულა“ არის სწორი, უნდა იყოს „შვიდი ხარი მოვდა“ და სხვა. ასევე ფილაჰფერი (გვ. 10) აქარულში არ დასტურდება. იხმარება ფეელაჰფერი ან ფეელიჰფერი.

სიტყვათა შემოკლების ის მთავარი მიზეზი (თურქულის გავლენა), რომელსაც, ავტორი ასახელებს, არ არის გასაზიარებელი, რამდენადაც მსგავსი შემოკლება გვხვდება სოფ. ქვანაში. წყლისაყარსა და ლორჯომში მოსახლე აქარელთა მეტყველებაში, სადაც თურქულის გავლენა ძალზე სუსტი იყო. შეკუპშულ სიტყვათაგან ზოგი არასწორადაა გადმოცემული.

ხისპირის შემოკლებული სახე ხისპი ჩვენ მიერ არაა დადასტურებული. სხალთის ხეობის მცხოვრებნი სოფელს უწოდებენ ხაპირს და ხისპირს. უნდა ყოფილიყო ხისპათის პირი და მისი თანდათანობითი შემოკლების შედეგად მივიღეთ: ხისპირი და შემდეგ ხაპირი. აქარაში უკანასკნელი ფორმაა გავრცელებული.

აქარულის ბგერითი შედგენილობა და ფონეტიკური მოვლენები შედარებით ვრცლად არის განხილული შ. ნიჟარაძის ნაშრომში¹. მეტყველების ნიმუშად ბოლოს დართული აქვს ტექსტი 5 გვერდის რაოდენობით.

¹ აქარულის ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი, ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1953, გვ. 123—142.

1957 წელს გამოვიდა ამავე ავტორის შრომა „ხემაქარულის თავისებურებანი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)“. მასში ვრცლად არის განხილული ზელოსა და შუახევის რაიონთა მოსახლეობის მეტყველება.

მხატვრულ ლიტერატურაში აქარული დიალექტი პერსონა-
ჟის პეტყველებად გამოყენებული აქვს ქოლა ლომთათიძეს
(მე-2 ტომი, გვ. 297—304). ნაწილი იქ ნახმარი აქარული ფორმე-
ბისა სწორადაა შენიშნული, მაგრამ ზოგან აქარულის სპეციფიკუ-
რობა დარღვეულია.

ზეპარია კიკინაძის ჩაწერილი ტექსტიდან ყველა ვერ არის
სანდო.

ნიკო მარის მიერ შექმენსა და კლარჯეთში მოგზაურო-
ბისას შეკრებილი იმერხეული ტექსტების ენა მრავალგზის უახ-
ლოვდება აქარულს¹.

აბოლონ წულაძის წიგნში „მწერი სიტყვა ქართველ მუს-
ლიმანებს“ (ტფილისი, 1915) მოყვანილია ბევრი აქარული გამო-
თქმა, განსაკუთრებით ბაონისა, მაგრამ აქარული კილოს თავისებუ-
ლება ზუსტად ვერაა დატული. თავისებურების ზუსტად წარმოდგენა
ავტორს არც შეეძინა ნიშნად დასახელი.

ისტორიკოს დიმი. ზაქარაძის „შრომებში“ აქარული ლექსიკაა
წარმოდგენილი.

ზ რ ნ ა ზ ი კ ა

ზ. ბგერითი შედგენილობა. ბგერითი შედგენილობით აქა-
რული კილო ქართული სალიტერატურო ენისაგან თითქმის არ
განსხვავდება. ის ბგერები, რომლებიც აქარულს ასხვავებს დღევან-
დელი სანწერლობო ქართულისაგან, ჩვეულებრივ დამახასიათებე-
ლი იყო ძველი ქართულისათვის. ესენია: **ა** (აოტი) და უმარცვლო
ჟ (ე. ი. ჟ). ამათ გარდა დადასტურებულია მთის აქარულში **ც**
ბგერაც.

ა (აოტი)

აოტი უმთავრესად ბარის აქარულშია გავრცელებული. იგი
ჩვეულებრივი ი-საგან განსხვავდება იმით, რომ მაგარი სასის მი-
მართ აწეული ენის შუა ნაწილის ნაპრალი უფრო ვიწროა, თანაც
ა უმარცვლოა. **ა** ბგერა სუსტია და ადვილად იკარგება. რომ **ა**
უმარცვლოა. ეს აშკარად ჩანს ლექსთწყობიდან:

„ჰაადღ, არაბო, გამიბჭ
ამ ხვანთქაის მუიდანხელა“.

¹ Телсты и размыслия по армяно-грузинской филологии, т. VII,
стр. 47—70.

² Археологическое путешествие по Гурли и Аджаре, 1878.

ა გვევლინება როგორც ხმოვნების წინ, ისე მათ შემდეგაც, მაგ.: გ უ რ ი ე დ დ ა ნ ჩ ა მ ო ს უ ლ მ ა, მ ა ლ ა რ ა ე დ ა ნ (მალაროდან) ვ ა მ ო ვ დ ა, წ ი ფ ლ ის ხ ე მ ა, ო ს მ ა ნ ა მ. კ ა ბ ე გ ე ბ ს კ ე რ ა ე ს. პ ა წ ა მ კ ე ჯ ე ბ ი ა რ ი...

აქარულში საკმაოდ გავრცელებულია აღმავალი დიფთონგი, ქართული ენის კილოებში კი დადასტურებულია მხოლოდ დამავალი დიფთონგი. ამ მხრივ აქარული ჰგავს ქანურს, რომლის მ-ს ასე აგვიწერს არნ. ჩიქობავა: „ქანურ სიტყვებში თითქმის ყველგან დ დიფთონგის პირველ ნაწილს წარმოადგენს: მ ა -, მ ე -, მ ო -, მ უ ... ქართულს კილოებში შემონახული მ, როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: ა მ, ე მ, ო მ, უ მ. ქართულ კილოებში შემონახული მ არც ისე შორსაა სრულ ხმოვან ი-ზე, ქანური მ მკვეთრად გამოხატული ნახევარხმოვანია (შდრ. იმერ.: „რამა მაგი? აგი სხუამა“ და ქან: „დულამა, გჟუსთუ, გმატენ...“)¹.

ამგვარად, აქარულში ორივე სახის დიფთონგი ვგვხვდება: აღმავალიც და დამავალიც. აღმავალი დიფთონგის არსებობა ალბათ აიხსნება ქანური ენის გავლენით. შართლაც. ის სიტყვები, რომლებიც იქიდან შემოსულა აქარულ კილოში, ქანურის წარმოთქმის თანახმადაა დაცული.

აქარულში არა მარტო ნასესხებ სიტყვებში დასტურდება აღმავალი დიფთონგი, არამედ საკუთარშიც: კაბეები, ლელეები, ნეფეობა, მამეობა, დედეობა და სხვა.

ბ

ბ ბგერა დადასტურებულია მხოლოდ ხმოვნით დაწყებული შორისდებულის თავკიდურად. იგი ვგვხვდება ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში მცხოვრებ აქარელთა მეტყველებაში, სხვაგან იშვიათია. მაგალითები: ბე: რამითი კაცია; ბე, ახლა, ქო. პაწამ ბაღვისა რომელია; ბა, იშტე, მოვალთ-და! ბა. ვორი კაცი ვართ...

ბ ბგერა მთის აქარულის გარდა დამახასიათებელია ქართველური ენებიდან ზანურისა (მეგრულ-ქანურისა) და ქართული ენის ზოგიერთი დიალექტისათვის, მაგ., იქერულისათვის.

4. ახიმილაცია (ბგერათდამსგავსება). ახიმილაცია ყველა სახისა ვგვხვდება აქარულში: პროგრესული, რეგრესული და მათი სრული და ნაწილობრივი სახეობა. ბგერათდამსგავსება ხდება არა

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 13-14.

მაგალითები: მეც კაცი ვარ, მიშველე რაძლა და გამიხსენი ხელე-
ბიო; მიწა ქვეშ ჩასულა რაძლანაირათ... რაცხაზე მოვდა:
ერთ რაცხას გეტყვი...

ზემო აქარაში გავრცელებულია ვინღა ფორმა ვინცხას პარა-
ლელურად. იხმარება საცხა (← საცალა) ფორმაც.

ბ) შორეული (დისტანციური) ასიმილაცია

ქ...ღ → ქ...ხ: (ქალღდი →) ქახღდი...

ღ...თ → ხ...თ: (ღვთის →) ხვთის...

ნ. რეგრესული ასიმილაცია თანხმოვნებისა ჩვეულებრივია
აქარულში და, მაშასადამე, უფრო გავრცელებული პროგრესულ-
თან შედარებით. იგი ხდება როგორც ძირში, ისე ფუძეში ფუძი-
სეული და აფიქსისეულ ბგერათა შორის.

ა) ასიმილაცია ფუძეში

მხ → ფხ: (მხარი →) ფხარი, (ამხანავი →) აფხანავი...

ვს → ფხ: (ავსებს →) აფსებს და აქედან: გაფსილი, დაფსილი
და სხვა.

ბ) ასიმილაცია პრეფიქსისა ფუძისეულ
ბგერებთან

გც → ქც: (მოგცემენ →) მოქცემენ... ასევე: წაქცვინდება... ქცხენია
(→ გრცხენია). რ-ს დაკარგვის შემდეგ მოხდა ასიმილაცია.

გქ → ქქ: (გქონდა →) ქქონდა...

გყ → კყ: (წაგყვები →) წაყყვები, ასევე: მოკყვრ, კყამს. მოკყრი.
ამ შემთხვევაში ()₂ გ ნაწილობრივ ან სრულად ემსგავსება
ზმნის თავკიდურ თანხმოვანს.

ხღ → ზღ: (მისღევს →) მიზღევს; დაზღევს...

ჰყ → ხყ → ხ: (ჰყავს → ხყავს →) ხავს...

ხჭ → შჭ: (შესჭამს →) შეშჭამს; (დასჭყერია →) დაშჭყერია (დას-
ტქერის); ასევე: დაშჭრეს, მოშჭრეს¹, მოშჭარივო, დაშჭვირთა
და სხვა.

აქაც ()₃ ხ ან ჰ ნაწილობრივ ემსგავსება ზმნის ფუძის თავ-
კიდურ ბგერას. ხ → შ ზმნის დასაწყის ჰ თანხმოვანთან.

¹ ავსტიკურად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გვქონდეს სრული
საფრთხევით ასიმილაცია ამავე მაგალითში: (მოსჭრეს →) მოშჭრეს. ასევე სრული
ასიმილაცია თითქოს ზმნაში (მისცეს →) მისსეს.

ხოლო **ჰ** → **ხ** თავკიდურ ყ-სთან, რის შემდეგაც უკანასკნელი იკარგვის: ჰყოლია → ხყოლია → ხოლია (დაწერილებით გვ. 36).

გ) ასიმილაცია კომპოზიტებში

გკ → გქ: (ვაჟაკი →) ვაშაკი...

ცდ → წდ: (ოცდაათი →) ეოზდაათი. (ოცდასამი →) ეოზდასამი და ა. შ.

აქარულში შეინიშნება მეზობელ სიტყვათა ბოლოკიდურ და თავკიდურ ბგერათა დამსგავსებაც. მაგ.: (რას შერები →) რაშ შობი, (ხის ძირში →) ხიშ ძირში, (თავის დროზე →) თავიშ დროზე და სხვა.

7. პრეფერბთა დამსგავსება. ხმოვანთა ასიმილაცია ჩვეულებრივია წინდებულის ხმებში. აქარული ამ მხრივ ძალიან მდიდარია.

პრეფერბთა ხმოვანი ხშირად ემსგავსება ქცევის ნიშნებს. ამ შემთხვევაში შეიძლება გვევლინოს სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია. სრული დამსგავსება გვაქვს სასაფისო ქცევის უ-სა და პრეფერბისეულ ა, ე ან ი ხმოვანს შორის, ოღონდ სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ერთნაირი ხმოვანი ერთმანეთს ერწყმის და ისაის დაკონტრული, გრძელი ხმოვანი, რაც საერთოდ ახასიათებს აქარულს, მაგ.:

ა + უ → აუ → აუ: უხსნა, უშეა, უწია, უთავებს...

ასევე:

და + უ → დუ: დუძარა, დუღდა, დუღვანა, დუგვანა, დუხუჯავს, დუყიელია, დუყანა, დუტია, დუგდგი, დუწკან და სხვა.

გა + უ → გუ: გუგზანა, გუთხარა, გუკვირდა, გუღვა, გუკეთა, გუქნა, გუშვი, გუხაოდა...

ჩა + უ → ჩუ: ჩუწყო, ჩუვღია, ჩუღვა, ჩუკორღება...

წა + უ → წუ: წულღო, წულღვია, წულღრა, წულღა...

შე + უ → შუ: შუღვა, შუკრა, შუგანა, შუგანებდა...

მა + უ → მუ: მუტანა, მუღდა, მუყვანა, მუწვანა, მუჭრიდა, მამუთვალა, ჩამუყვანა, მუწერო...

ორი ერთნაირი ხმოვნის შეხწყნა და გრძელ ხმოვანდ ქცევა სხვა შემთხვევაშიც გვაქვს: აა → აა: ვაატანა → ვატანა, ვააკეთა → ვაკეთა...

ეე → ეე: შეეწია → შეეწია...

სრული ასიმილაცია ახასიათებს ქართულ დიალექტთაგან გურულსა და ფერეიდულს, უფრო ნაკლებ იმერულს, ნაწილობრივ გვხვდება გარეკახურშიც.

აჭარულშივე არის შემთხვევები ნაწილობრივი ასიმილაციისა პრევერბისეული ხმოვნისა მაქცევერ უ-სთან. მაგ.:

ა + უ → ოუ: ოუთავეს, ოუხსნეს...

და + უ → დოუ: დოუნახავს, დოუჯერა, დოუძახებს...

გა + უ → გოუ: გოუზარდა, გოუგო, გოუფრინდეს, გოუცვალე...

ჩა + უ → ჩოუ: ჩოუარდა და სხვა.

მსგავსი ნაწილობრივი ასიმილაცია დიმახასიათებელია იმერულისა და ფერეიდნულისათვის, უფრო ნაკლებ ინგილოურისათვის.

ნაწილობრივი ასიმილაცია პრევერბისეული ხმოვნისა სათავისო ქცევის ან ვნებითის ი-პრეფიქსთან

ამ შემთხვევაში პრევერბისეული ხმოვანი ა ან ო იქცევა ე-დ და ქცევის ან ვნებითის ი კი ე-დ, მაგ.:

ა + ი → ეა: ეაჩემა, ეაყვანა, ეაცილება, ეაწერა...

და + ი → დეა: დეაჭირა, დეანახა, დეაკვა. დეახურევა, დეაწყობს, დეაჯერე, დეახსენი... დეაბნიდა, დეაკარქოს...

გა + ი → გეა: გეაძრო, გეაკვირა, გეასვარა. გეაინა, გეაქცა, გეაყვანეს, გეაგეს, გეახარეს, გეაგნებ... გეაზღებდა...

ჩა + ი → ჩეა: ჩეაგდო, ჩეაცვა, ჩეაყვანა, ჩეადღა... ჩეაჭრა. ჩეაქეტა...

წა + ი → წეა: წეაყვანა, წეაღო, წეაღევ... წეაქცა...

მო + ი → მეა: მეახხამს, წამეაყვანა, წამეაღო. გამეაგდო, ჩამეაყვანებენ. ჩამეატანე. შამეაღეს. გადმეახვეტოს...

მსგავსი ნაწილობრივი ასიმილაცია ფართოდაა გავრცელებული როგორც გურულში, ისე იმერულში. ამდენად აჭარული თავისი ფონეტიკური მოვლენებით მრავალგზის უახლოვდება გურულსა და იმერულ დიალექტებს. ოღონდ მათგან განსხვავებით ასიმილაციის შედეგად მიღებული კომპლექსი ეა აჭარულში უფრო დამავალი დიფთონგი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ასე აღვნიშნავთ მას. თუქცა გამორიცხული არაა შესაძლებლობა. რომ იგი ზოგჯერ სრულ-ხმოვნად მივიჩნიოთ.

ამ მოვლენას (პრევერბთა ასიმილაციას) იმერულში ს. ბიხოვსკაია ხსნიდა მეგრულის გავლენით¹. რადგანაც აჭარულ-

¹ Мѣтязевскій сборникъ, წიგნი VI, გვ. 159—164.

წა + ი → წი - ი: წიმილო, წიგიყვანეს...

გაღა + ი → გი - ღი: გიდიმიგლო...

ბ) ასევე სრული ასიმილაციაა პრევერბისეულ ხმოვნისა სასხვისო ქცევის ი ნიშანთან:

გა + ი → გი - ი: გიგიხარღა, გიგიწუგეს...

ღა + ი → ღი - ი: ღიმიფრთხე, ღიმიყარე, ღიმიყურე, ღიგიკლო...

წა + ი → წი - ი: წიმივღა...

ჩა + ი → ჩი - ი: ჩიმიყარო, ჩიგიყრია...

გაღა + ი → გი - ღი: გიდიგიგლო...

შე + ი → ში - ი: შიმიტყვია, შიგიძლიან...

გ) ი თავსართთან პრევერბისეული ხმოვნის ასიმილაციის შემდეგ ი იკარგება I პირის ფორმაში, იქნება ეს ი ქცევის ნიშანი თუ ვნებითის საწარმოებელი. მაგ.:

(გავიქცე → გევიქცე) → გევიქცე, (გავიხარე → ვევიხარე →) გევიხარე...

(ღავიბნიღე → ღევიბნიღე →) ღევიბნიღე, (ღავიწყვი → ღევიწყვი →) ღევიწყვი, (ღავითხარე → ღევითხარე →) ღევითხარე...

(ჩავიქერი → ჩევიქერი →) ჩევიქერი...

(მოვიტანე → მევიტანი →) მევიტანე...

ასევე: (ჩამოვიტანე → ჩემევიტანე →) ჩამევიტანე...

(გადმოვიპიროთ → გაღმევიპიროთ →) გაღმევიპიროთ...

ამ პირობებში ძირისეული ი-ც იკარგება ვიღა ზმნაში: მოვიღა → მოვღა (ნ. § 23).

ღ) მომდევნო ა ხმოვნის გავლენით მო პრევერბის ო ალბათ ჯერ იქცევა უ-ღ და შემდეგ უმარცვლოვდება. იქცევა უ-ღ. ახელდობრ:

მო + ა → მოუ + ა → მიუ + ა: (მოაკონღა → მოუაკონღა →) მიუაკონღა, (მოაქეს → მოუაქეს →) მიუაქ, (მოსარულა → მოუსარულა →) მიუსარულა, (მოახაზირებენ → მოუახაზირებენ →) მიუახაზირებენ...

ეგევე მოსღის მო-ს წმენველ რთულ პრევერბებს: (ჩამოაღებიეს → ჩამოაღებებიეს →) ჩამოაღებებიეს... (ვაპოაღებღა → ვაპოაღებღა →) ვაპოაღებღა, (განოაგზავნა → განოაგზავნა →) განოაგზავნა...

მსგავსავე რეფლექსს იძლევა მო-ს შემცველი რთული პრევერბი ს₁ ვ და ქცევის ა ან ვნებითის უ-ს წინ; სახელდობრ:

მო + ვა → მოუ + ა → მიუ + ა: (აღმოვაჩენთ → აღმოუვაჩენთ →) აღმოუვაჩენთ... (გამოვაწებებ → გამოუაწებებ →) გამოუაწებებ... (ჩამოვასხმევიროთ → ჩამოუასხმიროთ →) ჩამოუასხმიროთ...

მთ + გე → მთ + ე → მთ + ე: (გამოვედები → გამოუდები →) გამოუდები...

ეგვივე პროცესია. ძირისეული ვა თუ ვე-ს წინ. მაგ.:

(წამოვიარა → წამუარა →) წამუარა, (წამოვა → წამუა →) წამუა...

(ამოველ → ამუელ →) ამუელ...

(წამოვედი → წამუედი →) წამუედი...

ფუძისეული ო-ც იქცევა უ-დ და ან ე სუფიქსის გავლენით. მაგ. (სთხოვა → სთხუა →) სთხუა...

(ვაძოვე → ვაძუე →) ვაძუე, (მოქსოვე → მოქსუე →) მოქსუე (მოთხოვე → მოთაუე →) მოთაუე...

სახელთა ბოლოციდური ო იქცევა უ-დ და შემდეგ უმარცხელოვდება მრავლობით რიცხვში -ებ ბოლოსართის გავლენით. მაგ. გოგო + ები → გოგუები →) გოგუები და სხვა.

ეს მოვლენა საინტერესოა ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც.

9. დისიმილაცია (მეგრათგანმსგავსება). დისიმილაციის ორივე სახე გვაქვს აჭარულში: პროგრესულიცა და რეგრესულიც.

დისიმილაცია უკთავრესად ხდება ნარნარა (რ — ლ) და ნაზალ (ცხვირისმიერ) ბგერებში. ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები: საქმაოა. მაგალითები:

ა) პროგრესული დისიმილაციისა:

(არაფერი →) არაფელი.

(ბევრჯერ →) ბევრჯელ, ასევე: ორჯელ.

(ორ-ორი →) ოროლი...

(არ არი →) არ-ალი, ასევე: (რომ არა →) რომ-ალი...

ბ) რეგრესული დისიმილაციისა:

(უკანონო →) უკალონო...


წროთულს (← წლეულს)... აქ თანამოვანთა დისიმილაციასთან ერთად ხმოვნის ასიმილაციაც გვაქვს¹.

გ) ხმოვანთა დისიმილაციისა:

(საქმეები →) საქმეები და ასე: (ლელები →) ლელეები, (დელები →) დადეები...

ასეთი დისიმილაციური პროცესი არა მარტო ფუძისეულ ე- და მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ე ელემენტის შეხვ

¹ გამოსარკვევია დარბაზან სიტყვის წარმოშობა. სალიტ. ქართულში იხმარება მხოლოდ ხარ...



დრისას გვაქვს, არამედ **შე** პრევერბისა და ვნებითის ე თავსართის თავმოყრის დროსაც; მაგ.:

(შეეტანა → შეეტანა, (შეეზიდა → შეეზიდა...

აქარულში არის უფრო რთული ფონეტიკური პროცესებიც, როცა ერთ ბგერითს მოვლენას მეორე მოსდევს და ამდენად ორი ან მეტი ბგერითი მოვლენის თანამიმდევრობა გვაქვს.

10. ა პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსება ვნებითის ე თავსართთან და შემდეგ დისიმილაცია. პრევერბისეული ა ხმოვანი საესებით ემსგავსება ვნებითის ე-ს და დამსგავსებული ე დისიმილაციის გზით იქცევა ა-დ; სახელდობრ:

ა + ე → ეე → აე; ა + ე → ეე → აე:

(დაემშვიდობა → დემშვიდობა →) დემშვიდობა, (დაემსგავსა → დემსგავსა →) დემსგავსა, (დაეკარგა → დეეკარკა →) დეეკარკა... (გაეგება → გეეგება →) გეეგება, (გაელეიძებინა → გეელეიძებინა →) გეელეიძებინა...

(ჩაეყვანა → ჩეეყვანა →) ჩეეყვანა, (ჩაერია → ჩეერია →) ჩეერია.

(წაეცხება → წეეცხება →) წეეცხება, (წაეკილა → წეეკილა →) წეეკილა...

(გადაეჩვია → გედეეჩვია →) გადაეჩვია... (გამოეგება → გამეეგება →) გამეეგება...

ხმოვანთა დისიმილაცია შეინიშნება ძირშიც, როცა ერთნაირი ხმოვნებია; მაგ: (ამხანავი →) აფხანიკი, (ერთს ალაგს →) ერსალიკაჲ და სხვ. (თუ აქ ი სხვა გზით არ არის მიღებული).

ამგვარად, ხმოვანთა დისიმილაცია ძირითადად გვაქვს:

ა) ძ ი რ შ ი, მაგ.: (ილაპარაკა → ილაპარაკა)...

ბ) ფ უ ძ ე შ ი, როცა ფუძის ხმოვანი და აფიქსისეული ან პრევერბისეული ხმოვანი ერთნაირია. მაგ.: (ხე + ებ ... ი →) ხეები... (შეეტყო →) შეეტყო და

გ) სახელთა მრავლობით რიცხვში და პრევერბიან ზმნებში, როცა ჯერ ხმოვანთა ასიმილაცია ხდება და შემდეგ განმსგავსება, მაგ.: (თხა + ები →) თხეები →) თხეები... (დაეძინა →) დეეძინა →) დეეძინა...

11. მეტათეზისი (ბგერათაგადასმა). მეტათეზისი შორეულ ან მეზობელ ბგერათა ადგილის შეცვლაა. იგი ხშირად ნარნარა (რ — ლ) და ნაზალური (მ, ნ) ბგერების დამახასიათებელია; ზოგჯერ სხვა ბგერებთანაც გვხვდება, მაგ.:

(სულიერი →) სურიელი, (ძლიერი →) ძრიელი...

(ბალანი →) ბანალი, (დაუბნელა →) დაუბლენა...

(გაიარონინეს →) გაანორინეს...

(მერმე →) მემრე, (ქმრები →) ქრმები...

(დააფქვია →) დააქვია...

(შევებმები →) შევემბები; (დაბმული →) დამბული; ვადა-
მბული...

(ძლივს →) ძვილ

(ხსნა →) ხსნა: „ღღელა სკნიდა, შვილა სხნიდა, მსკნელს მსხნელმა
დააქარბა“.

(ზურგში →) ზრუგში, ზრუგზე...

12. **სუბსტიტუცია** (ბგერათშენაცვლუა). სუბსტიტუცია ენაში ჩვეულებრივ ისეთ ბგერათა შორის ხდება, რომელნიც ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად ცოტად თუ ბევრად მსგავსნი არიან. სუბსტიტუცია ასიმილაციისაჲან იმით განსაზავდება, რომ მეზობელ ბგერასთან დამსგავსების გარეშე ხდება შენაცვლება მონათესავე ბგერათა, რასაც თავისი განომწვევა ნიშნები აქვს. აქარულში გვაქვს: ბავისნიერ ხშულმსკდომთა სუბსტიტუცია, წინაენისმიერ ხშულმსკდომთა, ნარალგანთა და აგრეთვე ხმოვანთა სუბსტიტუცია.

ა) ბავისნიერ ხშულმსკდომ ბგერათა სუბსტიტუცია, მაგ.:

ვ — მ: ამსილი. მასკლავი, დანამიწყდა, მითამ (ვითომ)...

ვ — ბ: კობზი. თებზი, ბარცხნა...

მ — ბ: ბრუნდი, ბზე...

ბ — ვ: გებნევი. მებნევიან...

ბ — მ: უთხრომია...

ბ — ფ: უცეფ, წეაღეფ. გავარივეფო... (აქ ბ ბგერა ბოლო-კიდურობის გამოა დაყრუებული) და ააფა.

ბ) წინაენისმიერ ხშულმსკდომთა სუბსტიტუცია:

თ — ტ: ისტე... (თუ ასიმილაცია არ არის).

ტ — თ: თახტი... ტახტი... აქარულში იხნარება აწა-იქ თახტი ის სახით. კაცი იფიქრებდა, რომ აქ დინამილაციააო. მაგრამ ეგების თურქულში ნახმარი „თახთას“-ს (ფიცარი) გავლენით იყოს ის მიღებული.

ჯ — ტ: რამტონი, იმტონი, (ქართლურსა და ცახურშიც ასეა გავრცელებული).

გ) ნაზალურ ნ — მ, ნარნარა რ — ლ-ს სუბსტიტუცია:

ნ — მ: შერჩემია...

მ — ნ: ნეფჲობს, ვითან, დავანტრიოთ, ნიწა, დონებია... ნანდვილი (ძველ ქართულშიც ასეა დადასტურებული).

გ — მ: უმლია (უვლია).

ლ — რ: რხინი, რხენა...

ლ — ნ: მამასახნისი, სუნყველას, სუნთლათ...

ნ — ლ: ლემსი...

დ) ს — შ ნაპრალოვანთა სუბსტიტუცია:

შ — ს: თეფსი (ერთი თეფსი თებზი მჟუტანეს“).

შ — ჩ: მოხარჩვა (ჩადებენ წყალში და მოხარჩვენ“).

ს — ჰ: (← სად); ჰა ჰყავდა, ჰა გეჲქცევო, ჰად დაჰტევდა, ჰად წაზეელ ჰადმე, ჰიდან (← სიდან), ჰაცა (სადლაც), ჰაცხან (← სადლაც)... ბიჲოჲ, იმიჲთანა...

ე) შ, ზ, ჯ წინაენისმიერთა სუბსტიტუცია:

შ — ჯ: დაჰაიჯა, საჯენი (саженъ), დაჯანგა...

ჯ — ე: დაჲდა (შეჲდა); (ე)მლომი, (დაჲდა — ე აქ ეგების უფლო ძველი ფორმა იყოს).

ზ — ძ: სიძმარი (უფრო ინდივიდუალურია), გიგძანი...

ძ — ზ: გეჲზრეს...

ვ) კ, გ უკანაენისმიერთა სუბსტიტუცია:

გ — ქ: დაჰკარქე (დაკარქულიყო), კარქა...

კ — ყ: ყართოფი (=კარტოფილი)

კ — წ: წინალამ....

თ — შ: კომპლექსი → ჩ: ხუჩაფათს...

ზ) სწ → სტ კომპლექსი: გაასტრა (← გაასწრო). სტავლა...

თ) ხმოვანთა სუბსტიტუცია:

ე — ო: იმდონი, რამტონი...

ო — უ: რუჲ, რუმე (უფრო საფიქრებელია. რომ აქ მ-ს ვავლენით იყოს ო გადაქცეული უ-დ).

13. ბგერათდაკარგვა. ეს მოვლენა აქარულ კილონი საკმაოდ გავრცელებულია. ბგერის დაკარგვა უთუოდ ფიზიოლოგიური ფაქტორით აიხსნება. რიგ შემთხვევაში ბგერა გაუჩინარდება უბთავრესად თავმოყრილ თანხმოვანთა შორის. დაკარგვა ხმოვნებსაც ახასიათებს, რაც რედუქციის სახელით არის ცნობილი.

1. ს ბ გ ე რ ის დაკარგვა. ა) ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელ სიტყვას, თუ ის სასაზღვრს უსწრებს, ბრუნვის ნიშნის ელემენტი -ს ხშირად არ ახლავს. მაგალითები: დათვი კვალზე, ხარები ყიდვა, ნიკოლოზი დროზე, ყველ ხი ძირში. ქიპ-ნი გულა, ამითანაჲ, ჯვარი წერა....

-ხ იკარგება თანა თანდებულის წინ ნათესაობითში: იმი-
თანა სიცხე, შენითანა ვარდი და სხვა.

ბ) -ხ იკარგება მიცემით ბრუნვაშიც. ამ შემთხვევაში მიცე-
მით ბრუნვაში დაყენებული სახელი (დამატება თუ გარემოება)
შეიძლება შემასმენელს წინ უსწრებდეს, ან მოსდევდეს, მნიშვნე-
ლობა არა აქვს იმას, სახელის ფუძე ბოლოთანხმოვნია თუ ბო-
ლოხმოვნია.

ხანის დაკარგვა ბოლოთანხმოვიან სახელებთან: ხალხ მუაქ,
ლაპარაკ დეჟნებენ, ბათუმ მიხვალ? დოქ არ გავეტებ, იმ
ბალე კლავი მუწერა, ვოზდაათ მანათ მივკემ და სხვა.

ხშირია შემთხვევები, როცა შემასმენელი წინ უსწრებს მი-
ცემით ბრუნვაში დასმულ დამატებას და -ხ ნიშანი დაკარგულია:
ამოფუკავს ყანაებ, წაგატან ურზებ ხელ, ჰყრიან ძირ, ვეათხრა
ჩვენ ხუთ კაც...

სანის დაკარგვა ხმოვანფუძიან სახელებთან არაა ხშირი:
რა იგები, ქო? მაგა დანებე თავი; იმა ნუ მიდევ, ჭო!..

აღნიშნული მოვლენები, როგორც ნათესაობითი ბრუნვის
ნიშნის -ხ ელემენტისა, ისე მიცემითი ბრუნვის -ხ ბოლოსართის
დაკარგვა, უმთავრესად აჭარისწყლის ხეობაშია გავრცელებული:
ხულოს, შუახევის, ქედისა და ნაწილობრივ ბათუმის რაიონებში,
ხოლო შედარებით იშვიათია ქობულეთის რაიონში.

გ) ხ ეკვეცება აგრეთვე ჩვენებით ნაცვალსახელს: (იან →) ი.
მაგ.: დარჩა ი არხი: ი ქარავანი...

დ) სანი იკარგება ზნინაშიც, სახელდობრ, მესამე პირის სუბი-
ექტური ბოლოსართი: მაქ არი...

აგრეთვე მესამე პირის ობიექტური თავსართი (განსაკუთრებით
ზმნის თავციდურის ც-ს წინ: ხმა არ გაცა (= გასცა), ფაღეს
და მიცეს...

2. რაე იკარგება მეტწილად თანხმოვნებს შორის. მაგრამ
არის შემთხვევები, როცა თავციდური რ-ც ქრება. მაგალითები:
გიეზდება (იზდება, ზიღდა), ფთხილათ, წაბანდესო, უბძანე, ჩდი-
ლაჟ (ადგილის სახელია ხულოს რაიონში), დახზობა, დაგჩება,
ებძვის, ღმათ, ფთები... მაგრამ: ბიღია (← რბიღია ← ლბიღია),
ქაგბიანი, კინა, თველზე და სხვა.

რაეს დაკარგვა შემჩნეულია თანხმოვან-ხმოვიან ბგერათა
შორისაც: არც ეთი. იგება... რუმ კავშირი → უმ (შდრ. ინგი-
ლოური ჰუმ) და გვაქვს: შენ უმ უთხარი, მან უმ თქვა...

3. შანიც რაეს ბედს იზიარებს აჭარულში. ა) იგი იკარგება
არა მარტო სახელში, არამედ მიმღეობაშიც; მაგალითები: სხალი,
ტივანი, კლავი, გელი, კუბე, კერდი, დიდარი, თავარი, თელი

(=მთელი), განაწილებაში, შეიღობა, ტკაველი, წყესი, ძივი, არსიანის თა, ქედელი, თვარე, გალობელი, წყალობელი: კრეფლები, დულარე, თრალი, ედომი, ნახველები... შუენიერი აჭარულმა ძველი სახით შემოგვინახა.

ბ) მ ეკვეცება ჩვენებით ნაცვალსახელსაც: ი ჯაცმა: ი თავის ძვალზე (იმ თავის ძვალზე)...

4. ვინი აჭარულში საკმაო მერყეობას განიცდის. იგი იკარგება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა შორის, ვ არ ჩანს თანხმოვანთა შორის, მაგ.: ექსი, აძრენენ, მოკდენ, მიხთება, იყნენ, მენაღლებოდეს, გაგცლის, მისლია, წასლა (შეხსლება. ჩამოსლა), შემხთებოდე, თრალი, თრამეტი, გამომიგზანაო, წრილათ, აქს, ნეტაი...

გ-ინი ქრება მოვიდა ზმნაში: მოხდოდა. წყალი გამოხდა, წამოხდა...

5. ლასის დაკარგვის შემთხვევებიც მოიპოვება: სახწი, ხემწითე (სახემწითოში), ნაჩანიკებსა...

6. თანი იკარგება ერთ სიტყვაში ცალკეც და კომპოზიტშიც, მაგ: ერიცახე, ერი შეილი, ერ დღეს, ერ საათს... ერსალიკა (=ერთ ალაგას), ერხან, ერჯელ.

თან თანდებულის თ არ ჩანს ბოლოხმოვნიან სახელთა მიცემით ბრუნვაში: დედასან, ხემწითესან, დასან, გოგოსან. როგორც ეს ცნობილია ქვემო იმერულში.

7. ზოგჯერ დ, ხ, ნ და აგრეთვე ვ არ ჩანს. წინდებულისეული დ არ ისმის „ახარდა, ამოსავლეთ“ სიტყვებში. აღ- გამარტივებულია აგრეთვე ა-ს სახით ავადგინოთ ფორმაში. ხ არ ჩანს ჩამოვირჩობ ზმნაში.

8 დაკარგულია მაგრე სიტყვაში: „რატომ არონიებ მარეა დაქაბულს“ (დაფლეთილს): უფორმო სიტყვებში: მარა (=მაგრამ), შიან (=შიგან), აე (=აგი)...

ასევე ნ არ გვაქვს მაგალითში ბერძული (= ბერძნული) და დ ამოვარდნილა სიტყვაში: მოხ (=მოდი), როხს (=როდის).

14. ხმოვანთა დაკარგვა. ხმოვანთა დაკარგვის მთავარი შემთხვევაა დადასტურებული.

ა) იკვეცება ი. თუ მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს, ან ქვემდებარე თუ დამატება შემასმენლის წინაა მოქცეული, მაშინ შეიძლება სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი არ იყოს, მაგ.: მად მამალ გუშვი, ჭო, ვოზდაათ მანათ (=ოცდაათ მანეთს) მივცემ; წყალ გამუა; ორვე (=ორივე) და ასე: სანვე, ხუთვე. საინტერესოა ფორმა წელწადნახეარი, წელწადი.

ბ) უ უკვალოდ არ იკარგება. მას თითქოს ა-ს მაგვარი ბგერა ენაცვლება, უმთავრესად უნ და ნაწილაკში. მაგ.: არ ან და (← არ უნდა) ქნას მასე, მეც ან და წვედე, რაც ან და მუშველო, მამიდან ან და იყოს. თე არ ან და და ნრავალი სხვა.

გ) იკარგება პრევერზისეული ო მ-ს წინ. მაგ.: გამმიწერო, გამმაგზანა (=გამომგზანა) და სხვა (შდრ. § 8).

დ) ე-ნის დაკარგვის ჩამდენიზე შემთხვევა გვაქვს: უონი, ღრუბლი, მაგრამ მათ შესახებ მოოთოლოგიაში (შდრ. § 18).

ე) ძირეული ა-ც არ ჩანს ერთ პავალითში: ბრე (=ბარე).

15. ბგერათჩამატება. ბგერათჩამატების მავალითებიც საკმაოა აქარულში. ბგერათჩამატება ბგერათდაკარგვის სავირისპირო. მაგ-რამ უფრო რთული მოკლენაა. თითქმის ყველა ან ბგერა (ბ-ს გამოკლებით), რომლებიც იკარგებოდა, სხვა პირობებში ჩაერთვის. რეკურსია-ექსკურსიის (დაბოთვა-მეწართვის) დროს შეიძლება წარ-მოიშვას გარდამავალი ბგერა და იტყვს დაბდჯარ ბგერად. და-მდგარ ბგერად უმეტესად ბ ვეველინება. იგი ჩნდება მ ს რეკურ-სიისა და რ-ს ექსკურსიის დროს. მაგ.: გვიმბრა. ვამბრა ველ-და, გემბრიელი და სხვა. თითქოს ზ ჩამატებულია ამ მაგა-ლითებში: ამეზღანი. გუშინ ზ ღანი. მაგრამ საუბრებელია. რომ იგი ბრუნვისეული ხ არის ღ-ს გავლენით გახლეჩებულნი.

ა) მ ჩამატებული სიტყვებია: გაუნცხადა (ვამიემც-ხადა), ყოლამფერი (სუყველამფერი), უმჭროსი (უმჭროსის ანა-ლოგიით), უმჭრო, მწვალება (მამწვალა, ვინწვალე). ვინცხოვრე-ვით, გაუმჯავრა, დალუმბვა, შემცხვარე. ვინგლოვ, ვამთფა-ლიერებს.

ბ) ნ ჩამატებულია: შენწვენობა (ალბათ შეწვენა ფორმის ანალოგიით). გახვენდრებ... უღვანს ზნაში კი ან სუ-ფიქსია შემონახული (შდრ. ჩანს).

გ) ვ ჩამატებულია ან დართული სხვადასხვა შემთხვე-ვაში, მაგალითები: სიკეთე უნდა მიყვოთო (თუ -ავ სუფიქსის ნაშთი არ არის), საცოდვაესა (შეცოდვა). იძღვებულა, იგორვა, გაჩუქვებ, (აჩუქვა, საჩუქვარი). სადიღვობანიღი. დამორგებით, მოიწველვიდენ...

დახოცვილი. დაკაფეული და ზოგიერთი ზემოთ დასა-ხელებული მაგალითი (იგორვა. შეეცოდვა...) ვეჩვენებს. რომ აქ თემატური ვ არის შემონახული...

ვ სისტემატურად ჩაერთვის ო-ს წინ ხმოვანთა შორის, იტ-ნება ეს ო წოდებითის ნიშანი თუ სხვათა სიტყვის ნაწილაკი: ძმავო... აფხანიკოფო. აქედანავო, იქნებაავო და სხვა.

ვ ვითარდება სიტყვის თავკიდური ო-ს წინ: ვორი, ვოთხვე...

დ) ი ჩართული ჩანს სიტყვებში: კილდე, კიბილი, წიგინი, ტკიბილი, თიბილი... კილტაგები, ძიმისწული, გამოჩინდა და სხვა.

თანხმოვანთა შორის ი-ნი უფრო ხშირად უკანაენისმიერი ბგერების (კ, გ და სხვათა) მომდევნოდ ჩნდება (კილდე, ტკიბილი, წიგინი...). იგი შესაძლებელია ზოგან ძირისეულიც იყოს, რადგანაც თბილის შესატყვისი სვანურში არის ტებ-დი, მეგრულში ტიბუ, ტუბუ (შდრ. წყალტუბო) და ქართული ზმნიდან ჩანს, რომ ტეფ უნდა ყოფილიყო (შეად. განვტეფ) მაგრამ ზოგან თანხმოვანთ დამაცილებელი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ძველი ფუძისეული ხმოვანი.

ბევრი ამ ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენათაგან მეტნაკლებად სხვა დიალექტებშიც გვხვდება, მაგრამ ერთად აღებულნი ეს თავისებურებები აქარულს სხვა დიალექტებისაგან გამოყოფს.

16. **ბგერის განვითარება.** ყურადღებას იქცევს აქარულში ერთი მაგალითი ბოქშები, სადაც თითქოს სხვადასხვა წარმოებისა და გვარობის ვ და ქ თანხმოვანთა სუბსტიტუციას აქვს ადგილი: ბოვშები --- ბოქშები, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. როგორც პროფ. გ. ახვლედიანი ალნიშნა, აქ ქ განვითარებულია სონანტ ვ-ს წინ; მომხდარა ვ-ს გუტურალიზაცია მსგავსად ქართულში ცნობილი მაგალითებისა: ბერძნული სახელი ევფთჳმე და ქართ. ექვთიმე, ნივთი და ნიქვთი და სხვა.

მჯობრო (ზისა მჯობრო) სიტყვაში რ ჩართული არ უნდა იყოს. იგი უფრო სუფიქსი ჩანს.

17. **ფონეტიკურ პროცესთა თავმოყრა.** აქარულში, ისე როგორც ზოგიერთ ქართულ დიალექტში (ინგილოური, ფერეიდნული...), ერთ ფონეტიკურ პროცესს მოსდევს მეორე; ხანდახან თავს იყრის სამი და მეტი ბგერითი მოვლენა და შედეგად ვიღებთ საკმაოდ სახეშეცვლილ სიტყვებს პირვანდელი ფორმისაგან.

ა) ასიმილაციის შემდეგ დისიმილაცია. ეს პროცესი ფართოდაა მოდებული მორფოლოგიაში სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას და ზმნაში პრევერბის დართვისას. შეიძლება ორგზის ასიმილაციასაც ექნეს ადგილი, როგორცაა მაგალითი დეემზგავსა (← დაემსვავსა), და შემდეგ მას მოჰყვება დისიმილაცია (დეემზგავსა).

ბ) ასიმილაცია ბგერის დაკარგვის შემდეგ ხდება თავმოყრილ თანხმოვანთა შემცველ სიტყვებში; სახელობრ:

ხვდ → ხდ → ხტ || ხთ: მიხტა (← მიხვდა), შეხტა (← შეხვდა), დახტა (← დახვდა), შემხტა (← შემხვდა)...

კვდ → კტ: მოკტა (← მოკვდა), კტარი (← მკვდარი), სიკტილი (← სიკვდილი) და სხვა.

წვდ → წტ: გაგიწტია (← გაგიწვდია) და სხვა.

წყვდ → წტ: დამწყტეული (← დამწყვდეული) და სხვა.

აქ ჯერ თანხმოვანთა შორის დაკარგულია გ ბგერა და შემდეგ მომხდარა კონტაქტური ასიმილაცია. არაა შეუძლებელი, რომ ვ დარჩეს და მოხდეს დისთანციური დამსგავსება: მოკვტება...

გ) ბგერის დაკარგვა. მეტათეზისი და ასიმილაცია კარგად ჩანს მაგალითში სამხთო, რომელიც მომდინარეობს ადრინდელი ფორმისაგან: საღმერთო. მას პირველად რედუქტია მოუვიდა და შემდეგ რ დაიკარგა: საღმთო. მერე მეტათეზისს მოჰყვა ასიმილაცია: საღმთო → საწმთო. შეიძლება ასედაც: ჯერ ასიმილაცია იყოს და შემდეგ მეტათეზისი: საწმთო → საწმთო.

მეტათეზისი ნოსდის ზენომოყვანილი დამემგზავსა ზმნასაც: დამემგზავსა. ამდენად აქ თავს იყრის ორგზის ასიმილაცია, დისიმილაცია და მეტათეზისი.

დ) ასეთი რთული ფონეტიკური პროცესები გვაქვს როგორც ცალკეულ ფორმებში. ისე სინტაგმებში, წინაშეა და მომდევნო სიტყვებში. ხშირად ხმარებულ შეკავშირებულ თქმებში. აი მაგალითები:

აფხანიკი (← ამხანაგი) ნაწილობრივი ასიმილაციაა მ გლეგრი თანხმოვნისა ფშვინვიერ ხ-სთან და გ-ს სუბსტიტუტია კ-დ. ხმოვნებშიც დისიმილაცია ჩანს. ეს ფორმა გვხვდება სხვაგანაც.

ხენწიფე (← ხელმწიფე) გავრცელებულია თითქმის ყველგან. ჯერ ლ დაკარგულია და შემდეგ მ → ნ წინაენისმიერი ბგერის წინ.

თავდომარე ჯერ მ ბგერაა დაკარგული გ-ს შეზობლად და შემდეგ ჯ-ს სუბსტიტუტის შედეგია.

ამჯელაჰო ზმნისართში ყურადღებას იქცევს რ-ს ნაცვლად ლ-ს გამოყენება, ვითარებითი ბრუნვის დ ელემენტის დაკარგვა და ხმოვანთგასაყარად ჟ-ს ჩართვა. პირველ შემთხვევაში ლ არ უნდა იყოს რ-ს სუბსტიტუციის შედეგი, იგი უფრო ნადისიმილაციარი ჯელ-ის ნაწილია (ზღრ. ერთჯელ, ორჯელ და აქედან შემდეგ განზოგადდა და გავრცელდა).

ებნევა (= ეუბნება). ეს ფორმა იმით არის საინტერესო, რომ აქ ჯერ უ დაკარგულა, ხოლო შემდეგ ერთ სიტყვაში ორი მსგავსი თანხმოვნიდან უკანასკნელი ბ → ვ. აქ ან სუბსტიტუციის შემთხვევა უნდა გვქონდეს, ან დისიმილაციისა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ებ → ევ-ში.

რას შობი (= რას შერები). აქ მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს შეხვდა შ-ინით დაწყებულ ზმნის ფუძეს და რეგრესული ასიმილაცია მოხდა, შერები ფორმაში კი საეულისხმოა ის, რომ ჯერ ამოვარდა რ, შემდეგ ვე → ფ და მივიღეთ (შეები →) შობი.

ე) საურთიეთო ასიმილაცია ობიექტური პირის ნიშნისა და ზმნის თავკიდური თანხმოვნისა შედეგია ფუძისეული თანხმოვნის დაკარგვისას ასეთ მაგალითებში:

დაზზრენ (← დასძვრენ ← დასძვრათ). ამ ფორმაში სამი ფონეტიკური პროცესია თავმოყრილი: ჯერ ვ-ს დაკარგვა, შემდეგ რეგრესული და ბოლოს პროგრესული ასიმილაცია: სძვრ → ხძრ → ჴძრ → ჴზრ.

დაშშენია (← დასჩენია ← დაპჩენია). აქ რთული პროცესია: დაპჩენია ფორმაში ჯერ რ დაიკარგა, მ თავსართი ჩ-ს შეზობლობაში შეიცვალა ს-ანად და შემდეგ ჩ-ს გავლენით იქცა შ-დ, ხოლო შემდეგ შ-მ სრულად დაიმსგავსა ჩ. ფორმის თანდათანობითი ცვლილება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დაპჩენია → დაპჩენია → დასჩენია → დაშჩენია → დაშშენია. აქ საქმე გვაქვს საურთიეთო ასიმილაციასთან.

ანალოგიური ვითარებაა ზმნაში **დაშშყეროდა** (← დასჭყეროდა). აქ შეინიშნება ორმაგი ასიმილაცია: ჯერ რეგრესული ხჭ → შჭ, შემდეგ საფეხურზე კი პროგრესული შჭ → შშ. თანდათანობითი ცვლა ასე უნდა ვივარაუდოთ: დასჭყეროდა → დაშჭყეროდა → დაშშყეროდა.

ანგარიშგასაწევი ბგერის დაკარგვის შემდეგ ასიმილაციაც. მაგ.:

შეხხვენია (← შეპრცხვენია). უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ რ დაიკარგა და ხ-გაჩნდა მ-ს ნაცვლად, შემდეგ მოხდა სრული პროგრესული ასიმილაცია. თუმცა ბგერათა დაჯგუფებისას ცხა-

მეულებშია მოქცეული. ხოლო **ხ** წყვილულებში, მაგრაჟ **ც**, როგორც **ხ**-ს შემცველი, დაემსგავსა **ხ**-ს. რაც სხვა შემთხვევაშიცაა შენიშნული (შდრ. მისცა → მისსა. გვ. 12, 55შ.1).

ვ) რომელიმე ფონეტიკური პროცესის შემდეგ შეიძლება თინხმოვანთა შერწყმაც მოიღეს: მაგ.: ვარდს → ვართს → ვარც. ჩანს, ჯერ ასიმილაცია მოსდის ფუძისეულ დ-ს ფორმანტიკულ **ხ**-სთან და შემდეგ ერწყმის (შდრ. ქახალმე ← ქალალმე).

ზ) კომპოზიტებიდან დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ყოლიფერი (← ყველაფერი): ნოცემულ ფორმაში ერთ-ერთი მოვლენაა საფარაუღებელი: ან ვე → ან აოადა გვექონდა ყოველიფერი, ვე მარცვალი ამოვარდა და დარჩა ყოლიფერი. უფრო სარწმუნოა უკანასკნელი. მაგაყა ფორმები დამაბასიაფებელია ბარის აქარულისათვის, ხოლო მთის აქარულისათვის ნიშანდობლივია ყველიფერი, რომელშიც ჩაატებულია მ და ამოღებულია ა ხმოვანი.

ყველამფერი წარმონდგარი უნდა იყოს სალიტერატურო ენაში არსებული ფორმააგან ყველაფერი მ-ს ჩართვით.

კურდღელი აქარულში დაცულია უფრო არქაული სახით ყურდგელი. იგი საოწაუნოს ძღის მის უკვე ნაფარაუღვე წარმომავლობას ყურგრძელი-საგან.

სიტყვის პირველი ნაწილი ყურ სავსებით ემთხვევა ყურ-ს. ხოლო რაც შეეიება მეორე ნაწილს, აქ, ცხადია, ცვლილებები მომხდარა, მაგონაჟ ძირითადი, საწყისი თანხმოვანი გ მაინც მეუნარჩუნებია: დ-გელი ნაშთია სიტყვისა გრძელი. ლიტერატურულ ენაში არსებული ფორმა უფრო საბეშეკელია, ვიდრე დიალექტში.

მაიდაშააც (= მაინც და მაინც). განწეოვებული ფუძე შეერთებულია და კავშირით. პირველ ნაწილს აკლია ნც. ხოლო მეორე ნაწილს ნ.

ამადაშხალიგ (= ამა და ამ ალაგს). ყურადღებას იქცევს სელიგ **ხ**-ს დართვითა და ა ხმოვნის **ი**-თ შეკვლით. **ხ** მიცემითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს, გადმოსული წინა ა მას და ა მას მსაზღვრელისაგან (შდრ. სამარა ← (ამი) ს ამარა).

ერწამ ზმნიზედაში პირველ ნაწილს ფუძისეული **ი** აქვს მოკვეცილი და მეორეს — მიცემითი ბრუნვის ნიშანი -**ხ**.

რამეთი (= რა ერთი). ერთ სიტყვაში დაკარგულია **ა**, ხოლო რა კითხვით ნაცვალსახელს დართული აქვს მ ალბათ რამდენი -**ს** კონტაინაციით, მისი ცვლა ასე უნდა მომხდარიყო: რა + ერთი → რა + ეთი → რამ + ეთი.

მორწმუნობა

სახელი

18. ბრუნვის ნიშნები. ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი ბოლოთანხმოვიან სახელებშიც ხშირად იკარგება, მაგ.: ათ დღე რომ ვიმუშაო; კაცი დგას და თევზ ხელში უკავია; ქვებ არი.... აღნიშნული მოვლენა ქობულეთისა და ნაწილობრივ ბათუმის რაიონისათვის არ არის დამახასიათებელი.

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი და მიცემითის -ს ბოლოსართი ხშირად მოკვეცილია.

გ) ხმოვანზე დასრულებული სახელები, რომელთაც ფუძე არ ეკვეცებათ, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში დაითავსენ სრულ სუფიქსებს, ოღონდ ბრუნვის ნიშნისეული ი იქცევა ძ-დ:

მაგალითები ნათესაობითი ბრუნვისა: აგვისტოჲს თვეში; ტუნგოჲს წაღება; რალა დროჲსაჲ; ბალანაჲს ნაქნარია; ლამბაჲს მოტანა; პაწაჲს რომელია.

მოქმედ. ბრუნვაში: ტუნგოჲთ ვსარგებლობთ; ყუჲთ ვერ დავკმაყოფილდებით....

ამათ პარალელურად შესაძლებელია ძ-ს ნაცვლად სრული ი გვექნეს: ოქროის, აგვისტოის, ტუნგოჲს, ბალანაის, ლამბაის, ბალანაით, ლამბაით და სხვა.

დ) ვითარებითი ბრუნვის დაბლოვებად აქარულში ძირითადად გვაქვს -თ. სპორადულად ყრუ დონსაც შევხვდებით. მაგ.: ჩიტათ (მაქცია), სოფლათ (იყო), კაცათ, ტყეთ (იქცა), ვარდათ, ზღვათ, მასწავლებლათ და მრავალი სხვა. ვითარებით ბრუნვაში მარტო ა-ც შეიძლება იყოს და არა მარტო-იან სუფიქსის მქონე სახელებში. მაგ.: ხულოელები მიდიან თავის ფურგუნებიანა; გამოდიან ქალმან-ბალნიანა; ბალნის სატირლა; დედის საჭიჭინებელა; ძვალის სახრელა; რბილის საკმელა; სისხლის სასმელა; პიოზე ფერი მოუსლელა და სხვა.

მსგავსი შემთხვევები მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში მოგვეპოვება. იგი იმერულსა და სხვა კილოებსაც ახასიათებს¹.

¹ არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ვნიშვის მოამბე, I. 1937, გვ. 16, 21.

ე) საკუთარ სახელთა წოდებითის წარმოება აგრეთვე თავისებურია. ამ მხრივ ერწანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება ბარისა და მთის აჭარული. ასე, მაგალითად, ბარის აჭარულში თანხმოვანფუძიანი სახელები (ახმედ, ზიფერ, ჯემალ, ხაჯერ...) ირთავენ კნინობითობის - ა სუფიქსს და უერთდებიან ხმოვანფუძიანებს, რომელთაც წოდებითი ბრუნვის ნიშნად ჩვეულებრივ მოუდით - ვ (←თ): ახმედ-ა-ვ, ზიფერ-ა-ვ, ჯემალ-ა-ვ და სხვა. ხმოვანფუძიანები საერთო წესის სანაშად - ვ-ს დაირთავენ: ზია, ხურიე, ზექიე, აიშე, ემინე, ფიქრიე და სხვა წოდებითში იქნება: ზია-ე, ხურიე-ე, ზექიე-ე, აიშე-ე, ფიქრიე-ე და ა. შ. იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება მის გვერდით გაიგონოთ: ზექია-ე, ფიქრია-ე და სხვა. აქ ფუძე შენონახულია აიჭუნდელი სახით (ზექია, ფიქრია და სხვა).

წოდებითის წარმოებისას სულ სხვა მდგომარეობაა ბოლო-თანხმოვნიან საკუთარ სახელებთან მთის აჭარულში. საკუთრივ ქვანის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში. აქ წოდებითის ნიშნად -ო გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნოლაპარაკე უფროსს ან პატივსაცემ პირს მიმართავს.

ასეთებია: ზულქიფლ-ო, დენურალ-ო. შემსუდინ-ო, ბოლალ-ო...

მაგალითები: ზულქიფლო, პად იყავი? ბილალო. მოა აქ; შემსუდინო, ქვაზე რატონ დაჯექ? დენურალო, წამო და ა. შ., სხვა შემთხვევაში კი ბარის აჭარულ სახელებს უთანაბრდება, ე. ი. - ა სუფიქსიანია და -ვ-ს დაირთავს. მაგალითად: სელიმა-ე, იდრის-ა-ვ, დურსუნ-ა-ვ, რეჯებ-ა-ვ და ა. შ.

19. ფუძის თავისებურება სახელობითში. როგორც ცნობილია, კუმშვადი სახელები ქართულში ცვლილებას განიცდის სამ უკანასკნელ ბრუნვაში (ვითარებითსა, ნათესაობითსა და ოქმედებითში): სახელდობრ, იკარგვის ა და ე ხმოვანი. ო იქცევა -ვ-დ (ბაგისმიერ ბგერასთან მეზობლობაში ისიც ვაუზინარდება), მაგრამ ბუნებრივად ისინება კითხვა: რატომ სახელობითსა და წოდებითში ვერ ახდენს ვავლენას ფუძის ხმოვანზე ი და ო ფლექსია? აკაკი შანიძის განმარტებით „სახელობითის ინი და წოდებითის ონი მხედველობაში მასალები არაა, რადგანაც ისინი ახალი ფორმაციისანი არიან“¹. ამგვარად, აივ სალიტერატურო ენაში და არც კილოებში სახელის ფუძის შეკუმშვა სახელობით ბრუნვაში შემჩნეული არ არის.

¹ ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, „წელიწადი“, კვ. 7, ზნიშენა 1.

ფრიად საგულისხმოა, რომ აჭარულ კილოში აღმოჩნდა რამდენიმე სიტყვა, რომელთა ფუძე შეკუმშულია სახელობით ბრუნვაშიც; ესენია: ურემი, მჭედელი, ღრუბელი, აგრონომი, საქონელი და რამდენიმე სხვაც. აჭარაში ამბობენ: ურმი, მჭედლი, აგრონმი, საქონლი, შეზობლი, უღლი... მაგ.:

ურმი: ბილალავ, წაჲ, კო, სახში, ხარები ჩამეყვანე, ურმი წეღლე; გუშინ ჩამეღდა, ურმი წეღლო...

ღრუბლი: კოვ, ღრუბლი გამოჩნდა ცაზე, არ გაწვიმდეს!

აგრონმი: აგრონმი ამოედა ჩვენ სოფელში...

მჭედლი: (მ)ჭედლი ვნახევი და მუალესევი თირჲანი (ცელი)...

საქონლი: წრეულს საქონლი აღრე ვერ გავდენე თაზე; საქონლი რატომ შუშვი ჭალაში?..

მართალია, ეს ფორმები მასობრივად არ იხმარება, მაგრამ არც იმის ოქმა შეიძლება, რომ იშვიათიან, ამ სიტყვებიდან განსაკუთრებით ექვს არ ბადებს სამა: ურმი, ღრუბლი, საქონლი. კვლავ შემოწმებას საქიროებს აგრონმი, მჭედლი და სხვა, უფრო კი აგრონმი, რადგანაც ეს ახალი სიტყვაა და შეიძლება სწორად არ იყოს შეთვისებული. ზემოაღნიშნულ სახელთა ბრუნება ასეთია:

სახ.	ურმ-ი	ღრუბლ-ი	საქონლ-ი
წოდ.	ურემ-ო	ღრუბელ-ო	საქონელ-ო
მოთხრ.	ურემ-მა	ღრუბელ-მა	საქონელ-მა
ფითარ.	ურმ-ად	ღრუბლ-ად	საქონლ-ად
ნათ.	ურმ-ის	ღრუბლ-ის	საქონლ-ის...

ამ სახით ეს სახელები ზემო აჭარულშია დადასტურებული, განსაკუთრებით ხულოს¹ რაიონში, ისიც უმთავრესად მოხუცთა პეტყველებაში. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სახელობით ბრუნვაში ფუძის შეკუმშვა ხდება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა გავლენითო, მაგრამ ეს საეჭვოა.

20. მრავლობითი რიცხვი. სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად მხოლოდ -ებ სუფიქსია გამოყენებული. ნარ-თანთან მრავლობითს აჭარული არ იცნობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ფორმებს, რომლებიც ლიტერატურული ენის ზეგავლენით შეითვისეს აჭარლებმა.

¹ ადგილობრივი სახელია ხულა და ათა ხულო.

-ებ ბოლოსართით მრავლობითობის წარმოებისას ხმოვან-ფუძიან სახელებთან თავს იჩენს რთული ფონეტიკური პროცესი—ასიმილაციისა და დისიმილაციის ერთეამიერი მოქმედება, და ასეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მრავლობითის ნიშანი იყოს - ა + ებ, სინამდვილეში კი -ებ სუფიქსს ემსგავსება ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი - ა და - ე-დ ქცევის შემდეგ მოსდის დისიმილაცია; დისიმილაცია მოსდის ფუძის ბოლოკიდურ - ე-საც -ებ სუფიქსის დართვისას. ნადისიმილაციარი ი ხშირად ა-დ ისწის: პროცესი ასე წარმოვედგება:

მხოლოდითი	მრავლობითი
ძმა (ძმა + ებ — ი → ძმები →)	ძმები ძმები
ქვა (ქვა + ები → ქვეები →)	ქვები ქვები
ყანა (ყანა + ებ — ი → ყანები →)	ყანიები ყანები
(მ)თა (მ)თა + ებ — ი → (მ)თები →	(მ)თები (მ)თები
ხოჯა (ხოჯა + ებ — ი → ხოჯები →)	ხოჯები ხოჯები
ასევე: კილდე (კილდე + ები →) კილდეები →	კილდეები
კილტე (კილტე + ებ — ი →) კილტეები →	კილტეები
ხე (ხე + ებ — ი →) ხეები →	ხეები

პირვანდელი ფორმები (ბ ა ბ ა ე ბ ი, დ ე დ ა ე ბ ი და ს ხ ვ ა ა ჯ ა რ უ ლ შ ი მე ტ ა დ ი შ ვ ი ა თ ი ა, თ ი თ ქ მ ი ს ვ ე რ შ ე ვ ე ბ დ ე ბ ი თ).

აღბ უთუოდ მთლიან სუფიქსადაა გააზრებული და ზოგჯერ ანალოგიით ჩნდება ბოლოთანხმოვნიან სახელებშიც: ბ ვ ვ ა ე ბ ი (მხოლ. ბეგი) და სხვა.

მრავლობითი რიცხვის ანალოგიური წარმოება შენიშნულია მესხურშიც.

-ებ ნიშნის დართვასთან დაკავშირებული სხვა ფონეტიკური მოვლენების შესახებ, კერძოდ ბოლოკიდური ფუძისეული ა და უ ხმოვანი უმარცვლო - უ-დ რომ გადაიქცევა, ამაზე ზევით გვქონდა ლაბარაკი: ე ზ ო, მ რ. (ეზობი →) ეზობი (წ 8 დ). ამ წესს არ ექვემდებარება ხ ბ ო ა ხ ფ ო, რომლის მრავლობითი ფორმაა ხ ბ ა ე ბ ი ან ხ ფ ა ე ბ ი.

21. **ორმაგი მრავლობითობა** აქარული კილოსათვისაც დამახასიათებელია. იგი არა მარტო სახელებში დასტურდება, არამედ ზმნებშიც შეიმჩნევა. მაგალითი არსებითი სახელებიდან ერთია, ესაა ანგელოზ-ნ-ე-ბ-ი. სამაგიეროდ მეტია სხვა სახელებში, მაგ.: ექსი ბავშვი ეყოლა და ექსნავენი გაიზარდა.

ნაცვალსახელებში: ეს-ნე-ბი, ის-ნ-ებ-ი, იგი-ნ-ე-ბ-ი, იმა-თ-ებ-ს. მაგ-ნე-ბ-ის... მაგალითები: და-წერე მაგნების აშბავი; ისინი იმათებს უძახიდენ...

ცალკე აღსანიშნავია ამ-ნ-ებ-მა და იმ-ნ-ებ-მა ფორმები. აქ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამან და იმან ნაცვალსახელებია მრავლობითში, გაფორმებულიო ამ(ა)ნებმა, იმ(ა)ნებმა, და თუ ასეა, მაშინ მოთხრობითი ბრუნვა ორჯის იქნება ნაწარმოები.

ორმაგი მრავლობითი უნდა გვექონდეს ზმნაში: ჩვენ გვინ-დანან, თქვენ გინდანან, ივინებს უნდანან.

22. ხარისხი. ზედსართავი სახელიდან საყურადღებოა ხარისხის წარმოება. იგი თუმცა სიტყვის წარმოქმნას განეკუთვნება, მაგრამ ტრადიციით მეტყველების ნაწილთა თანამიმდევრობის დაცვისათვის აქვე შემოგვაქვს, უფროობითი ხარისხი, როგორც სხვა ქართულ დიალექტებში, ისე აქარულში უ...ეს აფიქსებითაა ნაწარმოები; მაგ.: უგრძესი, უმოკლესი, უშორესი, ურღმესი (← უღრმესი), უმიძიესი და სხვა. ამათ გვერდით ხშირია აღწერითი ფორმებიც - ზე თანდებულის. ან უფრო, უფრო, უფო, ზმნიზედის გამოყენებით; მაგალითები: წავა კაცზე მაღალი, მოვა ძალზე დაბალი; შექერზე გემბრიელი; აღვზე (საწამლავზე) მწარე... იმაზე უმფრო კარქია, უმფრო სუქანი, უმფო ძნელი და სხვა.

აღმატებითი ხარისხის გაგებას იძლევა გაორკეცებული ზედსართავი, ოღონდ პირველი სიტყვა - ზე თანდებულისა. ეს მოვლენა გავრცელებულია აქარულში. მაგალითად: ღიღზე ღიღი (ყველაზე დიდი), მაღალზე მაღალი, ყინვაზე ყინვა, კარგზე კარგი.

23. რიცხვითი სახელი. რიცხვითი სახელებიდან აღსანიშნავია წილადთა ხმარება: მეოთხედი, ნეხუთედი, მეათედი და სხვა. ამათ პარალელურად და უფრო ხშირადაც ვხვდებთ: ნაოთხალი, ნახუთალი, ნათალი და სხვა.

24. თანდებული. ზოგი თანდებული სახეშეცვლილია. - ვით თანდებული მეტწილად - ვეთ. - ვე-ს სახით გვევლინება; მაგ.: კაცსავე დადის; პურის ყანა ზღვასავე ხელობდა; ძმასავე გიყურებდი; დათვისავეთ ბურღლულობს; თვარესავეთ ანათებს და სხვა.

- ვფო, - ვე (იშვიათად - ვით) თანდებული ჩვეულებისამებრ ერთვის ბოლოხმოვნიან სახელის მიცემითი ბრუნვის გაერთობილ ფორმას, ხოლო ბოლოთანხმოვნიანებისას — მიცემითსა და სახელობითს. ამ მხრივ მსგავსებაა სალიტერატურო ენასთან.

-თვის თანდებულს ენაცვლება -თვინ. მაგალითები: ხარს ხა-
რის თვინ ამუტდიაეო; დედოფლის თვინ, ამხანაგის თვინ, ძმის-
თვინ, საქონლის თვინ...

-თან თანდებული კარგავს -თ ელემენტს მიცემით ბრუნვაში
ბოლოზმოენიან სახელებთან, სამაგიეროდ ბრუნვის ნიშანი -ხ და-
ცულია; მაგ.: ხესან, ქვასან, ბახჩასან, სუროსინ... (ნ. § 13). ბო-
ლოთანზმოენებთან კი იგი უცვლელი რჩება; მაგ.: კაცთან, ამ-
ხანაგებთან, ხიდთან, სახლთან და სხვა.

აღსანიშნავია, რომ თანდებულისანი ფორმა ენაცვ-
ლება ბრუნვის ფორმას და პირიქით. ხშირია შემთხ-
ვევა, როცა ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია -ში
ან -ზე თანდებულიანი ფორმა; მაგალითები: მაგენა წვეფენ წამ-
ლის საძებარში (=საძებრად, საძებნელად); მე ნივდევარ მო-
საგებზე; დამა დაი დაჰპაიჯა მარგალიტის საქრეთელში
(=საყრეთად)...

გვაქვს ბრუნვის ფორმა თანდებულისნის ნაცვლად: სალა-
მით მეფყვან აქავო, ნიშნავს საღამოზე, საღამო ხანს
მოვიყვან აქაო.

მ. ხუბუას -ში თანდებულის პარალელურად წარმოადგენილი
აქვს -ჩი, მაგრამ უკანააქნელი არ დასტურდება აქართულში.

-ჩი შეიძლება გვექნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თ-ზე
დასრულებულ სახელებს -ში თანდებული დაეთვისა და მიღებული
-თშ კომპლექსი ისმის ჩ-დ და ვიდუბო ჩი-ს; მაგ.: ოჭურგეჩი
როლის მიხვალ; ჯუმაჩი ვიყავო.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ნიცემით ბრუნვაში, სადაც
ფუძის ბოლოვიდურა -თ და მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ხ იძლევა
-ც-ს; მაგალითები: ერც კაცს ვეტყვა; ქობლელ (=ქობულეთს)
ვიყავი...

შ ე ნ ა

შნ. ფუძის შეცვლა. ფონეტიკაში აღნიშნული იყო ვიღ
ზმნასთან დაკავშირებული თავისებურება. პრეფერბიანი ვიღ ზმნა
ნამყო წყვეტილისა თუ ნამყო უწყვეტილისა და ნათვან ნაწარმოები
კავშირებითების III პირში კარგავს ძირისეულ ი ხმოვანს; მაგ.:
ამოვღა, წვეღა... მოვიღეხ, შევღეხ...

ასეა იმერხელსა და ინგილოურშიც¹; მოვღა, წვედენ...

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, II, 1913, გვ. 181, 211.
3 უ. ნოღაიდელი 33

ეს ფორმები (ზოგა, წველა...) გავრცელებულია მთელს აჭარულში. მაგრამ მას ზოგან მეტოქეობას უწევს (შეიძლება ითქვას, გაბატონებულია) უცხო ფორმები: მოიდა, ამოიდა, წამოიდა, გამოიდა და სხვა. ეს უკანასკნელი ჩვენ მიერ შემჩნეულია შუახევის რაიონში, სახელდობრ შუახევის სოფლებში, როგორცაა: ტბეთი, ლაკლაკეთი, მოფრინეთი, სამოლეთი და სხვა; ქედის რაიონში კი მხოლოდ მერისის ხეობაში შეინიშნება. ამგვარად, ორი რაიონის გარკვეულ უბანში გაბატონებული ზოგა ფორმით აჭარული უკავშირდება მთელ რიგ აღმოსავლურ დიალექტებს, ხოლო ზოგა ფორმით ინგილოურსა და იმერხეულს.

აქვე უნდა აღინიშნოს აჭარულის ერთი სპეციფიკური თავისებურება. ესაა პრევერბისეული ხმოვნის ასიმილაცია სათავისო ქცევის ან ვნებითის ი - ნიშანთან და შემდეგ უკანასკნელის დაკარგვა პირველი პირის სუბიექტური ნიშნის შემდეგ, მაგრამ ქცევისა თუ ვვარის ი რჩება მეორე და მესამე პირში.

მაგ.: 1 გეგვონე გეგვევი გეგვარი ჩეცუამ შდრ. მოვნდომოთ
 2 გეგონე გეგვევი გეგვარი ჩეცუამ მოანდომოთ
 3 გეგონა გეგვო გეგვარა ჩეცუამს მოანდომონ

1 დეკარქე დეკწვა შდრ. წველეთ
 2 დეკარქე დეკწვა წეხვილეთ
 3 დეკარქა დეკწვას წველეს

26. გარდაუვალი ზმნის მრავლობითი რიცხვი. III პირის მრავლობით რიცხვში გარდუვალ ზმნებს ნამყოსა და კავშირებითში მთის აჭარულში დაერთვის როგორც - ნენ, ისე - ენ სუფიქსები, ხოლო ბაის აჭარულში (ქობულეთისა და ნაწილობრივ ბათუმის რაიონში) მხოლოდ და მხოლოდ - ენ ბოლოსართი; მაგ.:

მთის აჭარულში	ბაის აჭარულში
იყენენ იუნენ იყვენ	იყვენ
გევდენ გევდენ	გევდენ
შევდენ შევდენ	შევდენ
მეწიენენ	მეწიენ
შემოეხვიენენ	შემოეხვიენ
მოკტენენ მოკტენ	მოკდენ მოკტენ და სხვ.

რაც შეეხება გარდაუვალ ზმნას მაქვს, გვაქვს, აქვს, ფუძისეული გ და პირის ნიშანი ხ იკარგება და ვიღებთ მაქ, გვაქ, აქ ფორ-

მებს, მრავლობით რიცხვში კი იხმარება ჩვენ გვაქ ან გვაქვენ, თქვენ გაქ ან გაქვენ, იგინს აქვენ ან იმათ აქვენ.

აქარულში, საზოგადოდ, მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამომხატველ -თ-ს ნაცვლიდ გამოყოფილებულია -ენ სუფიქსი, როგორც ეს ქვემოთმოდებულია, მაგ.: (ხ)ყავენ. გეთქვენ, მოგეხსენებთ და სხვა. ანალოგიური წარმოებაა მეგრულსა და სვანურში, ინგილოურში კი ყუ ნაწილაკია გამოყენებული.

27. -ე ბოლთხართიანი ზმნები. ე ბოლოსართიანი ზმნები ნამყო წყვეტილში პირველ და მეორე პირში -ვთ ნაცვლიანია. მაგ.: ენახევი, მოვთიბევი, დევწყევი. წეძღევი. დეძნახევი. დწყურევი, მოძხედევი, გეძვევი. დენეცატი-ევი. ისურევი და სხვა მრავალი.

ეს ფორმები ნბოლოდ ზემო და ქვემო აქარულისათვის, ე. ი. აქარისწყლის ხეობისათვის არის დამაასათებელი. ქობულეთისა და ნაწილობრივ ბათუმის რაიონის მეტყველებაში იგი არა გვაქვს. ამით აქარული უახლოვდება კახურს, ქართლურს და ზემოთმოდულს.

28. ბოლმეობითი. იწვითად, მაგრამ მაინც გვხვდება ბოლმეობითის (მრავალგზისის) ფორმები. იგი შეინიშნება ბულოს რაიონის სოფელ დანისპარაულის მეტყველებაში და აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში. ასე. მაგალითად. დანისპარაულის მცხოვრები მიქელაძე ამბობდა: მამაჩემი ყოველ ზამთარ იმ ტყეში წადის სანადიროთ, რაც უდრის: მამაჩემი ყოველ ზამთრობით დადიოდა ბოლმე იმ ტყეში სანადიროდ.

წყავროკაში გამიგონია შემდეგი ლექსი:

„იგუნდის მარანში

ქიქა დგას და ღვინო ჩიის (= ჩნდება: ბოლმე).

შით აღეასე ამოხულა,

ქარი უჭრის, ფურცელს ყრის.

ყანაობის პერანგში

თვორი ბორცი გამოჩითს“ (= გამოჩნდება ბოლმე).

29. კონტაქტი. შუალობითი გზის საწარმოებლად -ინ, -ვგინ სუფიქსთა ნაცვლიდ მარტო ი გვევლინება; მაგ.: ვაქედიე (=ვაქედინე). გავასხმიე (=გავასხმევინე): აბა ცული ვაქედიე, აბა ცული რაისავო; იმხელა დავარტყი თავზე ქვა, რომ სისხლი გავასხმიე განზე...

30. ირიბი ობიექტის ნიშანთა ცვლილება. III პირის პრეფიქსად ირიბი ობიექტის გადმოსაცემად აქარულში გამოყენებულია ს- და ჰ- თავსართები, რომლებიც ფუძის თავკიდურ თანხმოვანთან ურთიერთობისას ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან ასიმილაციის თუ სხვა მოვლენის გამო.

საურთიერთო ასიმილაცია გვაქვს მაშინ, როცა ობიექტის მესამე პირის ნიშანი ს- ნაწილობრივ ემსგავსება ძირეულ თანხმოვანს და შემდეგ ამ უკანასკნელს სავსებით იმსგავსებს; მაგ. ს + ძ → ზ + ძ → ზზ: წაზღია (← წასძლია): ვზზულვარ (← ვსძულვარ)...

ს + ჯ → ჟჟ: (იმას) ეჟჟრა (← სჯერა); ჩვენ ჰეჟიებში უმცროსი შეილი ყველთვინ ეჟობია (← სჯობია) უფროსს; ასე პაწაზერაფრათ და ეჟერა და, ჰო! (← დასჯერა)...

ს + ჩ → შ + ჩ → შშ: ავადმყოფობა და შშემდა (← დააჩემდა)...

რაც შეეხება მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსს ჰ-ს, იგი საერთოდ აქარულში და კერძოდ კი ბარის აქარულში იქცევა ხ-დ ყ-ს წინ: ჰ + ყ → ხ + ყ, რის შემდეგ ყ იკარგება; სახელდობრ ჰყ → ხყ → ხ: (ჰყავს → ხყავს →) ხავს, (მივჰყავარ → მივხყავარ →) მივხავარ, (ჰყოლია → ხყოლია →) ხოლია, (წაჰყვება → წაყვება →) წაყვება და ბევრი სხვა.

ასეთსავე ცვლილებას განიცდის ჰ პრეფიქსი ქ-სთან მეზობლობაში; დამსგავსების შემდეგ ჰ ქრება: სახელდობრ ჰ + ქ → ხქ → ხ: (ჰქონდა → ხქონდა) → ხონდა...

ეს მოვლენა პირველად აღნიშნა პროფ. ქ. ლომთათიძემ¹.

ანალოგიური ცვლილება ხდება გ-სთან, ოღონდ პრეფიქსის გამელაგნებისა და გ-ს დაკარგვის გზით: ჰგ → ლგ → ლ: (ჰგონია → ლგონია →) ლონია...

ეს ფონეტიკური პროცესი შეიძლება ორგვარად წარმოიდგინოს კაცმა: აქ ან ორგზისი ასიმილაცია გვაქვს (ჯერ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია ჰყ → ხყ, ჰგ → ლგ და შემდეგ სრული პროგრესული ასიმილაცია ხყ → ხხ, ლგ → ლლ) და ძილებული ორი ერთნაირი თანხმოვიდან ერთი დაიკარგა (ხხ → ხ, ლლ → ლ). ან ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შემდეგ მეზობელი უკანაენისმიერი ბგერა ყ, ჰ, გ დაიკარგა: ხყ → ხ, ხქ → ქ, ლგ → ლ.

¹ ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აქარულში. თბილისის სახელმწიფო უნივ. შრომები, VI., გვ. 123 — 138.

ხე-საგან სრული ასიმილაციით ხხ-ს მიღების შესაძლებლობის შესახებ გაკვრით აზრი გამოთქმული აქვს ქ. ლომთათიძეს თავის ზემოთ დასახელებულ წერილში (გვ. 130): „ყ დაქარგული იყოს, ეგების, არა თავისი წმინდა სახით, შეიძლება ნან თვით განიცადა შემდეგ ხანთან ასიმილაცია და ასე დაიქარგა...“, მაგრამ როგორც ეს, ისე მეორე გაკვრითვე გამოთქმული მოსახრება, თითქოს შესაძლებელია ხავს ფორმაში ხ მიღებული იყოს ზ და ყ ბგერათა შერწყმისაგან (იქვე, გვ. 134 შნშ.), საეჭვო ჩანს. ჩვენც უფრო სწორი გვგონია ამავე ავტორის ნიერ წამოყენებული და გახიარებული დებულება იმის თაობაზე, რომ ობიექტური პრეფიქსის დამსგავსების შემდეგ ძირეული თანხმოვანი ყ, ზ. ზ დაიქარგა (იქვე, გვ. 130).

31. თავისებურება შესამე პირთან. ერთპირიან -ი ბოლოსართიან ზმნებს შესამე პირში -ა სუფიქსი გაუჩნდა: კვა, ჩოა... აქ იგივე -ა გვაქვს, რაც ვნებითშია გაბატონებული: იწყება, აქაზება და სხვა.

32. -ევ სუფიქსი. საკანგებო ყურადღების ღირსია ნამყო უწყვეტელსა და კავშირებით პირველში აწყნაში ხნარებულ თემატურ -ავ ბოლოსართს რომ ევ ენაცვლება. მაგ.: კლვეა, შიხვეა, შუჟხვეა, ხწვეა ყანასა... შოკლვეფხ, ხწვეფხ და სხვა.

ამათ პარალელურად მოგვეპოვება იდ სუფიქსიანი ფორმებიც: ვზიფვილი, შკვლია და სხვა.

ეს საგულისხმო მოვლენა ცნობილია ძველ ქართულში: მას ეხედებით დღევანდელ კილოებშიც: ხვესურულში, ზემოიწერულში, გურულში... ამ საკითხს რიგი გამოკვლევები აქვს მიძღვნილი, მაგრამ იგი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

ჩვეულებრივ ქართულში, როცა სამპირიან ზმნასთან გვაქვს საქმე, ორი პირის — სუბიექტისა და ირიბი (ზოგჯერ პირდაპირი) ობიექტის — ნიშნებია გამოხატული ზმნაში ოველურად, ხოლო პირდაპირი (ზოგჯერ ირიბი) ობიექტის ნიშანი პოტენციულურად ივარაუდება. აქართულში ძალზე იშვიათად, მაგრამ ნაინც გვხვდება ასეთი ფორმები, მაგალითად, მომსწერე შენ მე ივი. მაგრამ ეს ისტორიულად არ არის გამართლებული და აშდენად ახალ, კონტამინაციით გაჩენილ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

33. უარყოფითი მიმღობა საქმოდ გავრცელებულია აქართულში. ის ორჯერ არის ნაწარმოები უარყოფითი თავსართით: (უ-და-უ-დებელი →) უ დ უ დებელი. ამით აქართული განსხვავებულია სამწერლობო ენასა და რიგ დიალექტებში არსებული წარმოებისაგან: „მზის უდუნახავი გოგო“, აერთი საქმელი ვაქამე,

სუფრაზე უღუდებელი“ და სხვა. აღნიშნული მოვლენა სწორად აქვს შენიშნული მ. ხუბუას¹. საესკებით ანალოგიური წარმოებისაა უარყოფითი მიმღობა ინგილოურში².

მ4. სიტყვაწარმოებიდან -უნ ბოლოსართი გამოყენებულია საშუალი გვარის ზმნებისაგან მოქმედებითი გვარის ზმნებისა წარმოებლად; მაგ.: სტის — ასტუნეს, ცევა — აცუნეს.. ამგვარადვეა ნაწარმოები აქუნეს. -უნ კონტაქტის საწარმოებელ სუფიქსებს განეკუთვნება.

აქარულში საწყისები თუ დამთავრებულია -ომ (უმ), -ომ, -ან, -ემ, -ზე, მათგან ნაწარმოები ზმნა თუ მიმღობა, როგორც წესი, დაირთავს ლ-ს, მაგალითად, გავსტუმლებ; ღეაჯღუმლება...

ჯდომა	(დაიჯდომება) — დეაქდუმლება
ბტომა	(გავახტომებ) — გავახტუმლება

ეგების ეს ლ მიღებული იყოს -ელ სუფიქსისაგან. როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან:

ბრჩობა	(დასახრჩობად) — დასახრჩობლათ
მოყვანა	(მოსაყვანად) — მოსაყვანლათ
მოტანა	(მოსატანად) — მოსატანლათ და სხვა.

მ5. შემოკლებული სიტყვები და გამოთქმები. ბიჭო-ს მაგივრად აქარულში ორგვარ ფორმას ეხვდებით: ჭო და ჯო (ორივე ბიჭო-ს შემოკლებული ფორმა), ჭო მთის აქარულშია, ხოლო ჯო ბარის აქარულში, მაგრამ მათ გვერდით შეიძლება ხულოს, შუახევისა და ქედის მცხოვრებმა იხმაროს ფორმა ბიჭო, ხოლო ქობულეთის რაიონის მცხოვრებმა — ბიჯო.

საერთოდ აქარულში ხშირად შევხვდებით შემოკლებულ ფრაზებს, გამოთქმებსა და სიტყვებს. ასეთებია: რატომენ, რატომდა, ერცხე, აწმისუკან, ერცხვა, მაზგან, ხაძირი, ახოთი ღელე, ჯვართა, მენა, რანა, ხანა, მეგ და სხვა.

რ ა ტ ო მ ე ნ და რ ა ტ ო მ დ ა აქარულში ერთი და იმავე გამოთქმის სხვადასხვა ვარიანტია. რ ა ტ ო მ ე ნ ფორმა მთის აქარულისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო რ ა ტ ო მ დ ა, უფრო მეტად, ბარის აქარულში გვხვდება. რ ა ტ ო მ ე ნ მიღებულია სამი სიტყვის შერწყმით ხშირი ხმარებით გაცვეთის გამო: რ ა ტ ო მ მ ე უ ნ (დ) ა → რ ა ტ ო მ მ ე ნ ა → რ ა ტ ო მ ე ნ, ხოლო ბარის აქარულ-

¹ ზემოქარის ენობრივი მიმოხილვა, გვ. 16.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 231.

ში გაერცელებული რატომდა ფორნა ნილებული ჩანს იპავე გამოთქმის თანდათანობითი გამარტივების შედეგად: რატომ მე უნდა → რატომ უნდა → რატომ და, მაგალითად: რატომ და ვითხრა. არ გეტყვი.

გამოთქმის მეტად თავისებური შემოკლებაა ერიცხე, იშვიათად — ერცხე. მისი სრული სახეა: ერ/თი/ცა/ქ/ი/შე/ლი → ერთი ცხე → ერიცხე → ერცხე. შინაარსებულად იგი პატარა, ცოტა, ბეწვას ნიშნავს, მაგალითად: ერცხე უველი მომცე. პასუხად ითქმის ორი ცხე იყოს! აქედან ჩანს, რომ მართლაც „ერთი ცალი ხელი“ იგარაუდება. ნემდეგ კი მისი ბნიშენელობა გაფართოვდა და დროს გაუმარტობასაც „ცოტაანან“ განიბატავს. მაგ.: ერიცხე მოცაჲ; ერცხე შემიტრდი და საცა.

„აწ ამის წემდეგ“ გამოთქმის ნაცვლად აქარულში გვაქვს ერთ სიტყვად შერწყმული გამოთქმა: აწმისუკან ან აწმესუკან. შემდეგ ზინისართის ნაცვლად აქარულში იხნარება უკან. სალამოს უკან = სალამოს შემდეგ...

აწ ამის უკან გამოთქმის შემოგ ა დაიკარგა და მივიღეთ აწმისუკან.

შერწყმისა და ფონეტიკური ცვლილებების შედეგად არის მიღებული აგრეთვე მაზგან ან მასკან ფორმაც. აქ, ერთი შეხედვით კაცს ეგონება, თითქოს ჩვენებით ნაცვალსახელს — გან თანდებული აქვს დართული და ასიმილაციის შედეგად მივიღეთ მაზგან ან მასკან ფორმაო. მაგრამ არა. იგი ნილებულია მას უკან გამოთქმის შერწყმით და უ-ს დაკარგვის შემდეგ ასიმილაციით. მას უკან → მასკან → მასგან → მაზგან, ან კიდევ მასკან.

აქარულში გვაქვს ერცხეა გამოთქმა: მაგ.: ერცხეა კაცი მოვდა = ერთი სხვა კაცი მოვიდა. იგი წარმომდგარია ერთი სხეას შერწყმით: ჯერ ი დაიკარგა, თ და ხ-ს შეოწყმამ მოგვცა ც ბგერა და მივიღეთ ერცხეა.

შემოკლება გეოგრაფიულ სახელებსაც ახასიათებს. ერთია ხირხათის ძირი, შემოკლებული სახელია ხაძირი. ამაზე იყო საუბარი (გვ. 8). ასევე შემოკლებულია გეოგრაფიული სახელები: ახოთი ღელე, ჯვართა და სხვა. ახოთი ღელე მიღებული უნდა იყოს ახოთის მთის ღელე — საგან, ხოლო ჯვართა — ჯვარის მთა სახელისაგან, თუ აქ ნანათესაობითარი ფორმა არ არის (შდრ. მოწამეთა და სხვა).

გამოთქმები: მე უნდა, რა უნდა, სად უნდა, მან უნდა და მისთანანი შემოკლებული სახით იხმარება: მენა, რანა.

სანა, მენა... ან მენდა, რანდა... სადაცნა, და მიღებულ-
ლია ძველი უნა ან უნდა ნაწილაკისაგან; მაგალითები:

მენა მოესულიყავ, რანა მაჩუქვით; არნა წასულიყო,
იქნა მიედეს, შუაზენა გეგვეყო ჩვენაო, ვეშაპმანა დარჩოს,
მე გზაზენა წვედღო, ამ ბალშინა შემეყვანოვო, რანდა
ვქნა მე ახლაო, ახლა შენცდა დაგკლათ, თუ პირველი ვინდა
წვედეს და მორე ვინდა წასულიყო... ასეა ჯავახურშიც.

შემოკლებული გამოთქმებისა და სიტყვების ანალიზით ირკვე-
ვა, რომ:

1. გამოთქმის პირველი წევრი სრულად არის წარმოდგე-
ნილი, დანარჩენი წევრები შემოკლებულია. მაგ.: რაჭოჲმენ, რანა
და სხვა.

2. გამოთქმის წინა წევრები შემოკლებულია, უკანასკნელი
კი სრულად არის წარმოდგენილი, მაგ.: ხაძირი...

3. გამოთქმის ყველა წევრი შემოკლებულია, მაგ.: ერ-
ცახე.

§6. კაი მსაზღვრელი სიტყვის თავისებურება. კაი || კაჲ
მიღებულია სიტყვისაგან კარგი და ქცეული ხმოვანფუძიან
სახელად. იგი, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი, აქარულში
თავისებურებას იჩენს ორ ბრუნვაში: მიცემითსა და ვითარებითში.
ასე მაგალითად:

ლიტერატურული			აქარული	
სახ.	კაი	კაცი	კაჲ	კაცი
მოთხ.	კაი	კაცმა	კაჲ	კაცმა
მიც.	კაი	კაცს	კას	კაცს
ვით.	კაი	კაცად	კას	კაცათ
ნათ.	კაი	კაცის	კაჲ	კაცის
მოქ.	კაი	კაცით	კაჲ	კაცით

მაგალითები: კას კაცს მიქცემ; კას კაცებში დაჯე-
ქი; კას ცხენს და კას თოფს აფერი არ ეჯობს; კას
კაცათ მეჩვენა; კას კაცათ გთლიდი...

აღნიშნული ფორმები დამახასიათებელია ბარის აქარულისა-
თვის, იგი არაა უცხო მთის აქარულისათვისაც, მსგავს მოვლენას
გურულში ვხვდებით. აქ ორ ბრუნვაში მსაზღვრელი შეთანხმებუ-
ლია საზღვრულთან. რაც არქაიზმად უნდა მივიჩნიოთ.

§7. თანდებულიანი ზმნისართი. ადგილის ზმნისართი
აქ, მაქ დაირთავს ზე თანდებულს და ვიღებთ აქზე, მაქზე

ფორმებს. ზ-ს მეზობლობისას ქ გამეღერდა და საბოლოოდ აქარულში დამკვიდრდა ფორმები: ა გ ზ ე, მა გ ზ ე. სამავიეროდ ში თანდებულდართულ ფორმებში ა ქ შ ი და ნ ა ქ შ ი ქ უცვლელად დარჩა.

ს ი ნ ზ ა ქ ს ი

მშ. კითხვითი წინადადება. კითხვით წინადადებაში, სადაც კითხვითი ნაწილაკი, კითხვითი ზმნიზედა ან ნაცვალსახელი არ მოგვეპოვება, მახვილი ბოლო მარცვალზე კი არ დაისახის, როგორც ეს სალიტერატურო ქართულსა და მთელ რიგ დიალექტებშია, არამედ ბოლოდან მეორე მარცვალზე. ეს ნოვლენა ახასიათებს უშირატიესად ხულოსა და ნაწილობრივ ქედის რაიონის მეტყველებას; მაგალითები:

აქ მეეტაა, აქა, კო, ჩენი სირა არ ალი?
ოსმანავ, საკაბალაღე არ გინდა, კო?
ბაბაე, ანნე ჰად არი. არ ნოსულა?

აშვარი ინტონაცია განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ, როცა მეტყველება ბუნებრივად მიმდინარეობს, ე. ი. აქარული თავისიანებთან ლაპარაკობს და თავს უცხო პირთან არ გრძნობს.

აქარულის გარდა მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე შემონახულია რაქულსა, ჯავახურსა და ნესაურში, აგრეთვე მეგრულში მხოლოდ კითხვით წინადადებაში. თუ კითხვითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა არაა. უნდა ვიფიქროთ. რომ ეს მოვლენა არქაულია.

მშ. ქვემდებარე გარდაუვალ ზმნებთან. აქარულში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში გვევლება ყველა აქტიურ გარდაუვალ ზმნასთან დრო-კილოთა მეორე სერიაში. მას ადგილი სხვა დიალექტებშიც აქვს, ოღონდ აღმოსავლურ კილოებში უმეტესად გარკვეული წესის დაცვაა საჭირო.

მაგალითად: სადაც რუმ ჩვენ ვიდექით, შემოვდა ერთმა ბეზირგანმა; მოვდენ ავჯებმა (=ნონადირეებმა); გოგომ ძალვან დერდში ჩეჰრა; ადგა იბნეყულმა (უჯანონო შვილი) და წევდა; თოფმა გავარდა და მაინც ვერ მომკლა; შველმა გეაქცა, გაძევიდა ძალღმა და კაცმა; აღარ დარჩა ნამუსმაგო...

ქვემდებარისათვის მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების არც ძალზე გაფართოვებულია აქარულში. იგი არ სჯერდება მარტო მეორე სერიაში გარდაუვალ ზმნებთან გამოყენებას, არამედ ხშირად დროთა პირველ სერიაშიც გადმოდის; მაგ.: ზან წაჟღა, ზან

ლაქსმარა. მან მოკვლა-ს გვერდით გვაქვს „მამაშენმა უიშას აპოზს“
და ა. შ.

ამ მხრივ აჭარული განსხვავდება სხვა ქართული კილოები-
საგან და ემსგავსება ჭანურს.

**40. გარდაუვალი რელატიური ზმნის (შემასმენლის) შე-
თანხმება მრავლობითში დასმულ რეალურ ქვემდებარესთან რი-
ცხვში.** აჭარულისათვის დამახასიათებელია ასეთი ფორმები:

რისთვის იკინწლებით, რა გინდანან (თქვენ); მოგეხ-
სენებიან (თქვენ), რუმე „მაშინები“ არ იყო; უნდოდენ (მათ)
იმის იქიდან ჩამოყვანა, ადრე დწლიენ (-დაელიათ) საქმელი.
სახემწიფოს ქონება მიაგათ გუფლანგიან; საგყავან თქვენი
ძველები და სხე.

აქა და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ქვემდებარის მრავ-
ლობითობა -თ ბოლოსართით კი არ არის გამოხატული. რო-
გორც ეს სალიტერატურო ქართულსა და აღმოსავლურ კილო-
ებშია, არამედ სუბიექტის მესამე პირის მრავლობითის -ენ, ან სუ-
ფიქსით. აქარ. უნდოდენ=სალიტ. უნდოდათ. აჭარულისე-
ბური შეთანხმება ქვემდებარე-შემასმენლისა გვაქვს ქვემოიმე-
რულსა, გურულსა და, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, მეგრულ-
სა და სვანურში¹.

**41. შემასმენლის ურთიერთობა უხულო სახელით გადმო-
ცემულ ქვემდებარესთან რიცხვში.** თუ ქვემდებარე უხულო საგ-
ნის სახელია, მაშინ შემასმენელი მას არ ეთანხმება რიცხვში, მაგ-
რამ ძირმონაცვლე ზმნა ძირს იცვლის მრავლობით რიცხვში დას-
მულ სახელთან; მაგ.: ზღვაში ბევრი გეყები არის; ხაეები
წეაქცა; მაშინები არ იყო; მაგრამ: ბევრი ქვეები ყრია...

მრავლობით რიცხვში დასმული ქვემდებარე ვნებითი გვარის
შემასმენელს ითანხმებს და -ენ სუფიქსსაც აჩენს, როგორც ეს ძველ
ქართულში იყო. მაგ.: ჩვენ დავიწერენით; ისინმა დაიწერენ...

ასეთი შემთხვევები შედარებით ცოტაა და ისიც უფრო მთის
აჭარულს (ხულო, ქედა) ახასიათებს, ბარის აჭარულში კი (ქობუ-
ლეთი, ბათუმი) შეიძლება შეთანხმება სულ არ იყოს:

იგინმა ჩაეწერა და სხვა.

42. კრებითი სახელი ქვემდებარედ. თუ ქვემდებარედ კრებითი
სახელია, ის შემასმენელს ითანხმებს მრავლობით რიცხვში აჭრის
მიხედვით.

მაგალითები: ჩვენი ხალხი მიხდებიან; ხალხმა
იციან, ტაა ჩემმა თქვა, რომ ხალხი ქცინიან; სამქო

¹ ვ. თ. ფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესები...
გვ. 452.

მებნევიან შელობევო; ჯოგი ბალახობენ ბეშუმის მინდორში და სხვა.

არავინ ნაცვალსახელიც მრავლობითში ითანხმებს შემასწავლელს: არავინ არ დეჟწყებენ...

ეს მოვლენაც დამახასიათებელია მთის აპარულისათვის, ბარის აპარულში კი შემასწავლელი ეთანხმება მხოლოდობით რიცხვში. მაგალითად:

დედოფლის მყარი ძალიან დაგვიანებით მოვდა; ჯოგი გგფ-ფინა მინდორზე; კოლექტივი მოხდენია ჩვენ ქალებს, ახლა ხალხს კოლექტივში შესლა უნდა...

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემდებარე თუ მრავლობით რიცხვშია, შემასწავლელიც ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში გვევლინება, მაგრამ ეს არ ვრცელდება უსულო საგნებზე. ჩვეულებრივ უსულო საგნებისა და ზოგჯერ ბარის აპარულში სულიერი საგნების გამოძახატველ ქვემდებარესთან შემასწავლელი მხოლოდობით რიცხვში რჩება. ამ მხრივ აპარული უახლოვდება ქართულს.

მაგალითები: გემები არის; ძაგები წყაქცა; მაშინები (მატარებლები) გვიან გაჩნდა; ძველათ წითლები წიწობოს ბევრს იხსამდა; ღობეები აკავრებს ყანას; ჯამგები დეჟ-ბურა და სხვა მრავალი.

არაიშვითათა ასეთი შეუთანხმებლობა სულიერ საგნებთანაც:

გუშინ საქონლებმა შექამა ყანა; კამბეჩებმა ჩაწვი ხოჩიჩაჲს ტალახში; წყალი ეამღერა და თევზებმა ამოცვინდა ზეადან; გუშინ სტუმრები მესტუმრა; ფუტკრებმა მდეფინა ყვაილებს...

18. თავისებურება ლექსიკაში. აპარული ლექსიკა საკმაოდ მდიდარია. იგი თავმოყრილი გვაქვს აპარულ ლექსიკონში. თურქულის გავლენა იგრძნობა ლექსიკაში; ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში კი არა. აპარულში მოიპოვება სიტყვები, რომლებიც თურქული ძირისაგანაა ნაწარმოები, მაგრამ ქართული აფიქსები აქვს დართული. მაგ.:

თურქული

ქართული

ჭერს (ჯაფრი, ბრაზი),	აქედან—	გა-ჭერს-ებ-ულ-ი (გაბრაზებული)
დეღ (გადარეული, ვიფი),	აქედან—	გა-დეღ-ებ-ულ-ი (გადარეული)
ჭაზირ (არაბ.) მზა, ზაზირი,	აქედან—	გა-ჭაზირ-ებ-ულ-ი-ა (გამზადებულია)
ინათ (არაბ.) ჯიუტი,	აქედან—	ინათ-იან-ი (ჯიუტი)
ფიშმან (ფიჭრი)	აქედან—	და-ფიშმან-ებ-ულ-ი (დაფიჭრებული) და სხვა.



აჭარალთა მებჰველეზის ნიჰუზეზი

I. ს ა შ ბ რ ი ღ ა ნ

ჰოზულოთის რაიონი

— მაგ გეგმეს თუ არ შევასრულებთ ამ თვეში, რომელიც მოკემული გვაქ, ნახე.

— ფართობებს ხუმ არ მჰმატია?

— შენ რას წამოხევი იქიდან, მანქანით წამოხ თუ ფეხით?

— სიმინდები ძანძალია წროულს, თუ გავმარგლეთ, მარა უნდა მდერიოთ.

— ხარს კიშკარში ეკრა ქაჲ და კიშკარი გეგტანა.

— მათმა მოისმინეს ჩაის კრეფის საკითხი და პირობა დაზღვეს — უკეთესათ ვიმუშავებთო.

— როდესაც ერთი კაცი ერ ნადს გამჰტყდებოდა, თელი ნადი დეგშლებოდა.

— ჩენ მოვნიდომოთ აჲ ერთი აგვისტოჲს თვეში.

— გეტჰენ, კაცო, სახლიდან წამოვლებდი ლამბას.

— ყველა ნუ ლაპარეკობთ, ერთმა ვილაპარეკოთ და გვეგონოთ.

— წროულს ხუმ კაჲ წელიწადია.

— სიმინდს ძირი არ უნდა დჰჩეხო, ძიჲვ.

— აბა ძირში დეგჰდუმლება აქ?

— იმას ლონია, ართუ მას გადავრჩებო და ჩიჲა წაყუანას.

— ჯერ არ დიმიწყია და რაფერ გადავწერი.

— ახლა მაქანაჲ ერი ლექსი გვიკლია და მოსრულდება სამი მუხლი.

— მაგას გადავწერ სხოგან, გამოვფიშმანებ და გახვენდრებ მე შენ.

— ფერებაში დათვს ბელი შემჰაკვდაო, ხუმ გიგოგონია?

— ჰეიანი კაცის თჲვია ბრალი და აბდალის ფეხიო.

— აგერ რუმ ჩევედი, ზროხების ბლორინი ატყდა.

— მე კარკა გამწუმებ იმის პატრონებს, რომ მტა აქანაა.
— ძანაალი მესათრება ყოლი კაცი, მარა ახლა ძანაალი
საქმე მაქ.

— ოცი გზობა მადელი და უთხარი: ნუ იზამ მაგას მეთქინ.
— აწე აფერი კაცი არ იქნებაფო და მე ქი ვარ იქა ჩამე-
დარი.

ვიფიქრე, რუმე კარკა მოწველეთ მაა ზროხა სალამოს მეთქინ.
— ჯო, ერთი გეაზბინე მამუდაასას და უთხარი, რუმე მისი
ზროხაა აქანაა და ჩამოვდეს.

— ანგზობაა შენი აფსანაკი იყო, რამეთი ხანია, ი წასული
რუმაა?

— თქვენდა დემამბსონოთ.
— ერ მეტრას არ მოშშა კიდევ?

ქ ა ლ ი ს რ ა ბ ი მ ნ ი

— შენდა ქონდეს ყუთში.
— ისძილ არ ჩანს, ჰადაა?
— იძიხდა, რომ საშრობი დახტრვილია.
— აქში ჩაყაროთ და ერთად ავწონოთ.
— მე და შენ ხომ გავსტორდით?
— ექსი კაქქაანდა გავაკეთოთ დღენი.
— ჩუნქი კაცი და ქალი გათანასტორებულა.

ხ ზ ლ ო ს რ ა ბ ი მ ნ ი

— ორმოცი ნომერია და პატარვანა, გაჭირებაში ჩეაკუმა.
— ჰა წეედეთ ახლა, ისინი რარი, დატებილია?
— გეაზრე და დაყარე. დავანტროთ, ვადაყაროთ.
— ჩვენ ყველიმფერი გვაქ—ფუტქრები და ყართობი.
— იმაზე წინწინ იქ ვნააფვილ.
— სანსმელოდან ჩამუფელი სალამოზე, დილაზე იქ წიმიყვანეს.
— ჰაცხა იქავრობაში შევდა.
— გწმვი ე კაცები და გევეარე. წეველი.
— ვინძლამ გამოგატანა, რა უთარა?
— რაცხა სამი კაცი დაჰკითხეს.
— ქო, რაფერ უთხარ ასე ყველამფერი. ერთი აფერი შე-
მეშლებოლა!

— ერთი კიდევ გეცინე და ისე წაა.
— ავერ ქვედა თვალის პირდაპირ გზა გაზეარს. მუტებელ
ადგილზე.

- როას წივდა, კო, როას?
- იმფერ ალიგზე ხარ, რომ ყველ დღეს მოსაფირი გყავს.
- ერთი დადეკით, პაწა შეგცადევით.
- წივლებ დიდ მესარ, ვერც ვიხმარ, ძალღმა თუ გამომე-
სხრიკა, ერთ ვტკლიცებ მაინც.
- შენ თუ დემეკარქე პაცხა და დევლუპე მაშინ.
- შენ ჰიდაური ბრძანდები?
- თქვენ ეაღევით მანძილი, წახვედით და ჩვენ დევკარქენით.
- სახლის ხეა დავშკარი.
- ერ დღეს მეც მოვხმარებებ ბრე.

შუახმვის რაიონი

— ორმოზდაექესის და ეორმოზდაშვიდი წლის ნორმაში მაგი
მე ჩაგითვალევი?

- პა წივლე ახლა?
- შენ ძან შემეჩვიე, ხომ იცი!
- ერთი კაკალი სალლამი არ, გამაერევა.
- ერთი უკაცრავათ, პექიმი მინდა ვნახო და ვილაპარაკოთ
მემრე.

- მერე მოხვა, ეზოში მოსლამდი იყვირა, მემრე წუყურა.
- ვაძმე, ვინ გამომეხლიბა მე ახლა, ა?
- არ დამაყენა საშველი, თჳარა არ მეშინია.
- სელმაგ, ერთი ფოლაქები მომე, შავი.
- რაცხა ძაფინდა მისცე, მიე ერთი. ვაეაგზანო უნდა.
- მე რამეს გიშლი, ძიაგ, ევჳარ, თეხს ჩევცვამ და წივალ.
- ახლა ნაქოხვარზე გასვლას ყველამფერი ჯობია.
- იმიტომ მოქცემ, ეგერაა შეკოქილი.
- გადაქრა უნდა და სიგანეზე მჳმატო.
- ამ ქახალძე რომ დავწერო, ხუმ არ გეწყინება?
- ხალხი ფარიანი კი არა, უფარო მეჩვენება.
- ლეგენში პაწას ჩაგდებ და გაბეჩთება.
- ამას ჩეცვამს, ორ წელწად ეყოფა.
- ჩუნქი რას აპირობთ, რაეარ ბძანდებით?
- ლმერთმა კარგა ამყოფნოს და დიდი გაზარდოს!
- არა, ემიავ, კაცი არ წივლებს ჯოხს.
- ჯოხი კი არა, მად ტოკვეცი ყოფილა.
- შახტენ უნდა ერთმანებს ცუ!
- ჩემი პურის არ არის წალღბული და ვინცხას თუ მღეცი,

არ ვიცი.

- შენ თუ გინდა ვატანილი ხამათ წყალო, მამ სხვა საქმეა.
- ზოგიერთებს ფართაც მივეყიდე და შენი პური რათ მინდა.
- მე ბაღეს ვერტყვი კიდევ. ბაღე ხომ კტარი არ ალი, ცოცხალია, ასე არალი?
- შენ ბაღანას თუ არ აქ წაღებულო, მამ რომელიცა რე-შიტოლდის აქ წაღებულო, მარა რომელია. ვერ გამოვტანე.
- თაფლი ვცამე. თაფლი ჭამა რომ ამფრათ კაცს მუაქცევს.
- ამხელა კაცი გვეზარდე და ჯერ თაფლს ჩემთვის არ უწყენია.
- არა, ქინკები ამეატანა მუხანედან და იმისი კვერცხია. რა საქმე მაქ, ვმარ და ვიქნები.
- ი თლათ მოჩონჩვილებული ქონდა.
- თუნდა ვადააყალო, არ მინდა იმტე!
- შენ რომ კაცმა შეგაჰყირდეს. შიერ მოკლავ. ქადინდა გამუაცხობიოს, იმაში გჰყავალოს უნდა.
- ჯერ საპონი ხენ არ დეფლევა, ერთი ორი გრაფინინდა ვიყიდო.
- ერთი სახლი უნდა გადავხურო და მერე უნდა ავსიარულდე, ძმა უნდა ვნახო ჩაქვში.
- იმას უნდა მუშატო ყააში ცოტა. აბზინდი რატომ მოწყვიტე?
- ყურძენს თვალი მჭრთავს, მწიფება დუწყენია.
- ქორი ბუდე სიმინდის ჯიშია. ე სინინდი ვადმოტანილი ყოფილა ქორიბუდიდან:
- რაც ყედიჟაგები გამოვდა. რაც ბაჯვოდები გამოვდა, ყველა გომის მთაზე გეატანა.
- ვოზდათორმეტ წელს გაერთიანდა ზოტში შვიდი კომლი ცეკვიდან მარტო.
- მე გავაკდე და წაველი. დავტიე იგინი ზქა.
- უა, რავარ წყახლება ჯეო, ტყინები აღუღებულო მაქ.
- ამის სურათი მინდოდა გედენელო, მარა არ ქნა იმ კაცმა. ზაბითამ როცა მოქცა მინიმუმის ზაბუთები, შენთან არი, კო?
- წყალში ჩვეელ. მარა აფერი არ ქნა.
- წყნარი კია, მარა თუ გაბლებდა, აფერი არ ეშველება.
- მურსელა ხომ არ დივინახავს, ყიზეთავე?
- დუოხუნა ჰადნ, დეაწყო იქა მუშავობი?
- სა წყაღე შენი დანა. კო?
- დანა მებსუზ დაკარქა მაგან.

- ჩამოვლა კაცმა, გეძარა და წევდა.
- ცხვირი ნეშტვები გამობერილი აქ, კაჲ ცხენია.
- ხასო, ქვაზე რატომ დაჯექ, მითხარი.
- ერთი, რამდენი ამბავი იცი, გაექანე, ცქვიტა მეთამაზე.
- გაექანე პაცხან და მაშინ მე გასაეალს ვნახავ.
- დევმწყვერით ჩვენ წალანდულა, ისე გავს.
- აქიდან არვინ არაა, ან ზემო ხევიდან, ან ბარათაუ-

ლიდან.

— რომ ჩევდა ბრიგადელმა და უთხრა: კრებაზე წამოდიო, თქვა, რომ არ მცალიაო.

— მას მივანდოფო ოცი ზენების დაცვას.

— მე თუ აქ სამუშაო აღარ მაქ, უნდა წევდე იქა.

— ისმაყილავ, შენ როდს ჩამოხვალ?

— ჯივანავ, შენი სიტყვა ეგ არი, აქი ორ დღეში ჩამეცტანო!

— მაგას კილო ნახევარი მტკაველი მოაკლტება.

— მძიბე ყოფილა, ქო, მტაწექ ერთი ქვეჯო.

— ბაღვები წევდენ, ბაღვებო, მან ნუ მიხვალთ!

— ერთი კაცი მორბის მეგემ შიფინით, ფელევანდი.

— იმ დღეს იქ იყო, თაზე მაორე დღეს წამოვდა.

— ჩვენ ჯინჰარაძნები ქობლეთიდან ვართ.

— იდრისავ, განის ხერხი გაქვან თქვენა?

— ჩვენ საქმეს შუდგეთ, თუარა მერხენდელი ლაპარაკი აფერს

არ იქს, ტყულააა.

— ჰაჰკიდი, თუ გადნრტყმევიე შიანა!

— თლა არ მიხვიდე ზედან, ჩილფი დატაე.

— ი ქირიში შვაზე დამენე, ან უკან დანენე, ლაქუმააა.

— ქირიშებს თქარ დახევს, არ ჩამტა ისე.

— აგზე მწელი და უთხარი, რომ ამას იქით არ მივალ. თქვენ

დაც გინდანან ის ქენით.

— ო, რა ნაშნანა ქირიშები მოდის. ლუკუნა სულ არ ურვეია,

— ლუკუნა რუმ არ ექნება, იმას ქვია საშხანა ქირიში.

— სკებისთვინ დნჯარიბა.

— მოა ახლა აქ, გადელეს შენი სურათი და ახლა თავი-

სუფალი ხარ.

— აღაეა მეგონა და გიმიკვირდა. ესეც ზოვლი დამქლედა.

— აბანოზე ხვალ მიალ, დილას უნდა წევდე ლამიანა.

— მე რუმ გევექანები, ვერვინ ვერ დიმიკავდება.

— მეელულავ, მოა აქ.

— ჰამა კაჲ კაციც მუგნია, მაჲ შენზე ვერდა გაებედა.

- დურსუნავ, სამი კაცი რომ დევძახე, რატომ არ ამოძთ.
 - სურათი გედევლოთ, კაკო!
 - რა, მაგბელა წალდი რუმ გიგიშარშვალგბიაა!
 - ერთი მაგ ნუხაძედას დამიძახე და შენც ამოდი გზახე.
 - მერჯივან, ერთი ბადვი გაეგზანე, კვიანზე იქნება ააღა.
 - ძველი ნორძა არ ამომიძაგ გომარდულიდან?
 - ჩამუელი სოფელში, ისეთი უწუშაა, ისეთი უწუშია, რომ
- ღვარები ამდგარა სულ. ზედა იწვოდა, უცვლანდელი.
- იქეთ არის ძალალი სერო და მთა ზენჯური კილდეს უძახიან.
 - მე არ ვიცი, ამა ძმა მყავს და მან იღის ბევრი ხე-ქიები.
 - იგი ჩემზე ერთი წლით უნცროსია, ადამალი ქვია, ასხუთი წლისა.
 - სათივეს მივდოდი. ვნახევი, რუმე გადაყვითლებულია. წყალი გადუკვითლებია. ნაძ აბანო უხდება მაჰარისაყ და გულის წვასაც.
 - თავე გემო აქ და კივი ძალვან. ცეცხლ თუ არ ღანთებენ. ისე ვერ იახანოც.
 - მთა ააქტე რომ დაოჩეს მათე. ბენრე თანდათან მიემატება.
 - იმიდან რომ მქონდეს, ყველამხერს გადაკეტებ.
- მემოგ აწით დანატყვეს, თურმე ნაღვარევი რომ იყო, რას იჯებოდა.
- შუადღეს უკან რომ ჰვარ თაფლი, აჯვარს არ აწყენა.
 - დინიძახენ თრჯერ, თქარა ვერდა ამოკვლიდაც.
 - შუადღის გადაწეადი კობუოტივის გაბჭე აქ იყო.
 - იმტრათ განათო-ყური ძირში. რომ ბული ვაღინა.
 - მიველით ეზოში და ოთხი ზოგა იყო. ბნობე მიშეებული და წოვდენ.
- შენ ერთი მიღმა მიდი. მერჯივან მიძიგე სახლში იქნება და დუძახე.
- გეაქე ერთი. მიდი და მოდი ერთ წამა.
 - ემიაფ, ვიძახის ზექიგა.
 - მეტი რაღა წევგონოთ ახლა. რა ვბცი.
 - რა ვქნათ ახლა, რათერ მოეწყვეთ მე და შენ.
 - შენ თუ ამ კაცთან აბარებული გყოფდა, იმ კაც ნიშანი ქონდა დადებული.
 - ზედაჲ ქეგები მისული აქ და შუაჲ ქეგები გარგაწეული აქ.

- მე და შენზე უმფრო იცნობს შენი იაგანი.
- დედო არ იყო დაკარქული, პოსი იყო დაკარქული.
- არ გამასტრათ, მეც მუალ, კო!
- რა ზოველი ეკიდება, ი პაწაჲ, კო!
- ორ თერეფი გეჲრანდა.
- ამა ჩემი ნაფლტკები მიაქ, კო!
- ისე ეტყობა, რუმე გაწვიმდეს უნდა განა?
- ჰა წევლოთ ახლა ეს ლამფაჲ.
- დავედები და დაგამღერეფ ჩემი გულის დერდებსა.
- სუნთელები რომ დავწერო, აღარ დავა ათას ცხენზე.
- მე ხალხს შურჩევ და იმას ათ დღეზე დადგამთ.
- ჩემ ბრიგადაში ერთი კაცი მყავს, ხვალ არ წავა, აქტს გაგაფორმებ და ჩაგაბარებთ.
- წევდეთ მე და შენ მემრე ერთად.
- აქედან ჰანდა გადგეცვალოთ თქვენ?
- ზულქიფლო, ჰად იყავ!
- ნარჩენები არიან, მარა ამალამ გეიკრიფეშა ყველაჲ.
- სვეს, სვეს და ლინძღვენ ერთქვანებს.
- ფოზდათორმეტი კოდი სხალი მიდის ერთ ქურში.
- თვალები რატომ გტკივა, ოსმანავ?
- ძვილაჲ ვჲარები, მარა მე დევჭირავ, დწლერაგებ ბუჯზე ჯოხს, მივალ და დევჭირავ.
- თვალები დახუქეთ, როკებს იქნევს.
- ჰა იყავ, მარტოჲ გამოჲ! დეჲკარქვი საცხა.
- რაცია თავი ზოველი აშვერილი აქ ნაგას, კო!
- ძალიან მცირე და ცოტა დღეები დაგვჩა სასწავლო წლის დაწყებამდი.
- თვითონ ნახევლით, ანხანაგებო, გახეთში, რომ გომარდულის სკოლას თვითონ კოლმეურნობები აშენებენ.
- როგორც დევწყევით ჩვენ ჩვენი ინიციატივით სკოლა, სასახელოთ დაკამთავროთ!
- თქვენ ხელი შეგვიწყევით ყავრის მოტანაზე და კარაკოშკის მასალაზე.
- რაფერ ჩემეკვარაქინა, კო!
- ერთი თვის სავალ გზას ერთ წუთზე გაგარბენდებს, ისეთი ცქვიტი რამეა ესეო.
- მე რომ ვერ ვაკეთებ, ცნობას მაშინ ვაძლევ. მოთიბეთ, ძიავ, და დწყარეთ.
- ზღაპრებზე გულ ხომ არ გაკლიან ბრილში.

- აგერ აქიდან ჩევიდე, დამრულ იყო, მეგემ. ღია არის.
- ი წყალი ხომ არ მოგიჭრიან გზა გაღმა.
 - ჯო, ხამი რომს სხალი, მოკრიფავე?
 - ერთ ხუთ-ექვს ფუთ სხალ მოკრიფავე.
- კაბ მ.სტაილემბელი ის არი: ბაღენე რომ კარგ ასტა-
ელის.
- თამ რომ მიუვარდეს, ხანთარნი ვიქნები იქ. შენ ზოვლი
ბლაყვი ყოფილხარ.
- მუხამედად ჰად არი?
- ეზოგანნი საცმა, ხბოს დამბენს, ძროხაა დამბენს და მტა.
 - ჩვენ შარშან თველზე, სხალათ გარჩეხული ვარო.
 - ჰა წვედა: შენ ოფი ბიჭი ვახლდა.
 - რომ დავაწყვე, დავაწყვე, განთაორომ: ველარ მუასწარი.
 - ექმავ, ათად: მოგვაცოტეფე სახლი.
 - მუხამედავ, ნელა წეძუვა. ზო!
 - წიფეს თუ გაფაშაგდებ, დავახტებ: ზედან
 - აჰა და ტანს თუ გადმოეწვე, თლათ მოქწონდება.
 - ჯო, ველრას ჩანუშეებ და ერთი პაპროსი ჩადე შიან.
 - ცოცხალი ვქსი დეენა მოყყანეთ.
 - აგერ აქაღ დავეცა ორი დეენა ბოჯელნი. მათა ვერაფერი
ვერ უშველეთ.
 - სამწლიანი პაკე დეენა იყო მურთაზანი და ივიც დავეცა.
 - ცხენი მურთაზან იყიდა, მე არ მიყვლია.
 - მე გითხარ ახლა ჩემით, შენ არ ციოტქნა.
 - წამოსლისხან ცოტა წალაპაოჯება მომიხტა. მენრე არ
ჩემესლებოდა და ძმა გაფავზანე.
 - ერო ჰადნ სულემანავ. ერო!
 - პაწაა ესეც მოპიოხვე, მემედავ. ცოტა.
 - რა ვიციოთ ახლა. შუა ჰად არი.
 - მე ლამფას მევტან და თქვენ მიაცდეთ.
 - ნაჯალი არ გაქვან. ლამფაა უნდა ჩამოხეთქოს.
 - დღეს ვინა გამხვეელი, ვინ უნდა ვახიოს.
 - ერო დეაკარქა. ბიჭებო. კუშინ აქ. კალონზე. პაცხა უნდა
აღმოუჩინოთ.
 - რაცხა ნახაოდულებანი იე ყოფილა.
 - არ გიამა, საკორწაალას მეხსუხ აკეთებენ და თან პაწას
ესეირობთ.
 - აჰა წევა. რომ ვერ ვამუშავენ.

- იმაპაც ვიქ, იმაპაც ვიქ, ნუ შიმიწუხდები.
- რამითი ლამფა გვიკლია, სამი არ გვეყოფა?
- კარს დავჭედავთ და ამაღამ დავხუროთ.
- მამალმა დეფყივლა და კილო ნახევარ სნთ ზეზე ვიყავი.
- მეცაჲ, ბოთლ მოქცემ და იმით მეცტაჲ.
- ოსმან, ამოჲ ერთი აქ ერთ წუთს, თუ კი შეიძლება.
- აქ მე ქვედაფებში ვჭუჭკავ თივას, მოვჭუჭკავ ერთად და თავედომარე შიძინფასებს.

II. ზღაპრები და თქმულებები

ხულოს რაიონი

1 ჩობანი

იყო და რა იყო. ჩიტი იყო გალობელი, ღნერთი იყო წყალობელი. ერთი იყო- ჩობანი, სულ უქანასკნელი ღარიბი. ყავდა მოხუცე დედა. მავას ყავდა ერთი ვირი. წყეყვანდა ტყეში და მოჭიდებდა ქვირთს — შეშას. იცხოვრა თუთხიეტ წელწადს მაგ ღერიბმა ჩობანმა მაგ ვირით. მეოე შეხედა ერთმა ხეიწიფემ და ეფყვანა მაგი ჩობნათ. სეპწიფემ უთხრა: რათ გინდა მაგი, შავრათ რომ ყიდი შეშას, წამოდი ჩემთანაო. გაჰყვა შავი. ვასაყიდათ არ წეღლო, სახში დატია, მიიყვანა სახში და რამდენაე სუოი ჩუბარა ამ ჩობანს. შეიდ წელწად ემსახურა ხეიწიფეს მაგ ჩობანმა.

მეოე თქვეს ხალხებმა. რუმ არის ერთი ხეიწიფე. ეოთი გოგო ჰყავს მას, რომ არ გამოვლეს მაგისფერი ღამაზი ზე და თვარეო. ვინცხა მავას რუმ ითხოვს, ის ღამე თუ გადარჩა, რობელ ღამესაც მავი გეფთვეს. იმას ეძლევა შაჲ გოგოო. საღამოს საბალახოდან მოფყვანა ცხვარი ნავ ჩობანმა.

— შე აღარჩნა ვიქნე შენ განკარგულემაში, აღარ ვაო შენი ჩობანიო, — უთხრა ხეიწიფეს — შეენა წევედ სახში ახლაო.

— რა გინდა, ჩემო ჩობანო, შენ რა გაწყელინეო ჩვენა. შენ რომ ჩვენ ჰუო-მარილს ექცევიო? — უთხრა ხეიწიფემ.

— მე მინდა დაქორწილებავო — უთხრა ჩობანმა. — მე მივალ სხვა სახეიწიფოში. ერთი ისე ღამაზი გოგოშვილი ჰყოლია. რომ მზეს და თვარეს ეთამაშებო. მე იგიენა ვითხოვო, უგნება ჩობანი.

თუ შეაძლება, იყავი თავის ალიგზე და ჩვენ დაგაქორწინებთ შენაო. იმდერ გოგოს მოგიყვანთ, რომ იმაზე საუკეთესოსო. მე არ მინდა თქვენი დაქორწილებათა, — უთხრა ჩობანმა. იქ რომ ყოფილა, დედომიწის ზრუგზე იმ სილამაზე არსად არ ყოფილა.

— კი გიშოვნით იმაზე საუკეთესოსო.

— არ მინდა თქვენი არაფერი. თექ მომეცით ნებართვა და გიმიშვითო.

ხემწიფემ უთხრა:

— შენ წონა ოქროს ნოქცემ, ჩემო ძვირფასო ჩობანო. შენი ბედი კაჲ მოგვივდა.

თუ მომცემთ ნებას, მივლივარ. თქვარ ნაძლევეთ. მაინც მოგვტები ჯავრითაო. მაშეინ აძლეს აქაუთის კოლა ნებას:

გასწი. შვილო. და წადი, გიწყოს ხელი წყალობამო. თქვარ გეწყოს ხელი. კიდევ მოდი ჩვენთანაო.

ადგა ჩობანმა და წვედა იმ სახემწიფეთში. მივდა, რომე, რაც სახემწიფოს ხელტკეპნს ცუთუარე ხალხებია. მოყოლილან და კრუგი გამბთარა ხემწიფის სახლის წინ. იქ ერთი კაცი თელალს იძახის: ერთ შავრათ სეპრო არიასო. იმ ლაშეს არ მტყნა ჩუბანს ოჩერეხი, დარჩა გარეთ. რადგან არაეინ იცნობა მავას. სუყველან რომ გეჟკრიფა თავის ოღეძში და სამყოფეძში. ავა დაჩა მათტეა. ლამის გასათევი ალაგი ვერ იშოენა.

შეატა მას ხანში ერთი მოაუცე ბაბუა. ბაბუამ უთხრა. რომე მე და შენ დავამბანავდეთ. ნეც შენდერო შეწყუბება მაქო, გევეთითოთ ლამე ერთათო. გეათიეს ლამე ერთ კარაზე. მოხუცემ ჰკითხა ამ ჩობანს სახელი. უთხრა რომ — მე მქვია ანმედი. ვიყავი ლერიბის შვილი. რამოტოღეუბან მე ვიმწალე და ამ სილარიბით გამეგზარდე. მყავდა ერთი მოხუცე დედა. ათუთნეტი წლის განმავლობაში ერთი ვირით ვიმცხოვრევი. აღარ დამადგა საშუელი. ხოლა მემრე შემეტა ერთი ხემწიფე და იმან წიბიყვანა ჩობანათაო. ვიმსახურე შვიდ წელწად და იმულგებული ვავებტი, მევიდლომე დაქორწილება. აღარ გიმიშვეს იქ მაქორწილებდენ, მარა იქანაჲ აღარ დაქორწილდი. გევევეი ამბავი, რუმ სხვა სახემწიფოში ერთი გოგოჲა, მეგემ იმ სილამაზე არ ყოფილა ადამიანის შვილიო. რამეფრათ მომცეს ნებართვა და წამტელი აქანავო. რამოტონეთი ამ სახემწიფოს რომ ხალხი ყოლია, თელი კრუგი ყოფილა ხემწიფის ეზოში. გუშინდელი დღე უტრუალე და მიღწევა არ იქნა მის წინაში, ვერ დევნახე, ნა აჩენონ ი გოგო.

ბაბუამ უთხრა:

— მეც მინდა დაქორწილებაო, მაგი თუ გამოსადეგია. კითხუთ ზიარაო.

— კარკიო — შუთანხმდა ჩობანმა.

— აბა, ჩემო ახნელო, მამაშვილობას, ბოლოს თუ არ მი-
ლალატებო — უთხრა მოხუცემ. შეფიცეს ერთმანებს. ჩობანმა
უთხრა:

— გეფიცები შენ ჩემ ახალგაზრდობას, რომ ეჭვი არაფერი
შეგეპაროს შენავო, არ ბქონია ღალატობა არასოდესო.

გათენდა დილა და მივდენ ხემწიფი სახლზე. მუსწორეს იმ
უჩერებს. გოგო გელჩქე ყოფილა ისეთი, რომე ზისუნხავი. მისსეს
მაგას შავრი მაგის მყურადებელს. ჩობანმა უთხრა:

— თუ შეიძლება, მაგ გოგო მომეკი მეგო.

— მოქცემთო, — უთხრეს, მარა მაგ ბიჭს კაჟ ჩასაცმელი
წყობილობა არ ჰქონია. ისე ყოფილა მაგარი ვაშკაცი თვითონ,
მარა ურუბა არ ქონია.

— წადი, ურუბა ჩეცვი, გამაეწყვეი ადამიანურათ და ისე
მოდო. — უთხრეს ჩობანს.

წევდა ჩობანმა, გამაეწყო ურუბაში და მოვდა. შევდენა
ისადილონ. რომ ისადილეს, მოხმაურდა იმ სახემწიფოს ხელკეეში
ხალხობა. უთხრეს იმ ხემწიფეს, რომ

შენი შვილი გავათხუეთო. ხემწიფე უჩივა:

— როგორი ადამიანია, სიძეთ ვარგია, თუ არავარგისია?
მწყვანეს და აჩვენეს. ბიჭი ნამეტარი კარკია. ხემწიფემ შეკითხა
მაგას, რომ ხემწიფის შვილი ხარ, თუ ღარიბი გლეხის შვილიო.

— მე ვარ ღარიბი გლეხის შვილიო, — უთხრა ჩობანმა.

— ღარიბი. გლეხის შვილი მარე ვაშკაცი რაფერ გამოხველი
შენო? — უთხრა ხემწიფემ. მისცა გოგო. გოუშვეს ვოთანში. მიზღვეს
ბაბუა. მივდა იმ კარგზე, სადაც იგინი შევდენ. დოუჭირეს კარი
გოგოას ნოსამსახურე ქალებმა, არ შუშვეს ის ბაბუა. ახმედ ამხა-
ნაგოვო, როგორია ჩენი თქმულეზავო? — დაუძახა ბაბუამ. ოდის
შტაზე დარჩა ახნედი გაჩერებული. მაშინ დაფიშმანდა, გახსენდა
ბაბუასი და მისი შეფიცულობა. მობრუნდა და, თავის საცოლოს
უთხრა, რომ

— მე მყავდა ერთი ბაბუა ამხანაგი. ჩენი საშოგენელი და
მოსაგები შტაზეენა გეგვეყო ჩენაო. ცოლიც ერთათ უნდა გვე-
თხოვნაო. რაენდა ვქნა მე ახლაო? მე არ შამიძლია შენთან და-
წოლაო. ქალმა მისცა იზინი, რუმე

— შაძეყვანე მაგ ბაბუაო.

შეაყვანეს ბაბუაჲ, ბაბუამ უთხრა ახმელს:

— შენ ახალგაზრდა ხარ და იმფრო მეტი გაქ სურვილი. შუალამემდე შენ გაქ უჩერები, შუალამეს შემდეგ მევე.

— პირველიდან შენ იყავი, ბაბუავო,—უთხრა ახმედმა და შუალამის შემდეგ მე მიქნებიო. ბაბუამ უარი უყო, რუმ პირველზე შენ იყავი შენ უმფო ახალგაზრდა ხარო. დუთანხმდა ჩობანიმა.

დაწინ მავინმა ერთათ, ერთ გაყოლა იყენენ ლოგინზე, აო ეძინენ. მას ხანში წიეძინენ ორსავეს. იმ ხემწიფის გოგოს გამუვდა პირიდან გველვეშაპი და უნდა დნარჩოს ი ჩობანი. გველვეშაპმა რომე გეაწია დასახარობათ, მაშინ ერთი ხემწიფის გოგოს გ-კანკალა ტანში. ბაბუას ღვიძავს და ცავს მას. გეახედა ბაბუან. რომ ამ ვეშაპმანა დაახროს ად ამხანავი, იკრა პალტოჲს ჯიბეში ხელი, ამეალო მაგრატელი და მაგ გველვეშაპს მოშჳრა თავი. ქალმა გველვეშაპის ტანი გადაყლაპა და თავი ჩეაღვა ჯიბეში ბაბუამ.

იძინეს და გეაღვიძეს, რუმ გათენებულა. გახილა ხემწიფის გოგომ თვალი, რომ გათენებულა. ნახა, რომ მისი საქმარო ცოცხალი ყოფილა. შეაქნა მავინში სიხარული: ვენაცვალე ამ ბედს, ჩემი ქმარის. ერთათ გათენებასაო! ვეწიე იმ დროსაც, რომ ქმარის ერთათ გათენდაო. ერთხანს დარჩენ საუბრობაზე. მას ხანში თელმა შემადგენლობამ გეაღვიძა. მივდენ კარებთან და გაჩერდენ მისმა მოსამსახურებმა.

პირველმა მოსამსახურემ მივდა, რომ ხმატრობა არ არის. ვოზდახუთი წუთის განავლობაში უცქირა, არ გეელო კარები. წევდა მაგ მოსამსახურემ ხემწიფესან და უთხრა, რომე

— რანა მაჩუქვოთ, რომ ხმატრობს იქითიდან არაფერი გამოვდაო.

— შენზე, შვილო, რანა იყოს მაკარიძი, რას მეათხოვ? ქალაქი მოქცეთ, თუ მოქცეთ თელი ჩობნების საწყესავი ცხვარიო, თუ შვიდობიანობა არის.

— თუ შვიდობიანობა არი, მე ქთხოვოთ, დამასაჩუქროთ ერთი ქალაქითო. ხემწიფის ცოლმა თქვა:

— შვიდი დოლუმი გავაქორწილევით ჩენი გოგო და ერთიც არ დარჩა. ცოცხალი ჩენი სასიძოვო. არც ერთ ჩვენ სასიძოს არ გათენებია დილაო. დეგესაჩუქრა ქალაქი, თუ მშვიდობიანობა არიო.

სხვა მოსამსახურეები რომ მისულან ხემწიფის გოგოსან მემრე, კიდევ არ გეელო კარი. მას ხანში მუსტრა პირველმა მოსამსახურე ქალმა და ორმოცნივემ იქ მეყარნენ და კრუგი გახტა იქ.

— რაშია საქმე. ამდენ ხანს ადრე-ადრე გამოვდოდა ამბავი სიკტილისა და ახლა არაფელი ისმისო? იმ პირველმა მოსამსახურემ მოსწია კარი.

— რა გაქ თქვენ მაგტონეთი საქნაობა, რას შაქქეციოთ? შამქაბა იმ ხემწიფის გოგომ:

— რეაზა არ გვაჩერებთ, არ გვასვენებთ ვოთახში ჩვენო? რა ნახევიტ და რა გეაგვევიტო? გულმოსლით წანჭარდა ლოგინიდან ზეზე და გწლო კარი.

კარი რომ გწლო და გეახედა, ხუთმა-ექვსმა მოსამსახურეებმა შეახედა ოდაში. შერცხვენ იმ ბაბუას და სასიძოს. დადგენ ყველამ ფეხზე: შეახედენ შიან, რომ ყველა ყოფილან ცოცხალი, არვინ არ მომკვდარა. მაგინმა გადირივხენ, რომე რაფრათ მოხტა, მაგინი ცოცხალი რაფერ დარჩენო? ნოთხუეს მთელმა მოსამსახურეებმა ხემწიფის გოგოს საჩუქვარი, რომ ამდენი ხანია შენ ქმარი არ შეგჩა და ახლა შენი ქმარი ცოცხალიაო. სუნყველას თითო შენობა ჩამჭრიგა ხემწიფის გოგომ. მივდენ მის მამასთან. მოთხოვეს საჩუქვარი გოგოს მამასაც. ხემწიფემაც ი მოსამსახურეები ფულებით დანაჩუქრა. მემრე უქნეს მაგინს ქორწილობა, ქნეს ვორმოცი დღე ქორწილობა. გასტანა ხუთი-ექვსი ღამე, ერთიც არ დაწვა მაგ ბაბუამ. ყუელ ღამე პატიფობს ი ჩობანი იმ ბაბუას, მარა ბაბუა არ იჯება. ბაბუა უჩივია: შენ დაწვევ, შენ იმფო ახალგაზდა ხარო, შენ რომ მეფსურვილფე, მემრე იქნება ჩემივო.

იმდენეთი სიხარული დჭრჩა იმ ხემწიფის გოგოს, როგორც მასთან წოლილი ქმარი, ისეთი უყურებს იმ ბაბუასაც, არ ხინჯობს. სუყნელ ღამეს პირველ რიგიდან უშვებენ იმ ბაბუას, მემრე შედის ჩობანი, მარა ბაბუა არ წვება და ჩობანი კი წვება გოგოსან: ბევრი საჩუქვარიც მიცეს იმ ბაბუას. მემრე უთხრა მის ამხანაგ ჩობანს. რომე

— წივღეთ თავის ქვეყანაშიო. იმ ხემწიფეს რუმ გწმცხადეს: ჩვენ შივდივართ თავის ქვეყანაშიო, ხემწიფემ უთხრა:

იყავით აქ ჩვენ შვილებათაო. ბაბუამ უთხრა:

— ჩვენც გვინდა თავის ქვეყანაში წასლა. ხემწიფემ უთხრა რომე

— ჩვენ უმ გვსურს თქვენი აქ ყოფნა, თქვენც ისურვევიტო.

— ჩვენ გვსურს, რომე თქვენი შვილი თავის ქვეყანას ვაჩვენოთო. წასლა ჩვენი — მოსლაც იქნება ჩვენიო.

ამ ხემწიფემ აგინს გწტანა ჯეიზათ ხუთასი კაცი ჯარი. იარეს ამათ თუთამეტი დღის გზა, მივდენ, ორი წვერი გზა არის. ბაბუა უჩივია ახმედს. რომ

— მე ამ გზაზე ანა წივდღო.

— წამოდი ჩემთან, დემეპატიევიო. შედგა იქ კრუგი. იმ ორ წვერ გზაზე არის ერთი სტოლბა დასობილი. ჩობანმა თხოვა:

— მე ვიყავი ვორმოზდათორმეტ ლამეს ცოლის ერთათ, მინდა, ამხანაგო ბაბუა; შესწორდეს ჩვენი ამხანაგური შეფიცვა: შენც რომ ამტონეთი ლამე გვითო ამის ერთათო.

— ბაბუამ უთხრა:

— ის შენზე პატივი იყოს. რაცხამეთი რომ იყავი. ახლა გავეყოთო.

— თელი ჯარი უყურებს მაგას: ერთი ცოლი ორათ რაფერ გეყყოფავო! ჩობანმა უთხრა:

— აბა როგორანდა გავეყოთ, შენ იცი მაგის ზომაო.

— ის მისი მოსამსახურეებიც ხემწიფი გოგოს თან მიზღვეან. ბაბუამ მიცა მოსამსახურე ქალებს ბაწარი და უთხრა: „ჩვენი ცოლი ამ სტოლბაზე ნიაკარით!“ ნიაკარეს იმ ბაწრით სტოლბაზე. ბაბუას ქონდა ლეკური, ამეალო და თქვა:

— მე ხმას ასე ვჭრი თავით ბოლომდინო, ნახევარი შენ და ნახევარი მეგო. იმაზე გუჭირდა ცოტა ჩობანს, მაგრამ რალა ქნას: ასე ყოფილა ჩვენი ბედიგო. ჩობანი უჩივს ჯარს:

— არ გიგიკვირდენ, ჩვენო ჯარო, ჩვენო ჯეიზო, ეს არის დანაბოლოს ჩვენი ბედი. ბაბუამ და მეანდა ჩამოგშორდეთ ერთმანეთს. მოსამსახურე ეკითხება:

— კაე, მარა ასე რომ იმყოფებოდეთ ერთათ და არ მოკლედეთ, ის არ ჯობიაგო? ბაბუამ უთხრა ამაზე უარი.

— ნახევარი თქვენ, ჯეაზო, ჩემი ხართ და ნახევარი ჩობანისა არიო.

— შენი ნებაგო — უთხრეს მოხუცეს. მოხუცემ ასწია ლეკური, უნდა დარტყას და ხემწიფის გოგოც დასჭყერია. მაშინ გოგოს შეფეშინდა, აღებია პირიდან და გოგომ გამაშეაგლო გარეთ ვორარშინიანი გველვეშაპი.

ბაბუამ ი ლეკური ჩაღუა თავის ყაბში, მისი ხელით შეხსნა ბაწარი გოგოს. გოგომ ვადგებვია ბაბუას: შენ ყოფილხარ მამა, მე ვყოფილვარ შვილი. შენ ყოფილხარ წყალობის წყალობელიო. ბაბუამ ამეალო და ჩობანს ი თავი მისცა. იმ ჩობანმაც ვადასცა თავის ცოლს.

ბაბუამ უთხრა ჩობანს: შენ იყავი გულერთი ამხანაგი. არ ყოფილიყავ, აგიც განადგურებულნი მეყოლებოდა და შენცო. იმ ხემწიფიდან მოცემული საჩუქარები, იგინიც თქვენი იყოს. მე ვარ

პწყალობელის პირდაპირი ელჩი, ყველა გაჭირვებულის მწყალობელი- ფარ მეფე. თელს ჰემ გუხარდენ, ჰემ შაეშინენ.

--თავიდან რომ ავნიშნე, რომ ჩიტი იყო გალობელი, ღმერთი იყო წყალობელი, ახლა თავი-თავზე მოვდაო.—ამბობს მომთხრობი მურად აბაშიძე.

2. ვინ არის ღამნაშაგვი?

ერ დროს იყო ორი ბეგი. იგინი მოქტენ და ის ოჯახი გამეფესო. დარჩენ თითო შვილი თითოს. ახლა ბალნები რადგან დარჩენ, ყურადღებას არავინ არ აქცევდა. მერე თქვეს, რუმ ჩვენ წევდეთ და ვინძესთან ხიზმეთქრათ დავდგნეთო. ერთს ეთქვა იბრაჰიმ ბეგი, მეორეს სეფერ ბეგი წევდენ. ბევრი თუ ცოტა იარეს, ნივდენ ჰაჯი უსუფთან. უთხრეს, რუმ

— შენ ხიზმეთქრათ დიგვიჭირე ჩვენო. იმან უთხრა:

თქვენ რას იმუშავებთო?

— რაც რუმ შეგვეძლება, იმას გავაკეთებთო. შეხედა იმათ, რუმ იგინი იყენენ ისეთი ხალხი, რომ მუშაობას ვერ შეძლებდენ. ჰაჯი უსუფმა უთხრა ავინს, რუმ

— თქვენ მე გასწავლი და ნასწავლი რუმ იქნებით, სადაც წახვიდეთ, ლუქმაპურ იშოვთო.

ისწავლეს მასთან თოთხმეტ წელწადი. მემრე დაბრუნდენ და წევდენ მათ ქვეყანაში. იბრაჰიმ ბეგმა უთხრა ძმას:

— მივდეთ ჩვენ ქვეყანაში, ახლა ნასწავლი ვართ და რაც-ხას გავხდებითო. სეფერ ბეგმა არ ქნა წასლა.

— მე ვინძესანა დავდგე ხიზმეთქრათო. ტანსაცმელი ძველი მაქ, უნდა ჩევცვა, დევხურო და, ისე წავალ ჩემ ქვეყანაშიო.

იბრაჰიმ ბეგმა გასწია და წევდა მის ქვეყანაში. იქ იყო ერთი ფადიშაჰი და იშას ყავდა შვილები: ერთი გოგოშვილი და ერთიც ბიჭიშვილი. ფადიშაჰმა გამჭანცხადა, რუმე თუ ვინმე ასწავლის ანათო, ფულ მივცემ ბევრსო. იბრაჰიმ ბეგმა უთხრა. რუმე მე ვასწავლი თქვენ ბალგებსო. გოგო იყო ცამეტი წლის. ასწავლაოთხ წელწად. მემრე იმ გოგომ თვალი დეჭკირა იბრაჰიმ ბეგზე და მიჰყვა ცოლათ. ცხოვრობდა კარგათ.

სეფერ ბეგი რუმ დარჩა იქ, ერთ დღეს გამოვდა იმ ქვეყნის ფაქტობრივ გოგო და გამეფდა ხალხი დუელში: ვინც იქნება ისეთი კაცი, ვინც მე მომიგებს, იმას მიყვები ცოლათო. გეგო სეფერ ბეგმა აგი. უთხრა აღასან რუმ იდგა ხიხმეთქრათ, იმას:

— აბა მე მივიღივარ იქავო. იმ აღამ უთხრა:

— არ შეიძლება ი ყუელ წელწად ასე გამეფწევს იმ ხალხს და არ გადარჩება არათფერი სურიელი, დოკლავს თელს, იმას ვერვინ უგებს. იმას დახოცვილი ჰყავს რამითი შენთანაიო. თუ მოკტები, ჩემთან მოკტი, ქე მაინც მე დაფინანავ თვალით და იქ ნუ წახვალო. სეფერ ბეგმა უთხრა თავის აღას:

— მე ერთი ცხენი და ერთი ხმალი მომეცი, მე მაინც მივიღივარო. მისცა ცხენი და ყლიჯი სეფერ ბეგს და თან იმ აღამ წაყვა მას.

მივდენ, სადაც ი გოგო იმყოფებოდა. იყო თლათ ხუთასი კაცი იქ, იმ საქმეზე მისული, იმ გოგოს თხოვნაზე. ჰყავდნენ ცხენები დაწყობილი, თუ პირველი ვინადა წევდეს და მალე ვინადა წასულიყო უჩერებლობით.

წევდა პირველმა, დაკლა იმ გოგომ. ხუთასი კაცის ნახევას დაჭრა თავები იმ გოგომ. იმ აღამ უთხრა: ხომ ხედავ. რარი მდგომიარობა, დაბრუნდი და წევდეთ სახშიო, უთხრა, რუმ მე არ დავბრუნდები, იმ გოგოას სევიდთადა მოკვდიო.

სეფერ ბეგმა გასწია და წევდა იმ გოგოასკენ საჩხუბრათ. მაგი იყო ძალგან ლამაზი შეივლულობის ბიჭი. გოგომ რუმ დემანხა აგი ბიჭი. უთხრა, რომ მე არ გკლავ შენო. შენ მე მეგერევი, მოკჭრი თავსა. ამა არანდა მოკლაო. თელი ხალხი უყულებს შორიდან. გოგომ უთხრა სეფერ ბეგს: ერთ ფაშას იქ ყოლია არაბეთიდან ჩამოყვანილი ცხენი, იმ ცხენს თუ წართვამ, ან მოჰპარავ, მაშინ მორეული იქნები ჩემზე და ცოლათ მოგყვებიო. სეფერ ბეგმა უთხრა, რუმ ძალიან კარჭიო. ადგენ და მივდენ ამ ხალხთან ვორევემ. უთხრა იმ გოგომ ხალხს: მე ოთხჯერ წვეელი იმასთან იმ ცხენის მოსაყვანათ ჩემი ჯარის ერთათ და მაინც ვერ მიყვანევო: დავმარცხდი ყუელთვისო. აგი თუ ამ ცხენ მომიყვანს, მივყვები მაშინ აქას ცოლათო, ჩემზე ნაჯობნია მაშინ აგიო. იმ აღამ, რომელიც სეფერ ბეგს იახლა, უარი უყო. რომ არ შეიძლებაო, შენ სინდან მეყვან მაგას, რომ ი გოგო ამდენი ჯარით დადიოდა და მას ვერ მოჰყავდაო. სეფერ ბეგმა თქვა: მაინც მივიღივარ, ჩემ სიცოცხლეს სიკტილი ჯობიაო. აღდა და წევდა იქიდან. თქვა, რუმ გეგმარ ჩემ ძმა იბრაჰიმ ბეგ-

თან და ვნახავ ამ ბოლო დროს, მაჲც იქითიდან ცოცხალი ვერ
ქალღო.

მივღა იბრაჰიმ ბეგთან ღამე, შტალამიხან, ღუძახა: იბრაჰიმ
ბეგ, იბრაჰიმ ბეგო! იბრაჰიმ ბეგმა თავის ცოლს უთხრა, რომ
მე ჩემი ძმის ხმა მომესმინავო. ცოლმა უთხრა: შენ ძმა არ
გყავსო. უთხრა, რომ არა, მე ძმა მყავს ერთი, სეფერ ბეგო,
და, იგი თუ არ არისო, მე ვერ ვიცოცხლებ, ისე მენატრება იგო.
გეახეღა მისმა ცოლმა გარში. დეჲკითხა ამ ქალმა:

— ვინ ბრძანდებთ თქვენავო?

— მე სეფერ ბეგი ვარო — უთხრა.

— სადაა ჩემი ძმაიო?

— შინ არიო — უთხრა ქალმა.

ხმა რომ გეგონა იბრაჰიმ ბეგმა, გახტა ცქვიტათ გარეთ.
ალოთვა ცხენი და ღნბა ახორში. ეყყვნა ოთანში, უთხრა, რომ
სეფერ ბეგ, შენ დაქვეყრივარ მეგო და რაძღა არ გაქ კარგათ
ფერიო. არ მითხრა, რაც ღერღი გაქ შენაო. ერთი ჭამის მაღა
მომივღა მეგო, ვჲამოთ და მერე მითხარიო, თვარემ მეც მოზიარე
ვიქნები მაგისა და გემექცევა ჭამის მაღაო. ვორევემ ჭამეს ერთათ
საქმელი. ლოგინი ღუგო. სეფერ ბეგმა უთხრა: მე მივალო, მარა
ღუგო მაინც ლოგინი.

— აბა მელაპარიკე ახლა, რა ღერღი გაქო. უთხრა იბრაჰიმ
ბეგმა. სეფერ ბეგმა უთხრა:

— ამამჲალ ქალის საქმეზე მივდივარ ცხენის მოსაყვანლათო.

— უჲ, ეგ რა მითხარიო! — უთხრა იბრაჰიმ ბეგმა. — მაჲ ძ-
ლიან ძნელი არისო. იქ მაინც ვერ გიგიშვეფო. დაწეკი ახლა და
ვნახოთ დილაზეო. მისმა ცოლმა შეხეღა, რომ იბრაჰიმ ბეგი მოწყე-
ნილია. ღამეში შეჲკითხა იბრაჰიმ ბეგს:

— რა ღერღი გაქ მაგისთანაჲგო, რატომ ადერღიანებული
არა. რა გითხრა იმისთანა ძმანავო? იბრაჰიმ ბეგმა უთხრა:

— მეგო მივდივარ ამელამო, შეჲძლება მე ველარ მჲალ ცო-
ცხალიო.

— სა მიღიხარ იმფრათო? — უთხრა ცოლმა.

— მე მივდივარ ფაშის არაბული ცხენის მოსაყვანლათ, ჩემ
ძმის ესაჭირჲება იგეგო. იგინზე მეგემ ი ფაშა ახლოს ყო-
ულია.

— მე თუ ვერ დავბრუნდიო, შენ გათხოვდი, რომ მე ცო-
ცხალი აღარ ვიქნები, თუ დილას ვერ მუელიო.

სეფერ ბეგმა რუმ დაწევა, ძილი მაჲც არ ქონია ღერღი-
საგან. სეფერ ბეგმა მჲსმინა, რომ მისი ცხენი გაჲყავს ვინძლას

გარეთ. წუგდო ყური, რუმ რაა: «ჰა მიდის ეს ცხენიო?» თან ადგა ზეზე. იარება ოდაში, ჩავა ბოლოში და ამჟა უკან. ნეტაჲ, ახლა—ფიქრობს სეფერ ბეგი — ჩემი ძმის ცოლი როგორია, რაფერი შეხედულობის არი, ჩემი საცოლემსთანაჲ თუ არიო? გევდა მაერე ოდაში, თავის ოთახიდან გევდა, შეხედა, რუმ კარი ცოტა ღრიკეთ დარჩენილა. წუხედა იქიდან, რუმ ძინავს ქალს, იჟიქრა, რუმ. ზათი ძინავს ამას, შევალ და დევნახავ ამასო. შევდა შით. დჟე-ჟყირა და მაეწონა ძრიელ: ლამაზი ქალი ყოფილა იგიც. გჟარა გულში: ერთი ვაკოცებ ამასაო. მივდა და აკოცა.

წევდა იბრაჰიმ ბეგმა და დაუახლოვდა ფაშის სახლს. რად-განაც, რუმ იმ ფაშას ი გოგო ემტერებოდა, იმაზე იმ ფაშას ჯარი გამოყვანილი ყავდა და სცევდა იმ ცხენს. მივდა იბრაჰიმ ბეგმა პირველ ყარაულთან. იმ ყარაულს მიძინებია. დარტყა ყლიჯი და მოშკრა თავი. გახადა მისი ტანისამოსი, ჩეჟცვა მან და წევდა წინ. მივდა, გეჟარა ჯარში. ჯარი რას ეტყოდა, რუმ მათი ყარაული იყო. მივდა იქ, ვდნც რუმ იყო ცხენზე ახლო. უმფროსი ყარაული რუმ არის კიდევინ, შცველი, იმასაც ძინავს. მოშკრა იმასაც თავი, გახადა მისი ტანისამოსი და ჩეჟცვა მან. მივდა კიდევინ მესამე ყარაულთან. უთხრა, რუმ აბა, ცხენი დაჯნაგირე და გამომიყვანე, ფაშანდა შეჯდეს და წევდესო. საცქვიტოთ დაუნაგირა ცხენი და გამჟყვანა იმ იბრაჰიმ ბეგს და მისცა ხელში. გამეჟყვანა იმ ხალხიდან ცხენი იბრაჰიმ ბეგმა, შეჟდა და იმ ცხენით წამოვდა სახში. მეჟყვანა, რუმ სეფერ ბეგს კიდევ არ ძინავს. ცხენი დნბა ახორში და ევდა სახში. ევდა, რუმ მისი ცოლი გულმოსული სნეკვის. უთხრა ცოლს, რომ ჰელბეთ ეს, რაც მჟირს სეფერ ბეგიდან მჟირსო. აბა, ხმა არაფერი ამეჟლო და არაფერი მითხრა. რაც გაქ გულშივო.

შევდა სეფერ ბეგთან და უთხრა, რუმ სეფერ ბეგ, დაწეჟი და იძინე გემოზე, რომ მე ი ცხენი მოგიყვანეო. სეფერ ბეგი რას იძინებს, ახლა მაერე დერდი მაემატა.

გათენდა დილა. უთხრა თავის ცოლს იბრაჰიმ ბეგმა: აბა. დნბანიე ხელ-პირი ჩემ ძმასო. ქალმა დნბანია ხელ-პირი. მერე შევდა იბრაჰიმ ბეგი ოდაში. უთხრა, რუმ:

— ცხენი მოგიყვანე, ამა ამ ორსამ დღეს ვერ გიგიშეფე, ძრიელ მენატრები და ჩემთან იყავიო. სეფერ ბეგმა უთხრა:

— მე მაინც მივდივარ, ვერ გავჩერდები ერ საათსო.

— აბა, კარგიო, — უთხრა იბრაჰიმ ბეგმა. — მეც შევეტლები ცხენზე, გაგაცილებ ამ ქალაქს და მემრე დავბრუნდებიო.

წავლენ ორვეს ცხენებდა. გვედუნ ორი საათის გზა. მემრე უთხრა იბრაჰიმ ზეგმა სეფერ ბეგს:

— მეცაა ერთიო, შენო. წუხანდელი შენი საქმე ახლა რო-
გორ ვქნათო?

უთხრა სეფერ ბეგმა:

— აჲ ჩემი ხმალი, მომჭარი თავიო.

— ნო. — უთხრა, — როგორ მოგჭრი მე შენ თავსო? შენ ამას დაგვაღელე მეგო. რომ წადი ჩვენ ამზდელ მამასან (სადაც რუმ ისწავლეს); რასაც გეტყვის იგიო. გავაკეთოთ იგიო. აუხსენი სუყვე-
ლიმფერი ჩვენი ნაქმარი საქმეები, არ იყოს დამალული აფერიო.

სეფერ ბეგმა გასწია და წევედა ხაჯი უსუფთან. გახედა ხაჯი უსუფმა, რუმ მოდის მარტო სეფერ ბეგი.

— სეფერ ბეგო, — დუძახა ხაჯი აუსუფმა, — რუმ დაგინახე, ძალჲან გიმხარდა, ხემ ძალჲან მეწყინაო, რუმ მარტო ხარო. იბრაჰიმ ბეგი ცოცხალია თუ მკდარია, იგი მითხარიო.

— ცოცხალიაო. — უთხრა სეფერ ბეგმა. ხაჯი უსუფმა უთხრა:

— სხეა არათერი მითხრა და მემრე ღამეში მელაპარიკეგო.

მაგას სტუმრებიც ყავდა ბევრი ჭამეს იმ სტუმრების ერთათ და დაწოლის დროზე ხაჯი უსუფმა სეფერ ბეგი წეაყვანა თავის ოთახში, უთხრა:

— აბაჰ, მითხარი, შვილო, რა დერდი გაქვანო. რაც რუმ გადახტენ მაგინს, მუყვა და ელაპარია მაგი. რუმ დზოლავა ლა-
პარაკი,

— უჰ, რა ქნილა აგივო, — უთხრა, — რა მითხარი მაგივო?!

— რა ვქნა, მამავო, — უთხრა სეფერ ბეგმა, — აჲ, მომკალი შენი ხელითო!

— ო, რავარ შეიძლებავო? — უთხრა. — არ გაქ შენ ბრალიო. და ბრალი არის სულ ჩემიო იმიზა, რუმეგო, ჰელბეთ ვერ გას-
წავლე მეგო. შენ ახალგაზრდა კაცი ხარო, შეიძლება მემრე გახ-
ტები კაჲ კაციო და მე აღარ მინდა სიცოცხლეგო!.. გამეღლო მისი ფიშტო. უთხრა ხაჯი უსუფმა, რუმ ჩემი სიკტილი ჯობიავო და მეგკლა თავი.

დემანა ხაჯი სეფერ ბეგმა ავი, რალათ ვარგა ჩემი სიცოცხლე-
გო! — თქვა. გამეღლო მისი ყამა და იკრა მუცელში. მან თვითონ, მეგკლა თავი.

— ვინაა ამაში დანაშაული: ქალი, იბრაჰიმ ბეგი, სეფერ ბეგი, თუ ხაჯი აუსუფი? — ამთავრებს მომთხრობი ალალი ჩოგაძე.

3. გველეგი ხენწიფე

ერთი ბელყიაჲ ყოფილა. ერთი ხემწიფე შვილი ყოფილა. რაცხა ერთი აზრი უქნია და წასულა, ბევრი რამე ალაგები უმლია, სასიკტილო ალაგები და არ მომკტარა. ნიწაქვეშ წასულა რაძლანაირათ და იქ ერთი გველები ხენწიფე ყოფილა. ის უნახავს. გველები ხენწიფეს უთხრობია:

— შენ რაჲთ მოხველ აქავო?

— რაცხა დევკარქე და მუელი აქავო. გველების ხენწიფეს უთხრობია:

— მე არ მინდოდა შენი აქ მოსლაო.

— რატომაო?

— რატომავო და ადამიანი ჰილლექარია, მოლალატე. ჩემი აქ ყოფნა ადამიანმა არ იცოდა და შენ რომ მოხველი აქავო. რაცხა ლალატობა მომეწყობა მეგო.

არ გუშვა ბევრხან იქიდან, რუმ არ ევდეს დედამიწაზე და არაფელი მომიწყოსო ბევრხან შეგნახა მისთან. ბოლოს გოუშვა. წამოვდა და მივდა მის ქვეყანაში. გველების ფადიშაჰს ერქვა შაჰმერანი. თავი კაცისა ქონია და ნამსხმანი—გველისა. ერთი ძალჲან დიდი ნასტავლი კაცი ყოფილა იქ. იმას ქონია წიგნში:

ხემწიფე ყოფილა სულთან სულემანი და იმას ერთი ბეჰედი ქონია. იმ ნასწავლს დონეზია, რომ ი ბეჰედი გამეგლო სულთან სულემანიდანო. სულთან სულემანი კტარი ყოფილა დაწოლილი ერთ კილდეში. იქანა მივდენ იმ ნასტავლმა და ბეჰედიანდა გამეგლოს, მარა იმ ალაგზე ყადლი არ მივა, გემი არ მივა. გასავალი ზღვაა. ნასწავლს ქონია იმ წიგინში, რუმ ერთი ხე ყოფილა, რუმ იმ ხის ფურცელ მოწყვეტავ და ფეხქვეშ წეგვამ, ზღვა აღარ დიგიშვებს და მით უნდა მივდეს. იმ ნასწავლ კაც წიგინში ნახული აქ, რომ ერთი გველების ხენწიფეა, შაჰმერანი, და იმან იცის ი ხეო. ამ ნასწავლ კაც უნდა რამეფრათ ნახოს ვინმე შაჰმერანის მნახელი, რომ ი ხეს მიაგნოს, რომ წეგვას ხის ფოთოლი და გევდეს ზღვაში სულთან სულემანთან.

ბელყია რომ მივდა მის ქვეყანაში, რაც რუმ თავზე გადახტა, ილაპარაკა. ამ ნასწავლმა კაცმა იფიქრა, რომ თუ ნახული ყავს. ამას ეყოლება შაჰმერანიო. ამ ნასწავლმა დეამძობილა ბელყიაჲ. ნასწავლ ჰქვია ჰუყყაბი. უთხრა, რუმე

— მე მაქ გულში დიდი დერდი ჩაჭრილი და მაგას თუ იმიხსნიო — რა გინდაო? — უთხრა ბელყიაჲ ჰუყყაბს.

— შაჰმერანი მინდაო. — უთხრა, მარა შაჰმერანმა ბელუიას ფიცი ჩამჭართვა, რუმე დედანიწაზე არ გამამეღავენოვო.

— რათ გინდა შაჰმერანიო? — უთხრა ბელუიამ.

— რათ მინდაო და მე სულთან სულეჰმანთანდა მივდეო. იქ გემი და ყაღლი არ მივა. ერთი ხე ყოფილა. იმ ხის ფურცელს ვალესავ, ფეხქვეშ წყავამ, ზღვა აღარ დიგიშვებს და იმითადა მივდე სულთან სულეჰმანთან. ი ხე შაჰმერანმა იცისო.

— ვიციო, — უთხრა ბელუიამ.

— გიშველა ღმერთმაო, — უთხრა ნასტავლმა.

— გლახა ხომ არაფელიანა გუქეთო იმასაო. — უთხრა ~~ბელუ~~ციამ.

— არაო, ი შაჰმერანიდა მოგვიდო ზრუგშიო. მაშინ ხე ქვა, ფურცელი, ბალახი დეღლაპარაკებენ: მე ამის წამალი ვარ, მე იმისაო. თელი გვეცოდინებაო.

იგი იმ ხეს ეძებს მარტოჲ. ვინცალას ი ბეჭედი ექნება თითხე. თელი ქვეყნის სურჲელები დეღლაპარაკება მას და ყველაჲს უმფოსი იქნება.

წევდენ და ერთი სკივრი იყიდეს. იყიდეს კიდევ ორი შუშა. ერთში რძე ჩასხეს, ერთში — ღვინო. მეჲკიდეს და წევდენ იმ შაჰმერანთან მიწა ქვეშ. მივდენ იმ შაჰმერანის ნადგომ ალიგზე შორიანლოს ცოტა. დადვეს ის სკივრი სეგრეტათ. აღეს პირი სკივრის და ი შუშებს პირები ოულეს და იგინი დეჲმალნენ. შაჰმერანმა გამოვდა საგულავებლათ. რუმე შეხტა ამ სკივრს. ჩახედა, რუმ ორი შუშა, შიან. «ქო, რაჲა შუშები?» იფიქრა, დასუნა. გველს ყვარებია რძე. რომ დასუნა, რძე მოსწონდა და შესვა ი რძე. აბა, — თქვა, რომ — ეს რაა წითელი, ერც ამასაც შეესვამო. ისიც რომ შესვა, გაზარხოწდა და დეჲბნიდა. როგორც დეჲბნიდა, მოხტენ, ჩაღუეს იმ სკივრში, დუჲარეს კარი, მეჲკიდეს და წეღეს.

მეჲკიდეს ესე და სუყველამ — ბალახმა, ხემ, ფურცელმა ლაპარაკი დუწყო აგინს. ორმოც დღეს არუნიეს და მეორმოცე დღეს იმ ხი ძირში მივდენ. იმ ხემ დუძახა, რომ ჩემ ფურცლებ ვინცხა ფეხქვეშ წყავანსო, იმა ზღვა არ დუშვებს, ზეთ გეჲარსო — აჰ! ეს მინდოდაო! — თქვა ნასტავლმა და დადვეს ი სკივრი. გოშუვეს შაჰმერანი. მოკრიფეს ფურცლები, დანაყეს. წეღეს ფეხქვეშ და წევდენ.

შაჰმერანმა უთხრა ბელუიას, რომ ამ კაც არ წაყვე შენაო. შენ მილალატე, ჩემი პურ-მარილი ნაჭამი გაქ და მე ვერ გიგიმეტეფო. აჲ კაცი იქ უნდა მოკტესო. მაიღამაიც თუ წაყვები, ახლოს არ მიხვიდე, შორედან დადექიო.

მივდენ. უმ მივდენ, იმ სულთან სულემანს იმ კრაევოტ ქვემო
ერთი დიდი გველი ყოლია მისი დამცველი. რუმ მუვდა ნასწავლმა
იმ კრაევოტთან, გამოვდა ი გველი, უთხრა, რომ წადი აქედან,
თუბრა დაგწვავო. არ დაბრუნდა. დოუბერა პირიდან ცეცხლი და
დასწვა ჰუყუაბი: ბელყიამაც შეშინდა, დაბრუნდა და წევდა
სახში.

4. ლოყავარდა

იყო ერთი ცოლ-ქმარი და ცხოვრობდენ ერთ დიდ ტყეში.
კაცი სანადიროთ წევდა, ქალბ შიმშეთ იყო. ატყვიდა მუცელი.
ერთიც ხედავს, რომ გეახსნა დუშემე და ორი ხოჯა შეპოვდა.
ქალი მოალოგინენ. ერთმა დალოცა, რუმ გეაციენებს, ლოყიებიდან
ვარდები ვადმუცვინდეს, რუმ გეაარს ჯერნეთის ბალახი ეაქოჩ;
როსო და რუმ ატირდება, კურცხლებათ აღმასები გადმოცვინ-
დესო. მეორემ ხელებზე აღთუნის ბილეზული შეაბა და დალოცა:
ვინც ამ ბილეზულს შიადრობს, მისი ეხარალიც იგი იქნებაო. ცო-
ტად ხნის მემრე აე ხოჯაები გაქრენ, აე ბალანაე იზრდებოდა და
ლამაზდებოდა.

ერთ დღეს ფადიშაის კაცებმა გეაარენ ტყეში. გოგო ძრო-
ხებს აძუებდა, ააბანჯი კაცები რუმ დეანახა, გეაციინა და გეაქცა.
კაცები დაბეჩდენ: აე ვარდები და ბალახი რაფრათ გაითაო!
ემედენი ხებერი მისცეს ფადიშახს. ფადიშახის შვილი დელიყანდი.
დასაქორწილებელი იყო. ფადიშახმა დეანაშნა და წაყვანის დღეც
დათქვენ. ემედენი ლოყავარდაეს დედა ავათ გახტა და მოკტა.
ქმარმა იჟიქრა: ზათი გოგოს ვათხუფე, ამ ტყეში მარტო
რანდა გუძლოს და ერთი ქვრივი, ბალნებიანი ქალი ითხუა.

წაყვანის დღეს აე გოგო, ლოყავარდაე, აღთუნებში მოკახ-
მენ, სამი ლამე ტყეში იარენ, ფადიშონი ვერ უდგებოდა მევერ.
მეორე ლამეს დედინაცვალმა ჩადირი გახსნა ლოყავარდაეს დასა-
ძინებლათ. უჩუმრათ თვალები დათხარა და შუა ტყეში გავდო
ლოყავარდაე აღთუნის ურუბა მის გონჯ გოგოს ჩაწვა და გუ-
დგენ გზას.

ფადიშაჰის შვილმა იცნო, რომ აე ლოყავარდაე არ იყო,
მარა რანდა ექანდა. ფადიშაჰი ზათი იზინს არ აძლევდა რუმ
ეთიმის გოგო ქალათ ეთხუა. ერ დღეს ფადიშაჰის შვილმა ჰკითხა
გოგოს: ამდენს რომ იკრიჭები, რეაზა ვარდები არ გადმოგი-
ცვინდაო!...

— ვარდები ზამთარში მცვივაო,—მუატყუა გოგომ.

ლოყავარდაა ერთი კვირეა, რაც მარტო ზის ტყეში და ტირის, იმ ტყეში ერთმა ბერმა კაცმა გეჰარა. გუჰვირდა, — ახლმასებში რა ზისო. ახლოს მივდა, დეჰანხა, რომ დუნჰა გუჰელი ვოგო ტირის და ქორი თვალეზიდან ალმასები ეყრება. ბერმა კაცმა კითხა: რეჰა ტირი. შვილოვო?! ლოყავარდამ მუჰყვა მისი ამბავი. ამ ბერმა კაცმა ლოყავარდაა წეჰყვანა მის თაცხაში. იმ-ტონი ალმასები გაყიდა და გაზენგინდენ.

გეჰარა ზათხულმა, რთველმაც და ზამთარი დადგა. ლოყავარდამ ერთი გეჰცინა, ლოყიდან ორი ყირმიზი ვარდი გადმუჰარდა: მისცა მოხუცებულს და უთხრა: ჩემო ბაბავ, ფადიშაჰის ბახჩოვანში შეე და დეჰდახე: „ვარდი“ „ვარდიო“. იქ ერი გონჯი ქალი განჰა, ფარაზე რამდენიც არნდა გეჰაქროს არ მიყიდო უთხარი რომ თვალეზში ვყიდო, იგი ჩემ თვალეზს გამოგატანს და ვარდში მოქცემს და მეც ქორობიდან გადავრჩებიო.

წეჰლო ბერიკაცმა ვარდები და თვალეზში გაჰყიდა. მიყიდა ფადიშაჰის ქალს, მარა ქალი ფიშმანში ჩავარდა, მიხტა, რომ ლოყავარდაა ცოცხალი ყოფილაო. უთხრა დედამისს და გავზანა ლოყავარდაჰს მოსაკლავათ. დედამისმაც მოჰნდონა ლოყავარდაჰს მოკლა. ჰემ იცოდა ბილეზულის ამბავი. გადგეჰვა ფალჯი ქალის ურუბა, ხელში ქახალდი დეჰკავა და დეჰწყო იმ ტყეში სიარული, საცხან ლოყავარდაა დაჰარგენ.

ჰარა, ჰარა და მიადგა ლოყავარდაჰს სახლს და დეჰწყო: ძახილი: „ფალჯი“, „ფალჯიო“. ლოყავარდამ სახში შეჰყვანა და კარტი დჰყეჰვია. დედინაცვალმა ყველამფერი მუჰყვა მისი ამბავი და უთხრა, რომ ვითომ ფადიშაჰის შეილმა სიზმარი ნახა და მოგძებნოსჰაო. იმ დანეს განთია ლოყავარდასან, ბილეზული მოჰარა და გამეჰქცა. ბერიკაცი რომ დაბრუნდა, ლოყავარდაჰ კტარი დახტა. ბევრი იტირა, თვალეზი ჩუდგა, კაჰ თერბელული გუჰეთა და ზეჰდან თაბუთი დადგა. ყველ ღამე მოვდოდა ფერი ბალვი და სანთელს უნთებდა ლოყავარდას თავთან.

ფადიშაჰის შვილმა რომ დაბრუნდა სახში, ქალმა ვარდები ანახვა. ფადიშაჰის შვილმა იცნო ვარდები და ამის შემდეგ ტყე-ტყე დეჰწყო სიარული. ბელქინ ვნახოვო. ერთი ღამე ტყეში დარჩა და დეჰანხა, რომ რაცხა ანათებდა. მივდა და იცნო ლოყავარდაჰ. ბევრი იტირა, დილამდი დარჩა. მივდა ბერი კაცი და მუჰყვა ლოყავარდას ამბავი. ჰურის ბალვი ეხუტებოდა ლოყავარდას. ფადიშაჰის შვილმა იფიქრა: მოჰ და ამ ბალვს სახში წეჰყვანო. მართლაც წეჰყვანა სახში.

სალამოზე ბალვი ყვირილით სკივრისკენ გარბოდა, ქალები არ უშვებდენ, მიხდენ, რომ ჰურია და ბილგეზული უნდაო. ფადიშაჰის შვილმა გუხსნა სკივრი, ბაღმა რაეც ბილგეზული ეალო ხელში, გაჰქრა. ფადიშაჰის შვილმა ლოყავარდაჲს თურბელულთან მივდა. მივდა, რომ ლოყავარდაჲ ცოცხალი დუხტა. ფადიშაჰს ხებერი მისცა, რუმ ჩემი ლოყავარდაჲ ახლა ნომყავს და დამხდითო. მთელ დუნიაში ორმოც ღამე ქორწილი იყო. დედოფლის ადგილი ვარდებით იყო საფსე და გარებულ ადგილზე ჯერნეთის ბალახი დგებოდა.

დედინაცვალი და მისი გონჯი გოგო მუაკოქენ ცხენის კულზე და აქენენ მეგემ.

5. მათრახი

მეგემ ყათირიანი კაცი მოღის ქვევიდან, ცხენიანიც მოღის ზევიდან. ყათირიანმა გზაზე დეგნახა მათრახი ცხენიანს უთხრა:

— ჩამოდი ცხენიდან და ი მათრახი მომეციო.

— მე რომ ჩამოვდე ყათირიდანო, ველარ შეგვდებო, ჩემი ყათირი ნაჩარდაო.

ცხენიანმა ჩამოვდა, აწია მათრახი და აღარ მიცა ყათირიანს. თუ გინდოდა შენ ჩამოსულიყავი და ეგეწიავო. ყათირიანმა უთხრა: პირველი მე დეგნახევი და გითხარი და ახლა რატომ არ შეძლევი მათრახსო. როდესაც ცხენიანმა კაცმა არ მიცა მათრახი ყათირიანს, მაშინ მანაც ჩამოვდა ყათირიდან და იფიქრა: მათრახი ას მანეთ ღირს და თუ ყათირზე ვერ შეგვდები, ჯანდაბას იქითო, ხოლოთ მათრახი კი ავართვა ცხენიანსო და დუწყო კინდლობა, რომ მომეცი მათრახი, ჩემი დანახულიავო.

ამათ კინდლობაში მუსწრო ერთ კაცმა და შეგეკითხა: რატომ იკინდლებითო. ყათირიანმა უამბო კინდლობის მიზეზი და ცხენიამაც თავისი უთხრა. მისულ კაცმა გამოართვა ორივეს მათრახი და უთხრა, რომ ეს მათრახი მე მქონდეს, თქვენ მელაპარიკეთ თქვენ თავზე გადანახტუნები და მათრახი რომელსაც გეკუთვნის, ემას ჩაგაბარეფო.

დეგწყო ცხენიანმა მისი თავგადასავალი: ჩემი ბაბაი იყო ძალაჲს დიდი ზენგინი კაცი და დიდი ჭკვიანი. სამი ბიჭი ვყავდით და შვილებს გვითხრა: შვილებო, ჩემ სიცოცხლეში ქვეყანა მეფართ, რომ ყველემფერი იცოდეთ, რამე ნაკლი თუ დაგრჩენ, მე გეტყვით; როდისაც მოხვალთ. მიცა ჩემ უმტროს ემას ერთი თვე ვადა.

წევდა ჩემ ძმამ. სამი თვე გევდა და არ მოვდა. მერე როდესაც იმან არ მოვდა, შუათანა ძმას მიცა ერთი თვე ვადა.

— წადი, ქვეყანა მეფარე, ჰემ ყველიმფერ დეანახავ და შენი დიდი ძმაც მეფკითხე, სა წევდა ამდენ ხანსო.

წევდა შუათანამაც. სამი თვე იმისი გახდა, იმანაც არ მოვდა. დიდის ექსი თვე გახდა, შუათანასი — სამი.

მერე მომცა მე — უმცოოს ძმას ერთი თვე ვადა და მითხრა:

— წადი, შვილო, ჰემ ქვეყანა მეფარე, ყველიმფერ დეანახავ და ჰემ შენი ძმებიც მეფკითხე, სა წევდენო.

წიველი მე, ვიარე, ვიარე. ჩავეარდი ერთ ქალაქში, მიველდა დავუჯექი ერ ადგილზე, აფერი არ ვიცოდი, ხამი ვიყავი. ძალიანაც ძომემშა, ამ შიმშილზე ვფიქრობდი. გეგხედე ერთი კაცი: მორბის, ხეში უჭირავს პური და ხოცი. — სალამ, ალგიქუმ, შვილოვო, — მითხრა და მაჭამა პური და ხორცი. შემდეგ დამპაიჯა და წამიყვანა სახში, სახში, რომ მიველით, დუძახა: გოგუებოვო, შემოდით აქ. შემოვდენ გოგუებმა. მასვეს ყახვე და საკმელი მაჭამეს. იმნაფრი ლამაზი გოგუები იყვნენ, რომ ქვეყანაზე ისეთი არ იქნებოდა. ყირმიზი თმები წილზე ურტყმევდენ.

ჭანა-სმის შემდეგ გოგუებმა წივდენ მაორე ოდაში. მე რომ კაცმა მიმიყვანა, იმან მითხრა: ეს გოგუები არიან ერთი ჩემი გელინი და ერთიც ჩემი შვილიო. მე ბიჭი მომიკტა და უშვილო დავრჩი. შენ იმიტომ მოგიყვანე, რომ გიშვილო. ცოლათ გინდა გელინი ამეფრჩიე, გინდა ჩემი გოგოვო. მე დევეთანხმე და ვიფიქრე: ერთ თვეს ამასან დავრჩები, ჰემ ქალიც მიყოლება, ჰემ ქვეყანასაც დევნაავ, ჰემ ჩემ ძმების ამბავსაც გეგეფე, მერე დავტოვებ და გევეცევი, წავალ — ჩუმათ, ვფიქრობდი გულში.

როდესაც მე დევეთანხმე, მამამ დუძახა იმ ლამაზ გოგუებს. შემოვდენ და დადგენ კედელთან და მითხრა: რომელიც ვინდა, გემეფრჩიეო. მე უყურეფ გოგუებს და ვამბობ გულში: აჯაბ, რომელი გაიფრჩიო. ვორვეს ერთმანეთიდან ვერ გარჩევ, ერ ვაშლის ნაჭარ გავან. ვერ მიფხდი გელინი რომელი იყო და გოგო რომელი. დავადევი თითი — ამას ვირჩევ *მეთქინ. მეგემ გელინი მომიწიჯ ამის შემდეგ გოგუები ჩვენიდან წივდენ მაორე ოდაში მამამისმა წაყვა და შემომიტანა ემნები (წულები). მითხრა: ჩეცვი, სიძეე, ესენიო. მე ფეხზე ემნები წაკეცილი ჩევცივი. მე მეგონა — უნდა გამორჩეულ ქალთან შემავდოს ნეთქინ და მანიშანლოს (შემაერთოს), მარა მან მითხრა: კარგათ და მაგრათ ჩეცვი ემნებო.

როდესაც ემნების მაგრათ ცმა დევწყე, იმან ეზოში გეველა. რომ ჩაცვი, ეზოდან დამიძახა — განოლი აქო. ავდექ და გეველ, რომ ორ ცხენზე დუდგამს — ერთზე კეხი, მეორეზე უნაგერი. კეხიანზე შემაფლუმლა მე, უნაგირზე შეედა მან და მითხრა: ჰადღე. შევეკითხე: — ჰად მიგყავს ჩემი თავი? მან მითხრა: სულთან სულემანის მალარასანო.

— რატომ მიგყავარ მეტიქინ? მან მიპასუხა, რომ შენი თავი აქ იმითომ მიმყავს, რომ იქ სულთან სულემანის მალარაში არი ალთუნი და ი უნდა გასწავლო, მე რომ მოვკატები, შენ იცოდე და ჰამევეო.

წამიყვანა და წეველით. როდესაც მიველით იმ მალარასთან, ალო ერთ დიდ ყუას თავი და მითხრა: ამის შიან ჩიგიშეგებ ბაწროთ, ჰეგბასაც გაგატან. შიან რომ ჩახვალ, იქ არის ალთუნი. ჰეგბა ავსე, მომეცი და შენც ამოგიყვან, ედა წავალთ სახშიო, ჰემ შეასწავლი ამ ალთუნის მალარასო. ჩამიშვა შიან თოკვით, ვნახე, რომ გელჩექ არის ალთუნი. ავამსე ჰეგბა. მივეცი თოკვი და ეატანა ზეთ. ჩამომიდრო პაწაჰ პურის ნაგლეჯი და დედაზე დამაგინა, დახურა ყუთს თავზე და მან წეველა.

მე დავჩიი შიან დამწყრეჟლი, შიან მომემშა, ი პური შეეჰამე და სამი დღე გავძელი: მემრე ცოტა მალარაში შიან გევეარე, საჰმლის საეზნელათ, ვნახე, რომ აქ ჩემი უმფროსი ძმა სულ დამპალა, შუათანაც ნახეგრათ დამპალა. შიმშილს ვერ გჰძელ და ჩემ შჰათანა ძმას მოეწყვიტე ხორცი და მას ვჰამდი. ასე ამფრათ ერთი თვე დავჩიი მალარაში. მერაყიდან წვერი ერთი მტკაველი გემეზარდა. რა მეშველება, მეც აქანა უნდა მოვკატე.

ამაზე ვფიქრობდი. ასლა არსაიდან არ შეაძლებოდა. გავხედე, რომ ბნელში რაცხა ჰამის ხმა მომესმა. წაველი და დევწყე ხელის ცეცება. მოვიკიდე მელას კულზე ხელი, მეგემ ჩემ ძმის ხორცს ჰამს. როდესაც ხელი მოვიკიდე, მელამ გეჰქცა. მე კულიდან ხელი არ გჰშვი და გავყევი მას. მივლა ერთი პატარა ჰიტინაზე და იქიდან გაძრა. მე არ შემეძლო იმ პატარა ჰიტინაში გაძრომა. იქიდან დევნახე ცოტა სინათლე. შიან გევეარ-გამევეარე, ო ადგილი კარჰათ დევმანსოვრე, რომ არ შემშლოდა. მჰელი ჩემ კტარ ძმასთან, გამოვტეხე მას ძვალი, მივტანე ის ჰიტინაზე, ვთხარე ამ ძვლით და იმდენი გავთხარე, რომ იმაში გამოვძვერ. ცოტა ალთუნიც წამოვლე ჯიფით. მიველი იმ შეჰერში, ალთუნი მამეცი დალაქს და პირი. მეგპარსე, ტანისამოსიც გამეცვალე. ამის შემდეგ დავჯექ იმ ადგილზე, ჰადაც პირველად შესლის დროს ვიჯექ ამ შეჰერში: გავხედე, რომ ის კაცი კიდევინ მორბის. ხელში უჰავია პური და

ხორცი, რომ მოვდა, სელამი მომცა კიდევ. მე ვერ მიცნო, დაგი დაბლა დახრილი მქონდა. ის მეზნებოდა: რატომ არ მიყურებო. მე უთხარ, რომ შორიდან ვარ გადმუარდნილი და დალაღული ვარ, იმიტომ ვერ გიყურებ მეთქინ. მაჭამა კიდევ პური და ხორცი და მიმიპატიუა სახში იმ რიგათ, როგორც პირველათ და როდესაც მამორეჯერ მიმიყვანა მალარასთან, ალო ყუთს თავი და მითხრა, რომ ჩედი და ალთუნი ამოიღევო. მე უთხარ, რომ მე-შინია, ღრმა არი მეთქინ. თუ არ მიჯერ, მაშინ შენ ჩახედე, როგორი არი მეთქინ. იმან მიპასუხა: ნუ გეშინია ღრმა არ არის და გადახედა შიან. მე ამ დროს წიხლი ვკარ და ჩავაგდე შიან მალარაში და უთხარ: შენ ამხელა პატარა პურის ნატეხი გადმო-მიგდე და მე კი არაფერსაც არ გადმოგიგდეფ, შე წყეულო, ჩემი ძმები დიმილბე და ჩემ დალუმბვასაც ცდილობდი და დავახურე ყუთს თავზე. შევჯექ იმ ცხენზე და წამუელ.

მუელი მის სახში. გოგუებმა შეკრთენ და მითხრეს: მამა პად წევდაო? მე უპასუხე: მე გამომავზანა სახში და თითონ შეპერში გეჰარა. მან დამაბარა, რომ შენ სახში მიდი და სახლს ყური მიეც და მემრე მეც მუალრ. გოგუებმა იფიქრენ: ელბეთ მამაჩვენს ძოწონდა ეს კაციო და იმიზა გამუავზანა სახშიო და კარქათ შემბტენ. მე რომ ქალი ამევრჩიე, ი ჩემი გახტა. მემრე მისი გოგოც ხელში ჩევგდე. ამფრათ დავრჩი იგინთან ერ თვეს. რაც ქონება ქონდენ, შუჭამე, გუნდავე. მემრე შევჯექ იმ ჩემი დამლუმბველის ცხენზე და წამუელ. ეს ცხენი სწორეთ არის ჩემი ძმების დამლუმბველის და მე ახლა იქიდან მოვდივარ. ჩემი თავგადასავალი ეს არი. ვისაც ეკუთვნის მათრახი, აწიე და იმას მიეც. დამთავრა ცხენის პატრონმა.

ახლა დეაწყო ყათირიანმა თავის თავგადასავალი: მე ვიყავ დიდი ზენგინი, ალა კაცი. სადაც ყახვეში მივიდოდი, იქ მყოფ ხალხს თითო შუშა ყახვენს დავალევებდი. ერ დღეს ვზივარ სუფრაზე და ვალევებ ჩემ ამხანაგებს ყახვენს. მამორე სუფრაზე სხვა ხალხი ზის და ლევს ყახვენს. მამორე სუფრიდან ერთი კაცი მიყურებს და ჩემზე ლაპარაკობს: ეს ალა ძალიან კაი კაცი არისო, ჰანი ქალი ოროსპი ყავსო. აი სიტყვები მე მესმის, მარა გოჯა ჩემ ამხანაგებს ველაპარაკები და არ ვიმჩნევ. გევგონე თუ არა ეს სიტყვები, ყახვე ნახევრათ დასალევი დავტეიე შუშაში და ამხანაგებთან ბოდიშის მოხდის შემდეგ წიველი სახში. გზაში გამეგვარე ჩემ ხიზმეთქართან და დავაბარე, რომ ყირათი (თეთრი ცხენი) არვის მიცე, ხოლო ტორათი (წითელი) მიეციო. მიველი სახში და დევწყე ქალთან ყვირილი: რომ ვკტები მუცელი მტკი-

ვა მეთქინ. ქალმაც დეფწყო ყვირილი, ტირილი, ეს რა ანბავი დემემართაო, გულში ვფიქრობ, რომ ეს ქალი ასე თავს იკლავს ჩემთვის და ნეტავ როსპობას რაფრათ იზამსო.

დიმიგო ლოგინი და დავწევი. მანაც გეიძრო და დაწვა ჩემთან. მე გოჯა დევძინე, ჩემ ქალმა დიმიწყო ლეიძება. მე ხმა არ მივეცი, გოჯა მძინავს. რომ მიხტა ძინავსო, გამოძრა ლოგინიდან, გამოაძრო ბალიქვეშიდან წყლები. აწია ცოცხი და წყლები დნარტყა ცოცხს და უთხრა: ქალი გახტო. ცოცხი გახტა უსულო ქალი. შემომიგორავ ი უსულო ქალი ლოგინში და ჩამახუტა. მან გაძრა და წევდა. იმ წუთშივე წამოვხტი მე, ტან ჩევცვი და გამეკიდე უკან. მიველ ჩემ ხიზმეთქართან. მეგემ მისულა ჩემი ქალე მასან და ყირათი უთხოვნია და ხიზმეთქარს არ მწუცია, — შენმა კაცმა დამაბარა, რომ არვის ნიციეო. მიველ თუ არა, ხიზმეთქარმა მითხრა: შენმა ქალმა ყირათი მთხუა და არ მგეციო, მემრე ტორათი მგეციო. მეც გამუართვი ხიზმეთქარს ყირათი და გამგეკიდე უკნიდან ქალს. ყირათმა გზა იცოდა, თუ ჰად დადიოდა წინეთ ჩემი ქალი და პირდაპირ მიმიყვანა მინდორში ერთ დიდ სახლთან. დევნახე, რომ ჩემი ტორათი სახლი წინ დუბამს. მეც ჩემი ყირათი პაწაი ამოფარებული დავაბი. ნელ-ნელა შევალე კარები და შეველი ახლოდში. ფენჯრიდან შუჭიტინე ჩუმათ, დევნახე: ერთი სუქანი, დიდი კაცი ჩემ ქალს ყურიძირში ცემს.

— ჰად იყავ ამდენხანს, რატომ დანიშნულ დროზე არ მოხველო. ჩემი ქალი ებნევა: ჩემ კაცს დუბარებია ხიზმეთქარისათვის, რომ ყირათი არ მიცეო და ტორათი მომცა, რომელმაც გზა არ იცოდა და ამიტომ დაძიგვიანდაო. დიდი სუქანი კაცი ებნევა ქალს: გუხედეფ, თუ გელჩქე ტორათია, მაშინ კარქი, თუ არა და დაგგკლავო.

გამეგხედა დიდ, მსუქან კაცმა კარში. მე კარებს ამეფთარე. გედეფწია და გადახედა ცხენის დასანახათ თუ არა. მაშინ ყაძა ხაზირი მქონდა. დავარტყი კისერში და მოვჭერი კისერი. ამ კაცის თავი ჩავაგდე ხეგბაში, შევჯექ ცხენზე და გამეგქეცი სახში. შევტანე ხეკა და მიგკიდე ლოჯეზე. მე კი დავწევ ლოგინში იმ უსულო ქალთან.

ნახევარი სთის შემდეგ მოვდა ჩემი ცოლი გაწითლებული. გამეგლო ი უსულო ქალი, აწია ტყლები, დნარტყა იმ უსულო ქალს და უთხრა — ცოცხი გახტო. გელქეჩ გახტა ცოცხი. მემრე მან გეძრო და დაწვა ჩემთან. რომ გათბა ლოგინში, ალა, ალაგო, დიმიძახა და გამომალეცა.

მის ძახილზე მე გომა მეძინა და გამეღვიძე. მკითხა: მუცელი გტკივა თუ არაფო. მე უთხარ: კარგათ ვარ, ჰამა გლახა სიზმრები ფნახევი. მხოორე დღეს „ცოლთან კარქათ ვარ, გომა არაფელი ვიცი, ავდექი და ლოჯიდან ჩამოვლე ხეგბა და იმ კაცის თავი გუგოროვე იატაკზე. ქალმა თავი რომ დეგნახა, დეაკივლა: ჩემი შეყვარებული ამას დუქლავსო.

აწია ჩემ ქალმა ი წყლები, დამარტყა მე და მითხრა: პატარა ლეკვი გახდიო. გაეხდი პატარა ლეკვი. დამახტა და გადამაგლო ფანჯრიდან. იქიდან წეველი ერ ყასაბთან, რომელიც წინეთ ჩემი კაჲ ამხანაგი იყო. როდესაც ის საქონლის ძვლებს და წენწულებს (ნაწლავებს) ყრის გარეთ, იმას ვჰამდი და იმით ვცხოვრობდი.

ყასაბის ცოლმა უთხრა ყასაბს: იმ შენ აღასან რაჲთვინ არ მიდინარო. ადგა ყასაბმა და წევედა აღასან. მივდა, ფენჯერიდან შეახედა და დეგნახა, რომ ჩემი ქალი ერთ კაცის თავს ეხუტებოდა და დასტიროდა. იქიდან დაბრუნდა და მოვდა მის სახში. თავის ქალს უამბო აღას სახლში ნახული ამბავი. მაშინ ცოლმა უთხრა ყასაბს აღას თავგადასავალი და აჩვენა ის პაწაჲ ლეკვი და უთხრა: ი ლეკვი არის ჩვენი ნაცნობი აღაო. მე იმ წუთშივე გადავხტი ფენჯრიდან ოდაში და ქალს ფეხებზე დუწყე კოცნა. ჰკუჲ მქონდა, ჰამა ვერ ვლაპარაკობდი.

ყასაბმა უთხრა მის ქალს: ქალო, ამ ლეკვს რა უშველოთ ახლა, რომ ისევ აღა გაეხადლოთ? ცოლმა უთხრა ყასაბს, რომ შენ ხომ ყასაბი ხარ, წადი და შეიდი წლის ბერწი (უშვილო) ძროხა მომიყვად.

წევედა ყასაბმა და მეყყვანა შეიდი წლის ბერწი ძროხა. ცოლმა დაკლევია ყასაბს ძროხა, ადულა იმისი ქონი და ჩამაგლო შიან მე იმ ქონში. გამჟელი, ტიტველი, ძველი აღა. ჩეცვი-დეგხურე. მემრე ყასაბის ცოლმა მითხრა: წადი, შენ სახში და რომ მიხვალ სახში, შენი ცოლი ველარ გიცნობს. უთხარი: მაგ თავის-ხეჯრისათვინ, რომელსაც დასტირი, ცული მათხუე დღესთქვა. მაშინ ადგება ის და გამჟა კარში. ტყლები ბალიშქვეშ აქ, აწიე, დარტყი და რასაც ეტყვი, ის გახტებაო.

ამ დარიგების შემდეგ მიველ სახში და ისე მოვიქეცე, როგორც ყასაბის ცოლმა დამიბარა. როცა ცული ვთხუე, ის მაშინ წამოვდა გარეთ ცულისთვინ, მე ბალეშ ქვეშიდან ავწიე ტყლები, რომ შემოვდა ჩემი ქალი ოდაში, მაშინ დეარტყი წყლები და უთხარ, რომ ყათირი გახტიო და დედალი ყათირი

გახტა. ახლა მყავს საჯდომათ. იმისათვის ვერ ჩამუხელი ყათირი-
დან, რომ აღარ მაქდომლებს, რადგან ჩემი ყოფილი ცოლია.

ესა ჩემ თავზე გადანახტუნი ამბავი, ვისაც ეკუთვნის იმას
მგეცი მათრახიო, დნსრულა ყათირიანმა. იმ კაცმა აწია მათრახი
და მიცა ყათირიანს. თუ მაგრეა საქმე და აჲ ყათირი შენი ყოფი-
ლი ცოლი ყოფილა, მაშინ გეკუთნის ალა ეს ყამჩი შენ, რომ ცემო
მაგ ყათირსო.

6. შაჰზადე

იყო ერთი ფადიშაჰი, ჰყავდა ერთი შვილი მას. ამ ფადიშაჰს
ასტკივდა წელი. მაშინ დიდვანი ექიმები არ ყოფილან ჰექიმბაშები.
მუქუჭკავს ფადიშაჰს ისინი შვიდი-რვა და უთქვამს. რუმ ამ ჩემი
წელის წამალინდა მიშოგონ რამეო.

ფადიშაჰს ყოლია ორი ცოლი. ერთიდან შვილები არ ყოლია
და მმორეგდან ერთი ბიჭიშვილი ყოლია. პირველ ქალს უნდა
მმორე ქალის შვილის დაკარქვა. მასაც ნუ ეყოლება, რადგან მე
არ მყავსო. უთხრომია ექიმბაშებისათვის, რუმე თქვენ რაცხანა
რათ რამე მუხერხეთ და იმფერ ადგილზე გაგზავნეთ, რომ ცოც-
ხალი ნულარ დაბრუნდებო.

ექიმბაშები რომ მისულან და გუხსნიან ქითაბი და დუწყიან კი-
თხვა, უთქმან ფადიშაჰიზა, რუმ ამ კითხვაში ჩვენ მოგყვა, რუმ
შენ ვერ მორჩები აჲ წელი ტკივილიდანო, ამა ერთი არის ამა-
შიო, ის ძნელი საშუარია, თუარა მაგით მორჩებიო. ერთი ყირმი-
ზი ზღვა არისო. იქ არის ორი თევზი, რომელიც პარასკევ დღეს,
ზღვაში ერთი ალა არის და იმაზე ამოყოფენ თავებსო. იმას თუ
დეჟქერ, მეყვან, მაშინ გავჭრით და შემოგადებთ წელზეგო.

— ვინ მეიყვანს ამასო? — დჟეკითხა ფადიშაჰმა. — იმას მეყვანს
შენი შვილიო. სხვა სხვისთვის არ მეჟკლავს თავს და შენი შვილი შენ-
თვის კი მეჟკლავსო. დუძახა ფადიშაჰმა მის შვილს, უთხრა, რუმ,
შვილო, ჩემი მორჩენა თუ გინდა, წაჲ და ო თევზები მეყვანეო.

ადგა შვილმა და წვედა თევზების მოსაყვანათ. ჯარა, ჯარა
და მჲაწია ყირმიზ ზღვაზე. მივდა, გახედა, რუმ წყალში როგორ
გახვალ ახლა, მაშინ ნავიც არ ყოფილა. მას კარქი ცხენი ყოლია.
ჩაგდო ზღვაში ცხენი და წვედა თევზების დასაჭირავათ.
გვედა და დეჟქირა დასურ. ამა ო თევზები ნამეტარი ლამაზი ყო-
ფილა. მოჰყავს ცოცხალი თევზები ზღვაში და ფიქრობს, რუმ აჲ
ჰექიმბაშები რაცხას მატყუებენო. აქ რატუმ გამომგზავნეს, თუ წა-
მალი იყო თევზი, იქაც ბევრი იყოგო. ეს თევზები აწია და გადა-
ყარა ისევე ზღვაში.

დაბრუნდა და წამოვიდა კარიელი. დახლოვებით რუმ მოვიდა, დეკორა იქ ორი თევზი, მუყყანა სახში და იქიდან მომყავს: ეს თევზებო — უთხრა. თან ფიქრობს: თითონ თუ მიხტებიანო. გაშქრეს თევზი და ფადიშაჰს წელზე შამოადევს, იმ ღამეს ფადიშაჰს უმფრო უარესათ ატკივდა წელი. დუძახა იმ ჰეკიმაზებს და უთხრა, რუმ უმფრო უარესათ ამტკივდა წელიო.

ექიმაზებმა გაშალეს შათი წიგნი და დეფყეს კითხვა, რუმ რა ეწამლება ამასო, უთხრეს მაშინ, რომ ეს თევზები არ არიან ის თევზებო. შენს შვილს მუტყვილებია და ი თევზები არ მუყყანია, რომ მამა მუარჩინოსო. მაგას უნდა შენი სიკეტილიო. იფიქრა ფადიშაჰმა, რომ მე ამდენ თავს ვიკლავ მისთვის და იმას თუ ჩემი სიკეტილი დონებია, მოსაკლელათ ვერ გეგმეტებ და სადმე დავკარქავ, ჩემ ქვეყანაში, ჩემ ემეში ნულარ იცხოვრებსო.

რადანდა ექნა ბაღესა. ადგა, გასწია და წევდა მის ქვეყნიდან. ბევრი ჯარა; თუ ცოტა ჯარა, მიაწია, მან რუმ თევზები გადაყარა იმ ადგილზე. მიდის ძალჯან დაღონებული, აფხანაკი არვინ ჰყავს. იმ ადგილზე შეხტა სოთხმოცდათუთხმეტი წლის მოხუცებული კაცი. უთხრა ამ შაჰზადემ, რუმ ჩვენ დავაფხანაკდეთ და წევდეთ ერთათო. მოხუცებული ებნევა: შენ აფხანაკობას ვერ გამიწევ მეო. რასაც შეგვებთ, შტაზე თუ გამიყოფ, მაშინ გიზამ აფხანაკობასო, ებნევა ი მოხუცებული.

— კიო, უთხრა შაჰზადემ.

ადგენ და წევდენ ერთად. იმ დღეს იმუშავა შაჰზადემ და ედლო ორი ფარა. მოატანა და უთხოა მოხუცს: ა, მამავ, მეტანე ორი ფარავო. მოხუცებულმა უთხრა: წაა და მომიტანე ერთი ჩაქუჩიო. ესენი გავტეხოთ შუაზე და ნახევარი შენ და ნახევარი მე ეს ფარაო.

შაჰზადემ უთხრა: კო, ამას რატომ ტეხ! ერთი შენი იყოს და ერთი ჩემიო. — არა, მენდა შტაზე გავტეხო, ხომ გითხარი თავიდანაო! ამ შაჰზადემ იფიქრა, რუმ მე აწე ფულზე არ ვიმუშავებ, ასე თუნდა ვატეხოსო.

მხოვრე დღეს რუმ წევდა სამუშაოზე, ედლო მარტო პური. პური მომეცით და ვიმუშავებო. მეატანა პური საღამოს, გატეხა მოხუცებულმა შტაზე, ნახევარი მან დეკავა და ნახევარი მიცა იმ შაჰზადეს.

ადგა მესამე დღეს კიდევ შაჰზადემ. წევდა სამუშაოზე. გახედა, რომ ქუჩაში ყვირის ერთი კაცი: ვინც ფადიშაჰის გოგოს ითხოვს, ხუთას ოქროს მიცემს ფადიშაჰიო. იფიქრა ამან ხუთას

ოქროს თუ მომცემს, ჰემ გოგოს მომცემს, ამა რალა ჯობია-
ვო! მივდა და კითხა იმ მოხუცებულს, რუმ ასე ყვირის ერთი
კაციო.

— ვითხოვოთო — უთხრა მოხუცებულმა. წევდენ ორსავე
სათხარში. შაპაზადე ფიქრობს: ჰელბეთ ფულ ამას მივცემ და
ქალი მე დამრჩებაო. მივდა იმ შაპაზადემ და უთხრა, რუმ
მე ვითხოვ იმ ფადიშაჰის გოგოსავეო. და წაჰყვა თან იმ კაცს,
ვინც რომ ყვიროდა.

მიაწიეს ფადიშაჰთან, უთხრა იმ კაცმა ფადიშაჰს: აგერ არის
ბიჭი და დეიანახეთ, შენი გოგო ამანა ითხოვოსო.

ფადიშაჰმა უთხრა, რომ მიეცით ამას და ამეზლამ შეყვანეთ
ერთათაო, ფულიც მძეცითო. წეყვანეს ოთახში.

მოხუცებული ეკითხება ბიჭს: ვინ წევდეს ამეზლამ ქალთან
შენ თუ მეო. შაპაზადემ უთხრა, რომ როგორც იტყვი ისე ვქნათო.
მოხუცმა უთხრა, რომე ამეზლამ შენ შედი და ხეალ სალამ მე
შეგალო. შაპაზადე რომ წევდა ოდაში, მოხუცმაც გამძეკიდა უქნე-
დან. შეჰყვა მანაც. უთხრა ბიჭს, მე აქ ქვეშ დევმალები და ზქვენ
ლოგინზე დაწევითო. ვინცემ გოგოს ითხოვდა, იმ ლამეს კტებო-
და, ცოცხალი არ რჩებოდა. რომ დაწნენ ამათ და დეძინეს, ადგა
ამ მოხუცებულმა და დადგა თავზე, აგინს რომ ძინავენ, მაშინ რა
ჰკლავს ანასაო და დაშუყერია პირზე. ამ დროზე ქალის პირიდან
ამოდრა ერთი გველი, მოხუცს აქ მახასი. გუქნია და წაჰრა თავი
იმ გველს. ი გველი ასწია და ჩადვა მენდილში და დუწყო კიდევ
ყურება. შეხედა, რომ ერთი კიდევ ამოდრა პირიდან. იმასაც წა-
ჰრა თავი და ჩადვა მენდილში კიდევ. მემრე უყურა, უყურა დი-
ლამდე და არაფელი არ ამოვდა პირიდან.

გოგომ წამოხტა დილაზე, როდესაც გამძეღვიძა, ნახა, რომ
ბიჭი ცოცხალია. რომ გათენდა დილა, შუდგენ კარზე გარე-
დან: აბა მოგვეცი კტარიო. იცოდენ, რომ ყოველთვინ კტებოდა
კაცი.

გოგომ უთხრა, რუმ ცოცხალია ჩემი ქმარიო. იმ მოხუცე-
ბულმა ადგა და გვედა გარეთ. იმ დღეს იყვნენ იგინი ერთათ
გოგო და ბიჭი. სალამო რომ გახტა, დუძახა იმ ბიჭს მისმა ამხა-
ნაკმა: ხომ არ დაგავიწყდა ჩვენი თქმულებაო, ამელამ მე უნდა
დავწვე იმასთანავეო. ბიჭს რალანდა ეთქვა, წადი და დაწეკიო —
უთხრა. მემრე უთხრა მოხუცებულმა: აა, მივდივარ და წამოდი
შენაო, როგორ მე ვიყავი წუხელ, ისე ქენ შენაცო. წევდენ ორვე,
შევდენ იმ გოგოსან. უთხრა მოხუცემ, რომ ამელამაც შენ დაწეკი
და მემრე ორ ლამე მე დავწვები ერთათო. იმ ლამეს მოშურა თავი

მოხუცემ კიდევ ერთ გველს. იგიც გამოიკოჭა მენდილში. ასე სცო მოხუცემ რვა ღამეს.

მემრე უთხრა, რომ შენ იწეკი ახლა სულ მაგასან და რუმ წევყვანთ, მემრე სულ ვიწეები მეო. მემრე ამ ბალეს დედა რუმ იყო სახში, ნამდვილი დედა, იმან ტირილ-ტირილში დაქორდა და ფადიშაჰს კიდევ წელი ჰტკივა. ორი წელიწადი შემსრულდა, შაჰზადე რომ დაქარგული იყო. იქიდან იყო ერთი ვაჭარი და დეებარებია მისთვის ფადიშაჰს, რომ შეგბთენ, მაგი გამომიგზავნეთ ამ ქვეყანაში და რაც რუმ გინდანან, იმას დაგასაჩუქრეთო. იმ ვაჭარმა თითქმის მიაწია იმ შეპერში, ნახა შაჰზადე და უთხრა, რომ შენი დედა დაქორდა ტირილში, მიდი და ნახეთო. უთხრა ბიჭმა მოხუცს, რუმ წევდეთ ახლაეო. კიდევაც წამოვდენ. ფადიშაჰის გოგოც წამეყვანეს.

ფადიშაჰმა გამუატანა ბევრი გზითვი სამი ყათირით. მოვდენ, სადაც რუმ ი მოხუცებული დიემხანაგა მას. უთხრა მოხუცემ, რომ ჩვენ გავყოთ აქ შუაზე ყველიმფერიეო. დეაწყეს შუაზე ყოფა. მემრე უთხრა ბიჭმა: ქალი როგორ ვქნათ ახლაო! ნავაგჭრათ შუაზეო. ძალიან ნაგარი მოხუცი ყოფილიყო. ბიჭს ეშინოდა მისიდან. ბიჭმა უთხრა: ეს ბითევი, ყათირები, გზითევი რაც გამოტანებულია შენი იყენ და ეს ქალი დამითმე მევო. მოხუცმა თქვა რუმ ილლა შუაზე ვჭრიო. ამელო ყილიჯი. ამადა, შუაზე ვჭრი, რომელდა შუა, მითხარი და ნახევარ შენ წეაღებ და ნახევარ მევო. მიაკოჭა ხეზე ქალი მოხუცემ. დუღირაგა ყლიჯი, შუა ეს არისო და უდარებს თავზე. აჰა და გაგჭრივო და ხმალი წეალო ქალისაკენ. ამ ქალს გულს მუვდა შიშისაგან და წაღებია პირს, თან გამოჰყვა გველის დედო მუცლიდან. რუმ გამუარდა დედო გველი, უთხრა, რომ გუშვით ახლა, მე აღარ ვჭრი თავსავო. მე, თუ იკითხავო, ის მოხუცებული ებნევა, შენ რომ თეგნი დეაჭირე და გუშვი, ის ვარ მევო. იგინი ყველა შენი იყოსო და გადახტა წყალში. შვილმა მოვდა მის სახში მის დედასან და ჰამასან. ისინიც იქ დავტიე და წამტელი მას უქან სახში.

შუახევის რაიონი

7. ფადიშაჰის ბიჭი

ჰინდი ფადიშაჰი ყოფილა ერთი და ბიჭი ყოლია იმას. ფადიშაჰს ცხენი ყოლია ერთი, თეთრი ცხენი. შემედარა ი ბიჭი იმ ცხენზე და უსიარულებია. იმ ბიჭს ჰემდი ბეგი თქვიებია. ი ცხენი ყოფილა ფთიანი. გაფრენილა ი ცხენი. გუტორინდა, წეაყვანა აა

ახალგაზრდა ბიჭი და დაკარქა. წყევანა თიებზე და შორ ერ თაზე რომ დადგა ცხენმა, ჩამოვდა ამ ბიჭმა და ხემ დაღამდა. ცხენი გამეგბა გვერდზე, თავ ქვეშ ერთი კვა შამეგდგა და ღეძინა ამ ბიჭსა. გათენდა და ველარ გეგლვიდა ამ ბიჭმა.

ერთი სხვა ფადიშახის გოგო დამედარა ფადთონზე და თიებზე მია მოსამლელოთ. ღეგნახა ეს ბიჭი, ცხენი გამშებამს, თავ ქვეშ ქვაგ შამშლდვია და ძინავს. გადმოხტა ფადთონიდან ამ გოგომ და მივდა. მივდა და ყურში წმინდა ხმით სიმღერა უთხრა, ლექსი უთხრა. ამ ბიჭმა ვერ გეგლვიდა კიდევ. იმ დროზე ამ გოგომა თავქვეშ ქვაგ გამშლო. ბზიანი თორბა შამშლდვა თავქვეშ ბალიშათ. წინედამაც ერთი ქელლე შექერი ღშლდვა. ჩაჟდა ფადთონში და წევდა, როდისაც ამ ბიჭმა გეგლვიდა, ღეგნახა, რუმე თავქვეშ ქვა ქონდა, აღარ არი, ვინცხას ბზიანი თორბა შამშლდვია. წინედამაც ერთი ქელლე შექერი დვია. ამაზე ძალეან გული მშვდა, რუმ მე ასე დაკარქული ვიყავი და ჩემთან ასე ვინცხა მოსულა და წასულა, მე რატუმ ვერ გეგვევით. ამ დროში ადგა ამ ბიჭმა და ცხენს უთხრა: საცხადდან მომიყვანე, იქ წომიყვანე ისევო. შაჟდა ამ ცხენსა და გუფრინდა ისევ ცხენმა. მწყევანა თავის ოჯახში. მივდა, მარა აღარც სვამს, აღარც ლაპარაკობს ად ბიჭი. მამასთან მახარობელი წევდა, რომე შვილი დაკარქული ყავს და გამოჩინდაო. რომ არ ლაპარაკობდა, მანამ დანსია ჰაქიმები, ამა ყვრვინ ვერაფერი ვერ გუჟეთა, ვერ უშველა.

იმ ფადიშაჰსა ყავდა ერთი თავის კაცი, -- დელი მეჰმედსა ეტყოდენ. იმან უთხრა ფადიშაჰს, რუმე არ შეწუხდე, მე დავალაპარიკებ მაგასო. მაგას მე მეყყვან ჰკუაზეო. მივდა ამ ბიჭთან დელი მეჰმედმა. უთხრა ამ ბიჭსა, რომე, ბიჭო, რაფერ შეშლილხარ, ერთი ნადირობაზე წასლითაო რაფერ გადგარიეო. ხვალ მე წამყე და განახვეფ, ნადირობა რაფრათ უნდაო. მაშინ დეგლაპარიკა ამ ბიჭმა. რუმეო, ეგ, დელი მეჰმედ, დემეთხუე, ნულარ ლაპარაკობ ბევრსო. დელი მეჰმედმა უთხრა, რუმე, ბიჭო, რა დეგემართა, რა გჭირსო. ამ ბიჭმა უპასუხა, რუმე მე ამფრათ რუმე ცხენმა დამკარქა, ეგდა ვიწევი, დამეძინა, თავქვეშ ქვა მქონდა შემოდებული, ვინცხა მოსულიყო ჩემთან, კვა გამეგელო. ბზიანი თორბა შამეგდვა თავქვეშ. წინაც ერთი ქილლე შექერი დიედვა. მე თუ იმას ვერ შევტყოფ, შე არც სმა მინდა, არც კამა მინდა, არც სიცოცხლე მინდაო.

იმ დროში იმ დელი მეჰმედმა უთხრა, რუმე შენთან ერთი საყვარელი გოგო მოსულა და შენ ვერ გაგიღვიძია. ნიშანი ღშ-

ტევია შენტვინი, რუმე, ჩე თუ მომძებნი, მე ვარ სემერყენდი ბუ-
ხარაში. ვარ ფადიშაჰის შვილია. ასე უქნია იმ გოგოსაო: ამ
ბიჭმა უთხრა დელი მეჰმედს, რუმე მიშველე რამე, ჯადა მოვ-
ჯტე, ჯადა ი გოგო ენახო უნდათ.

დელი მემედმა უთხრა, რომე წადი, მამაშენიდან ფული ეა-
ღვი, წიგყვან და განახვეფო. მივდა ამ ბიჭმა, წამედლო ფული,
შეედენ ცხენებზე და წევდენ. მივდენ იმ სემერყენდი ბუხარეში.
ერთ მალაზონთან მივდენ იმათაც და დადგენ იქა. მემრე ამ დელი
მეჰმედმა უთხრა ამ ჰემდი ბეგსა, რომ წადი და ერთი ოქროს
მჭედელი მეყყანეო.

მეყყანა ოქროს მჭედელი იმ ბიჭმა და ამ დელი მეჰმედმა
უთხრა, რომე შენ ერთი ორი ყაპვის ფინჯანი ოქროს უნდა გი-
მიკეთოვო.

წევდა, გაკეთა და მუტანა. დელი მემედმა უთხრა: ეს ახლა
წევლოთ და ფადიშახს ვარუქვოთ ესაო. წევდენ და მივდენ იმ
ფადიშახთან და არუქვეს ეგა. ახლა ფადიშახმა უთხრა მოსამსა-
ხურაგებს, რუმე წეყყანეთ ეს კაცები ხაზინაში და რაცხამეთი ფული
უნდებიან, იმტონი მიეციეთო. ამ დელი მეჰმედმა უთხრა, რუმე მე
ფული არ მინდა, ფულის მეტი რა მაქ მეო.

— აბა რა გიყოთო?

— მეგო ვარ ერთი დიდი ვაჭარი, დიდი ფულის პატრონიო.
შენიდან მინდა პატრონობავო. ფადიშახს დუჩივა, ამა რაფერ
პატრონობავო. იენცხამ რუმე რამე წამართვას, იგი უნდა მიშგო
და ჩამაბაროვო.

ჩამუართვა ხელწერილი. ადგენ და მივდენ იმ მალაზონთან
ისოვ. დუძახეს იმ ოქრომჭედელს. უთხრეს, რომ ერთი ოქროს
ლეგენი, ერთი ოქროსი იბრილი გიმიკეთეო. წევდა გაკეთა ოქრო-
მჭედელმა აგინი და მუტანა.

— ესა ფადიშახის გოგოს ეკადრებავო—უთხრა დელი მეჰმედ-
მა. მუტანოთ და ვარუქვოთო. დუძახეს იმ მალაზონსა და მას გატანეს.
უთხრეს, რომე ეს მუტანე შენა ფადიშახის გოგოს და კითხავს,
რუმე ამას ფასი რა აქო. მაშინ უთხარი, რომე ამის ფასი აფერი
ორა, მეფია ესა. ერთი თორბა ბზე და ერთი ქელლე შექერია ამის
უასიო. მაშინ იმ გოგომაც თითზე იკბინა. დუძახა მოსამსახურე
გოგუებს, წადით თქვენა და გულშამ ბოლჩაში, შევთელ ხიდამ
შვიდი ჯოხი მოჭარით და მეტანეთ. შვიდმა გოგომ დნარტყით
ჯოხი ამ მალაზონს, გარბენდეთ იმ გულშამ ბალჩაში, გარონიეთ
იმ ხიძირში და წყლი გზით გადენეთო. მოსამსახურეებმაც ასტე
ქნეს. მივდა ტირილით ამ მალაზონმა დელი მეჰმედთან. მობრუნ-

და დელი მეჰმედმა და უთხრა ამ ჰემდი ბეგს: — ეს რა თქმა არი, იცი, ხემდი ბეგ?

— ეს ის თქმა არი, რუმე სათის შვიდზე, წყლი გზიდამ, გულშამ ბახჩაში, შვეველ ალაჯის ძირში მოდი, იქ მუალ და განახავო.

ადგენ, წევდენ და მივდენ იქა. უთხრა დელი მეჰმედმა იმ ბიჭსა, რომე აგერ, შენთან უნდა გოგო მოვდეს, მე გვეალ იქით და თქვენ ნახევით ერთქვანები და ლამაზათ იყავითო. ახლა ამ ბიჭსა მეგემ არ დეძინა კიდევ! მივდა გოგომ, რომ ბიჭს ძინავს, ყურში კიდევ დაბალ ხმით სიმღერა უთხრა. ჯიფეში დაშაქრული ლელი ჩუდვა, გეარა, წევდა.

მოვდა დელი მეჰმედი იმ ბიჭთან, უთხრა, რომ, ჭოვ, რა ქენიო. — არ მოსულაო, უთხრა ბიჭმა. დელი მეჰმედმა უთხრა: შენაო ის რაცხას ნიშანს დიგიტედა, მუძებნა და ნახა ჯიფეში დაშაქრული ლელი.

წამეყვანა ი ბიჭი ისევ, მოვდა იმ მალაზონთან და დუძახეს ოქრომჭედელს ისევ და გაკეთებებს ოქროს სავარცხალი. გუგზანეს კიდევ ფადიშაის გოგოს ამ მალაზონის ხელით. მემრე დუძახა კიდევ იმ გოგუებსა, იმ ფადიშაის გოგომ, — წაათო და ოთხი ჯოხი მეატანეთ იმ გულშამ ბახჩიდანო. ეს მალაზონი ცემი-ცემით გადენეს იმ წყლი გზით. მივდა ტირილით ამ მალაზონმა დელი მეჰმედთან. მუახსენა დელი მემედს, რუმე ამფრათ და ამფრათ იყოვო.

უთხრა დელი მეჰმედმა ბიჭს, რუმე ახლა უნდა წევდეთ სათის ოთხზეო. ადგენ და წევდენ. მივდენ იმ ხი ძირში. დაჟდენ და დელი მეჰმედმა აწია და ფული მიცა ამ ბიჭს, რომ მე დამეკარქვის და შენ ლამაზათ შეინახე. ამმეტი ფული არ გვაქ. ასი ოქრო ჩაბარა და დათლაში ოთხი მოპარა. წევდა. ამ ბიჭმა დარჩა იქა და ძილი მუვდა. მუაგონდა, რომ ეს ფული არვინ წამართვას, თუარა დელი მეჰმედი მომკლავსო. ამეალო, დათვალა, რუმე ოთხი აკლია. ჭო, აჰ რა დემემართაო, ამაზე გუტყდა ძილი.

ამ ხანში მივდა გოგომ. გოგო და ბიჭი მეყარენ და ამ ხანში მოვდა დელი მეჰმედმა. გოგო გალახა და გუქცია. პაწაყცყიმი წვერები წასო. იქილამაც აჰ ჰემდი ბეგი წამუაშუუნლა და გამუაქცია. მეყვანა მალაზონთან და იქიდან ისროლა თოფი, გაჩინა ყვირილი, მოსვარა თელი ქვეყანა. თქვა, რუმე დემეცენ და ფული წამართვესო.

გეგო ფადიშახმა და შამუსია ჯარი ამ გოროტს. ეძებს ამ ფულის გამტაცენლს, მარა ველარ იშვეს. ამაზე შეწუხდა ფადი-

შაჰმა და შევედა თავის სახლში. თავის ქალმა უთხრა, რომე რეაზა ხარ შეწუხებულიო. უთხრა, რუმე მე ერთ ვაჭარზე მიცემული მქონდა ხელწერილი, რომე ვიზოვო იმ ფული წამლებელი და ჩემბარებია უნდა. გოგომ მაშინ მიხტა, რუმე მე რომ გამლახა და დამჭრა, მეგემ ამ საქმეზე ყოფილაო.

დედას უთხრა, რუმე მე გავაკეთე ეგა, მე წავართვი იმ დელი მეჭმედს ფულიო. ამ დროზე ფადიშახსა გუხარდა ესა, დეაქირა გოგო და ჩაბარა დელი მეჭმედს.

ამან მოყარა გოგო და ბიჭი ერთათ. სამ დღეს უჭან მივედა ფადიშახსმა, ქალმა უთხრა, რუმე ჩვენი შვილის მეზელოლი გვანახეო.

უთხრა იმ დროზე, რუმე ერთი შამობძანდით, თითო ფინჯანი ყაპვე დიმილიეთ და სერე წევდეთ მეზელოლზეო. შეაყვანა ესენი ოდაში და შევედა. გოგოს და ბიჭს უთხრა, რომე კაა ლამაზი, შეენიერი ყაპვე განზადეთ, შამოფთ და ჯერ მამა მეაქითხეთ, მემრე დედა, მემრე მის შემადგენლობა ფადიშახის. გამეატანეთ მემრე და ყაპვე დაღვევითო.

მეაქითხეს ისინი, შეატანეს ყაპვე და დაღვევის. მემრე ამ ფადიშაჰმა გედეარია, რომე ეს რარი, რა საქმეაო: დელი მეჭმედსა უთხრა, რომე ეს ბიჭი დაკარქული იყო, შენმა გოგომ ამადა ამ თაზე ნიშანი დუღვა წინ. ეს ბიჭი არი ჰინდი ფადიშაჰს შვილი. ეს გოგო არი შენი და მე ამდონეთი ვიშრომე, რომ ეს გოგო და ბიჭი მოყარე ასე ერთათ. ახლა კაცობა შენთან არი, გინც მადეცი და გინც დატევაჲ.

ამაზე იმ ფადიშაჰმა მობრუნდა და ორმოც დღე-ღამეს ქორწილი ქნა. მემრე გატანა ბიჭსა გოგო.

ერთი ცხენი, ორი კვიცი,
ამის მეტი აღარ ვიცი.

8. ასლანის უშილი

ერთ ფადიშახს მეგემ შვილი ყოლია პატარა. იმ ფადიშახს სიზმარი უნახავს: რუმე აჲ გაღმა თურბელღებში სამი სული რომ წევან, შუაში რუმ სურაელი არის, იმან უნდა მოგკლას, უნდა გაგათავოსო გავზანა ნაგან ჯენდერმიეები: მიდით, რუმე იმ თურბელღებში რამე სურაელი არი თუ არა იქავო.

მივდენ ჯენდერმიეებმა, ნახეს, რუმე ერთი ქალი და ერთი კაცი წევან; ახალი ბალვიც უწევან შუაში, იმ ღამეს დუნაზე

მოსული. დეჰკავეს ესე და წამეყვანეს, მეყვანეს ფადიშახთან. უთხრა ფადიშახმა, რუმე ნურსათ ნუ ხარებით, მე პენციას დიგობამ და იმცხოვრეთ ჩემთანო. იგინიც იყვენ თხუარები. დაჟდენ და სამ წელწად გაჩერდენ. სამ წელწად უკან ფადიშახმა უთხრა, რუმე ე ბალვი მომეცით მე, სასტავლში მრევემ და კაცათ გამეყვანო. ბალანაჲნდა დაკლას ახლა. ქალმა უთხრა, რომ კაცო, ფადიშახი ბალანას გთხოვს, უნდა მივცეთ, ჩვენც ვიმცხოვრებთო. აწიეს და მიცეს ბალანაჲ.

ასწია ფადიშახმა ი ბალანაჲ და მისცა ჯელღეთებს. დაჟედეს დიდ ჩეჰმეჰაში, დაჟედეს ზედან კარქა და უთხრა ფადიშახმა, რუმე ეს წეყვანეთ და ჭოროხში ჩაგდევითო. ამ ჯელღეთებმა წეყვანეს, მრყვანეს ჭოროხი პირზე. შაჰებრალენ ბალანაჲ. ბალანაჲ ძალვანი ლამაზი იყო. ხემწიფეს ნაბძანები ხონდა, უმ დაკალით და ისე ჩაგდეთ ჭოროხშიო. არ დაკლეს, ჩადვეს შიან, დაჟედეს კარი და გეჰქნიეს წყალში და უთხრეს წყალს: შენზე ამანეთი მოგვინდვიაო. წყალმა არბენია, არბენია და ერთ ქენერში ი დაშიკი მიაგდო. ჯელღეთებმა დაკლეს ერთი მამალი, ბალნი პერანგი დასვარეს და მუტანეს ხემწიფეს, უთხრეს, რუმეგო ბალანაჲ დაჟკალით და ჩავაგდევით წყალშიო.

ი ბალანაჲ რომ ყუთში იყო და მიაგდო ქენერზე წყალმა, მეგემ იქ ასლანი ცხოვრობს და ბარტყები ყავს. ასწია ამ ასლანმა, წეგლო და მის ბარტყებთან დადჰა ი ყუთი. გახსნა, რუმ ბალანაჲ ცოცხალია. ასწია და, როგორც მის ბარტყებს უვარებოდა, ისე მჰვარა იმ ბალანასაც: აწუა ძუძუ ბალანასაც და მის ბარტყებსაც. ი ბალანაჲ გახტა დიდი კაცი იმ ასლანთან. ისეთი ძრიელი გამოვდა, ისეთი, რუმე ამ სახლს რუმ მოღდებს ხელს, გადაღმა ბაზარში გადჰუშვებს.

იმ ფადიშახს რუმ პატარა ბალანაჲ ყავდა, იმან ადგა და სანადიროს წევდა თავისი ესკერით. მივდა იმ ასლანის ბარტყებთან. ვნახოთ, რუმ გამოხტენ და გეჰქენ. ასლანის ბარტყებმა განწრენ და მაგან ვერ განტრა. დეჰკავეს ისა. დეჰკავეს და წეყვანეს თავისმა ჯარმა. იმ ფადიშახის შვილმა თქჰა, რუმ დღევანდელი ნადირობა ყველამფერს მირჩევნია, არც დათვი მინდა და არც ძროხაო; მე ასლანის შვილი დევკავეგო.

სახში რუმ მრყვანა, მიცა მექთებში, ასტავლა, ასჰა, აქამა და, ყავს ძმათ.

ერ დღეს გეჰარეს წყალზე, რუმე ერთი ნენეჲ ბარდალით წყალს ამსობს. ი ფადიშახის შვილმა აწია პაწაჲ ქვაჲ, გეჰქნია და ბარდალზე შემოკრა; მოხტა და გატყდა ბარდალი.

დედაბერმა მობრუნდა და ხელის აწევით დაწყევლა, რუმ შვილო, ვერ გიგიმეტებ სასიკტილოთ! იმას უქნიდან ერთი ყაფტალი ყოფილა. იმას უქნიდან ვორმოცი დივი ცხოვრობს მეგემ. უთხრა დედაბერმა, რუმე შენაო, იმ ორმოცი დივის დაზე სეგდალი გახტეო.

იმ ფადიშახის შვილმა ი ქალი ნახა სიძმარში. ადგა დილაზე და დეეკარქა კქა თავში ფადიშახის შვილს. თქვა, რომ მე მივალ იქა, მეანდა წევდევო. მამისმა (ე. ი. მამა მისმა) არ ქნა: ვერ წახვალ იქაო.

როდესაც ასლანის შვილმა ძმა გუხტა, უთხრა რუმ შენ ფადიშახი ხარ და ახ საქმე რუმ არ მუაგვარო, არ იქნებაგო. შენ გიმიკეთე მე ორმოცბათმანიანი გურძი, იმიდაგვარი ფარიო. გუკეთა ისინი, ცხენიც მიცა, ყოლიფერი და გუშუვა. შეედენ ამ ორმა ძმამ ცხენებზე და წევდენ:

მარეს ერ დღეს მარეს მეგორე დღეს, მესამე დღეს ნახეს, რომ ერს ალაგზე ფუტი ამოდის მაღარაში. იმ ასლანის შვილმა უთხრა, რუმ შენ დადექ აქავო, მე ავალ და წევხედავ, რუმე რა ამოდის ი ფუტივო. მივდა, წუხედა, რუმე ნახა ვოზდახუთთავიანი დივი. კიბილები გალაწუნა, რუმე «სადილი მომივდავო». შეჭამოს უნდა.

— შენზე მე ხმალს არ გამეველეფო, მუშტით ჩაგამტრევე კიბილებს, ორმოცი დივის გზა ჰად არი, მასწავლეო. ძმებმა არიან ორმოცი დივიო, — უთხრა ასლანის შვილმა.

— მე არ ვიციო, — უთხრა დივმა, — მე ორასი წლისა ვარ, ჩემს იქით ძმა არი, ის ხუთასი წლის არის და იმა ეცოდინებაგო.

გასწიეს ცხენები, მივდენ მის ძმასან. გახედა ასლანის შვილმა, რუმ ორმოცთავიანი დივია. იმასაც შამუყვირა: გამოჯ კარშიო, სად არი ორმოცი დივის გზა, მასწავლეო. იმანაც გალაწუნა კიბილები, რუმ სადილი მომივდაო.

— სადილს გასწაველი მე შენაო! რომ შემოგკრავ ყური ძირში, როგორც რუმ ნიორი, ისე გაგხდიო. მასწავლე ჩქარა ორმოცი ძმა დივის გზაო. გამოჯდა და ასტავლა:

— ა, იქ არიო. გახედეს და დეანახეს ბედენი იმ დეეებისა.

იქიდან სამი თვის გზა გევედენ. მივდენ, რუმ დაყრილია კარები, ყარაულებია, შით ვერვინ შევა. უთხრა: კარი გამილეო! არ გულო კარი. ასლანის შვილმა მოკიდა ქლიკებზე ხელი, გა-

თხრიშა და ერთი იქით გეჟქნია და ერთი იქით. შევდენ შიან, ბალახში დაწვენ: ერთი შევსვენოთ და დევძინოთო. კიდევაც იძინეს. მათ ძილში დივებმა სული იკრეს: ინსანი შემოგვეპარა ვინცხაჲო. გამოვდენ კარში და უმფოსმა ძმამ გუხედა დურბელით. რუმ იქ დეანახა; თქვა, რუმე იქ ორი სული წევან, მარა ერთი აფერიაო, ერთი იგითიაო. გავზანეს პატარა: ძმა: მნ, ნახე, დეჟავე და მეჟყვანე იგინი აქანაჲო!

პატარა ძმაჲ რომ მივდა უთხრა: რაჲზა შამოსულხაროთ აქავო? დეჟაჲვა ასლანის შვილმა პაწაჲ, ძმაჲ ქვედა ჩიჩვირები მოჭრა, ზედა ჩიჩვირები მოჭრა, ყურებიც მოჭრა და გავზანა უკან: წაჲ ახლაო! გახედა დიდმა ძმამ, რუმე ჩვენი ძმა მოდის და იცინისო. მივდა, რუმ ჩიჩვირები აქ მოჭრილი.

— ახლაო თქვენ იყავით და მე წავალ იქავო, — დიდმა ძმაჲ უთხრა. ფეხლივანია ისა.

წევდა: მივდა და შეატაკენ ასლანის შვილმა და დივმა. წამეღლო და ზეჲა ძირში ასლანის შვილმა. დაწვა გულზე.

— დაგკლავო? მე შენთან საჩხუბრათ არ მოვსულვარ, რეჲზა მეჩხუბებო? — უთხრა ასლანის შვილმა.

— აბა კარქი, ბატონოვო, წამობრძანდითო.

მწყვანა სახში და ძმებს უთხრა: დადექით თქვენ, მე საქმე მაქ ამათთანავო. ეს იმფერი ჩამს, ვორმოცმა რუმ ერთათ ვეჩხუბოთ, დაგვამარცხებსო. იმფერი ბესი დუღვათ, რუმ გევგოთ, დაგვამარცხებს თუ არაო. დაკლეს შვიდი „დოხაბური“ ხარი, ჩაყარეს ქვაბში, დადვეს ისე და საჯიალიც დადვეს ისე. უთხრა: ეს ქვაბი თუ საჯიალზე ეატანე, ჩვენ დას მოქცემთო, თუ არადა არაო. იმან ჩევდა, ნეკი თითები გამწყარა ქვაბს ყურებში და სამჯერ ეატან-ჩამეატანა, ხელეები არ გუყრია. დივებმა თქვეს. რომ ჩვენ ორმოცი ძმა ხელკეტებს გუყრით და ანჯახ ევტანთ და მაგან ნეკი თითებით ეატანა, ჩვენ რაჲნდა უშველოთ, ყველას დაგვამარცხებსო! ასწიეს და მისცეს. დეანახა ქალი ხემწითის შვილმა, სამ დღეს იქ დარჩენ. სამ დღის უკან დივებმა უთხრეს, რუმე ამ ტრეფიდან — სამხრეთიდან ზორი გვაქ: ერთი დივი გვეჩხუბებაო. იმან უთხრა, რუმე მე მოგაცილვებ მაგასო.

ი დატია ქალთან, ადგა და წევდა თვითონ ასლანის შვილმა. მივდა დივის ყონაღზე. მივდა და მოსიგრულია ისე, რუმე შიან შეხვალ, ქვა გახტები. მივდა, რუმ მეგემ თელი დიდვანი ფეხლივანლები გასიგრული, ქვა გამხტარი არიან. გაჰქნია გურძი, გახტა ქვა მუხლამდი; მეორეთ გეჟქნია, წელამდი გახტა ქვასავეთ. მაშინ იფიქრა, რუმ ზათი გათავდა ჩემი საქმე და ერთ მესამეთათ გევ-

ქნევ და იყბალა, რა იქნებაო. მესამეთ რომ გეჟქნია, გეჟხსნა ო სიგრი, მორჩენ ო კაცები და გეჟქცენ შინათკენ. იმან პირდაპირ დივის ყონალზე მივიდა. შეედა ყონალში, რუმ სამი გოგო ზიან იმისთანაჲ, რუმ როგორც თუარე. გოგუებმა უთხრენ:

— აქ რეჟა მოხველ შენ, ახალგაზრდაჲ? შენ ბრალი, ხარ დივი შეგჟამსო!

— ო მე ვერ შემჟამსო, სადაა დივი, მაჩვენეთო! — უთხრა ასლანის შვილმა. უთხრეს გოგუებმა:

— ო დივი აგერ ოდაში წევს, ძინავს. დაწვება სამ დღეს არ გეღღვიძებსო; აღგება სამ დღეს არ დეჟძინებსო.

— მაჩვენეთ ერთიო! — და წეჟყვანეს ოდაში გოგუებმა.

გოგუებმა რუმ ოდაში შევდენ, დივის სუნთქვამ გოგო წა-მეჟტაცია, წეჟლოს ანდა მის პირში. ამან ქოჩორზე მოდჟა ხელი, დჟკაჟა და გეჟყვანა გარში. წჟადი ახლა შენაო!. მოზრუნდა, მივ-და; მისი ყლიჟი დნტოლა, რუმე არ გუწდა (ორმოცი თავი ქონია მეგემ დივს) დივის ყლიჟი ჩამეჟლო, დნტოლა, რუმ გუცდა. გუცდა და შამჟუძახა:

— მე არ მოგკლავ ისე კაცსაო. გეიღვიძა დივმა, გალწუნა კიბილები იმანაც.

— შენაო ჩაგაგდოანდა ჩემ მუცელშიო! — დივი ებნეჟა.

— შენ ვერ ჩამაგდებ მე მუცელში. თითი ასწიე და თქვი, რომ ღმერთი ერთიაო.

რუმ არ დაჟყა სიტყვაზე დივმა, შამოკრა მაშინ ხმალი, დნ-რტყა და ვოზდაცნრამეტი თავი ერთქან მოჟრა, ერ დარტყ-მაჟ. ერთი თავი დარჩა. იმ ერ თავიდან დივმა დეჟლაპარკია:

— თუ იგთი ხარ შენაო, ერთი კიდეჟ დამარტყიო. — მეგემ რუმ დნრტყას, გაცოცხლდეს უნდა!

— მე ჩემ ანას მუცლიდან ერჟელ დეჟებადე, ორჟელ არაო. თუ წამალია, გეჟოჟაო.

შუხტა იმ დივმა, დეჟცა, გასკტა და მოკტა ის გოგუები ასწია და წამეჟყვანა და ორმოც დივთან მეჟყვანა. მეჟყვანა, რუმ რას მეჟყვან: სალადაა ხემწიფის შვილი. ხემწიფის შვილი ძირ და-წოლილა და ველარ დეჟება. ქალი აღარ არი: მჟტაცნიან. ამ ასლა-ნის შვილმა რუმ წეჟდა დივთან მოსაკლელათ, იმ ორმოცმა დივმა აღგეს, სანადირაოს წეჟდენ, უთხრენ ხემწიფი შვილს: ყველგან ჰამე, სვი, მარე, მარა იმ ოდაში, მეგორმოცე ოდაში არ შეჟხე-დოვო!

მეგემ ამ ხემწიფიშვილმა, იგინმა რომ წევდენ, იფიქრა, რუმ რა აქვან ამ მეგორმოცე ოდაშიო? მივლა და გატეხა ბოქლონი, შევლა. გახედა, რომ ერთი თუარესავეთ ბიჭი მისი ქოჩორით დაკიდულია თავანში და პორწილობს და არი. რავარც შეახედა, უთხრა: აჯიდი, შენ ინსანოლლიო, კაცის შვილი ხარო. რა იქნება, ვადამარჩინო აქედანავო? წავალ აქედან, დევკარქვი, აქოურ ღურბელს აღარსათ დევნახავ, ვადავარდები სხოვანაო.

იფიქრა ხემწიფი შვილმა, რუმე ამ ბიჭს ვადავარჩინ, რა იქნებავო. სასიკტილოთ ბრალიაო. შამოკრა ამ თმაზე ყლიჯი, გაშპრა და დეცა ძირში ამ ბიჭმა. წამოხტა ზეზე, ერთი ხელი რომ დაქრა ხემწიფი შვილს, ხაპივით განარცხა ძირში. გაშპა კარში, მოკიდა ხელი ქალსა, ადგა, ჰაეროპლანივით გაფრინდა. გეაჩრა და წევდა. იმას ეტყვიან მეგემ ჯანფულაქს, — ცეცხლიდან გაჩენილი.

მივდენ დივებმა, ნახეს, რუმ ეს კაცი განარცხულია და ქალი არსათ აღარაა. მიხტენ ამ დივებმა, რუმ მას ამ ოდაში შუხედავს და ჯანფულაქს ქალი წუყვანიავო. იფიქრეს. რომ დავკლათ ესეცო, რუმ გპქცია ეს კაცი და ჩვენი დაცე წეყვანაო. ზოგმა თქვეს, რომ არა, ნუ დავკლავთო. ერთი მოვდეს ჯერ ჰალა მისი ამფხანავი და ვნახოთ, რა იქნებაო.

მოვდა მისმა აფხანავმა, სამი გოგო მეყვანა სახში. ნახა, რომ ასე მომხდარა, გოგო აღარალი. მიაზადენ დივებმა, უთხრეს, რუმ შენმა ამხანავმა ასე წაგვკიდავო. ეს კაცი იმფერი იყო, რუმეგო დევკავებდით, მოვკლევდით; დაეწვევდით, მოვხარჩევდით, ისევე გაცოცლდებოდაო. ერთი ტუზალით დევკავეთ და მისი თმით დავება, სხვა აფერი არ ეშველაო.

უთხრა იმ ასლანის შვილმა:

— თქვენ მომიცადეთ ორმოც დღეს, მე წავალ საძებარში. თუ მუელი, მუელი; თუერ მუელი, აგი მაშინ დაკალით, მე ცოცხალი აღარ ვიქნებიო.

წევდა ასლანის შვილმა. ღარა ოზდაცხრამეტ დღეს ტყე-ღრეში, ყველგან ღარა. ოზდაცხრამეტი დღე რომ ათავდა, ამან იფიქრა, რომ მე სიცოცხლე აღარ მინდა, დიდი კილდეა. ამ კილდეზე ავალ და ვადავარდებიო, იმასაც მაინც მოკლენო. ევდა კილდის თავზე, ვადახედა კილდის ძირში, რუმე სამი კაცი იქინდლებიან, ერთმანებს ამტვრევენ თავკისერს. ამან იფიქრა, რუმ ჩემი სიკტილით რა იქნება, ჩავალ, აგენს შავარიგეფ, ამშალ კიდევ, ვადავარდები და მოვკტებიო.

ჩვედა იმ კილდი ძირში იმ კაცებთან, უთხრა რუმ

— რატომ ჩხუბობთ, რა გინდანანო?

— ჩვენ გვაქ სამი შეე, გვაქ, გასარიგებელი და ვერ გავარიგეთო და ამიზა ვიჩხუბებითო.

— რა გაქვან გასარიგებელიო?

— ა, აგერ ერთი ქული გვაქ, ერთი სუფრა და ერთი ცხალინჩაო.

ამ ბიჭმა უთხრა:

— ამათი მარიფეთები მითხარით, მე გავარიგებო.

უთხრეს:

— ამ ქულის მარიფეთი ის არის, რუმ დეახურავ, ვერ დიგინახვენო. ხალინჩას მარიფეთი ის არის, რომავო, დაჯდები ზეთ, ეტყვი: ხალინჩავ, ამადამსალიგ მიმიყვანე ამ წუთზეო, მიგიყვანსო. სუფრის მარიფეთი კიდეც ის არის, რუმეგო, გადმუაბრუნეფ, რაც გულში გიგიაარს საჭმელები ხაზირი იქნებაგო. ამ ბიჭმა იფიქრა:

— ეს საჩემო ყოფილაო, — უთხრა ამ სამ ძმას, — სამ ჯირით მე გეგქნევ, წახვალთ იმის მოსატანლათ, ვინც მალე მჭა, ქულ მივცემ; ვინც მერე მჭა, ხალინჩას მივცემ; ვინც ბოლოს მჭა, სუფრას მივცემ.

გეგქნია ჯირითები. წევდენ იმ კაცებმა. მობრუნდა მაგ კაცმა, დაჟდა ხალინჩაზე, დეახურა ქული, შეატანა, სუფრაც შედღუა. უთხრა ხალინჩას, რუმ ხალინჩავ, შენ ჩემი გამჩენელი თუ გიყვარს, ჯანფულაქის ოდაშიაინდა მიმიყვანო ამ წუთზე, საცხან არის იგივო.

იმ წუთზე მიყვანა ხალინჩამ ჯანფულაქის ოდაში. მეგემ სახლი ჰაერში აქ მას გაკეთებული. შეხტა ფენჯერაში. შევდა, დმელაპარაკა გოგოს, რუმ ჯანფულაქი ჰად არიო? გოგო ხმას გონილობს, თვითონ ვერ ხედავს, გოგომ უთხრა: ვერ გხედავ, ვინ ხარ და რა ხარო? მაშინ მჭაგონდა, ქული მეგზრო და დეგანახა გოგომ. უთხრა, რუმე

— ვამე, ჯანფულაქი წასულია; ნისლით ძარება. შეატყობს ახლა, მჭა და შეგკამს, წადი მალეო.

— ამდენი ხანია შენ იმასთან ხარ; მისი სული ჰა დგას, არ იციო, რაათ კტება ად კაციო? ქალმა უთხრა, რუმეგო მისი სული ჰა დგას, ვიციო: ახორში დაბმული ხავს სამი ხობო. იმას მოკლავ, თვითან მოკლებავო.

მას ხანში მოადა ჯანფულაქი. მოყვა ნისლს. შევდა ფენჯერაში და ტირის, ყვირის: ვინცხა ჩემ ფენჯერაში შემოსულა და მკლავს, ვინ არიო? ასლანის შეილმა ჩვედა ახორში, მოკლა ყი-

რმიზი ხობო, ამოვდა მუხლებზე სული; მოკლა კრელი ხობო, ამო-
ვდა წელზე სული. მემრე დეჟაკავა ყურით და ამეყყანა შავი ხობო
მასთან. მეძძრო ქული და უთხრა:

— ახლა დიმიანხე, შენი მომკლელი მე ვარო.

— ვაჟმე, ძმავო, გადამარჩინე, შენი ჳირიმე, დიმიტიე ნახე-
ვარი სულიო.

— შენ იმფერი საქმე არ წამკიდე, რუმ სული შეგატიო
შენაო!

მოკრა შავ ხობოსაც თავი. მოკრა ისიც. მეყყანა ქალი,
დნეღინა ხალინჩაზე. უთხრა, რუმ ხალინჩავ, შენი და ჩემი გამჩე-
ნელი თუ გიყვარს, ორმოცი დივის სახლშიენდა მიმიყვანო ამ
წუთშიო.

წეყყანა, მივდა. ორმოცი დღე ათავდა და იმ ლამესაც მწყანა
ქალი და მივდა. ამდგარა ხემწიფის შვილი დარება დაზლოლში.
მივდა ასლანის შვილმა, ხელი მოკიდა ცხვირში, შენ მიდღემჩი
ჩიფთელი რატომ ხარო? ტკლიცა ლავაში. მემრე აღგენ და წამო-
ვდენ სახში ხემწიფი შვილით, ცოლით, სამი გოგოფთ და ასლანის
შვილიც მოდის.

დივიდან რომ წამეყყანა, იმ სამ გოგოს მაროფეთები ქო-
ნიან. აჟ სამნიეე გოგუმები სხვადასხვა ხემწიფის შვილები ყოფი-
ლან. გზაში უთხრეს, რომ ნუ მიგვიყვან შენ სახში, რუმ საკითხმა
არ მეტანა კარქიო. შორიასლოს მივდა, გაკეთებებს ოთახები და
დადგენ იქანაჟ.

ორმოცი დივის დაჟ რუმ წამეყყანა ფადიშახის შვილმა, იმ
გოგოზე თვალი დეჟაკავა მამამ. ფადიშახის შვილმა უთხრა ძმობილს,
რომ როდესაც ჩემმა მამამ ჩემ ქალზე თვალი დეჟაკავა, მაჟ რავარ
იქნება, მე ვერ მოვკლავ, შემეცოდებება, მამა არისო, და შენ მო-
კალიო. მივდა და ამან მოკრა თავი ამ ხემწიფეს და მემრე ასლა-
ნის შვილმა ხემწიფის შვილი გეყყანა ნეფეთ.

ასე დიემართა ხემწიფეს.

9. დაკარქული შვილი

ერთ ქვეყანაში ყოფილა ერთი ხემწიფე. მას შვილი დიეკარქა
და მის ხელქვეშ რაც გოგუებია, სირობით ალაპარიკებს ზლა-
პარს და მემრე კლავს. დარჩენ ორი დანები, გოგუები. უთხრა
პატარა დამ უმფროსს, რომ ხვილ-სოლამ შენდა წამიყვანონო და
ბარემ ერთათ წევდეთო. წევდენ ორვემ ამ ხემწიფესთან.

დღედა უმფროსმა ხემწიფეს და უთხრა ღზაპარი, რომ ერთ ხემწიფეს ყოლია სამი შვილიო. ამ ხემწიფეს ქონია ბაღში ერთი ვაშლიო. წელიწადში მეებადმა მამ სამ კაკალ, მეტს არა. იგიც რაცხას მიქონდაო. უთხრა ხემწიფემ შვილებსა, რომეო, რომელიც შვილი იმას მოკლავს, ან დეაჭირავს, ამას დავაჯდენ თახთზეო. ადგა უმფროსმა შვილმა, ერთ ლამეს წევდა და დაცო. დაჟდა ვაშლის ძირში და ცვეს. ამ დროს ვეზირის გოგომ დუძახა: რას შრობი მამა, ამოდი აქაო. დატია ის ვაშლი, ევდა იქ და იქეაფა. იმ ლამეს წეაღო ერთი ვაშლი რაცხამ. მეგორე ლამეს შუათანა ცმან წევდა. იმასაც დუძახა იმ გოგომ და ეაყვანა სახში. იმანაც დატია ვაშლი.

მესამე ლამეს წევდა უნცროსმა ძმამ. დასაცავად. დაჟდა ვაშლის ძირში. გოგომ დუძახა, ვეზირის გოგომ, მარა მამნც არ მიცა ყური, დაცავა ვაშლი. შეაქნა შუაღამე, რუმე აბაღლი გიენათა, როგორც ელექტორივით. შეხედა ამ ბიჭმა ხეზე, რუმე მოსულა ერთი ჩიტო, ანათებს ქვეყანას და მამაქ აა ვაშლი. ეპარა ამ ბიჭმა და ტაცა კუღზე ხელი. კუდი შერჩა ხელში და ჩიტმა გაფრინდა. დილას მუტანა ნამის აა ჩიტის კუდი. — რა ქენი, შვილოვო, მამამ უთხრა. — ბაბავ, ჩიტო ვერ დეეჭირე, მარა ნიშანი მოვტანეო. ამეაღო ბურღდა და დუღდა სტოლზე. ამ ბურღდამ ისე განათლა, რომ ზეს სინათლე დუქარქა. მამამ უთხრა შვილებს, რუმე ვინც ამ ჩიტს მომიტანს, ან მომიყვანს, ჩემოვლობა მამე მიმიწერიაო. ადგენ ამ სამივე ძმებმა, მამე რე დღეს დაკახმეს ცხენები და წევდენ.

უთხრა გოგომ, რუმე ახლა მეძინებაო და ხვალ საღამ გელაპარიკებო. დრო მიყავს. მამე რე ლამეს დუწყო ლაპარაკი, რომ ამ ძმებმა წევდენ, შუადღის გზაზე გევდენ. მივდენ ერთ წყაროზე სამი გზის წვერია ამ წყაროზე — სხვადასხვა მხარეზე მიწავალი. იმ წყაროზე წერია, რომე ამ გზით წამსლელი უკან მოსული აღარ არი, მეორეზე წერია, რომ წვალელებს გაწევს, მარა მუა. მესამეზე წერია: წვეა და მუა. აფერი, თავისუფალი გზა.

ამ უმცროსმა ძმამ უთხრა, რომ მე მივალ ამ მუსლელ გზიდანო, მეორენებმა თქვეს, რომე მაქიდან ვერ მოვალთ, ჩვენ თავისუფალ გზაზე მიალთო. გამოურვიდა უნცროსმა მაგინს და წევდა უმუსლელ გზაზე. გევდა პატარაზე და შეხტა მაგ ბიქს ერთი გელი. გელმა უთხრა, რუმე იქნებ არ წიგიკითხავს, რეაზა წამოა აქეთ, შეგქამო უნდაო. ჩამოვდა ამ ბიჭმა ცხენიდან. შუჭამა ცხენი გელნა. გასწია; წევდა ფეხით მაინც. პატარაზე გევდა, მოუჭრა კიდეგ

გელმა გზა ამ ბიჭს. — შეგჭამო უნდა, რეიზა წამოა აქიდანო, — უთხრა გელმა.

— უკვე მეძინება, დანარჩენს ხვალ გელაპარიკებიო, — უთხრა გოგონ ხემწიფეს.

ბიჭმა უთხრა, რუმე ჩემ დერდს და ამბავს გაგაგებიებ და მემრე რაც გინდა, ის ქენი, გინდა შემჭამე და გინდა დამარჩინეო, შეთხუა გელსა. ბიჭმა მუყყა და ელაპარიკა, რომ ამიზა და ამიზა, ვარ წამოსულიო. გელმა უთხრა: რადგან მაგფერი საქმე გაქ, დავძმობილდეთ მე და შენაო. გელმა უთხრა, რომ მაი ჩიტი ამა და ამ ხემწიფეს აქ, მარა გამოყვანა ძნელიაო. მოდი შემეჯექი ზრუქშიო და შამეჯედინა ზრუგზე. ათი დღის გამოსავალი გამეირბინა ერთ დღეზე. მივდა იმ ხემწიფესთან ახლოს, თახთზე. უთხრა, რუმე, შუალამეა, შადი ახლა, მამ ჩიტი არის ოქროს ყეფესში, ყარაულლებს ძინავენ ამჟამად. გალიას არ მოკიდო ხელი, ჩიტი გამეიყვანე და წაბეიყვანეო.

ამ ბიჭმა რომ შევდა, ნახა, რომ ჩიტზე უმფრო ლამაზი გალიაა, ოქროსია. იფიქრა, რომე ამას ორვეს წევლეფო. მოკიდა ხელი გალიას და დუქრა ზარი ყეფესმა. დეჯირეს ამ ყარაულებმა და ეყყვანეს ხემწიფესან. ხემწიფემ უთხრა, რომ შენ რა ხარ, ვინ ხარ, ვისი შვილი ხარ, შენ რაფერ გაბედე ჩემ ბარაში მოსვლა. უნდა ჩანოგახჩოვო. უთხრა ბიჭმა: მე ამა და ამ ხემწიფის შვილი ვარ, ასეთი და ასეთი საქმეები მაქ, მე რომ მეთხოვნა, არ მომცემდი, და ახლა ასე დამემართა. შენ როგორც გეკადრებოდეს, ისე მეჯექიო. ხემწიფე უგნება: რადგანაც მაგრე გაქ საქმეო, ამა და ამ ხემწიფეს ერთი ცხენი ყავს, ის ცხენი მომგვარე და ამ ჩიტ და ყეფეს მოგცემო. წამოვდა ამ ბიჭმა, გამოვდა გელთან.

გელმა უთხრა: ასეთი დემემართა და ასე დამავალესო.

— ახლა მეძინებაო, თქვა გოგომ. დანარჩენი ხვალეო.

უჰ! ბიჭო, რა გიქნია მამ, მე რომ დაგავალე, გალიას ხელი არ მოკიდო, რატომ მოკიდე, ცხენს ჩვენ ვერ მეყვანთო? ვნახოთ ერთიო, უთხრა. შემეიდვა გელმა ბიჭი ზრუქში, გასწია და წევდა. მივდა იმ სახემწიფოში, შუალამის დროზე იქაც. გელმა უთხრა: ამჟამად ყარაულლებს ძინვან და შადი საცხენოში. ცხენზე კამ აღვირი არის, მარა აღვირს ხელი არ მოკიდო, წაძრე აღვირი და ცხენი წამოყვანე მარტოავო. ამ ბიჭმა შევდა, აღვირი მგწონა და აღვირიანა წამეყვანა.

ამ აღვირმაც დუქრა ზვანოკი და ეს ბიჭი დეჯირეს. ეყყვანეს ხემწიფესან. უთხრა ხემწიფემ, რუმე შენ რაფერ გაბედე ჩემ-

თან მოსვლა, ცხენ რაფერ მპარავდი, ვინ ხარ შენ, რა ხარო.. უთხრა, რომ ამფრათ, ამფრათ საქმე მაქ და როგორც გეპაღრება, ისე მიქენიო. უთხრა, რომ რადგან მაგრე გაქ საქმე, ამა და ამ ფადიშახ ერთი გოგო ყავსო. მაჲ გოგო მომგვარე და ამ ცხენ მოქცემ აღვირიანაო.

გამოვდა გელთან ბიჭმა.—რა ქენი, ბიჭო, მაჲ ამბავიო, რეიზო ქენი მაჲო. მაგან თელი ჯარი შაწყვიდა და ვერ გამეყვანა ი ქალი და ჩვენ ჰიდან გამეყვანთო. შემჯექი ერთი ზრუქში წევდეთ და ვნახოთო. (აქ გოგოს ეძინება).

გასწიენ და წევდენ. ათი დღის გასავალი გეჲარენ ერთ დღეს. მივდენ იმ ხემწიფესან. ველარ ენლო ამ გელმა ბიჭს. დამალა ბიჭი. უთხრა, რომ შევალ და გამეყვან იმ ქალსო. ამ გელმა გადახტა და ჩევდა ფადიშაჰის ბალში და დეჲმალა. გათენდა დილას და ზე მოვიდა ამ გოგომ ადგა და გაყვა ბალში საგულაოთ. ამ გელმა გადგეჲკა შევლათ და ეჩვენება გოგოს. ე გოგო მივა პატარაზე, ხელი მოკიდოს უნდა, გეჲქცევა, მოკიდოს უნდა, გეჲქცევა. ამნაირათ გეჲტყვილჲა სახლიდან შორ. მერე იქცა ამ შევლმა ისევ გელათ, აჲ გოგო წამეიკუტურა და გეჲქცა. მწყვანა ამ ბიჭთან აჲ გოგო. შამეჲდინა აჲ ბიჭიც და გოგოც ზრუგზე და წამეიყვანა. (გოგოს ეძინება).

ამ ცხენთან მისლამდი ამ ბიჭს და გოგოს ძალგან შუყვარდენ ერთქვანები. გელმა მიხდა მაშინ, რუმე ამათ შუყვარდენ ერთქვანებიო. მაჲ გოგო დამალა გელმა. ბიჭს უთხრა: ბე ვავტები ახლა გოგოთ და მიმიყვანე იმ ხემწიფესან და ჩამაბარეო. მარა ცხენს რომ წეიყვანთ, შეჯექით და წაჲთ და წაჲთო. მე არ დიმიცადოთ. მე კი დეგეწევიო.

აჲ გოგო მწყვანა ბიჭმა, ჩაბარა ხემწიფეს და ცხენი აღვირიანა წამეყვანა. ამათ წამოვიდენ. აჲ გოგო და ხემწიფე ქეიფობენ. ამ გოგომ იქცია და იქცია ფერი. უთხრა ფადიშახს, რომ ბალში გაყვეთო. ბალში რომ გევდენ, აჲ გოგო იქცა გელათ და გუქარდა, დარჩა ხემწიფე მარტო. დიეწია ამათ გზაში, რომე კოლქმარი ცხენზე შემეღარი მიდიან ლამაზათ. მივდენ იმ ჩიტის პატრონთან. გელმა წეიყვანა მაჲ ცხენი და ის ქალი დამალა.

ბიჭს უთხრა: მე ვადეიქცევი ახლა ცხენათ და მიმიყვან ხემწიფესან. შენ წეყვანე ჩიტი და ყეფესი, მარა წაჲთ და წაჲთ, მე არ დიმიცადოთო. ბიჭმა მწყვანა ცხენი ხემწიფესან ჩაბარა და ყეფესი და ჩიტი ართვა. ამან შეჲდა ცხენზე. შამეჲდინა გოგო, დეჲკავა ხელში ყეფესი, გასწია და წევდა. (გოგოს ეძინება).

ამ ხემწიფემ უთხრა მის ვეზირებს: აბა გვედეთ ერთი და ჯირითი ვითამაშოთო. კად ცხენი ყავს ახლა. გვედენ საჯირითოთ მინდორზე, პატარახან ითამაშეს, მემრე ხემწიფეს ამ ცხენი გამუშაა კლიკებოდან, ხემწიფე საცხა გეაქნია და გელმა გეაქცა. დეფია ამათ გზაში, რომ მიდიან ლამაზათ, ყველანი მოკუქკული.

სადაც რომ დეემობილა და წამეყვანა ბიჭმა. იმ ალიგზე ნიყვანა გელმა. უთხრა, რუმე მე აწე აღარ მოვდივარო, აწე თქვენ ეპატრონეთ თავსო. გზაში არ დეეძინროთ სახში მისლამდიო. დემშვიდობენ ერთმანებს და გაშორდენ. (აქ ეძინება გოგოს).

ამათ მივდენ იმ წყაროზე, სადაც რომ დარიგდენ ძმებმა. დაჯდენ იქ, საჭმელი ჭამენ და მაგათ დეეძინენ. გახედენ, რომ მივდენ ამ დროზე მისმა ძმებმა.

— ამ ჩვენ ძმას რა უქნია აჲო, ჩიტიც მოყავს, ქალიც მოყავს, ცხენიც. ჩვენ სახში მაინც არ მიგვესლებაო. მეფეჟირეს ძმებმა და ამ ბიჭი დაკლეს. ყველამფერი წართვეს, წამეყვანეს მაგინი და ის ბიჭი დატყეს დაჩეხილი. (გოგოს ეძინება).

ამ მემლექეთში ყოფილა ერთი ყაჩაღი, ვერა სახემწიფომ ვერ მოსპო მაგი. ამ ყაჩაღმა დახტა გზაში ამ ძმებს, ქალიც წართვა ცხენიც, ყეფესიც. წეიყვანა და წევდა. მაჲ ბიჭი დარჩა იქ დაჩეხილი.

გეგო ეს გელმა და მივარდა იქინეჲ, რომე ჩემი ძმა დუჩეხიანო. მივდა, რუმე ყვაფი დახტა დამედარი იმ ბიჭზე, თვალეზინდა ამეეეკა, დეეჭირა აჲ ყვაფი გელმა. უთხრა, რომ შეგვამო უნდაო, რეჲზა მომიკალ ჩემი ძმაო. უთხრა, რომ მე არ მომიკლავს, მე ასე დამხტა მაგიო. ჩემი წესი არის, რომ მე ძორს შეგვამო. გელმა უთხრა, რომ შეგვამო უნდაო, რეჲზა მომიკალ ჩემი ძმაჲ მაინდამაინც.

— მე ნუ შემქამ და ამას მე მუარჩენო, უთხრა, წამალს მეეტანო. გელმა უთხრა, რომ მე ვერ გენდობი, შენ წახვალ და აღარ მოხვალო. ყვაფმა უთხრა: მე დავიტოვებ ბარტყებს და თუ არ მუელი, მაგინი შექამეო. დატოვა ბარტყებთან გელი და ყვაფი წევდა. წევდა და მეტანა წამალი. უთხრა რომ მატყუებ. მაჲ წამალი არ არიო. გელმა ერთ ბარტყსაც თავი წაწიკვა. უთხრა ყვაფს, რომ აბა მუარჩინე და მაჲ იქნება წამალიო. ყვაფმა წუსვა

და მჭარჩინა მისი ბარტყი. მაგ წამალი წუსსა ამ ბიქს და ამ ბიქმა გამეიღვიდა.—ოჰ, რამდენი მიძინია, ჩივა ბიჭი.

გელმა უთხრა, რომე ძილი რა შუაშიაო, ჰად არი, ჰად წყევანე ყველამფერი, რატომ დეაძინე გზაზეო. დეაწყობ ტირილი ამ ბიქმა. გელმა უთხრა, რუმე აწი მე ვეფერს გიშველიო. (ეძინება გოგოს).

ტირის ად ბიჭი. გელმა უთხრა: დანდექი ამ გზას, შეხვალ ტყეში, ტყეში ერთ დირელზე კონახი იქნება გაკეთებული, იქ დუცახე: ნენე, ნენეო და ერთი დედებერი გამჭა. უთხარი, რომეო ასეთი და ასეთი ზორი მაქ და მიშველე რაცხაო. თუ გიშველიონ გიშველის, თუარა მე ვერ დეგეხმარებიო. იმ დედაბერმა უთხრა, რუმე მე ვორმოცი ცხენი მყავსო. თუ გამოგადგება იმათში რომელიმე, დუცახებ და წყევანეო. დედაბერმა უთხრა, რომ შენი ყველამფერი ყაჩაღს ყავს, შენ ვერაფერს ვერ უშველიო. მაგისი სული არისო: — ამა და ამ ზღვაში ერთი ადა არისო, ამ ადაში არის ერთი სელვის ხეა, იმ ხის წვერში არის ერთი დაშიკი შემოდებულიო. იმ დაშიკში არის ერთი კურდღელიო, იმ კურდღლის მუცელში არის ერთი ტრედლიო. იმ ტრედლის მუცელში არის ერთი კვერცხიო. იმ ყაჩაღის სული იმ კვერცხშიაო. იმას თუ არ ნახავ და არ გასტეხ, ისე არ მოკტება ი ყაჩაღიო. ჩემ ცხენებს დუცახებ და თუ რომელიმე გაგიყვანს, გამეარჩიეო.

მოვდა ვოზდაცხრამეტი ცხენი. — მეგინი არ გამომაღგება მეო, უთხრა. სხვა მიშველეო, რაცხაო. (ეძინება გოგოს).

მეგემ მეგორმოცე შვილი ის გელია იმ დედაბრის. აბავო, მეგორმოცე ცხენი მყავს კიდევ და იმას დუცახებო. დუცახა, რომ იქნა დარჩა მისი გელი. — აგი მარგია მეო, მომეცი აგიო, უთხრა ბიქმა, შეგდა გელზე, წყევანა და წველა. გვედენ პატარაზე რუმე ქორი დაბმულა ყაფანში. უშვა მაგ ბიქმა ქორი და გუშუა ყაფნიდან. — პატრონი რომ მოვდოდა, მომკლევდა და მაგიორში რა გაჩუქოვო. — შენ რა უნდა მაჩუქოვო, უთხრა ბიქმა. მეაწყვიდა ბურღლა ქორმა და მიცა; სადაც თუ დაგპირდე, ად წამხრუჟე და იქ გაწითებო. წევდენ იქიდან. გვედენ ერთ მინდორში, რომე ჯამუშის ბულა და ხარის ბულა გევა ერთი ერთ სერზე, მადრე მეგორზე სერზე. წამოვლენ, ეტაკებიან და კლენ ერთი მეორეს. უთხრა ბიქმა, რომ რა გინდებიენ, რომ წყვეტთ ერთმანებსო. ვიშოვნეთ ერთი ჯოხი ჩვენაო, ვერ ვარიგებთ იმასო და ამაზე ვიკინდლებით, არა მე და არა მეო.

— რა აქ მაგ ჯოხს მარიფეთიო, უთხრა ბიქმა, — ამ ჯოხს, რასაც წუჩვენებ, ან წაკარებ, მოკლავსო, მაგი აქ მარიფეთიო,

— აბაო, მე გავარიგებ მაგ ჯოხსო, — უთხრა — გაათ ერთმა იმ სერზე. მდერემ მძორე სერზე და რომელიც მუასტრობთ, იმას მივცემ მაგ ჯოხსო. გვეიდენ და წამოვდენ იმან იქიდან და ამან იქიდან, რომელიც მუასტრა, — დარტყა ჯოხი, მოკლა, მემრე რომ მოვდა დარტყა იმასაც ჯოხი და მოკტა. (გოგოს ეძინება).

წევდა იქიდან, მივდა, რომ დათვის ღუჭირავს ძაღლი და კლავს, დარტყა. დათვი მოკლა, და ძაღლი გნთავისუფლა ამ ჯოხით. ძაღლმა უთხრა, რომ რა გაჩუქო ახლა შენ, დათვიდან რომ დამიხსენიო. — შენ რანდა მაჩუქეოვო! მოაწიკვა და ბანალი მისცა, თუ დაგჭირდეს სადმე, მოხრუქე ბანალი და იქ გავჩთვებო. მივდენ მანობაში ზღვის პირზე. მივდენ და ერთნაირი გიდელაა, თებზის დასაჭირი. ნახენ, რომ ერთი წითელი თებზია შიან დამწყურველი. გუშეა ახ თებზი ბიჭმა. უთხრა თევზმა, რომ რაა გაჩუქეო, მე შენ ამფერი საქმე რომ გიმიკეთე, პატრონი წიმიყვანდაო. მეაწიკვა ფთაა თებზმა და მიცა ბიჭს, თუ დაგჭირდეს, ახ ფთაა გახრუქე და დეგეხმარებო. (გოგოს ეძინება).

შეჟდა გელზე და გევდა იმ ადაზე. მივდენ იმ სელვის ხიზძირში. ამ ჯოხით მიადგა იმ ხეს, ურტყა, ურტყა და ეს ხე წაქცია, ამ ხემ რომ წეაქცა, დაშოკმა დატყდა. ამოშა კურდღელი და გეაქცა. წახრუქა ძაღლის ბანალი, დაჭირდა ძაღლი. გეეკიდა ამ ძაღლმა და დეაჭირა კურდღელი. ახ კურდღელი რომ გაწიკვა ამ ძაღლმა. გამოშა ტრედმა, გაფრინდა და გეიქცა. გახრუქა ქორის ბანალი. ქორმა უთხრა: რა გინდაო? — ახ ტრედინდა დიმიჭიროო. გეეკიდა ქორმა და შუაზღვის სისტორა გაწიკვა ტრედი. კვერცხმა ჩავარდა ზღვაში.

დაჟდა ბიჭმა, დეაწყო ტირილი. ამდენი ნაშრომი დემექარქაო. მემრე გნხსენდა თებზი. იფიქრა რაცხას მიშველისო. დახრუქა იმ თებზის ფთაი, გაჩთა თებზი. — რა გინდაო, უთხრა. ერთი კვერცხი ჩამივარდა მაგ ზღვაში და მომეხმარები რამესო? თებზმა უთხრა: ახლა მე თებზ შამოვქნევ ადაზე, გაჭარი იგი და იმას ექნება მუცელში კვერცხიო. შამეაქნია თებზი, გაჭრა რომ კვერცხი იგდო ხელში. დაჟდა გელზე ისევ და გამევედა გაღმა. (გოგოს ეძინება).

მწყვანა ახ გელი, დატია დედასან. თვითონ წევდა. ახ ყაჩალი ცხოვრობს ერთ მაღალ თაზე. აქ კონახი გაკეთებული. ევდა იმ ყაჩალთან შუადლის ღროზე, ყაჩალი საცხა წასულია. ქალმა უთხრა, რუმე წადი აქედან, ცოდვა ხარ, წადი აქედანო. — არა მად შე ვერ მომკლავსო.

— არა შენ მაგას ვერაფერს ვერ უზამ, ცოდვა ხარ და წაა
აქედანო მაინდამაინც მშუცადა იმას მოსლამდი. იქინდი რომ
ნოვდა. მოდის ყაჩალი. იმხელა დწყვირა, რომ ჩამოზავდა აკო-
ნებბი.

მაშინ უთხრა კიდევ, რუმე წადი, ბიჭო, მამა შენი ნათქვამი
აო არისო. მოვდა ამ ყაჩაღმა. შამოვდა, რომ ვინცხა კაცი მოსუ-
ლა. უთხრა, რომ როგორ გაბედე შენ აქ მოსლაო. აღგა ამ ბიჭმა
ამ ჯოხი დარტყა, მარა ჯოხმა აფერი არ ქნა. მემრე დეაქედენ.
მაგრათ იქედენ, იქედენ, აფერი არ ეშველა. ამეალო მერე კვერცხი,
დაკრა პოლზე, კვერცხი გატყდა და მაგანაც წეაქცა. მოკტა მამ
ყაჩალი. (გოგოს ეძინება).

აწია მაგან და ყველამფერი წამეაყვანა, რაც კაა ქონდა ყა-
ჩალს, იგიც წამეალო. მოვდა სახში მეგორმოცე ლამეს.

გოგომ ორმოცი ლამე იქ დარჩა და ელაპარიკა. მეორმოცე
ლამეს გოგომ უთხრა. ხემწიფეს, რუმე მოვდა შენი შვილიო. მივდა
ნისი შვილი. ძალვან გუხარდა, იყო ქეაფობა, სმა და ჭამა. მისი
ქონება მას მუწერა. ი გოგვებიც იპატივა. იმდენი საჩუქრები მი-
ცა, მიდღემში ეყოფოდენ. ვორმოც დღე და ლამეს ქორწილი და
ქეიფი ქონდენ. მეც იქ ვიყავი მაშინ. ამ ბლუზამ იქ მაჩუქვეს
მაშინ.

მაგინი იყვენენ ჭირში,
ჩვენ ვიყავით რხინში.
გამტუაცხოთ ხაჭაპური
და შევეჭამოთ პირში.

10. ხუსეინ-გეგი

ერთი ბეგი ყოფილა, ამა ღარიბი ყოფილა ძალვანი. გამუ-
ცობინებია პაწაა ქალი და წასულა საცხა. წეგდა ერთ გზაზე,
დნდგა, მარა, მარა, და ერთ კარქ სახლზე მიაღგა. ჰოდა ერთი
იყო ძალვან დიდი, მაღალი სამი არტაშა და მძორე იყო ერთი
არტაშა. მაღალში შეგდა, რუმე ოქროვლობა, ვერცხლოვლობა,
ფული ბევრია შით, მარა არვინ არ არი. მძორე სახში შეგდა,
რუმე სასადილო, ხორცები დამზადილი. შეგდა სასადილოში, გა-
დამძრო ერთ ქეაბს კათალი, ნახა, რომ ხორცი, ამოალო იგი, ჭამა.
ჭამა და წამოვდა, ამა ერთი გუდა ქონდა და იმ მაღალ სახლი-
დან ერთი გუდა ოქრო წამოალო. მოვდა სახში, ედა. დეიწყო ამ
ფულის ჭამა და ხარჯვა. მერე ცოლმა უთხრა, რუმე ამ ფულსაო

ნუ ხარჯავ ასე, დეგველევაო. იმან უთხრა, რუმე ფულს რა გაჩივლებსო, იმდენეთი ვიცი, რომ დეგლევა, წვეალ მოვტანო.

მერე დეგელია ფული და ადგა და წვედა ხელახლა ფული მოსატანათ. მივდა, შევდა იმ სასადილოში ისევ. ხორცი ამეგლო და ჰამა რუმე დეგწყო, უკნიდან დეგტაკა ერთმა დივმა. ჩნგლო იმ ქვაბში და მოხარშა ქვაბში. იყვენ ისინი ოთხი ძმა დივები. ქვაბში რომ ჩნგდო, კოჭლი იყო ისა, ფეხმოწყვეტილი. სამი რუმე საღლამი იყვენ, ისინი შორს სანადიროს იყვენ წასული. მოვდენ ცარგელი. ამ კლიკმოტეხილმა უთხრა, რუმე მე უმფრო კაჟ საქმელი უნდა გავამოთ, ადამიანის ხორცი უნდა გავამოთ.

აჲ მაჰმუდ-ბეგი დეგკარქა. დარჩა ქალი, ცოლი. ცოლს ეყოლა ერთი ბალანაჲ. ბალანამ გეგზარდა და ბიჭებში, მის ეშებში იჭედა მაგან და ყველას მგერია. ვინცხას რუმე მიერია, იმისმა მამამ გუწყულა. ამ ბიჭს, რუმე შენ ჩემ ბაღვ რაფერ წაქცევო! შენაო ბუში ხარო, მამა არ გყავსო.

მობრუნდა ამ ბიჭმა და მოვდა თავის დედასან. დედას უთხრა, რუმე ერთი ძუძუნდა ჩიმიდვა პირშიო.

უთხრა დედამ, რომ შენხელა კაცს ძუძუ რათ გინდაო.

— არა, სული მთხოვსო.

ჩუღდა დედამ პირში ძუძუ და მუჭირა კიბილი. დედამ უთხრა: — რას შრობიო და ბიჭმა უთხრა, რუმე ან ძუძუ უნდა მოგვამო, ანდა უნდა მითხრა მამა ვინ არი ჩემიო.

იმ დროში დედამ უთხრა, რომ შენი მამა, ასე ღარიბი ვიყავით, ფულზე წვედა, ფული მეტანა, დეგველია ფული, კიდევ წვედა და აღარ მოვდაო.

იმ ბიჭსა ქვია ხუსეინ-ბეგი. ხუსეინ-ბეგმა ადგა და წვედა მამის მოსაძებნათ. ჯარა, ჯარა და მივდა იმ სასახლეებში, ჰაცხან მისი მამა მივდა და ფული მეტანა. შევდა სასადილოში. სასადილო რომ ნახა, მაშინ თქვა, რომ მამაჩემი აქ არი შექმულიო. გახედა, რუმე ის კოჭლი დევი მუა. ესროლა ამ ბიჭმა კოდალი და მევორე ფეხიც მოწყვიტა. წეალო ეს დივი ფეხებგადაწყვეტილი და გორხანაში ჩააგდო, დიდი ქვაც დახურა ზეგდან.

მერე მობრუნდა, შევდა, მეჯარა ის სასახლე თლათ, ნახა ყოლიმფერი და წვედა. დედა მეყვანა და დეგწყო იქ ცხოვრება. დეგწყო ამ ბიჭმაც ნადირობა.

იმ ბიჭის დედას მიეწყინა მარტვაჲ და კარ-მიდამოებში სიარული დეგწყო. ნახა იმ გორხანაში კლიკმოწყვეტილი დივი. ამეყვანა დივი და შეაყვარა ქალმა. შვილს რომ მეგლოდინებს, — სა-

ნადიროდღან მტა ახლო, მაშინ მწყვანს და ჩაგდებს იმ გორხა-
ნაში.

ამ ქალმა გახტა მძიმეთ დივიდან. ეყოლა ბალანაჲ ბიჭი. იფი-
ქრა ამ ქალმა, რუმ რა ვქნა ახლა, მუა შვილი და დამკლავსო,
ეშინია შვილიდან.

ამ დროში დივმა უთხრა ამ ქალსა, რუმე ეს ბალანაჲ მწ-
ყვანე გზაში საცივთინ, ჰაცხან რუმე ხუსეინ-ბეგი ძარება. ნახავს,
ეშმაკი ეგონება და დაკლავსო.

მწყვანეს ბალანაჲ და დატიეს საცივთან. მოვდა ხუსეინ-ბეგმა
და შეხტა ეს ბალანაჲ. ნახა, რუმე ბიჭი ბალანაჲ და ძალვანი ლა-
მაზია ბიჭი და მოსწონდა. აწია და წამეყვანა ბალანაჲ. მეყვანა
სახში და დედას უთხრა, რუმე აჲ ბალანაჲ უნდა გიმიზარდო,
რუმე ძმაჲ მყავდეს მეო. დედამ გუნაზდა ძალვან, გულში უხარია,
მარა გუნაზდა, მერე მწლო ბალანაჲ და ბალანამ გეგზარდა. სამი-
წლის რომ შეაქნა ბალანაჲ, მემრე დივმა უთხრა იმ ქალსა,
რომ:

— რალმც ჩვენ შვილი გყავს, ხუსეინ-ბეგი მოვკლათ და
ვიმცხოვროთ ქედვა.

— აბა რაფერ მოვკლათო?

— მე დევმაღვი გობში, ხუსეინ-ბეგი რომ მტა, შენ სალო-
ცავათ დადექი. ხუსეინ-ბეგი მოშივებული იქნება. ის რომ ჭადს
ამეღლებს, გველათ ვიქცევი, უკბენ ხელზე და მოვკლავო.

ამ დროში ხუსეინ-ბეგმა რომ მოვდა, კარში მუსტრა ბალანამ,
აწია და დეახუტა გულზე. დედას შეხედა, ლოცვილობდა, მივდა,
გობზე, ხუსეინ-ბეგმა რომ სუფრა აწია, ბაღმა კრა გობში ხელი
და ამეღლო ჭადი. ხუსეინ-ბეგს ხელი არ ჩაყოფია შიან. ამ დროში
დედამ მობრუნდა და გალანძლა ბალანაჲ; რატომ ხელი არ ჩაყო-
ფიაო.

მევორეთ კიდევ: აბა კარის თავზე ქვალ, დევმაღები, შამო-
სლიხან თავზე დავარტყამ და მოვკლავო.

ამ დროში ბალანამ მეღლოდინა ხუსეინ-ბეგის მოსლა. გარეთ
გევდა და მდეგება გზაზე. ძალვან გუნაზარდა ამ ხუსეინ-ბეგს. იმხე-
ლა გახტა, რუმე გზაზე მომეგება ძმაო. აწია, დეახუტა კიდევ
და წამეყვანა ბალანაჲ. კარში რომ შამოვდა, ბალანამ ხუსეინ-
ბეგს თავზე ხელები დამწყო და თავის შვილს ველარ დარტყა დივ-
მა და გადარჩინა კიდევ.

ხელმეორეთ წევდა ამ ბიჭმა სანადიროთ. იმ დივმა თქვა,
რომ საცივია ერთი, იმ საცივთან დევმაღვი და ხუსეინ-ბეგი რომ
მუა იქ, მოვკლავ მეო.

მოვდა და დეამალა იმ დევმა იქა. ქალს ღუბარა დივმა, რუმე შედძლება მე ხუსეინ-ბეგმა მომკლას და ამას ვთხოვ, რომ ხუსეინ-ბეგი არ აცოცხლოვო. მეატანე ჩემი სისხლი, მაგ საჭმელში ჩუსხი და ჩემი სისხლით მოკტებაო. ამ დროში დივმა მივდა და დეამალა.

მერე მოვდა ის ხუსეინ-ბეგი საცივზე და იმ ბალანამ მედლოდინა: აწე ხუსეინ-ბეგი მოვაო, მისი ძმის დაკიდული ლეკური ჩამუაგდო ჯოხით, გადაჟდა ცხენსავით, ბაღნები რომ ჯოხზე შევდებიან, და წევდა. იქითიდან ხუსეინ-ბეგი მოვდა, იქითიდან ბალანამ მივდა საცივზე. გუზარდა ხუსეინ-ბეგს, რომ ამხელა ძმა გახტა, საცივზე ლეკურით მეგებება მაგო. გადაკოცა ხუსეინ-ბეგმა ეს ბალანა — ძმა, დეღუმლა და იმან დეაწყო ლოცვა საცივზე. იმ დროში იმ დივმა იქა გველეშაბათ, წამოვდა და ახუსეინ-ბეგი უნდა მოკლას, შეჭამოს, ამ დროში გამედლო ახლეკური ამ ბალანამ, შემოკრა ამას თავზე და მოკრა კისერი.

მობრუნდა ამ ბიჭმა, რომ ილოცა, ნახა, რუმე ბალანას მუკლავს ახ გველეშაპი. ამ დროში ამ ხუსეინ-ბეგმა გადაკოცა კიდევ, დეახუტა და წამეყვანა ბალანა. მწყვანა სახში და დედას მიახარა, რუმე ძმამ ამფერი სიკეთე მიყო მე, ჩემი თავი გველეშაპს უნდა შეეჭამა და ძმამ გადამარჩინაო. ამ ბიჭმა ხელახლე წევდა ნადირობაზე. მეატანა ამ ქალმა იმ გველეშაპის სისხლი. ჩახხა საჭმელში, ურთო და დაწამლა საჭმელი.

როდისაც რომ მოვდა ხუსეინ-ბეგი ნადირობიდანა, დუდგა საჭმელი მაგას და იმ ქალმა დადგა სალოცავათ. ხუსეინ-ბეგმა დეაწყოს უნდა ჭამა, წედლო ხელი საჭმელისაკენ და ბალანამ შატანა ხელი, — არ ჭამოვო! — უთხრა, რომ დედამაც მოვდეს და ერთათ ვჭამოთ საჭმელიო.

ამ დროში დედამ მობრუნდა და ბალანას გუმჯავრდა, რომ შეირს რატუმ აცდევებ, ჭამოსო. ბალანამ მახც არ ჭამა დედის მუსლელი. ამ დროში დედამ მივდა, — უჩემოთ აღარ ჭამესო — და ამედლო ერთი ლუკმა. არნდა შეეჭამა, პირში უნდა ჩედლო და გადაედლო უჩემალა, მარობაში ველარ მუასწრო, გუდუცდა პირში და მეაწამლა დედა. ამ ხუსეინ-ბეგმა დანტა დედას, რომ, დედავ, რა დაგემართაო? —

ამ დროში ბალანამ უთხრა, რუმე დეფთხუე მაგას, მოჭარ თავიო, ეს ჩვენი დედა, მარა ამფერი და ამფერი საჭმელები გიგვიკეთა. შენი თავიც ვეამეტა, ჩემი თავიც კოკლი დივის ხათრისთვინო. მრტანეს და იმ გორხანაში ი ქალი ჩავდეს, ი დედა.

გვეჩარღა ამანაც და მეღლაპარიკეს ძმებმა, რუმე ჩვენ აქ რა-
ლა ვინდა, ორივე ვაჟაკები ვართ. წვედეთ ჰადმე, და რაცხა
კაჲ საქმეები გავაკეთოთ კიდევე, ვაჟაკობაო.

ორვე ძმებმა აღგენ და წვედენ. მივდენ ერთ გზის გამრი-
გოზე. მივდენ იქანაჲ და თქვეს, რომ ამ გზაზე-გავრიგდეთ და
ცალკე-ცალკე წვედეთო. პაწა ძმას დარქვა მემედ-ბეგი ხუსეინ-ბეგმა.
პაწა ძმამ ამეღლო ორი ბეჭედი.* ერთი წამსუცვა ხუსეინ-ბეგსა,
მეორე მან წამეცვა. ხუსეინ-ბეგის ბეჭედსა ქონდა წვანე თვალი.
მან რომ წამეცვა, იმას ქონდა ყირმიზი თვალი. უთხრა პაწამ
ძმასა, რომე შენ ბეჭედს აქ წვანე თვალი, რომ დახედავ ამას და
ეს თვალი გაყირმიზდეს, მაშინ შეწუხებული ვარ და მომძებნე მეო.
ჩემსას აქ ყირმიზი თვალი, რომ გამწვანდება, მაშინ შენ მოგძებ-
ნი. შენ შეწუხებული იქნებო.

დაემშვიდობენ და წვედენ მის-მის გზაზე. წვედა ამ ხუსეინ-
ბეგმა და მწვდა ერთ გოროტში. მივდა და ერთ მოხუცებულ მა-
ლაზონს ესტუმრა. უთხრა:

— დედავ, ერთი წყალი მასვიო.

— შვილო, არ არის წყალი, რა გასვაო.

ხუსეინ-ბეგმა უთხრა:

— ამისიხო გოროტში წყალი არალიო?

— ერთი საცივი არი, მაგრამ არის შით ერთი გველეშაპი გა-
მოკეტებული. დღეში თითო ადამიანს მივცემთ და გაქანებაში
წყალ გაძუშვებს და თითო სმა წყალს მუასწრობთო. ხვალაც ფა-
დიშახის გოგოს სირა არის, ის გოგო უნდა მივცეთ გველე-
შაპსო.

ეს რომ გეგო ბიჭმა, თქვა, რომ ახლა ვიშვე მე საშვარიო.
მეგრე დღეს ძეყარა თლათ ხალხი, მივდა იმ ბიჭმაც, დადგა,
საცხა რუმე გველეშაპია, იმაზე ახლოს. მეყყანეს ფადიშა-
ხის გოგო და იმ გველეშაპმა გგექანა ახლა, დნფჩინა პირი. ამ
ხუსეინ-ბეგმა გამეღლო ლეკური და გწუხაზირდა. მაღალ ადგილი-
დან ახლა დაბიფგეს ფადიშახის გოგო. ამ ხუსეინ-ბეგმა მარცხენა
ხელი მოკრა ამ გოგოს, ედა ის ლეკური შამოკრა იმ გველეშაპს
და მოკრა თავი, გოგო გგექნია უკან. გველეშაპმა სისხლი რომ
გწუშვა, ამ გოგომ დარტყა ხელი სისხლს და სისხლიანი ხელი ხუ-
სეინ-ბეგს დაკრა ზრუგში.

ხალხმა შფესია სისხლიან წყალსა. — ბიჭო, ნუ იღებთ სისხ-
ლიან წყალსო, ღონიან, რომ კიდევე მოწყდებაო. ამ გოგომ გე-
ჯქა და მივდა თავის სახში. მამამ უთხრა, ფადიშახმა, რუმე
რეჲზა გამოაქციო?

უთხრა, რუმ არ გამოვქცეულვარ მეო. ამფერი ერთი ბიჭი მოვდა, რუმე იმ გველშეშაპს მოჭრა თავი, მე უკან გიმიქნია და გადამარჩინაო.

იმ დროში იმ ფადიშახმა უთხრი იმ გოგოსა: იცნობ იმ ბიჭსაო?

— კი ვიცნობ, დანიშნული მყავსო.

დუძახა მგორე დღეს თლათ თელ ხალხს ფადიშახმა. გარუნნია ერთ კარში და გოგო უყურებს, ბიჭინდა გამეიცნოს. არ იახლა იმ ხალხში ი ბიჭი. დეძახა ფადიშახმა, რუმე ჰადმე თუ ვინმე კაცი არი დარჩენილიო? უთხრეს, რუმე ამა და ამ მალაზონთან არი ერთი ბიჭიო.

დძახნია ფადიშახმა და მეფყვანა მასთან. გარუნდა და გოგომ რომ შეხედა, უთხრა, რომ აგიაგო. ფადიშახმა მისსა ეს გოგო იმ ბიჭსა. გოგომ და ბიჭმა რომ დაწვეენ ერთათ, ამ ბიჭმა ლეკური ჩეიღვა შუაში. გოგოს არ წეგეარა!

ამ დროზე გოგომ გნსაჩივრა მამასთან, რომ ამ ბიჭმა დიმიწუნა, აღარ მიკადრაო, ამ დროში ამ ფადიშახმა გულზე მოვდა, შამშასია ჯარი, უნდა დნხრჩოს ახ ბიჭი, გახედა ამ ბიჭმა. რუმე შამშსეგია ჯარი. უთხრა ამ გოგოსა, რომ რწრი ეს ჯარიო?

— შენაო, მე რომ არ მიკადრე, მამაჩემი გიჭირავს შენაო.

იმ ბიჭმა უთხრა იმ დროზე, რომ მე მივდივარ ახლა და ჩემ მოსლამდი არვის სიტყვა არ მიცეო.

რომ გევედა ბიჭმა გარეთ, ლეკურით ის ჯარი აქეთ-იქით გადაყარა. წევედა და ისეველე მივედა მალაზონთან. უთხრა, რუმე. დედავ, ახ გზაჲ სა მიდისო?

— ამ გზას ეტყვიან, რომე — წამსლელი უკან არ დაბრუნდებო.

დნდგა იმ გზას. მივედა ერთ გოროტში. მივედა, ნახა, რომ ყოლიფერი გაფსებულია და სულდგმული არავინ არა. ყველა, რავარც ქვა, ისე გაშეშებული არიან. გახედა; რუმე ერთ სახში შავი ფუტი ამოდის. წევედა ამ ბიჭმა, მივედა და შევედა ამ სასახლეში. შეხედა; რომე ერთი დივი დაწოლილა და ძინავს და ერთი ლამაზი გოგოც ბუზებს უდენის საქარულით. გოგომ იშმარი მიცა, რომ გადი უკანო, ამ ბიჭმა არ უყურა, გამეღლო ლეკური, მნტანა და იმ დევეს ცხვირში კრა ლეკური. დივმა იმ გოგოს დუძახა, რომ ბუზები გამიღენეო.

გოგომ უთხრა, რუმე ბუზები არ არიან, ადე, ტერი მოვდა შენთანო.

ამ დღემა განხილა თვალი, შეხედა, რომ ერთი ბიჭი დღინახა. უჭებრა ამ ბიჭსა, როგორც ქვა, ისე გახდა ისიც.

მისმა ძმამ, მემედ-ბეგმა, ბეჭედს დახედა, ნახა, რუმე ყირმიზი თვალი გამწვანებულია. ბიჭმა მიხტა, რუმე ჩემი ძმა შეწუხებულია, გამოწია საძებნელად. მოვდა იმ გოროტში, იმ მალაზონთან და კითხა, რომე ვინმე ამნაირი ბიჭი თუ დეანახეო.

იმ მალაზონმა უთხრა, რომ აქანაჲ იყო ჩემთან ი ბიჭი, იმფერი ვაშკაცობა გაკეთა და წევდა ამ მუსლელ გზაზეო.

მემედ-ბეგმაც დადგა იმ გზას და წევდა. მივდა იმ გაქვავე-ბულ გოროტში. დეანახა, ი ფუტი ამოდის კიდეგ, მივდა და შევდა იმ სასახლეში, საცხა რუმე ფუტი ამოდიოდა. გოგომ უთხრა, რუმე ნუ მოდიხარ აქა, შენთანა ბიჭი გუშხამ მოვდა და შეხედე რა გახდაო.

ამ ბიჭმა უთხრა, რუმე მე მაგის არ მეშინიაგო.

კრა ამანაც ლეკური ცხვირში. კიდეგ დაუძახა იმ გოგოს, რომ ბუზები გამიდენეგო. გოგომ უთხრა, რომე ბუზი არ არი, ტერი მოვდაო.

განხილა თვალი ამ დღემა და შუძახა ამასაც.

ამ დროში ადგა ამ დღემა და წევდა ამ ბიჭისკენ. ბიჭმაც ეტაკა და დეატაკენ. იჭედეს ამათა და ამ ბიჭმა დადგა ძირში და მოკოჭა, გაბაწრა აჲ დივი. უთხრა, რუმე ჩემი ძმა რომ გავი-შეშებია, გამიცოცხლე ავიო. გაცოცხლა იგი. მერე უთხრა, რომ აჲ გოროტი რაცხაფერ რომ ცხოვრობდა, იმფრათ ამუშავე იგიო. ამუშავე, თელი გაცოცხლა და მემრე მოჭრა ამ დევს თავი.

წამეყვანეს ი გოგო. ის ითხოვა ამ პაწამ, მემედ-ბეგმა. გამეარეს და ფადიშახის გოგოც წამეყვანა ხუსეინ-ბეგმა. მოვდენ მაგინი დივების სარაჲაში რომ იყვენ უმაღეზე, დაჲდენ იქა, დეა-წყეს მცხოვრება. მემრე მე წამუელი, იგი იქანაჲ დავტიე და რალა იქნა მემრე, არ ვიცო.

11. ხაგვიზის უვილი

იყო ერთი ხემწიფე. მაჲ ხემწიფე დაქორდა. მან ნახა სი-ძმარი. დიესიძმა მას, რომ ზღვაში რომ წითელი თევზია, ის არი შენი წამალიო. ხემწიფემ გავზანა ვეზირი და თავის შვილიც გატანა. მივდენ ზღვის პირზე და ვეზირმა დეაჭირა ი წითელი თევზი.

ხემწიფის შვილმა უთხრა, რუმე მაჩვენე ერთი მაგი, როგორცა. გამჭართვა ვეზირს წითელი თევზი და ძანძალი მდევონა. თქვა ამ ხემწიფის შვილმა, რომ ამ თევზის სიკტილს მამიჩემის სიკტილი მირჩვენია. გადგდო თევზი ზღვაში და გუშვა. დაბრუნდენ მაგინი სახში. ხემწიფემ მოკითხა ვეზირს თევზი. ვეზირმა უთხრა, რომ მე კი დევკავე თევზი, მაგრამ თქვენმა შვილმა გუშვა ზღვაში — თევზის სიკტილს, მამიჩემის სიკტილი ჯობია.

ხემწიფემ გასცა ბრძანება: ჩემი შვილი დედაჭირეთ, წყაყუანეთ ტყეში, დაკალით და სისხლიანი პერანგი მომიტანეთო. დაჭირულ შვილს დასაკლავათ გაცოლა თერთმეტი კაცი. წყაყუანეს ტყეში. ხემწიფის შვილმა უთხრა მაგინს: მოე, ნუ დამკლავთ და სულ არ გევიარ თქვენს სახენწიფოშიო. როგორც იქნა შეთანხმენ ამ თერთმეტმა კაცმა. გახადეს ტანზე ურბა, მოკლეს კურდღელი, დასვარეს სისხლში ურბა და მჭტანეს ხემწიფეს უკან. უთხრეს, რომ დაკალით თქვენი შვილიო. ამ ხემწიფის შვილმა წევდა და ამ ტყეში დედაბნა და რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი გუდიანი კაცი ნახა. ამ გუდიან კაცს უთხრა, რომ დავძმობილდეთ ჩვენაო. ამ გუდიანმა კაცმა უთხრა, რომ დავძმობილდეთ, ხოლოთ, რასაც ვიშოვნით, შტაზე უნდა გავყოთ, თუგინდ იყოს ლემსიო. ასეთ პირობას თუ მომცემო, დეგემობილებიო. დამძმობილდენ და წევდენ მაგენმა და გედევდენ სხვა სახენწიფოში. იქ გეგგეს ამბავი, რომ ერთ ხენწიფეს ქალიშვილი ყავს — გასათხარე, ვინც ამ გოგოშვილს დალაპარაკებს, მას აძლევს ქალათ იმასო და ფულებსაც აძლევსო. ამ გუდიანმა კაცმა უთხრა, რომე წევდეთ იქა ჩვენაო. მივდენ ხემწიფესან. ხემწიფემ შეპატიჟა გოგოსან ორვე — ხენწიფის შვილი და გუდიანი კაციც.

ხემწიფემ კითხა: რაზე მოსულხართ აქაო. გუდიანმა კაცმა უპასუხა: თქვენი გოგოშვილინდა დავალაპარაკეთო. მხოლოთ ჩვენ ორ კაც თუ მოქცემ ცოლათო, ჩვენ ასეთი პირობა გვაქ დადებული, — რასაც მეგვებთ, უნდა გავყოთ შტაზეო. — კიო, დეგეთანმა ხემწიფემ. ხემწიფეს უთხრა ამ გუდიანმა კაცმა: სამი ამხანაგი იყვენ თურმის და დწლამდენ გზაზეო. ერთმა ყარაულთა დედაწყო თურმის, ერთმა ვცოთ და ვორმა ვიძინოთო. ყარავლობის დროს ერთმა იფიქრა, რომ ტყულაა რა მადგომლებსო, მოე ტალახის ქალს გავაკეთებო. მართლაც შუდგა და გაკეთა ტალახის ქალი. მას მწუვდა ძილი და გწღვიდა მორე ამხანაგი საყარაულოთ. მორემ გახედა, რომ მის ამხანაგს გწკეთებია ტალახის ქალი. მან იფიქრა: მოე, ამა ტანისამოს შუკერავო. შუკერა ურბა, ჩაცვა ტანზე. ამასობაში მასაც მწუვდა ძილი. გწღვიდა მესამე ამხანაგი

საყარაულოთ. ნახა მესამე ამხანაგმა, რომ აგერ ქალი, მორთული. მხოლოთ სული არ იქ მას. იფიქრა, რომ ეს ამხანაგებს გუქეთე-ბიან, მოა ერთი ამას შულოცავ, ბელქი მაგას სული ჩიედგასო. შულოცა და მართლაც ქალმა დეფლაპარიკა. უთხრა ხემწიფეს ამ გუდიანმა კაცმა: რომელს ერგება ცოლათ იმ სამ ამხანაგშიო. ხემწიფემ ვეფერი ვერ უპასუხა, წვერი ჩიედვა პირში, ხმა ვერ გასცო.

— რას ფიქრობ, ვერ მიხტო. — უთხრა გუდიანმა კაცმა. ხემწიფემ დალონდა. ხემწიფის გოგომ უთხრა, რომელიცხაა რუმ არ ლაპარიკობდა, თავის მამას: შენ ვინ დაგაყენა ხემწიფეთ, რომ მასეთი პატარა ასახსნელი ვერ ახსენიო, თუ მაგინში ვის ემგება ცოლათაო.

ამ გოგომ უთხრა: რომელიცხამ სული ჩუდგა, იმას ერგებაო. მართლაც ამ ხემწიფემ მისცა ცოლათ თავის გოგოშვილი ამ გუდიან კაცს და ხემწიფი შვილს. დეაწერეს ჯვარი და ცალკე უნდა გადეყვანონ ოთახში. — აბავო, უთხრა გუდიანმა კაცმა ხემწიფეს, ჩენაო წევყვანოთ უნდა ცალკე ოთახშიო. გადეყვანეს ცალკე ოთახში ამ ორვემ. დაწოლის დრო მოვდა. ხემწიფი შვილმა უთხრა გუდიან კაცს: ამაღამ შენ დაწვევი ცოლთან, ხვალ საღამ მე დაწვებიო. ამ გუდიანმა, მოხუცმა კაცმა არ ქნა ეს. შენ უმფო ახალგაზრდა ხარ და ამაღამ შენ დაწვევიო, უთხრა და დაწვინა ხემწიფი შვილი ცოლთან. ამ გუდიანმა კაცმა — მოხუცებულმა უყარაულა. მაგათ, რომ დეძინენ, ვნახოთ, რომ ამ ხემწიფის გოგოს პირიდან ამოვდა გველი და უნდა უკბინოს იმ ხემწიფის შვილს და მოკლას უნდა. წუქნია დანა და მოჭრა კისერი იმ ფინთს მოხუცებულმა, თავი მეჭრა, ხოლო ტანხ კი ისევ გოგოს მუცელში ჩებარვა.

თურმის შეშინდა ხემწიფემ, რომ დილას კარი რაფრათ გავალო, რომ კტარი იქნებიან ჩემი სიძიებოთ. თურმის მეშვიდეჯერ გუთხოვებია ხემწიფეს ეს გოგო. დაწვევს კაცს ამჟა ეს ფინთი და მოკლავს. იმის გამო, არ ლაპარიკობდა მეგემ ეს ხემწიფის გოგოშვილი. გათენდა დილა, გნლო ხემწიფემ კარი, რომ ვორვე სიძიებო ცოცხალი დახდენ. მოხუცებულმა უთხრა ხემწიფეს, რომე ერთი ცული მოგვინზადეო, ხემწიფემ მუტანა ცული და კითხა:

— რათ დაგჭირდენ ეს ცულიო? — უნდა გავყოთ ქალი შუაზეო, უთხრა იმ გუდიანმა მოხუცებულმა.

წეყვანეს ი გოგო ტყეში გასაჭრელათ. ნიყვანეს ერ ალიგზე და — აბა აქ გავჭრათ შუაზეო, უთხრა გუდიანმა. დაწვეინეს ი ქალი.

მოაწიწა ამ გუდიანმა, ცულინდა დარტყას. ამ ხემწიფის შვილ გოგოს შაეშინა და ფინთი წამუანქრეგია პირიდან. მემრე აყენა და უთხრა, რომ შენ ჩემი რძალი ხარო.

დაბრუნდნენ ხემწიფესან. მივდენ და უთხრა ხემწიფეს ამ გუდიანმა კაცმა: მოგიყვანე შენი სიძე და გოგოვო. დეაწყეს მაგინმა ქორწილი. ამ გუდიანმა უთხრა ხემწიფე შვილს: ვეზირმა რომ თეგზი დეაჟავა და შენ გჰუშვი ზღვაში, ი მე ვარო. ასეთი პატივისცემისათვის მეც იმიზა გეცი ასეთი პატივიო და გაქარდა გუდიანი კაცი. ხემწიფეს გუხარდა ეს ნამეტარი და ამ ახალ სიძეს, ხემწიფის შვილს ჩაბარა თავის ხენწიფობა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

12. ბელის მაქებარი

იყო ერთი ჯაზი ნენე. ის რუმ დაწყევლიდა ვინცხას, მოკტეზობდა ხელათ. ერთ ქალ ყავდა ერთი ვაჟი. მეტნი არაფელი არ ყავდა. დედამისმა უთხრა ამ ბალეს, რუმე ეგერ რუმ ჯაზი ნენეა, აფერი მოპარო, თორემ მის წყევლას ვერ გუდუჭრჩებო. ამ ბალემა მანც არ დუჯერა და მოპარა ჯაზი ნენეს კიტრები. ჯაზი ნენემ იფიქრა, რომ მამ ქალს ერთი ბალეს მეტი არვიც ყავს და სიკტილით რაფერ დავწყევლოვო და დაწყევლა, რუმე ღმერთო ბელა ანახეივო. მართლაც უხტა ამ ბიჭს ჯაზი ნენეს წყევლა. დედას უთხრა, რომ მე ბელის საძებნელათ მიილო.

გასწია და წევდა. ძარა, ძარა, და მივდა ერთ სოფელში. გეგონა, რომ ერ ალიგზე ტირილია. იფიქრა ბიჭმა, რუმ თუ ვნახე ბელა, აქ იქნებაო. შევდა სახში და კითხა: რატუმ ტირიხარო.

— ერთი გოგო მოგვიკტაო, უთხრენ, სალამოს წავაყრით მიწას, დავმარხავთ, დილას ამოღებულა ზეზეო. ამ ბიჭმა იფიქრა: თუ ვნახე ბელა, აქ ვნახე იმასაო. უთხრა ამ ბიჭმა, რომ ნუ გეშინიან, ნუ ტირიხართ, მე დავცავ მაგასაო. მიწყვანეს და სალამოს ანახეეს გოგოს სასაფლაო. ამ ბიჭმა დუწყუო ყარაულობა. ვნახოთ, რუმე ღამე მოვდა სასაფლაოზე ერთი გოგო გუდით. ამოაღო ჯოხი და დარტყა სასაფლაოზე. სასაფლაომ გეგხსნა, მეორე ჯოხი ამოიღო გუდიდან, ის რუმ დარტყა, გოგომ ამოვდა საფლავიდან. მესამე ჯოხი ამეაღო გუდიდან, დარტყა

და გოგომ გაცოცხლდა და სამა დეაწყო. ი გოგო სამობს გაცოცხლებული.

ამ გოგომ გულაში ჩაწყო ჯოხები და შეინახა. ამ ბიჭმა მოპარა ი გულა. გათენებამდი ი გაცოცხლებული გოგო ასამა. გათენების ხანს მოაკითხა თავის გულა, რუმ სალად არი. გათენდა კიდეც და ეს ვინცხა გოგო იყო, გაქრა გეაქცა.

ეს კტარი გოგო დარჩა ზეზე ცოცხალი, წევდა ამ ბიჭმა სოფელში, მუტანა ტანსაცმელი, ჩაცვა და წეყყანა აა გოგო მამის სახში. ნიყყანა მის დედ-მამასან და უთხრეს, რუმ რამდენი ფული ვაჩუქვოთ შენაო. მართლაც აჩუქვეს ერთი ფუთი ოქრო. ამ ბიჭმა აა ოქროც დუტია იგინს. უთხრა, რომ მე ბელის საძებნელათ მივალ, თუ ვნახე ბელა, გამოვდარ და წევლებ ამ ოქროსო.

წევდა, ძარა. ბევრი ძარა თუ ცოტა ძარა, მივდა ერთ შეპერში. მივდა თურმე ერთ მაღაზიასან, რუმ ერთი ბიჭი ტირის იქაც. ჰკითხა ამ ბიჭს, რუმ რატომ ტირიო. ამ მაღაზიაში ორმოცი გამყიდველი მოკტენოდა და დღეს ჩემი სირა არი და მეც იქინე მომკლავს რაცხაო. ამ ბიჭმა კითხა: როგორი მაღაზია არი და როგორ კლავს კაცებსო. ამ გამყიდველმა უთხრა: რაღაცა ჩხრიალით წამუა ზედანო და ბოქლომის გაღებისხან კლავს კაცებსო. რომელცხა ბელას ეძებს, ამ ბიჭმა უთხრა: მაგი ჩემი საქმე იყოს, მე წავალ დღეს იქ გამყიდველათო. მივდა და დუწყო ბოქლომს ლება. მარობაში ზედან წამოვდა რაცხა ჩხრიალით. ბიჭმა ჩექმაზე იქინე მოკიდა ხელი და ერთი ცალი ჩექმა წაძრო. წაძრო და გნლო, შევდა მაღაზიაში. მივდა გამყიდველიც მასთან. ეძლო და ერთი კოდი ოქრო აჩუქვა, რომ სიკტილს გადამარჩინეო. ამ გამყიდველს უთხრა ამ ბიჭმა: აა ოქრო შენთან იყოს, მე მივდივარ ბელის საძებნელათ, თუ ვნახე, გამევიარ და წევლეფ მაშინო.

გასწია და წევდა. ბევრი იარა თუ ცოტა ძარა. მივდა ერთ ზღვის პირის ქალაქში, მივდა, რომ ერთი ბიჭი გემზე დამედარა და ტირის. ჰკითხა: რატომ ტირიო. — რატომ ვტირი და სამოზდაათი პარახოთი დეფლუპა ამ ზღვაში და მე მომიწია დღეს დალუპვაო და იმიტომ ვტირიო. ამ ბიჭმა უთხრა, რომ ნუ გეშინია, მე წამიყვანე იქა, შეაძლება ბელა ვნახოვო.

მართლაც წეყყანა. წევდა პარახოთმა. ძარა, ბევრი ძარა თუ ცოტა ძარა, რაცხამ კაკუჩაჲ კინა გამოდდა ამ პარახოთს. ამ ბიჭმა მოკიდა ხელი ზეთ. ამუაძრო. ეს კინა და ჩაგლო გულაში. პარახოთი გადარჩა დალუპვას. გასწიენ და წევდენ.

მივდენ ერთ ადგილზე, რომ ზღვაში ერთი სარაია არი. ამ ბიჭმა ამ გემის წამყვანს უთხრა, რომ მე ამ სარაიაში უნდა შევედე, შედძლება ბელა იყოს ამ სარაიაში და მენ გამომიარე და წიმიყვანეო.

მართლაც შევედა იმ ცარიელ სარაიაში. შევედა შით, რუმ ისეთი საჭმელებია გაკეთებული, რუმ რა ნახა თვალმა და დედაწყობა. შეჭამა ორი სადანი საჭმელი და იფიქრა: მე რომ ეს შეეჭამე, ამას ვინცხა პატრონი ეყოლებათ. შევედა და დოლაბში დედალა, რუმე ვინმე მუა ამის პატრონიო. მარობაში მოვედა ერთი ქალიშვილი, — გოგო. თქვა: ვინცხას საჭმელი შუჭამიაო. მარობაში კიდევ კიდევ მოვდა. მევორე გოგო, უნცროსი. დუწყო უმფოსს ყვირილი, საჭმელი რეაზა შიგიჭამიაო, ამ მარობაში მესამე დაც მოვედა. უნცროსი სულ. მოვედა და უთხრა, რომ საჭმელი რომელმა შეჭამეთო. დუწყენ ერთქვანებ დავა — არა შენ შიგიჭამია, არა შენაო. მარობაში თურმის მაგინ ყოლიან ერთი ძმა და ის ძმაც მოვედა ჰკითხა მაგინს ძმამ, რომ რეაზა ჩხუბობთო. რეაზავო და საჭმელი შიგიჭამია ვილაცამო. გოგვებმა თქვეს: მოე ერთი ჩვენი თავგადასავალი ვილაპარიკოთ, — მოვეყეთო. ●

უმფოსმა დამ თქვა თურმის: შე ისეთი ქაჯი ვიყავი, რუმეო დამარხულ კტარ ამეყვანდი და ვასამებდიო და ის ჩემი გულა ადამიანმა მომპარა. ჩემზე უმფო ქაჯი ის ადამიანი გამოდგაო. შედძლება ვინმე იყოს აქ მოსული ადამიანიო.

მეორე დამ თქვა, რომ მეო ერთი მალაზია მქონდა დაბატონებული. ვორმოცი გამყიდველი მოკალი და ერთი ისეთი ადამიანი გამგერია, რუმ ჩექმა რომ წამადრო, კილამ ფეხიც მომწყვიტა. უნცროსმა თქვა, რომ მეო ზღვა მქონდა დაბატონებულიო. ერთი კინა მქონდა, იმ კინით ვლუპავდი პარახოთებსო. ისეთი ადამიანი გამგერია, კინაც წამართვა და კილამ სულიც ამაგლიჯაო. ბოლოს თქვეს ამ გოგუებმა: აე საჭმელი რომ შეჭამა, შედძლება ადამიანი იყოსო. მარობაში გავლო ამ ბიჭმა დოლაბის კარი, გამოვედა და უთხრა: ვის ახსენებთ თქვენაო, თურმის ყოფილან ისინი ქაჯები და ძალიან შეშინდენ. იმ ბიჭმა ქაჯმა უთხრა, რუმ შენ აქ მოსლა როგორ გაბედეო. ქაჯმა ბიჭმა უთხრა: მოდი, ყვარზე. ევდეთ, მე თუ დევევირე დიდი, მაშინ დაგკლაო და შენ თუ დევევირე დიდი, ჩემს დას ცოლათ გაგატანო. შეშინდა და უნდოდა მდევროვებია თავიდან. გერჩექ ევდენ ყვარზე. ეს ქაჯი ბიჭი შეშინებული იყო ნამეტარი და ხმაც ვერ ამეგლო თურმის. ამ ბელის მადებარმა კი მუგო ყვირილში, შემდეგ ჩამოვედა ის და გამოუტანა, რომელცხას ჩექმა წაძრო მალაზიაზე.

პარობაშიც იმ პარახოთმაც ჩამეძარა და წამოყვა უკან. იმ კაპიტანმა დასაჩუქრა ფულით, რომ შენ სიკტილს გადამარჩინეო. შემდეგ იქიდან ბრუნდება და მოყვა, მოვდა იმ გამყიდველთან. იმ გამყიდველმა მისცა ფული, რაც იყო დატეველი იქ და გამგზავრა. იქიდან წვედა, ძარა და მივდა იმ კტარ გოგოს პატრონთან. იმანაც გვტანა მისი ფული.

ამან მიყვა და მივდა თავის დედასან. ქალიც მწყვანა და გამართა ქორწილი. ორმოც დღე-ღამეს იქორწილეს, ივინი იქ დავტეი, მე გამევიარე და წამტელი.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

13. მონადირის ვაჟი

იყო ერთი მოხუცებული მონადირე, კაცი. იმან გადგეცვალა. მას დარჩა ერთი შვილი. ხალხმა რომ თავი მოაყარა, ივინმა თქვეს, რომ მამა რომ მოკტება, შვილმა მამის ხელობა უნდა დეჰქიროს. ეს გეგონა შვილმა და დაბრუნდა სახში. უთხრა დედას, უმ მამაჩემის ხელობა რა იყოვო. დედამ უთხრა, რუმ მამაშენი იყო მონადირეო.

ადგა ბაღვმა და წვედა ტყეში, წვედა, მარა ვერაფერი ვერ ნახა, ერთი კურდღელი დეგნახა, დაბრუნდა სახში და უთხრა დედას, რომ მამაჩემი რით დადიოდა ტყეშიო.

— მაგერა თოფი მისი და ხანჯალიო, მაგით დადიოდაო,— უთხრა დედამ.

მოპარა და წეგლო ამ ბაღვმა თოფი და ხანჯალი. წვედა ტყეში, დულამდა. ბაღვი შეშინდა და ევდა ხეზე ღამით. რამედონიე საათის შემდეგ გახედა, რომ რაცბა სინათლე მოფრინდა ამ ხეზე და განათლა თლათ მიწა—ერთ ვერსზე კრუგომ. სადაც ბაღვი იყდა, იმ ხეზე დაფრინდა მავ სინათლიანმა ჩიტმა. მიეპარა ბაღვმა მამ ჩიტს ხის წვეროზე და დეჰქირა. როდცხა სინათლე მეტი ქონდა ჩიტს, ბაღვს აღარ შეეშინდა. ჩამოაყვანა ძირში და როდცხა სინათლე ქონდა მაგარი, აღარ შეეშინდა და წვედა სახში. როდცხა სახში მივდა, მავ ჩიტი ყველ ღამ ანათებდა. დღეჲ არა. დღეჲ ძალიან ღამაზი იყო, მეტი ღამაზი აღარ შეეძლებოდა.

შეატყო ხემწიფემ და მავ ჩიტი მოსთხუა ჯარის ომფოსმა. ბაღვმა დეჰფიქრა: რალა ჯარის ომფოს მივეცე ჩიტი, ზათი უნდა წამართვანო და მოჲ ხენწიფეს ვაჩუქეფო. მწყევანა და აჩუქევა მავ ჩიტი ხენწიფეს. ამაზე ჯარის ომფოსმა მოვდა ცოტა გულზე, რუმ რატუმ მე არ მომცა და მიცა ხენწიფესო. ამაზე უთხრა ხენწიფეს

ჯარის ომფოსმა, რომ შენ მასეთი ჩიტი რუმ გყავს, შიგიძლიან, რომ ფილდიშის სარააა აგოთ და შით იმცხოვროთო უპასუხა ხენწიფემ, რომ ფილდიშის ძვალ ვინ მოატანსო იმღონ რაოდენობას, რომ სარააა ეფგოსო. ჯარის ომფოსი ებნევა ხენწიფეს, რომ მათ რაღა, ვინც მასეთი ჩიტი მოგიყვანა, ის მოგიტანს მასეთი ფილდიშის მასალასო და ამით აგებ სარააასო.

რამოდენიე დღის შემდეგ ხენწიფე დემაბარებს მაგ ბაღეს და ბაღეი მუა ხემწიფესან. ეტყვის ხენწიფე, რომ მოატანო უნდა ფილდიშის მასალა სარაიას ასაგებათო, თვარემ სულ ერთია რუმ სულს ვერ წეაღებო. ბაღემა უპასუხა ხენწიფეს: მაგი მე რაადანდა მეეტანო, სულ ერთია, თუ გინდა დღეს დამხრიტე და თუ გინდა ხვალაო. ხენწიფემ უპასუხა: ადე, წადი ახლა ჩქარა კარში. მეატანო უნდა ხუთი დღის ვადაში, თუარამ წასული ხარ ხელიდანო. ბაღემა წევდა გარეთ ტყეში, მოცილდა ქალაქს. რამოდენიე იტირა და დეძინა ტყეში.

იქ რალაცამ მივდა და ნახა მათ ბიკი. უთხრა, რუმ ადექი ზეზეო, რა დერდი გაქ მითხარიო, ბაღემა უპასუხა: ჩემ დერდს ველარვინ ვერ მომიწელებს, დარჯილი ვარ, ხუთი დღის ვადაში სიკტილითო. — რატომო, უპასუხა, მითხარიო. ი კაცი ებნევა: რა დერდი გაქო. ბაღეი ებნევა ახლა, რუმე ხენწიფემ დამავალა, რომ ფილდიშის მასალა მოატანეო სარააას ასაგებლათო. ამას მე ჰად ვიშოვნო. მოკლეთ, ხუთი დღის ვადაში მჯიანო. უპასუხა იმ მოსულმა კაცმა, ვინცა იყო: ნუ გეშინია შენ, რა გაშინებს მაგაზეო, მათ სულ აფერი არ არიო. მიდი და სთხუე ხენწიფესო. მოსთხუე მას ოთხმოცი ცალი დროგები მისი წყობილობით, მისი საჭმელითო და ხენწიფე მოქცემს მაგასო. იმას რუმ მოქცემსო, გუდექი აგერ ამ გზის წვერითო, ასტავლა. ერთ დღე-ღამეს მარო და იქ მიხვალ მინდორშიო, ამ ბაღეს იმ ოთხმოცი დროგებით ღვინო მიაქ იქა. იქ მინდორზე რუმ მიხვალთო, ის ფილები წასული იქნებიან საბალახოთო. იქ ყოფილა დიდი ქვის ჯარა, ძველი, იმ ჯარაში წყალია, ი წყალი დაცალეთ და ჩნახით შით ღვინოვო და უკან გადითო. ფილები საღამოს მოვლენ, თქვენ არნდა დახტეთ იქ, თქვენი კაქკებიანა გადით უკან და დემაღლეთ, თვარა შეგქამენო. საღამოს მოვლიან ფილები და დაღვევენ წყალსო. წყლის მაგიერ ღვინო იქნება შიან და დათრებიანო. მაგინი ყველა წეაქცევიანო. ერთი სათის შემდეგ მიდი და თავები დაჭარო. დაყარე მაგ დროგზე წამეაღე და მუტანე ხენწიფესო. ხენწიფე აგებს სარააასო.

ასე განხერხა ბაღემა და ფილდიშები მუტანა ხენწიფეს და ხენწიფემ აგო სარააა. ახლა მაგაზე ჯარის უმფოსი გამჯავრდება,

მუა გულზე, რომ კად ჩიტიც ამას აქ და სარადაც კარქი ამას აქო, იმ ბაღვის მოხერხებითო. იმ ხენწიფეს ქალი არ ხავს და ეტყვის ის ჯარის უმფოსი, რომ არ შეიძლება შენი უქალობა, უნდა დასახლდე; სხვა სახენწიფოში აგზავნიან ელჩებს ქალიზა, მხოლოთ მიმსლელი არიან და მომსლელი არ არიანო. ხენწიფე ებნევა ჯარის უმფოსს: მართალია, კი დავსახლდები, მარა მიმსლელი რომ არიან ელჩები და მომსლელი აღარ არიან, როგორ ვქნაო. ებნევა ჯარის უმფოსი, რუმ შენ უმ ჩიტი გაჩუქვა და სახლი ავიგო, ის მოგიყვანს მაგ ქალსაო.

დუძახა ხენწიფემ იმ ბიჭ, მოაკითხა. მოვდა ბიჭი. — რა გნებავს, ხენწიფე, მამაო. — რა და, — ხენწიფე ებნევა, — წახვიდე უნდა ამა და ამ სახენწიფოში და უნდა მოაყვანო ეს და ეს ქალი ჩემთვისო. ბიჭი ეტყვის, რომ მაგხელა საქმის დავალება ჩემი საქმე არ არიო. ვერ შევძლებო, ებნევა ხენწიფე, რომ სულერთია, უნდა წახვიდე და მეაყვანონდაო. ხუთი დღე მიცა ვადა კილო.

აღვა ბიჭი, მოცილდა მას და წევდა ისოვლე ტყეში, სადაც ზირველათ დეაძინა, იმ ადგილზე მივდა. იტირა რამდენაე სნთები და დეაძინა. მუა კაცი კილო, ებნევა: ადექი ზეთო. რაშ შობი რა გინდა აქო. ეტყვის ბაღვი. მაგას, რომ ასე არი ჩემი დერდიო. ხენწიფემ დამავალბ, რომ ქალი მეაყვანონდა ამადამ სახენწიფოდან, თვარამ სულერთია, მაანც დაგხრიტამო. ამის შემდეგ მე სული მაანც და ვერ ვატარო, მაანც უნდა დამხრიტოს ხენწიფემო და ამიტომ ვტირივარ და ვაგდივარ ტყეშიო. ებნევა ის მოსული კაცი, რომ ნუ გეშინია შენ, რასაც მე გასტაველი ის დეისტავლე კარგათ და საქმეს ყველას გაკეთებო. მიდი, ხენწიფეს სთხუე, იმას წრთვი შვიდი ფუთი ქერი და ორმოზდა-ათი ოყა ხორცი და ორნოცი ღერი ლურსმანი. ლურსმანი უნდა იყოს თანდათანობით ყველა გრძელი ერთი მხორეზე და მეგორმოცე ლურსმანი უნდა ოყოს ორი საუენიო. ამას რუმ წრთვამ და წეაღებ, გზაზე შეგხტება ერთი ჩიტიო, ის არ გიგიშვებს შენო. აე ბიჭი. გემით უნდა წევდეს და ვადაც სთხუე ერთი თვე. ჩიტი დეაქირავს გემსო და იმას შენ ხორცი მავციო. მერე კილო დეგიქირავს დიდი ბობოლიო, ამაჰაც ხორცი აჰამეო. ის ბობოლი კოჭლიავო. ჩიტიც გაჩუქვებს რაცხას და ბობოლიც. ი ორივე შეენახეო. რაცხა ადგილზე გიგიქირდეს, ამეაღე ზეთ მათი მონაცემი, პიჭკით წახრუქე პატარა და იქ გაგინდებიანო.

ეს ყველამფერი დანხრხა ბიჭმა და მიდის გზაზე. ჩიტის და ბობოლის ბეწვი აქ თან. მიდის ბიჭი გემით კილო. მიადგა ერთ პატარა ჯორს. ვერ გვეიდა ვემმა. როგორც რუმ ტყეში იმ კაცმა

ასტავლა, ჩამოვდა გემიდან ყაფლით ლილაზე. ეს ლურსმანი ეძღო და დედაწყო ჩაქუჩით მიწაში ჩასობა. კანკრას მეგორმოცე მუხი რომ ჩასო, ამან დედაცალა, დედაწია ქვედათ გორმა და ეძღო გემი წყალმა. ის გორი თევზი დარჩა. მობრუნდა თევზმა და დედაჭირა გემი პირით, რომ მე ზრუგი რომ მომფხანეთ, რას მთხოვ, რა გაჩუქოთო. ბიჭი ებნევა: რაცხა ადგილზე გაჭირვება მე დამადგება, იქ მომეხმარეო.

— კაა კააო, თევზი ებნევა, მომწიკვე რაცხა და წეძღე. ჰაცხან გაჭირვება დაგადგეს, იქ წუხრუკე და იქ გაგინდებო, მხოლოთ წყალშიო. გოუშვა ეს ბიჭი და წევედა.

მივდა ხენწიფესან, სადაც იყო ხენწიფე, კანკრას იქ შეხტა გემიც. მივდა. სანიშნო ქვა მეგემ და ბიჭმა შეახტა ზეთ. მეგემ ის ყოფილა საელჩო ქვა. ხენწიფის გოგო დედანახავს ამ ბიჭს და ეტყვის მას, რომე ვინცხა სანიშნო ქვაზე მოვდა ელჩიო. მამა ეტყვის, რომ დუძახეთ და მეყვანეთ ჩემთანო. დუძახეს ბიჭს, მწყანეს ხენწიფესან.

— რა გნებავსო, უთხრა ხენწიფემ.

— შენი შვილინდა წეყვანოთ ამადამ ხენწიფისთვინ ცოლათო.

— კააო — ებნევა — ხოლოთ სამ ასახსნელს გეტყვი, თუ გნკეთებ, წეყვანეო, თურ გნკეთებ, თავს მოგჭრიო.

— აბა, მითხარი, რას მიბძანებთო. ხენწიფემ წეყვანა სკლატში. სკლატი დიდია, სამი ვერსი სიგრძე. დაყენა მუშები ხენწიფემ. იქ შეურია შვიდი ფუთი ჰვავი, შვიდი ფუთი ქერი და შვიდი ფუთი ფეტვი, სულ ოზდა ერთი ფუთი. ესენი თლათ შურია ერთმანეთში. ეს გადნარჩე სამი სნთის განმავლობაშიო, თუარამ თავს მოგჭრიო. ორი კიდო მაქვსო მაგას გარეთო.

თან არის ღამე, დაღამებულია, ბიჭი დატია სკლატში, გარეთ ყარაული — ერჯონი დუყენა კარებში. სკლატს ფენჯრები აქ. ბიჭმა წუხრუკე ჩიტის ბურღლას. მოვდა ჩიტმა. უთხრა, რუმ რა უინდაო.

უთხრა ბიჭმა: ჩემი გაჭირვება ეს არის, ესნდა ცალ-ცალკე, კაკალი არნდა აკლდეს, გადავარჩიო უნდაო. თუარა მე ვინბრიტები სამ საათშიო. თუ ამეიღებ ამ ჩემ გაჭირვებას, ეს არისო. უთხრა ჩიტმა: ეგ ქერი და ისინი გუფინე შორეთო, მე მეყვან ჩიტებს და გადავარჩევო, ეს აფერი არაო. იმ ჩიტმა დოუძახა ყველა ჩიტებს. მოვდენ და გადნარჩეს ცალ-ცალკე.

— დუძახა კარებში დერჟუნს ბიჭმა: კარი გნდეთო, ხენწიფე მოვიდესო. მოვდა ხენწიფემ, ნახა, რუმ გადნარჩევა ცალ-ცალკე

ყველა. ამაზე ცოტა ხენწიფემ შეწუხდა ხენწიფემ დავალა, კიდევ უთხრა. წამოდი აგერო. წყევანა ბიჭი, უთხრა: აგერ ის გორი ვახრიტო უნდა, ქალაქია უკნედანო, იმი სისტორ უნდა ვახრიტო, ქალაქი გამოჩინდესო, თან კინიგზა უნდა იყოს დაგებულიო. მუხაზა გამოსახრიტი გზა. ამ ბიჭმა დეფყო თხრა. უთხრა ხენწიფეს: მო-
პაცილეთ ხალხი, გადით შორეთო, ერთ ვერსზე ახლოს არვინ იყოსო. წუხრუკა ბიჭმა ამ ბობოლის ბეწეს. გაუჩინდა ბობოლი იქ. უთხრა ბობოლს, რომ ეს ჩემი საქმე, თუ მიშველიო. კინი-
გზაც უნდა იყოს აგებული შითო და იქითიდანაც ქალაქინდა ჩან-
დესო.

— ნუ გეშინია, მაგ აფერი არალიო, უთხრა ბობოლმა, გეაწი პაწა 'შორეთო.

გეაწია ბიჭმა შორეთ. მაგ ბობოლმა ელუცა მიწას ისეთათ, რომ თან ვახრიტა და თან კინიგზაც აგო. იქითიდან სინათლე გამოჩინდა. ბიჭმა დუძახა ხენწიფეს, გოგოს მამას: მოდი აგერო, ნახეთ თუ მოგწონდესო. ნახა ხენწიფემ, უთხრა: მაღალდესო. შენ ჩემზე წინა ხარ, ეშმაკი ხარ, თუ რა ხარ, კაცი ვერ გეგებსო. ნესამე ასახსნელა აღარ გპირდებაო, ხოლოთ დეისვენე, აქ იყავი ჩემთან ძარე და როდცხა გინდა, მაშვინ წადიო. გოგოც ისე-
თია, რომ გულში აქ ჩასახული, რომ ეს ბიჭი ჩემი ქმარი იქნე-
ბაო. ერთათაც დადიან. გეძარეს, გამეძარეს მეორე დღეს. უთხრა ბიჭმა გოგოს, რომ ერთ გემში ჩევდეთ და ვნახოთ გემის ხალხიო. წაყვა გოგომ და ჩევდა გემში. ბიჭმა უთხრა კა-
პიტანს: აბა, არიქა, მიაწე გზას, გამიყვა ჩქარა ჩვენ სახენწი-
ფოშიო. წევდა, რაც შეეძლება ჩქარა. რამოდენიე წუთების მემრე დეანახა ხენწიფემ, რომ გემი წევდა და ჩემი შვილი წე-
ყვანაო. გამეკიდა მას ჯარით დასაჭირათ, ხოლოთ მიადგება იმ
დღე მაღალ გორას. ის ბიჭი წუხრუკავს თევზის ფთას. დეანგრევა
ის გორი. გეძარენს გემი. დეწევა თევზი და ეტყვის ბიჭს, რომ
რა გინდაო. ეტყვის ბიჭი, რომ არ გამწუშვა მაგი გემები, უკან
რუმ მომდევს, არ დემეწიონო. ეს ჩემი გაჭირება და აქ მემე-
ხმარეო.

— ნუ გეშინია, წადი შენ, არ გამწუშვებ არავისო.

ადგება და მტა ბიჭი ხენწიფესან. მოყვანს გოგოს. ორმოც
დღეს იქ ქორწილია. მეგორმოცე ღამეს უნდა დაწვეს ხენწიფე
თავის ცოლთან და დაწვება კიდევ. ეტყვის გოგო, რუმ მე ვინ
მომიყვანაო. მე მოგიყვანეო, ეტყვის ხენწიფე. ეტყვის კიდევ გო-
გო: ეს სარაა ვინ გპკეთაო და ეს ჩიტი ვინ მოგიყვანაო. ეტყვის
ხენწიფე რომ მე მეყვანე და მე ვავაკეთეო — აბა, თუ მართა-

ლია, — ეტყვის გოგო, შენ თუ გპკეთეო, დეჟენსე აბავო. დეჟენსეებს ხენწიფე და თან მოკტება. ხენწიფე გამშუცალეს და ეს გოგო ჯარის უმფოსმა ითხუა. გოგოსთან წვება ჯარის უმფოსი. მხოლოთ უთხრა გოგომ, რომ ეს ჩიტი ვინ მეფყვანაო, და ეს სარაჲ ვინ გპკეთაო, მითხარი სტორეთო: ეტყვის გოგო, რომ თუ მართალია, დეჟენსეო და მერე დავწვეთ ერთათო. ჯარის ომფოსი დეჟენსეებს და მოკტება, ამუჲა სული. ახლა ღუძახებს ის გოგო, ვინც მე მომიყვანა, მოვდეს იმანო. მოვდა ის ბიჭი. — რა გნებაესო, ბიჭმა უთხრა. გოგო ებნევა, რუმ თქვენი ხენწიფის სიმართლე და ჯარის უმფოსის სიმართლე არ შეჲცავს სინამდვილესო. ამით ვერ იარსებესო. მე შენ მიყვარხარ, გოგო ებნევა, მოკლეთ შენთვის წამტელი, მითხარი სიმართლე. ეს ჩიტი ვინ მოჲყვანა და ეს სარაჲ ვინ აგო და მე ვინ მომიყვანაო, მითხარი ესენი ყველაისიმართლეო. უთხრა, ბიჭმა: ბევრი რალა გავაგრძელოთ, მოხერხება ჩემი იყო, მაგი ჩიტი მოყვანაც, სარაჲს მოტანაც, მოხერხება მხოლოთ ჩემი იყო, ხოლოთ სარაჲა ხემწიფემ აგო. ჩიტი ხენწიფეს ჩემი ხელით მტუნანე. მე რუმ შენ მოგიყვანე, მოხერხება ჩემი იყო, ჭკვის სტავლება მხოლოდ სხვისი იყო. ამ სხვისი ჭკვის სტავლებით ჩემი მოხერხება გავამართლეო. ეს საქჲე სინამდვილეში ასე არისო. ებნევა ახლა გოგო, რომ, თუ მართალია შენი სიტყვა: დეჟენსეო. დეჟენსესა ბიჭმა. არ მოკტა. უთხრა გოგომ, რომ შენ იყავ ახლა ხენწიფე, მე ვიქნები ცოლივო. რამდონეთათაც შენ მართალი ყოფილხარ, ისე იცოცხლე და იყავი კარგათო. ჩვენ ვიქნებით საბოლოოთ ერთათ მუდამო. მეგორმოცე ღამეს თვითონ იმ ბიჭმა დაწვა იმ გოგოსან. მაორე დღეს გაცნეს ხალხს, რომ ესა ხენწიფე და ხენწიფის ცოლიო.

იგინი იქა ტირში, ჩვენ აქანაჲ ოხინში.

14. სამი ზაჲის ჰიდვა

ყოფილა ერთი ღარიბი კაცი. ყოლია ერთი ცოლი. უთხრა ცოლს, რუმ ჩვენ ასე ღარიბათ ცხოვრება არ გამოგვადგებო. მე წავალ სალაც ფულის მოსაგებელშიო, ეგებას მე დიდხანს ვერ მოვდეო და ვინმე სხვამ არ ისარგებლოს ჩემს მაგივრათ, ამიტომ წევლებ შენ ოქროს ბეჭედსო. სანამ ამ ბეჭედს შენი თვალით არ ნახავ, მანამ არ დეჟჯერო, რომ მე შენი ქმარი ვარო.

გამშუართვა ბეჭედი ადგა და წევდა.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ მივიდა ერთ ხემწიფესან. დადგა მოჯამაგირეთ და დეაწყო მუშავობა. დეაწყო მუშავობა და იმუშავა თექსმეტი წელიწადი იქ.

ამ თექსმეტი წლის განმავლობაში თურმე მისი ქალი დარჩა ძიმეთ. იქ ბალანაჲ დეებადა, თექსმეტი წლის გახტა ბიჭიშვილი და მან კი არაფელი არ იცის ამ თექსმეტი წლის მანძილზე. ამ კაცმა იფიქრა, რომ, მოდი, ჩემ ანგარიშს გავანალღებოდე ხენწიფეს და დავბრუნდები სახშიო. შევდა ხენწიფესან, დაჟდა და მგელიბარიაკა: ამ თექსმეტი წლის განმავლობაში მე შენთან, რაც ვიმუშავე და რაც მეკუთვნის, მომეცი ფული, უნდა წევდე სახშიო.

ამ დროს ხენწიფემ უთხრა, რომ ჩემიდან გეკუთვნის სამი ოქროვო. მისცა ეს სამი ოქრო.

ამ კაცმა დალონდა, რომ ნუთუ ამ თექსმეტი წლის განმავლობაში სამი ოქროსმეტი ვერ გავაკეთეო. ეღლო ეს სამი ოქრო და წამოვად სახში. ამ დროს ხენწიფემ დუძახა—მოცადეო. ერთ ოქროს თუ მომცემ უკან, ერთ ჭკუას გასტავლიო.

ამ კაცმა იფიქრა, რომ ამ თექსმეტი წლის განმავლობაში სამი ოქროს ნეტი ვერ გავაკეთე, ამ ერთ ოქროსაც ამას მივცემ და ერთ ჭკუას ვისტავლიო. მისცა ხენწიფეს ერთი ოქრო, ხენწიფემ უთხრა, რუმ რაც შენი საქმე არ იქნება, იმაში არ ჩაერიოვო.

გამეარა და წამოვდა კაცმა. ცოტაზე რომ გამოვდა, კიდე დუძახა: ერთ ოქროს თუ კიდე მომცემ, ერთ ჭკუას კიდე გასტავლიო. კაცმა იფიქრა: მოდი ამ ერთ ოქროს კიდე მივცემ და ერთ ჭკუას კიდე ვისტავლიო. მისცა მეორე ოქროც. ხენწიფემ უთხრა: სანამ შენი თვალთ არ დეანახავ, ისე არ დეაჯეოვო.

გუდგა კაცმა გზას. ცოტა, რომ გეარა, კიდე დუძახა ამ ხენწიფემ: მაგ მესამე ოქროსაც თუ მომცემ, მესამე ჭკუასაც გასწავლიო. მაანც არ ქონდა საშუელი და მისცა ეს მესამე ოქროც. უთხრა ხენწიფემ: საეჭვო საქმეს ნუ დიენლობიო.

დალონებული გამეარა და წამოვდა კაცმა სახში ცარიელი. დიდი სიარულის შემდეგ ერთი ადგილ დუღამდა. ამ ადგილის ახლო ქალაქი იყო დიდი და ამ ქალაქში მივდა ფადიშახთან. მივდა და იქ კარებში მორიგე იდგა. იმას უთხრა: თუ შეიძლება ამაღამ ლამე გამათევავეთო. მორიგემ უთხრა, რუმ ხენწიფეს მუახსენებ და თუ ნებას დაგრთავს, გავათევიებთო.

შევდა მორიგემ ხენწიფესან და უთხრა, რომ ვინცა კაცია მოსული და ღამის გათიება უნდაო. ხენწიფემ უთხრა, რომ შამეყვანე სახში, გავათევიოთ ღამეო. თურმის ამ ხენწიფეს თავის გოგო ყავდა გაშიშლებული და კარებთან ღირეგზე მიკრული, რაცხა დანაშაულობის გემო.

ვინაც მოვლოდა და შეხედავდა ამ გოგოს, ყველა გეკვირებდა და კითხავდა ხენწიფეს: ეს რარიო? ხენწიფე ამ დროზე იგინს თავებ ჭრიდა: რატომ მკითხავთო, რაც თქენი საქმე არაო.

ამ კაცმა როდისაც შევდა სახში და დეანახა ეს გოგო, უნდა ეკითხა ხენწიფისთვინ--ეს რარიო, მაგრამ ამ დროს მჭაგონდა ხენწიფიდან ნაყიდი ჭკჭა: რაც შენი საქმე არა, იმას ნუ მეკითხავო. აღარ იკითხა, შევდა და დაჟდა ერთ-ერთ კუთხეში. ხენწიფემ პატივი სცა, ღამე გათეგია.

დილით, წასლიხან კითხა: ვინც შამოდის და კითხულობს--ის გოგო რატომ არი მიკრული, შენ რატომ არ იკითხეო?

ამ დროს ამ კაცმა უთხრა, რომ რაც ჩემი საქმე არარო, რატუ ვიკითხავ იმასო. აღბათ ისეა საჭიროვო.

ხენწიფემ აჲ კაცი დნსაჩუქრა ერთი ხურჯინი სავსე ოქრო და ვერცხლით. გახარებული კაცი ადგა და წევდა. დიდი სიარულის შემდეგ თავის სოფელში მივდა. მივდა და თავის პატარა კუხნასან მიადგა ეზოში. უკვე დაბნელებულიც იყო. ერთ პატარა კიტინიდან სინათლე ჩანდა. იქიდან წეახედა და დეანახა, რომ თავის ცოლის კალთაში ვინცა ახალგაზრდა ბიჭს თავი ჩეღვდა. ამ დროს ამ კაცმა იფიქრა, რომ აღბათ ეს კაცი ჩემი ქალის შეყვარებულიაო. ამეაღო ფიშტო, უნდა ესროლოს ამ ბიჭს. ამ დროს მჭაგონდა ხენწიფიდან ნაყიდი ჭკჭა: თუ თვალით არ დეანახო, ისე ნუ დეაჯერეფო, აღარ ესროლა, იფიქრა, რომ მწყურეფ ერთ, ბოლოს რა იქნებაო.

ამ დროს ადგა ბიჭმა და უთხრა: დედაჩემო, ლოგინი დამიგე, მეძინებაო. ამ დროზე კაცმა მიხტა, რომ ნაყიდი ჭკუა მას გამჭადა.

— ამღონი ჩემ სხოვან ყოფნაში რამხელა შვილი გამზღიაო.

ღუძახა, რომ გიმიღეთ კარი, ეს და ეს ვარო.

ბიჭმა ღუძახა, რუმ შენ ვინცა ხარ, იტყვილებიო, მამჩემი ბარსამხანია აღარ არიო. აბა შენ თუ ნამდვილათ მამა ხარო, დედაჩემმა რომ ბეჭედი გაგატანა, ო მჩვენე და გიგილებ კარებსო.

ამ დროს ფენჯერა გზლებიეს, შეყო ხელი, ნახეს ბეჭედი და იცნეს. გულეს კარი და შუშვეს სახში. მონტანა ერთი ხურჯინი ოქრო და იმცხოვრეს არხინათ.

15. ჩახჩახ მუჟი

იყო ერთი მეწისქვილე. მას ქონდა მხოლოთ და მხოლოთ ერთი წისქვილი. იმმეტი ქონება მას არათელი არ გაჩნდა. მისი ახალგაზრდობა მეწისქვილემ გატარა წისქვილში. იღებდა ფქვილის ქირას და იმით ცხოვრობდა.

ერთ დილას მეწისქვილემ წისქვილი გამოგავა და ეს ფქვილის მტვერი გადაყარა წისქვილის უკან. ამ მტვერზე მიეჩვია მელია. ერთ დილას მეწისქვილემ დეგნახა წისქვილის უკან მელია, მას მუწყო დასაჭერათ ყაფანი. მელია ყაფანში ჩავარდა.

დაჭირული მელია მეწისქვილემ წისქვილში ამეყვანა, ერხან ყავდა და მერე დუპირა მოკლა. მელიამ შაეხვეწა: ნუ მომკლავ და ქონების პატრონს გაგბტო. მეწისქვილემ დუჯერა და გუშეა მელია.

მელიამ მივდა ერთ მეზობელ ხემწიფის ეზოში და ითხვა ხემწიფესან შესლა; ხემწიფეს მუახსენეს, რომ მელია ითხოვს თქვენთან შემოსლასო. ხემწიფემ დაიმტერესდა, თუ მელიას რა საქმე ხონდა მასან და დართო შემოსლის ნება. შევდა მელიამ ხემწიფესან და მუახსენა, რომ თქვენი ქალიშვილი უნდა ვათხოვნიო ჩახჩახ მეფესო. ხემწიფისთვინ პირველი გაგონება იყო ეს ჩახჩახ მეფე და იმისაც დამიტერესა. თუ კი მანახვებ, ჩემ გომბიოს მივცემო. მელიამ პირობა მიცა და წევდა ჩახჩახ მეფის მოსაყვანათ ხემწიფესან. მივდა მელამ მეწისქვილესან და უთხრა:

— საქმე ამფრათაა, უნდა წიგიყვანო ხემწიფესან სანახავათო. მელიამ თან უთხრა მეწისქვილეს, რომ მე შენ ჩახჩახ მეფე დაგარქვი და ასე იცოდე, ვინმემ რომ შეგეკითხოს, უთხარი, ჩახჩახ მეფე ვარო.

მეწისქვილემ უარი უთხრა მელიას ხემწიფესან წასვლაზე, რადგან ტანისამოსი შემოხველი ხონდა და იმით ხემწიფესან არ მნსლებოდა. მელიამ დაპირდა მეწისქვილეს, რომ გზაში ის შუძენდა ტანისამოსს. წეყვანა მელიამ მეწისქვილე და წევდა. წევდა ხემწიფესან. როდესაც ხემწიფის სასახლეს დუახლოვდენ, მელიამ და მეწისქვილემ, მელიამ მეწისქვილე ტყეში დამალა და თვითონ ყვირილით მივარდა ხემწიფესან, ხემწიფეს უთხრა, რომ გზაზე

ყაჩაღები დიგვიხდენ და თქვენი სიძე გაცარცვეს, ტანისამოსები და ყველამფერი წართვესო. სიძე ახლოს მყავს მოყვანილი, თუ შეაძლება, თქვენი ტანისამოსი მომეცი, ჩაეცვა და მეყვანოვო.

ხემწიფემ, რომელიც უკეთესი ტანისამოსი იყო, უკეთესი ფეხსაცმელი და თავსაბურთი, ის გუგზანა სიძეს. მეწისქვილეს მუტანა ეს ტანისამოსი მელამ, ჩაცვა ტანზე და მეყვანა ხემწიფესან. ხემწიფეს მოსწონდა სიძე. ეს მეწისქვილე სულ ტანზე იყურებოდა და უკვირდა, რომ როგორი ტანისამოსის ჩაცმა ელირსა მას. ხემწიფემ შეეკითხა მელიას, რომ სიძე რატომ იყურება სულ ტანისამოსზეო. მელიამ უთხრა ხემწიფეს, რომ თქვენ ტანისამოსს არ კადრულობს და იმიტომო. მას უკეთესი ეცვაო. ხემწიფეს მოეწონა სიძე, ანახვა გოგო და ჩახჩახ მეფეზე დანიშნეს. მელიამ წამეყვანა სასიძო სახში, მეყვანა წისქვილში, დატია, თვითონ წევდა ბორჯის ასაღებათ, თუ როდის მოაწყონ ქორწილი.

ხემწიფემ უთხრა მელიას, რომ ხვალისთვის იყოს ქორწილი, ხოლოთ მაყარს სამაძს კაცს გამუატან და თანაც მე გამოყვებოო. მელიამ დათანხმდა, ხოლოთ უთხრა, რომ ძარალი თან გამოყოფილეთ რომ ყაჩაღებმა ქალი არ წაგართვან გზაზეო. ამა და ამ მთაზე რომ ამოხვალთ, სროლა ასტეხეთ, რომ ხალხმა გეგოს, ჩახჩახ მეფეს ქალი მოყავსო. დაბრუნდა მელამ მეწისქვილესან. მეწისქვილეს უთხრა, რომ ხვალ დილით არის ქორწილი და მოყვანებენ შენ ქალსო, თან მოყვება სამაძის კაცი მაყარი და თვითვან ხემწიფეო.

მეწისქვილემ უარი უთხრა: ჰად უნდა წევყვანო ამდენი მაყარიო, მარა მელიამ უთხრა, რომ შენ რასაც გეტყვი, დიმიჯერე, სახსაც ვნახავთ და ქონედასაცო.

იქვე წისქვილის ახლო ცხოვრობდენ დევები, რომლებსაც ბევრი შენობა და ქონება ქონდენ.

მელიამ წევდა დევებთან. იმ სალამითვე და მივდა დევებთან. დევებს გუხარდენ და დეჟკავეს მელია, დუპირეს შეჭმა. მელიას გაეცინა. დევებმა უთხრენ: რაზე გეცინება, გიხარია, რომნა შეგჭამოთო? მელიამ უთხრა, თქვენ რომ იცოდეთ, მე რეჟა ვარ მოსული, შეჭმა კი არა პატივს მცემთო. უთხრა მელიამ, რომ ხვალ დილისათვის თქვენზე დასასხმელათ მოდის ხემწიფე ჯარით და უნდა დაგხოცონო. დევებმა მელიას სთხოვეს დახმარება. მელიამ პირობა. მისცა გადაგარჩენთო და გამობრუნდა მეწისქვილესან. იმ ღამეს წისქვილში დარჩა და გაცნო მისი გეგმები მეწისქვილეს.

მაორე დღეს მივდა დილით დევებთან და უთხრა დევებს: ახლა სადაცნა მთაზე გადმოადგება ხემწიფე თავისი ჯარით. სწორეთ

ამ ლაპარაკში იყვენ, რომ თაზე ატყდა თოფების სროლა. დევებს შეეშინდენ და მელიას სთხოვენ: რამე გვიშველე, დეგვენბნარეო. მელიამ ეს დევები დამალა იქვე თივის ზვინებში. გურბინა ამ ზვინებს, წუქიდა ცეცხლი და დასწვა მთელი დევები თივების ერთათ. ეს დევების ქონება, შენობები და სიმდიდრე დარჩა მელიას. წევდა მელიამ, მეყვანა მეწისქვილე, ჩაბარა შენობები, თვითვან მუათავსა ერთ კარქ სახლში და შემდეგ მფეგება მექორწილეს, მრყვანა დევების შენობაში.

გადინადეს შვენიერი ქორწილი და მეფე გამობრუნდა უკან. ეს თელი ქონება დარჩა ჩახჩახ მეფეს. საბოლოათ, ამ პატივისცემისათვის მელიამ სთხუა მეწისქვილეს: მე რომ მოკვდები, ოქროს კუბოში ჩამდე და თაროზე შემინახეო. მეწისქვილემ დაპირდა. ამ სიტყვების გამოსაცდელათ მელიამ ერთ დღეს გოჯა მოკვტა სახლის საწვეთურაში. ქალმა დედანახა, რომ მელია მომქტარიყო და კაცს უთხრა: კაცო, მელია მომქტარაო. კაცმა უთხრა: გამოდე კავი და გადნგდე სახლის უკანო. ქალმა კაცის ნათქვამი შეასრულა. გამოდვა კავი და სახლის უკან გადნგდო. მელიამ მას ხანში გაცოცხლდა, ამოვდა და მეწისქვილეს საყვედური უთხრა. მეწისქვილემ უთხრა, რომ ის განგეფ გავაკეთე, ვიცოდი, შენ ქტარი არ იყავი და გამოგცადე, თუ გაბღეზდებო. მორჩეულ კიდევ მელიამ ასე განგებ კიბის ძირში მოკვდა. თვითონ მეწისქვილემ ჩევდა კიბეზე, ნახა გაცვეთილი მელია, წამოკრა თოხი და გადნგდო მელია.

მელიამ წამტარდა ზეზე და ვალანძლა მეწისქვილე, უთხრა, რომ თუ კიდევ ასე გემეორეფ, თელ ქონებას გაგიქროფო. მეწისქვილემ ფიცი დუღვა, რომ ეს ერთი კიდვენ მაპატივე და აწმ ნამდვილათ მოგათავსებ ოქროს კუბოშიო.

შემდეგ გერჩექ მოკტა მელია. მეწისქვილეს ეგონა, რომ კიდვენ მატყვილებსო. გუკეთა ოქროს კუბო და შემოდვა თაროზე ასე გულნაკლულად გეისტუმრა მეწისქვილემ მელია.

16. უნცროსი ძვა და ქოსა

ერთ მოხუც ყავდა სამი შვილი. ამ შვილებს უთხრა მოხუცებულმა: მე ვკტები, შვილებო, და მე რომ მოკვტებო, თქვენაო მოჯამაგირეთ წახვალთო, მარაო ქოსა კაცთან არ წახვიდეთო, არ დადგეთო. ამ მოხუცებულმა მოკტა.

წევდა უმფოსმა მოჯამაგირეთ. შეხთა ერთი ქოსა კაცი.

უთხრა, რომ სა მიხვალ, ბიჯოვო?—მოჯამაგირეთ მივალო.

— ჰაადლე, ჩემთან წამოდი, ჩემთან დადექი, კარქ გაჭმევ, კარქ გასმევო.

— მე ბაბამ მითხრა, რომ ქოსა კაცთან მოჯამაგირეთ არ დადგეო, შენთან არ დადგებო.

ამ ქოსამ დაბრუნდა. წევდა სახში; ურუბა გამოიცვალა, დეე-წია ამ ბიჭს და კიდეე უთხრა: სა მიხვალ, ბიჯოვო. Ⴖ

— მოჯამაგირეთ მივალო, უპასუხა ბიჭმა,—ჩემთან წამოაო. კიდეე უთხრა: ბაბამ დამბარა, ქოსა კაცთან არ დადგეო, შენთან არ დადგებო.

დაბრუნდა ამ ქოსამ და ისეთი ურუბა ჩეცვა, რუმ ამ ბიჭმა ველარ შამცნია, რომ ეს თუ ქოსადავო. დახტა გზაზე და წეყვანა. მრყვანა სახში. დატია ეს კაცი ეზოში, გარეთ. უთხრა, რომ მოჯამაგირე გარეთ უნდა იყოსო. სახში შიან არ შუშევა. ეს ბიჭი გარედან მსახურობს. მივა, დაწეება საბძელში, დილას ადგება, მუშაობს.

ამ ქოსას ყავს ორი მხეცი ძალღი, ეს ქოსა გამუაცხობიებს ნაცრიან ჰადს მის ცოლს და გეტანს, გატებს შუაზე და გუქნევს ერთს ერთ ძალღს და მაერეს — მაერე ძალღს. ძალღები შეჭამენ. კაცი დარჩება შიერი. ქალი ებნევა, მისი ცოლი: რა იჯები, ბიჭი შეერი მოკტებაო, მოჯამაგირეო.

— დაწწროს და არ მოკტებაო.

ამ ხანში გამოვდა შვიდი დლე. ამ შვიდ დლეში ერთი ლუქმა საჭმელი არ უჭამია იმ საცოდავ მოჯამაგირეს და შიერი მოკტა. მისმა ძმებმა აფერი არ იციან, თუ ჩვენი უმფოსი ძმა მოკტაო.

წევდა შუათანამ მოჯამაგირეთ. შეხდა ისვენ ის ქოსა. როგორც იყო, ისე კილო დაუბრუნდა სამხელ ურუბა გამოცლილი და დატყვილებით წეყვანა ისვენ იმ ქოსამ. როგორც ერთი მოკლა შიმშილით. ისოვე მეორე, იმ წესით.

ეხლა წევდა მესამე, უმცროსი. არც იმან იცის, რომ ძმები მისი კტარია და მოკლა ქოსამ. კილო ამ ქოსამ შეხტა ამ მესამე ძმას, როგორც უმფოსი ძმანები წეყვანა ტყვილით, იმფრათ წეყვანა ეს ძმაც.

ეს უნცროსი ძმა არის დიდი ნიჭიერი ახალგაზრდა. ამან მოაკითხა: აჯაფ ჩემი ძმები არ იცი, ვისთან დადგენ მოჯამაგირეთო. იმიტომ კითხა, რუმე, როცა დაწყენა მოჯამაგირეთ და ჰადი გადაუგდო ძალღებს, მან დარჩა მშიერი, მაშენ მიხტა იმან, რომ ჩემი ძმები ამ ქოსას მუკლიაო.

გახსენდნა მამის ნათქვამი. უთხრა ამ ქოსამ, რომ წადი და შიშა მეტანეო. ამ ბიჭმა გამოჭრა და იქონია ერთი დიდი ჯოხი. რომ მოხდა სახში და-ამ ქოსამ ვახშამი კიდო ძალღებს გადღუქნია, თან ეუბნება: დანწარი და შეჭამეო. ამ ბაღმა ერთი ჯოხი იმას გადღუქნია, მოკლა ეს ძალღი, მეორეს გადღუქნია, მეორე მოკლა. ამათ დათქმული ქონდენ: პირობა, რომ ქოსავო, ნე რომ გეტყვი: ქოსაჲ, გეწყინაო და შენ მეტყვი — მეწყინაო, მაშენ ერთ საქალამნე ტყავს მუცელზე ავაჭრიო. და მე თუ ვთქვი—მეწყინაო, შენ ამაჭარიო. რადგან ეს ბაღვი ჭკვიანი იყო, უმაღლზე იმიზა პირობა დანდებია და მანაც დადტა პირობა, რომ ჩვენ შორის მოჯამაგირობაშიო რაცხა მოხდებო და პაწაჲ ტკიბილათ მომემყრასო. როდესაც ძალღები მოკლა, მაშენ პირობა დადებული ქონდა ქოსას, შეგშინა და შეყყვანა სახში. იმ ხანებში კრუხმა და ქუქულებმა დეაწყეს კრუხუნი და ჭყვირილი. მაშინ უთხრა ქოსამ: გადი, ბიჭო, და მოამწყინარეო. გვედა ამ ბიჭმა, კრუხი მოკლა, გადაადო და ქუქულები ახხა ძაფზე თვალებით და შამოატანა წაჲქით სახში და მიკიდა ლოჯზე და მიაწყინარა, მაშენ ქოსამ ცოტა შეჩერდა, გაბუცა ლაპარაკი. მაშენ ამ ბიჭმა უთხრა: ქოსავ, გეწყინაო? ქოსამ უთხრა, რომ არ მეწყინა, მარა ხათრი დამჩაო.

ერთი ორი დღეი გამოვდა შემდეგ და შუალამზე ახორში დეაწყეს საქონელმა გრიალი, როდისაც ქოსას მიელოდა, თავის სიკტილი, პირველიდან წუვიდა ჭკტა. უთხრა ამ ბიჭს, რომ ჩადი და საქონელი წაყურე, მიამწყინარეო. ჩევდა ამ ბიჭმა ახორში და ცხრა თეჲ პირუტყვი დაკლა. ერთი ბეჲი ჩახადა და ამეალო და ამეატანა სახში, დაშაშხა დანით და დწყარა მარილი და დღვა ცეცხლზე შესაწავათ.

ამ ქოსამ შეუყვირა ცოტა: რარი, ბიჯო, ეგეო.

— რარიო და ცხრა თეჲ საქონელი დავკალი და ეს არ მომიწყესო? მაშინ ქოსამ კიდოვ შაჩერა ლაპარაკი. ბიჭმა უთხრა: ქოსავ, გეწყინაო. — არ მეწყინა, ხათრი დამჩაო.

გვედა ერთი ხანაგები კიდევ, ამ დროში ქოსას დავიწყდა ეს სიმწარაგები. ცოტაც კი უნდა გეჲქეგსო, მარა ეს არ წავა. გა-მოხდა მეორე დამე. ქოსას ბაღმა დეაწყეო ტირილი: ფეხიგზაზე გამიყვითო. ტირის, ქოსას ჭკტა არეული აჲ.

— წეყყავა ეს ბაღვი და ფეხიგზაზე გაფრიწეო, — უთხრა მოსამსახურეს. ბიჭმა გეყყვანა ეს ბაღვი ფეხიგზაზე, მოღტა ერთ ფეხზე ხელი, მაროეზე ფეხი დანღვა და გაფრიწო

შუაზე და მოკლა. ეს ბიჭი ისე მიმდგარია ამ ქოსაზე, რომ მისი ძმების საქმე შემჩნეული აქ ამ ქოსაზე და შემდგარია, რომ მთელი უნდა მოკლას იგინი. ქოსას ჭკუა დაპნეული აქ და აფერი არ გაეგება.

ეს ბიჭი რომ წყევანა ამ ქოსამ სახში, პირველათ, რომელ თვეში წყევანა, თვიები დარქმეული არ იყო. ბიჭის წასლის დროს იძახიდა გუგული. მარა გუგულის ძახნა დამთავრებულია, როდისაც ი ბავშვი მშკლა ქოსას, ქოსას უთხრა, რომ გეწყინა, ქოსავო?

— არ მეწყინა, მარა ხათრი დამჩაო.

სულის გადარჩენაზე აქ საქმე, მარა ბიჭის მოშორება უნდა. ამ დროში მგელაპარიკა მის ცოლს, უჩუმარა რამენაჲრათ გავაგზანოთო. თქვეს, რუმე, ჩვენ რომ მოჯამაგირე მეყვანეთ, მაშინ იძახიდა გუგული. ამ ქოსას ყავს მოხუცებული ანაჲ. მოაღაპარიკეს, რომ ეს წველოთ, შამოვდვით სახლკისერზე ხეზე და დედახოს გუგულივითო და ბიჭი გავაგზანოთ, უთხრათ: წელიწადი ათავდაო.

შამოდვეს ხეზე აჲ დედაბერი და დეაწყო კუკუს ძახნა. მაშინ უთხრეს ამ მოჯამაგირეს, რომ, ბიჯო, გუგული იძახის და წადი ახლაო. და თან ფული მიცა. ამ ბიჭმა ფული შეინახა და უთხრა, რომ ერთი გუგული დამანახვეთ, მენატრებავო. მას აქ სათამაშოთ ქვიშარდულა. იმაში ჩადვა უჩუმარა ბლიკვისისხო ქვა და წაყვა ამ ქოსას გუგულის დასანახავათ. ევდენ ხიზირში და უთხრა ამ ქოსამ, რომ ეგერ იძახისო და დედაბერი კიდევ იძახის, მარა დედაბერს ძირიდან ვერ ხედვენ. ქოსას იმედი აქ, რომ ბელქი მართლა ეგონოს გუგული და წავა შინაო. მარა ამ ბიჭმა ყველამფერი იცის, რომ დედაბერი იძახის კუკუს. მუჟარა ზეიდან, რუმ ჰად არი დევნახოვო. დეანახა დედაბერი, მოსწიწა მისი ქვიანი ქვიშარდულაჲ და დუშინა ამ ხეზე. დედაბერს მუატანა, დედაბერმა გადმუარდა და მოკტა.

ქოსას უთხრა ბიჭმა: გეწყინა, ქოსავო?

— არ მეწყინა, მარა ხათრი დამჩაო.

ჩამოვდენ სახში და ცოლს მგელაპარიკა დაფარულათ ამ ქოსამ, რომ ჩვენ თელინდა დაგვწყვიდოს, ჩვენ სახლი დუტიოთ და მამაშენთან წევდეთო. პურები გამუაცხე ცხრა-ათი ცალი და ეს შიშაზე გავაგზანოთ და ჩვენ გეგპართო. ამ ბიჭმა მანც იცის ქველამფერი. ბიჭმა არ წევდა შიშაზე. დემალა ქვეშ. როდისაც პურები გამზადეს და გოდოროში ჩაწყვეს და მგემზადენ წასასლელათ, ურუბის გამოცლის დროს ამ ბიჭმა პურები ამეფლო, ჩაჲდა ქვეშ და პურები დეაწყო ზეადან და დემალა გოდოროში.

ამ დროში ამათ გამოაცვალეს ურუბა. მოაკიდა ქოსამ გოდორი, ის ჩვენ ველარ დეგვეწევა, წევდეთ ახლა, გავასტრათო.

როგორც გემგზავრენენ, მივდენ შუა გზაზე. უთხრა ქოსამ ცოლს: ახლა მშობავო, დაეძღეთ ცოტა და ვკამოთ, ვერ მოგვეწევა და მაინც ვერ გვენახავსო. დაეძღენ და ამ ქალმა რომ ასწია ეს პურები, ამოვდა ამ მოჯამაგირემ.

უთხრა: ქოსავ, გეწყინაო? — არ მეწყინაო, მარა ხათრი დამჩაო. მაინც დაეძღენ და ქამეს სამაგემ საჭმელი და ამათ წევდენ ფეხის გზაზე ქოსამაც და მისმა ცოლმაც. ამათ უჩუმბრათ მოაყარენ ერთათ, მოაღაპარიკეს, რუმ წეველით ხელიდან, რა ვქნათ ახლაო. ამ ქოსამ უთხრა ქალს უჩუმბრათ, რომეო ამალამ ჩვენ დავდგეთ ხიღზეო. ჩვენ დევწყინოთ შუაზეო. დეძინება. ავდგეთ და გადავადგოთ ჩალში და ბელქი გადავრჩეთო.

წევდენ. ბაღმა გოა აფერი არ იცის, მარა მიმბთარია. დავწვენ ამ ხიღზე ღამით. ამ ბაღანამ იცის ესენი ზოვლი დერდიანი არიან, ზოვლი დეძინენ. ამ ბაღანამ ეს ქალი მუამწყურია შვაზე. ადგა ამ ბაღმა და ჩუფურჩულა: კაცო, ადგი, ქოვ, ბაღს ძინავს და გადავადგოთო. ადგენ, მოდგეს ხელი და გადავადგეს ქალი. ამათ თქვეს, რომ ჩვენაო აჰა გადავრჩითო. ჩიებუტენ და დეძინეს.

ადგენ დილაზე. მოჯამაგირე ცოცხალია. მაშენ უთხრა ბიჭმა: ქოსავ, გეწყინაო.

— მეწყინაო, უპასუხა და გეიქცა ამ ქოსამ ქალის მამასან. მიასწრა ნახევარი სნით და უთხრა მის ცოლის მამას:

— მე კაცი მომდგეს და დაეკლას უნდაო. მიწა ამოთხარეთ. საჩქაროთ და ჩამაგდევით შინაო და მიწა წამაყარეთო და უთხარით, რუმე მოკტაო.

ამ ხანაში ამან მივდა. მივდა და შუძახა: ჰად არი ქოსაო. ყამა ხელში უკავია. ყვირის: ქოსა ჰა წევდაო.

— ისი მოადა და მოკტაო. ყველა ისე ებნევა, ჩავადგევით მიწაშიო.

— ჰად არი მისი მეზოლოლი მასწავლეთო.

— აგერ არიო და ეყყვანეს. ევდა ამ ბიჭმა, შედგა ამ მეზოლოლზე ზედან და ებაქსუნა, — ქოსავ, ჰა ხარო. ამ ქოსას კი არ ეგონა მისი მოჯამაგირე, რომ არ ეყვირა. სხვა ეგონა და ამოძახა: გეაწი მაქედანო.

ამანაც გეაგო ცოცხალიაო. — მან ხარ შენო?

ამოთხარა მაგი, ამეალო ზეზე, დაჟდა გულზე და ამოკრა ერთი საქალამნე ტყავი და აშპუნა სიმწართ სული. ჩემი ძმების მომკლელი შენ ხარო, უთხრა. ასე უნდა მოკლა და სიმწარეო.

17. ხემაწიფის გოგო

იყო ერთი ახალგაზრდა მათხუარა კაცი. თხვარობდა ამ სოფელში: მარებოდა. მივდა ერთ ხემწიფესან. დუძახა, რომე რაღაცას ვკრეფ და გამომიტანეო. ხემწიფე მეგრემ ეზოში იყდა. შეიღს დუძახა: გამოიტაე, შეილო, და მეცი რაცხა. რუმ გამუტანა, მიცა ისა, მამას უთხრა შეილმა, ბიჭმა რუმ წევდა, მემრე. —ოე კიდი, მამავ, მაგას რუმე ერთი კარქი ქალი ყავდეს, მასეთი მათხუარა არ იქნებაო.

დუძახა იმ ხემწიფემ იმ ბიჭსა, რუმე დაბრუნდიო. დაბრუნდა, მოვდა. მოკიდა ის გოგო და გატანა. მამამ უთხრა: თუ ქალის ფუხარა არის ესაო, შენ გამდიდრეო. ბიჭმა მწყვანა აე ქალი თავის ქუხნაში. ქუხნაში ერთი ცხვრის სალოცავი ეგდო. გოგომ, ცხვრის ფოსტი გაკნაჭა, ერთი წყვილი წინდა მოქსუა და გატანა. უთხრა, რომ ვაყიდე და იმის საფასური რაც იქნება, მატყლი იყიდე და მომიტანეო. საფასურით. მუტანა მატყლი. მოქსუა ორი წყვილი. კიდვენ გატანა. ბოლოს ათი წყვილი წინდა გატანა. მემრე იყიდეს მაგინმა ერთი ვირი. თველი მუა ახლაო და ამ ქალმა განაზირებია საჯენი შიშა. რთველი რუმ მოვდა, განაზირა ბიჭი, მიდი და შიშა ნახე შენაო, რომ განმა თუ არაო. მივდა, რუმე ეს შიშა ვინცხას დუწვავს და ლამაზ-ლამაზი ნახირები ეყარა ზეთ.

ამ ბიჭმა დაჩაგრული წამოვდა სახში. ერთი ნახშირი თან ჯიფეში ჩამოადედა და წამოალო. მოვდა სახში და თავისმა ცოლმა შედეკითხა მას, რუმ შიშა განმა თუ არაო. ვერაფერი პასუხი ვერ გასცო. ამავე დროს ქალმა ის ნახშირი დუნახა ჯიფეში. შედეკითხა, რუმე რა მათო.

— აგი რარისო და ჩვენი შიშა დუწვია ვინცხასო და ასეთი ნახშირები ეყარაო. ქალმა გაშინჯა ეს ნახშირი და უთხრა, რუმე წადი გუბი ვირი და ეს ნახშირი მომიზიდე აქაო. ბიჭმა მოზიდა ის ნახშირი და ქალმა შეგნახა. მემრე ეს სამი კილო გატანა ოქრომჭედელთან. უთხრა, რუმ შენ არ უთხრა ამდენი მომეციო. რანდენსაც მოქცემს, ის ფული წამეაღეო. მრტანა იმ ოქრომჭედელთან და უთხრა, რომ ეს ნახშირი უნდა გიდიმიცვალო ფულზეო. ყვინჯმა გამოსწია დახლი, რაც ფული ქონდა, დაყარა სას-

ტორზე, იმის წონა ფულინდა მიცეს. ველარ შუთავა, წევდა და სხვიდან ისესხა და ისე შუთავა, სანქი მან იცოდა: ამ ფარის ღირებულების არიო. ამფრათ ამ ქალმა ბევრი ფული შაგროვებია ბიჭს და უთხრა, რომ მამაჩემს რუმ სარაა აქ გაკეთებულიო, ის ოსტატები უნდა მომიყვანო აქაო.

ფული რუმე შეგეკითხონ, რომ ღარიბი კაცი ხარ შენ და შენთან ვერ ვიმუშავებთო, მანათი თუ ღირს, სამი მანათი მგეცი და წამეყვანეო. მოყვანა ისინი და ქალმა უთხრა, რუმ თქვენ რუმ მამაჩემს სარაა გუკეთეთ, იმფერი სარაა უნდა გამიკეთოთ. სულ იმფერი, იმფრათ შეღებილი სულ. როგორც მამის რუმ ქონდა, გუკეთეს ისეთი სარაა. მემრე მუაწყო ეს ბიჭი ისეთათ, რომ ოქროში გაყინა თლათ. ლურჯი ცხენიც ოქროს ონაგირში გავშეშა; შექდინა ცხენზე და გავზანა მამისთან: მისი ვეზირებით, თელი ხალხით დაპააჯე და მოყვანე აქაო. მივდა ამ ბიჭმა მისი სიმამრის ეზოში, ღუძახა და გამეახედა ხემწიფემ. ღეძანახა, რომ ერთი ხემწიფეიშვილი მოსულა ვინცხა ეზოში. გვედა და გუკეთა ჩესტი. უთხრა, რუმე მე ერთი სარაა გავაკეთე და გთხოვ, რუმე ღემეპატიჟეო შენი თავადებითო. ხემწიფემ ვეზირებით და მისი ხალხით წაყვა. მივდენ იმ ბიჭის ეზოში. შეხედა სარააას, რომ მის სარააასან მისულა.

ამ ხემწიფემ იფიქრა, რომ გზა შემეშალაო. შევდა თავის-სასტუმრო ოთახში, რომ მისი ხალიჩებია გაგებული სულ და თუ-თუნის თოხს რომ, რეკავდა ზეთ, ისიც იქ არი დადებული. შეიშალა ხემწიფემ, რომ, ჭო, ეს რაფერ იქნებაო. მემრე გეღეყვანა თავის საწოლ ოთახში, იქაც, რაც რუმ წყობილობა ქონდა ხემწიფეს, ის ქონდა მომზადებული თავის შვილს. ასვა, აჭამა, მემრე შევდა თავისმა შვილმა და უთხრა, რუმე გახსოვს თუ არაო, შენ ეზოში რომე ერთმა მათხუარმა გამოაარაო, სიმინდი რომ გა-მუტანე და მივეციო.

— კიო, ღემოწმა.

— ახლაო, უთხრა, მე ჯერ იმ ბიჭს არ გავკარებიაო, არც თვითან და არც მეო. თუ ამას არ ღეჯერებ შენაო, წადი და ვისაც შენ ენლობი ექიმებს, მეყვანე და განსინჯე ჩემი თავიო. თუ გინც ამ ბიჭს მიმეცი, თუ გინც წამიყვანე შენთანაო.

ხემწიფემ ჩეადვა წვერი-პირში და ღაბრუნა თავის შემადგენლობა, მუტანა მას ჯეიზი იმტენეთი, ხემწიფეს რუმ ქონდა, იმაზე მეტი. მუტანა და მაგინს მემრე უყო აღდი და ჩაბარა ამ ბიჭს.

18. ოთხი ძმა

ყოფილა ოთხი ძმა კაცი. წასულან ფულის მოსაგებათ ერთ-ერთ ქალაქში. მისულან აგინი ერთ ალიგზე, ოთხი გზის წვევრზე აგეს სავაჭრო ოთახი. დეაწყეს ამ ვოთხმა კაცმა ვაჭრობა შით. კვირაში ერთი შედიოდა და ვაჭრობდა შით. ამავე დროს გაჩთა სავაჭროში თავგი და აზიანებდა საქონელს. ამათ იფიქრეს, რომ რა ვნახოთ ამის გამოსავალიო.

გადაწყვიტეს, რუმ ვიყიდოთ კატაო და კიდევ შეაძინეს. რონელი ძმაც შედიოდა და კვირეში ვაჭრობდა, ის უვლიდა. ერთი ამხანაგის მოვლის დროზე მაგ კატამ მოატეხა ფეხი. დაჟდენ ამ ოთხმა ძმამ და მოაღაპარიკეს, რომ რა უყოთ ამ კატასო. გადაწყვიტეს, რომ მოგყვანოთ ექიმი, შავახოვოთ ფეხი. ბელქი მორჩესო. მოაყვანეს ექიმი და შახოვავს ფეხი. ამასთან ერთათ დანდგინეს, რუმ ვის დროსაც კატამ ფეხი ნოატეხა, იმან გადაეხადოს ექიმის ფული და მწვაროს მორჩენამდინო.

შუდგა მამ კაცმა კატის მოვლას. ამ კატამ გეარა ოთახში და წაქცია ნავთიანი ბოთლი. გადგერო ნავთი კატას. ამასთან ერთათ გჟრთა ცეცხლი ამ კატას. გეაქცა ამ კატამ, შეგდა სავაჭროში და დეაწვა სავაჭრო. სამმა ამხანაგმა ეს მევოთხე ძმა განსაჩივრეს, რომ კატას ფეხი მოგვიტეხა და სავაჭრო დიგვიწვაგო. მოსამართლემ მიანიჭა მამ მევოთხე ამხანაგს გადასახადი, რაც სავაჭროში ღირებულება იყო კატის საფასურიც.

გამოდინან სასამართლოადან. დამცველი ეუბნება მაგ ბრალდებულს, რომ ცოტა ფული მომეცი და მე გაგანთავისუფლებ მაგ გადასახადიდანო.

დამცველმა სასამართლოს დადგენილება გადაეტანა მეორე სასამართლოში. სასამართლოზე დამატებით დამცველმა თქვა, რომ ჩვენ ვიყავით ოთხი ძმა, გეკონდა ერთი სავაჭრო გახსნილი. ამ სავაჭროში როცა თავგი გიგვიჩთა, მოვლაპარიკეთ, რუმ კატა შეეძინოთო. ამავე დროს ვოთხი კაცის ზიარი იყო მაგ კატა. ვუვლიდით სირობით. როცა მე მწვარე ამ კატას, მოატეხა ფეხი. ამავე დროს მოვლაპარიკეთ, რომ ვაწამლებით ექიმს. იმ დროზე, როცა ჩემ მუშავობის დროზე დაზიანდა და ფეხი მოატეხა, ამ წამლის ფულ მე ვიხდიდი. მე რუმ ვუვლიდი, იმ დროზე გჟრთა ცეცხლი ამ კატას. ჩემი ნაწილი ფეხი. რონელიც

მოტეხილი ქონდა, მაჲ კატა იმ ფეხით არ მისულა სავაჭროში. რომელიც სამი ფეხი ქონდა სალლამი, იმ ფეხებით გეჲარა და დეჲწვა სავაჭროვო. ამიზდა მიხედვით, გთხოვთ გეითვალისწინოთ, რომ სალლამი ფეხი რომელიც იყო, იგინოდ დეჲწვა სავაჭრო და გთხოვთ ჩემი კუთვნილი რაც მერგებოდა, მომიტყეს მეო. სასამართლომ კიდევაც გადნხტია იმ სამ ამხანაგს და ჩნბარა მისი კუთვნილი მევოთხეს — ბრალდებულს.

19. ჰაჲის სჲავლება

ყოფილა და რა ყოფილა, ხთის უკეთესი რა იქნებოდა. ყოფილა ერთი კაცი. ეს კაცი ფიქრობდა, დავქორწილდე უნდა; ნხოლოთ როგორი ქალი ვითხოვო, — ქვრივი ვითხოვო თუ გოგო, რა ჯობია ჩემთვისო?. ეკითხება ამ ჰკუას ამა თუ იმ შემხვედრ ხალხს. ურჩევს ზოგიერთები: შენ მაგი რადგან ვერ გადასწყვიდე, არის ერთ ადგილზე სოლომონ ბძენი. წადი და იმას კითხე ჰკუაო. დიდი ხნის შემდეგ მიდის იმ კაცთან ჰკვის საკითხავათ. გეჲარა რამდენიმე გზა, შეხტა ერთი მეწისქვილე. ნახა, წისქვილი ქვავს, მარა ალა არა აქვს, ნაფქვაფი მიაქ წყალს. ეკითხება ეს კაცი: რა ჰკუთ ეს, წისქვილი კარქათ ფქვავს, მარა ალა არა აქვს და წყალ მიაქ ქვილიო. მეწისქვილე ეუბნება: ეს რაში მენაღვლება მე, ჩემი ხომ არაო. მე დაქირავებული ვმუშაოფო. წისქვილი კი არის სოლომონ ბძენისო.

ამან იფიქრა: მე სოლომონ ბძენთან ჰკუის საკითხავათ მივიდიოდი და ეს რა ჰკუთაო. ფიქრობს დაბრუნებას, ხოლოთ იფიქრა: რამტონი გზა გამოსული ვარ და ბარემ მაძნც მივალო. განაგძო გზა და წევდა წინ. გეჲარა რამოდენიმე გზა. შეხტა გზაზე ერი ოთახი. ამ ოთახში არის ძალჲან ხმაურობა. ხოლოთ კარები კი არის ჩაკეტილი. იფიქრა ამ კაცმა, რა ხმაურობაა ამ ერთ ოთახშიო. დუბრახუნა კარზე. გოულენ კარი და შევდა შით ოთახში. მუშავობს სამი კაცი. შუაში დუყრიან პურის მარცვალი, კაკალი რამოდენიმე ფუთი. დამდგარა სამი კაცი ნიჩბებით პურის მარცვალს აყრიან კედელზე და კედლიდან ცვივა ძირზე. ესნ მათი მუშავობა.

ეკითხება ეს კაცი: რა მუშავობნ ეს, პურის კაკალი დაგიყრიან ოლაში. აყრით კედელზე და ცვივა ძირს. რა მუშავობნ ესო.

ეს კაცები ეუბნებიან: ე რა ჩვენი საქმეა, ჩვენ დაქირავებული გმუშავობთო. ეს ოდა არის სოლომონ ბძენისო.

ეს კაცი კიდო ფიქრობს: მე სოლომონ ბძენთან ჰქვის სასწავლათ მივდოდი, მარა მას ჰქუა როდი ქონებია, მოდი დავბრუნდებიო. ხოლოთ, ოადგან მეტი გზა გამოვდარე და სოლომონ ბძენი ახლოსა, ბარემ ვნახავ მაგასო. ვანაგძო გზა და წვედა წინ.

ცოტა მარა, თუ ბევრი მარა, მივდა სოლომონ ბძენთან. ეკითხება სოლომონ ბძენს: სოლომონ, მე ჰქვის სასწავლებლათ მშელი შენთანო.

— რა გინდაო, ეკითხება სოლომონი.

— მე მინდა დავქორწილდე, მხოლოთ ჰქრივი ქალი ვითხოვო, არ ვიცი, გოგო ქალი ვითხოვო, არ ვიცი. სოლომონი ეუბნება: ჰქრავს ითხოვ, მან იცის, გოგოს ითხოვ, შენ იციო. ამას ეუბნება სოლომონი და მიდის. აღარ უჩერდება მისულ კაცს.

ახლა ეს კაცი ჩერდება აქ, უნდოდა შეკითხოდა, მარა სოლომონმა გასტრა და წვედა.

ბრუნდება ეს კაცი და სოლომონის ეზოში გამოსლიხან ხტება ერთი მოხუცი კაცი.

— რა ქენი, ეს მოხუცი კაცი ებნევა, ნახე სოლომონ ბძენი?

— ვნახე, მარა ვწყერი შედეგი ვერ გეგვო, ებნევა.

— რა გითხრა იმანაო.

— მან მითხრა, რომე ჰქრის ითხოვ, მან იცის, გოგოს ითხოვ, შენ იციო და ამით მე ვერაფელი ვერ გეგვო.

ეს მოხუცი ეუბნება: რა კარგი ჰქუა უსტავლებიაო: ჰქრის, რომ ითხოვ, მან იცის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მის ჰქუაზე გაგანურებსო და გოგოს ითხოვ, — შენ იციო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას შენ ჰქუაზე განურებო. ძალდან კად ჰქუა უსწავლებიაო. ეს კაცი ეუბნება: მინდოდა კიდევ სოლომონ ბძენს რომ შეეკითხებოდი წისქვილის და ოდის ამბავი, მარა სოლომონ ბძენი წვედა და აღარ გიმიჩერდაო.

— მე გეტყვი შენ მაგ ამბავსაო. სოლომონ ბძენისა ის დადგმული და ჰქვის სასწავლებლათ არის გაკეთებულიო.

წისქვილი ეს იმას ნიშნავს, რომ არა მუყაითი ქალი რომ მოაყვანო ოჯახში, ისე წყალივით წვევა ყველამფერიო.

მერე ეკითხება იმ ოთახის ამბავს. — ესეც ძალიანი ჰქუა არისო, ებნევა. ესეც სოლომონ ბძენის არისო. კაცი თუ რამეს გასტავლის და არ შუშეებ ყურში, ისე ჩამოცივა ძირშიო, როგორც ი პური ცივა ძირზეო.

ამის შემდეგ განაგძობს გზასა და წავა ეს კაცი სახში. მივა
სახში და ჩერდება რამოდენიმე ხანს, არ ქორწილდება. კიდევ ფი-
ქრობს: ქვრივი ვითხოვო, თუ გოგო. ქალი ვითხოვო, არ ვიცო.
ამასობაში კტება ერთი დიდარი კაცი, რომელსაც ყავს ერთი
ქალი. თხოულობს ამ ქალს და სოლომონ ბძენის კქუა სულ
აღარ ახსოვდებოდა. ამ კაცს აქ ბაზარში, ქალაქში დიდი ღუქნები,
სოფლათ კად დიდი სახლი. ეს კაცი სახლობს იმ ქალთან სოფელ-
ში და მიდის ბაზარში ღუქნებზე სავაჭროთ დღისით და ღამე
კი მოდის სახში. რამოდენიმე დღეს აჩარებს ასე. იფიქრა ერთ
შვენიერ დღეს, ქალსაც წიგყვან ღუქანში ბაზარზეო.

გამოდინა გარეთ და მამალი აყივლებს ქალს და ქალი
ყვირის:

— დიდუ, რა დემემართაო! ქმარი ეკითხება: რა იყო, რა
მოგივიდა, ქალოვო.

— მე მამალმა დაყივლება რაფერ გიმიბედა, მე დღეს ბაზარზე
ვერ წამჭალ, ჩემი საქმე არ ვარგიაო. რჩება ქალი სახში და ქმარი
მიდის ბაზარზე. გზაზე ფიქრობს მემრე, რომ მე რომ სოლომონ
ბძენთან მივედი კქვის საკითხავათ, ეს მე არ შიმისრულებიაო.
ვითხოვე ქვრივი ქალი. რადგან მამალს დგერიდა და ბაზარში
არ წამოვდაო, მოდი დავსცავო და ბრუნდება ისვენ უკან. მიდის
სახლთან და სცავს თავის სახლს.

ნახა რამდენიმე ხნის შემდეგ მოდის კაცი და შედის სახში.
ეს კაცი კი ამას არ უჩინდება, უყურებს კიდევ. ნახა, რომ მოდის
კაცი და კიდევ შედის სახში. ახლა ეს ქალი სამ კაც ღებულობს
სახში, როგორც შეყვარებულები, ყველა ამ ქალმა იცის ახლა,
რომ თავის ქმარი არ მჭა საღამომდი, აცალა ამ კაცმა დაღამებას
და მივდა საღამოს სახში. ეს კაცი არაფელს ატყობიებს ქალს.

— როგორ ხარ, ეკითხება ქალს, — დღეს კად ვაჭრობა მქონდაო.
ქალი ეუბნება: კად იყო წამოვსულიყავი, მარა მამალმა დაყი-
ვლება რაფერ გიმიბედა, არ წამუედი და ღამაზათ ვიყავი სახშიო.
სულ არ უზიხლებია მისი შეყვარებულები ქმარიზა.

ვორი დღის შემდეგ იძულებული ხდება თავის ცოლზე და კლავს
ცოლს. მალავს მოკლულ ცოლს სახში და მიდის ბაზარში. ბაზარ-
ში ყიდის თავის სავაჭროებს, ფულს ღებულობს და გარბის იქიდან.
გადადის სხვა სახენწიფოში. რამოდენიმე ხანს ცხოვრობს ქალაქ-
ში, როგორც სტუმარი. ამ დროს ამ ქალაქში ტყდება ბანკებ
და გაქვან ფულები. ზღვენის თავრობა; ხოლოთ ქურდებს ვერ პო-
ულობენ.

• ერთი კაცი დადის, როგორც შეიხი თესპი გადაკიდული და იძახის: აჰუ, აჰუ. გოგა დიდი მართალი კაცი. ეს კაცი არის თვით ხემწიფის მოსამსახურე. ეს კაცი ყავეში იყო და მიდიოდა საწოლათ თავის ბინაში. ამ დროს ეს კაცი პოლიციამ დეჭკირა. ეს შესტუმრებული კაცი ნახეს და დამბრალეს ბანკების ცარცვა. მწყვანეს ხემწიფესან. უთხრეს ხემწიფეს: მეტი კაცი ჩვენ ღამე ვერ ვნახეთ, თუ არის ცარცველი, ეს კაცი არისო. ხემწიფეს ეუზნება კაცი:

— მე არა ვარ ცარცველი. მე ახლათ შემოსტუმრებული ვარ, შენი ბანკები მე არ ვიციო. მხოლოდ მე შომეცი დარალი; ვორმოცი შესილალული ხალხი, შენი ბანკის ცარცველებს დეჭკირავო. ხემწიფე აძლევს დარალსაც, მის მოთხოვნილებას, იმ ორმოც კაცსაც. მიდის ბაზარში ეს კაცი და თვითონ ეხლა ათვალყურებს. ბანკები კიდოვ ტყდება. ღამე ვერავის ვერ ნახულობენ. მხოლოდ ეს კაცი კიდო დადის დღისით და „აჰუ“ იძახის, ეს ხემწიფის მოსამსახურე რომა.

ეს კაცი ფიქრობს: თესპას რომ აბრუნებს ეს კაცი, გამოსულია ბაზარზე დღისით, ეს არ უნდა იყოს მართალი კაცი, თავის ცოლის ამბავს უდარებს ახლა. თავის ცოლმა რომ მამალმა იყივლა და ბაზარზე არ გახვა, და მას კი ამუაჩნდა რამოდენიმე შეყვარებულები და ცოლი მოკლა, — ასეთი უნდა იყოს ეს კაციო. ფიქრობს თვითან. მიდის ერთ ღამეს მისი რაზმით იმ კაცისას, რომელიც დღისით აჰუს იძახის და ბაზარზე დადის, უკეთებს უბისკს იმ ოჯახს. მართლა ამუაჩენს, რომ იმ კაც ქონებია პადვალეები თავის სახლი ქვეშ.

ამ პადვალში ნახავს ცარცველებს რვა კაცს და ნაცარცვ ოქროსაც, თელათ, რაც კი ბანკები გაცარცვეს. იჭირავს აჰ კაცი იმ ცარცველებსაც და ხაზაანსაც. მიდის. თვითონ ხემწიფესან. ეუზნება ხემწიფეს, რომ მე შენი ნაცარცვი ფულები დევავე, ცარცველებიც დევავე, წამოდი ჩაგაბაროვო.

მიყვება ხემწიფე, უნდა გეგგოს, საღა და ვინა მისი ბანკის ცარცველები. აჰ კაცი ხემწიფეს მწყვანს მისი მოსამსახურის სახში და მის ნაცარცვ ფულსაც — პადვალეებში ჩეყვანს და ანახვებს, მაგინს რომ რამოდენიმე ფუთი ოქრო დუგროვებია.

ამის შემდეგ ხემწიფე გიჟდება. ეუზნება: შენ რა კაცი ხარ, ოცი დღის ჩამოსტუმრებით შენ ეს ყველამფერი გეგე და მე ამდენი ხანია აჰა ვარ, ეს ჩემი შეგხი იყო და მე ვერაფერი გუგეო.

ეს კაცი უყვება თავის ცოლის ამბავს და ადარებს თავის ცოლის სიმართლეს იმ შეიხის მოქცევას და ამით ვნახვევით ეს ცარცველებიო. იმ შეიხს ეს ხემწიფე კლავს და იმის ადგილზე აპყავს ეს შესტუმრებული კაცი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

20. ნაცარქექია

იყო და რა იყო, იყო ერთი ნაცარქექია და სულ ნაცარ ქექავდა. მერე მისმა ცოლმა უთხრა: სულ ნაცარი ქექა არ მოგეწყინაო? და გავლო ვარეთ. მეორე ღამეს მოვიდა სახში და დუძახა თავის ცოლს: მე გამომიტაჲ ერთი გულა ნაცარი, ყველი და კვერცხიო. გამუტანა თავის ცოლმა, გაბრუნდა. წევდა ნაცარქექიაჲ.

ცოტა ხარა თუ ბევრი, მემრე შეხტენ დიეები, დიეებს შეეკითხა, რომ რომელი ბიჭი იქნება, რომ ქვას ხელ მუჭერს და წვენ განდენსო. დიეებმა მუჭირეს ქვას ხელი, დაფშენეს და წვენები ვერ განდენიეს. ნაცარქექიამ მუჭირა ყველს ხელი და წვენები განდინა. დევებს გუკვირდენ, ე' რა ვინ ყოფილაო, მემრე უთხრა ნაცარქექიამ დიეებს, რომელი ქვა-ქვაზე გეაქნევ და წვენებს ვინ განდენსო? გეაქნიეს დევებმა ქვა, დახრისეს და წვენები ვერ განდენეს. ნაცარქექიამ გეასროლა ქვაზე კვერცხი და წვენები განდინა. დევები გაკვირდენ.

მერე უთხრა დევებს, რომ რომელი გეაქცევა, ზრუგით დევცემა და ბულს რომელი განდენსო. დევებმა გეაქცენ, ზრუგებით დევცენ, ქვები დახრისეს და ბული ვერ განდენეს. ნაცარქექიამ გეაქცა, დევცა ზრუგით ქვაზე, ზრუგში ნაცარი ეკიდა და ბული განდინა. დევებს გუკვირდენ და ძანძალი შეეშინენ. მემრე უთხრეს დევებმა, რომ შენ რომ ზოვლი ხარ, ერთი კაკლი ძირში ხარება ლორი, ეგებ იგი დიგვიჭიროვო. წაყვა ნაცარქექია, მივდა, კაკალზე ევდა. დაღამდა და ლორმა მოვდა კაკლი ძირში. ნაცარქექიას შეეშინდა და კაკლიდან გადმუარდა. დევცა ზრუგში ლორს. ნაცარი ქონდა გულაში. ნაცარი შეეყარა ლორს თვალეში. დუბნელა თვალეში და მწყვანა დევების ეზოში. დუძახა დევებს. დევებმა გამოახედეს და გუკვირდენ ძალაზე. მერე უთხრეს, რომ ერთი ნაძვი ძირში ხარება ერთი დათვი და იგიც დაგვიჭიროვო და ერთ ცხენ ოქროს მოქცემთო. ნაცარქექიამ მივდა ნაძვი ძირში, ევდა

ზეთ. დალამდა და მოვდა დათვი. ნაცარქექიას შვეშინდა და გადმუ-
არდა ნაძვიდან, დეცა დათვს ზრუგში. მოკიდა ყურებში ხელი და
მწყანა დევების ეზოში. ღუძახა დევებს. დევებს გუჟავორდენ.
მიცეს ერთი ცხენი ოქრო. მერე უთხრეს, რომ ერთი კატრი ძირში
ჯარება მგელი, იგიც დეჟირე და ერთ ცხენ ოქროს კიღვენ მოქცემ-
თო. წევდა ნაცარქექიედ და მივდა კატრი ძირში, ევდა ზედან.
დალამდა და მოვდა მგელი. ნაცარქექიამ დადმოხტა და დეცა
ზრუგში და მგელი მოკლა. მოკლული მგელი მრტანა დევების
ეზოში და ღუძახა დევიებს, მარა ვერ გავგონა. გევდა ეზოში ერთ
სერზე, სერზე დატაა გუდა და მგელი. მან ჩევდა ღუბებში და დე-
ძინა. დევებმა გამოახედეს, დეძახეს, რომ მუჟლავს მგელი. იფი-
ქრეს დევებმა, რომე ეგი ჩვენ კარკ-რამეს არ დაგვმართებსო,
მოი, მად მოვკლათო. ესროლეს და ვითამც მოკლეს.

გათენდა და მივდა ნაცარქექიად. დევიებს გუჟავორდენ. კითხეს,
რომ წუხელ რამეს ხმა მოგეყუროა?

— წუხელი პწყილებმა დამკბინესო. დევებს შვეშინდენ. ვო-
რი ცხენი ოქრო ღუჟვირთენ და გუშვეს ნაცარქექიად. ნაცარქექიამ
ორი ცხენი ოქრო მრტანა ცოლთან. ამით გამდიდრდა ნაცარქექიად,
გუწევა ნაცარში და გაშა ქედფში.

21. ჭაშის მოხმარა

ყოფილა, ვორი კაცი სტუმრათ, ახალგაზრდა, თავმომწონე.
კაცები. ერთი ღარობი გლეხი მისულა მათთან, კედევ მესამე და
არ უკადრიან ის. მერე მაინძელს შამუტანია კაა საჭმელები. თავ-
მომწონე კაცებს შუთქმან პირი, რუმე არ ვაჭამოთ. ესო და
შამუღვიან საჭმელები თაროზე. უთხრობია იმ გლეხიზა, რუმე,
ვინც რუმე დიდ სიზმარ ნახავს, იმან ჭამოს ეს საჭმელებიო.

ერთი რომ წასძინიან, ამდგარა ჭრთი თავმომწონე კაცი და
ულაპარაკნია, რომ დედანიწა ქვეშ ჩავძვერი სიზმარშიო და
იქოფრი ამბავი ილაპარაკა, ატყვილა.

მერე თავმომწონე კაცს კითხეს: აბა შენ რა ნახეო?

— მევო ცაში ევედიო, შვილ ყათ ცაში შევიარე და ევედიო,
ებნევა ზერე და ყეება ცის ამბავს.

ახლა მესამეს შეეკითხენ — ჭლესს, ღარიბსა, რომე შენ რა
ნახეო? იმან უთხრა, რუმე მე ის ვნახეო, ერთმა დედომიწა ქვეშ
წადით, ერთმა ცაში წადითო? ვითქრე, ესენი ველარ მოვლენ
მაინცაო, ჩამოვლე და მე შევქამე ი საჭმელებიო.

22. უმცროსი შვილი

ყოფილა ერთი ფადიშაპი. ამ ფადიშაპს ყოლია სამი შვილი. ამ სამ შვილში ყველაზე ლამაზი ყოფილა სულ უმცროსი. ფადიშაპმა სიკვდილის დროს უთხრა შვილებს, რომ მე მოვკტები, ჩემ ტახტზე უფროსი შვილი იქნებაო. ამ ფადიშაპმა მართლაც მოკტა რამდენიმე დღის შემდეგ. სიკტილის შემდეგ უფროსი შვილი გვედა ტახტზე. ამან დეაწყო ბძანების ცემა. გვედა ორი თვე და ეს უმცროსი ბიჭი ფადიშაპის ხალხში ლაპარაკობს მეგრემ. ამ ხალხმა უთხრეს ფადიშაპის შვილს, რომ მამაშენის ქონების მონაწილე ხომ ხარო. კი ვარო, უთხრა ხალხს ფადიშაპის შვილმა.— თუ ხარო, ხალხმა უთხრა, მაშინ მამაშენს ნათქვამი ქონდა, რომ მე რომ მოვკტებო, ჩემ ტახტზე ერთ თვეს ერთი შვილი უნდა იყოს, მეორე თვეს მეორე და მესამე თვეს — მესამეო.

ამ უმცროსმა შვილმა დეაჯერა ხალხის სიტყვა და იფიქრა: ორი თვეა ჩემი ძმა მამაჩემის ტახტზე ზის და ეხლა ჩემზე არის უჩერედო. მივდა და უთხრა: ჩამოდი ახლა ტახტიდან და მენა დაეყდეო, ჩემზე არის უჩერედო. უფროსმა ძმამ არ ქნა, არ ჩამოვდა ტახტიდან. ამ უმცროსმა ძმამ გააუჭტა და გეაქცა სახლიდან.

მარა, მარა, და მივდა ერთ მინდორ ქვეყანაში. მივდა ერთ ადგილას მეგრემ, რომ ერთი დიდი სახლი არის, შევდა შით მეგრემ, ნახა, რომ არვინ არის შით. ისე ოთახები გაწმენდილი, დასუფთავებული ყოფილა. დაქდა შით მეგრემ და ცოტა ხნის შემდეგ გახედა, რომ საჭმელი მოვდა თავისთავად და დეაწყო მაგიდაზე. საჭმლის მომტანელი არვინ ჩანა. ამ ბიჭმა დეაწყო ჭამა. ცოტა გაძლა, მაგიდა ვინცხამ ალაგა, მაგრამ ეს ბიჭი ვერვის ხედავს, გაკვირვებული ჟდის მეგრემ. ამასობაში დაღამდა მეგრემ და თან ლოგინმა დეაგო. ამ ბიჭმა მივდა და დაწვა ლოგინში. ის ლამეც გათენდა, როგორც იქნა. დილას ადგა ამ ბიჭმა, ჩეცვა, დეახურა და მიდის გარეთ. ამ დროს ვინცხამ დუძახა: ჯერ არ წახვიდეო. ბიჭმა მიმოიხედა იქით-აქეთ, მხოლოდ ვერვინ ნახა. დაბრუნდა და შევდა ოთახში. ნახა, რომ საჭმელი არის გამზადებული. დაქდა და ისიც შექამა. მემრე ადგა და მიდის. გამოვდა ეზოში და ვინცხა დაუძახებს და ეტყვის, რომ აქ, ჩემთან იმუშავე და ხელფასს მოქცემო. ბიჭმა გაკვირვებით უთხრა, რომ მე აქ რანდა ვიმუშავოვო! ვინცხამ უთხრა, რომ აგერ ბაღებში წყალი

მიუშვი და მორწყევით. ბიჭმა უთხრა: მაგას ქე ვიზამო და თან ვინცხამ მეგრემ თოხი მშუტანა.

ეღლო ბიჭმა თოხი და დეაწყო არხის თხრა. თხარა, თხარა და ბოლოს ნახა, რომ ხელეზზე ბოლები ადგომია, მაშინ თოხი ტარზე გადაწვა და დეაწყო ხელეზზე ყურება. ამ ხელეზზე ყურებაში ერთმა ლამაზმა გოგომ სადილი მშუტანა და დუდგა. ეს ბიჭი მაშინ ჭკუაზე შეაშლება და მის ხელებს თვალებს აღარ აშორებს. ის გოგო იფიქრებს: ამ ბიჭს ჩემიდან შერცხვა და არ ჭამა საჭმელიო. გოგო წავა სახში. ცოტა ხნის შემდეგ მივა ჭურჭლის მოსატანათ. ნახავს, რომ ეს ბიჭი კიდევ ხელეზზე იყურება და საჭმელი არ უჭამია.

ეს გოგო ყოფილა ფერის გოგო. პირველათ არ გამუთო ბიჭს. მემრე გამუთო ბიჭს მხოლოთ. ჰემ მოწონებია ეს ბიჭი და უფიქრია, რომ ამას წავყვები ცოლათო. იმ გოგოს არც მამა ყოლია და არც დედა.

როცა მივდა და ნახა გოგომ, რომ ბიჭს საჭმელი არ უჭამია, მიხტა, რომ ეს ბიჭი ჩემ დანახვაზე გადირიაყო და უთხრა ბიჭს, რომ მე შენ ცოლათ უნდა გაგყენაო, მოდი და ჭამე საჭმელიო. ბიჭმა მივდა მაშვინ და ჭამა საჭმელი. მემრე იწყეს ერთად ცხოვრება. ეს ბიჭი ხან ნადირობდა, ხანდიხან ბალებს უვლის, მარა ეს ბიჭი ორ ბაღში დადის და მესამე ბაღი მის ცოლს დაკეტილი აქვს. და მან დადის მარტო შით.

ერთ დღეს იფიქრა ბიჭმა: ეს ბაღი ჩემია, ეს ქალიც ჩემია. მე თუ ამ ორ ბაღში დავდივარ, მესამე ბაღში მე რატომ არ მებნევა ჩემი ცოლი, რომ შედიო! არ კითხა ცოლს, მოგლიჯა ბოყვი და შევდა შით. წახა რომ ისეთი ლამაზი წყაროა, რომ უკეთესი არ შეაძლება. თან ოქროს ღარზე გამოდის. იმ წყაროს გვერდში ორი ბლუზა კილია, რომ სადმე გაჭრილი და მემრე ამოკერილი არ აქვს, გოგა ისე არის მოქსოვილი. ბიჭმა დაინტერესდა და წეაწია ასაღებათ. ამ ბლუზამ, როცა ბიჭმა წეაწია ასაღებათ, გაფრინდა ჰაერში და წევდა. ბიჭს შეეშინა. ჩუმათ გამოვდა კარში, კარი მიუძრა და ამოვდა დაღონებული სახში. ცოლმა კითხა, რომ რატომ დაღონებულხარო? ბიჭმა უთხრა: ასე და ასე დამემართაო.

— არა უჭირსო — უთხრა გოგომ. მხოლოდ შენ ჩემზე უკითხავი ისე არ უნდა შესულიყავიო. ის ბლუზა ჩემზე ღმერთის მოცემული იყო და რაფერ უნდა იქ შესლა მე გასწავლიდიო.

ეს ბლუზა აფრინდა და ერთი გლეხის ყანაში ჩაფრინდა, სადაც გლეხი ხარებს ამუშავებდა. გლეხმა ასწია ეს ბლუზა, ნახა,

რომ ამის უკეთეს ვერ ნახავს კაცი. გლებმა იფიქრა, რომ მე ეს არ შემეფერება, ყანის მუშას, ამას ვაჩუქებ მთავრობის კაცსო. ასწია და აჩუქვა ვინცხა მთავრობის კაცს: იმ კაცმა ნახა ეს ბლუზა, რომ ნაშეტანი კარქი იყო. მანაც იფიქრა, რომ მეც ამას ხემწიფეს ვაჩუქებო. ასწია და ხემწიფეს აჩუქვა. ხემწიფემ ნახა, რომ ეს ბლუზა მოწონდა. თქვა, რომ ეს ბლუზა რომელიცხა ქალმა მოქსუა, ის ქალი ცოლათ უნდა შევიერთოვო. ~~გამოამტუნა~~ მის სახელმწიფოში, რომ ვინც ამ ქალს მომიყვანს, ანდა ნახავს, იმას რამდენი ოქრო ვაჩუქოვო?

ერთმა დედაბერმა უთხრა ხემწიფეს: ერთი დერგით ოქრო მომეცი და მე მოგიყვან იმ ქალსო. მისცა ხემწიფემ ერთი დერგი ოქრო ამ დედაბერს.

დედაბერმა მეგრემ ამ დერგით ოქროს ზედან რაცხა გადფარა და დაჟდა დერგზე. შულოცა დედაბერმა ამ დერგს და აფრინდა მალლა დერგი. დედაბერიც ზედ ჟდანს. იფრინა, იფრინა დერგმა, მივდა და იმ ბალში ჩაფრინდა, საიდანაც ის ბლუზა გაფრინდა. დედაბერმა იმ წყაროზე, სადაც ოქროს ღარი ეგო, იქ გამოთხარა მიწა და ეს დერგით ოქრო ჩაფლა მიწაში. თითონ ევდა გოგოსან, იმ გოგოს ქმარიც სახლში არ იყო, სანადიროთ იყო წასული.

დედაბერმა უთხრა გოგოს: რა კარგი სახლი ქონებიავო! კარქათაც მოწყობილი ყოფილხარო, — მარა ერთი რამე გაკლიავო.

— რა გვაკლიავო? — უთხრა გოგომ.

დედაბერმა უთხრა: მე ერთ ადგილზე მიწაში, ოქრო ვიცი ჩაფლული, ის ოქროც რომ თქვენი იყოს, მაშინ უფრო კარგათ იტხოვრეფო.

გოგომ კითხა: სად არისო? დედაბერმა წეიყვანა ბალში გოგო და უთხრა: მოთხარე ამ ადგილზე მიწაო. გოგომ გაკვირდა, ამ ჩემ ბალში თუ ოქრო არის ჩაფლული: და მე დღემდი არ ვიპოვევო და თან დეფყო მიწის თხრა. ამოთხარა ცოტა მიწა, ნახა, ერთი დერგით ოქრო. იმ დერგში ჩახედვაში დედაბერმა წაბიძგა გოგო, ჩაგდო იმ დერგში, რომელშიც ოქრო იყო, დახურა თავი დერგს, შულოცა დედაბერმა დერგს და აფრინდა. დერგი იმ ხემწიფის ეზოში ჩაფრინდა.

ამ ხემწიფემ იმ გოგოს მოყვანისთანავე იწყო მზადება ქორწილის გადახტისათვის. დეფყო ხალხის პატიჟობა. ეს ისეთი ქორწილი იყო მეგრემ, რომ ორმოც დღელამეს გასტანს ეს ქორწილი მეგრემ.

ამ გოგოს ქმარი მოედა სახში ნადირობიდან. ნახა, რომ ის ცოლი აღარ არის. ბევრი იტირა მეგრემ და მისი შუათანა ძმაც მოედა ამასობაში მასთან, ტირილის დროს. ეს შუათანა ძმა ძმის საძებნელათ ყოფილა წამოსული და შემთხვევით მიედა ძმასან. ამ პატარა ძმამ უთხრა მის ძმას, რომ მე ასე და ასე დემემართა და ახლა მივდივარ ცოლის საძებნელათო. ამ უფროს ძმას ჩაბარა თელი ცხოვრება და თითონ წევდა.

ჰარა, ჰარა და ერთ დედაბერს ესტუმრა, უთხრა დედაბერს რომ ღამე გამათევიეო.—ვერ გაგათევიებო,—უთხრა დედაბერმა—არც ოთახი მაქვს და არც საჭმელიო.

ამ ბიჭმა უთხრა, რომ მე არც შენი ოთახი მინდა, არც ლოგინი და არც საჭმელიო, მხოლოდ ისეთ ადგილს გამაჩერე, რომ გაწვიმდეს, ნუ დამაწვიმებსო.

მაშინ დედაბერმა უთხრა ამ ბიჭს, რომ აქ ღამეს რა გაგათევიებსო! ამ ქალაქში ფადიშაპს ქორწილი აქვს ვოზდათრამეტი დღე და ღამეო და იქ მიდიო.

ბიჭმა კითხა: სადაურ ქალს თხოულობსო? დედამბერმა ყველამფერი უთხრა. მეგემ ამ ბიჭის ცოლს თხოვნილობს ფადიშაპი და ამ ბიჭმა იქ მივდა, იმ ქალაქში. ბიჭმა კითხა დედაბერს, რომ ქორწილზე რატომ არ ხარო? დედაბერმა უთხრა, რომ ტანისამოსი არ მაქვს ისეთი, რომ იქ მივლევო.

ამ ბიჭმა ამეღო ფული და მისცა დედაბერს. უთხრა: წადი, ტანისამოსი იყიდე, ჩეცვი და ეს პლატუკი მუტანე იმ ქალს, რომელსაც ფადიშაპი ცოლათ თხოვნილობსო. დედაბერმა ადგა და წევდა.

ის გოგოც, რომელიც ფადიშაპს ცოლათ მიყავს, გაფიცული ყოფილა, რომ ფადიშაპს არ გაეყვებო. ხელში ალვი უჭირავს. როცა ფადიშაპს დედახახავს, იმ წუთში უნდა შესვას და თავინდა მეფაშაშლოს. ამისათვის ერთ ოთახში ფადიშაპის ორმოცი მოსამსახურე გოგო ცავს ამ ქალს, რომ თავი არ მეფაშაშლოსო. ის დროც არის, რომ ოზდაცხრამეტი დღე და ღამე სრულდება და იმ ღამეს ფადიშაპი და გოგო ერთად უნდა მოიყარონ. ამასობაში დედაბერი ჩეცვამს ტანისამოსს და კამფეთს წეღებს და მივა ქორწილზე. შედის ოთახში და ყველა ქალებს კამფეთს დჭრივებს. ბოლოს მოვა დედოფალთან, კამფეთს მიცემს და თან იმ ბიჭის გამოტანებულ პლატოკს მიცემს. გოგო ხელათ იცნობს პლატუკს და ეტყვის იმ ოთახში მყოფენელ გოგუებს, რომ ერთი გარში გადით, ამ დედაბერთან საქმე მაქვს ცოტა და მემრე შემოდიოთო. ეს ქალები გარეთ წავლენ.

დედოფალი ეტყვის დედაბერს, რომ წადი, ~~იმ ბიჭს~~ უთხარი, რომელმაც ის პლატუკი გამოგატანა, რომ ~~ამაღობ~~ ორი ცხენი იყიდოს და აქ ეზოში მოიყვანოს, მე ღამე გარეთ გავალ და წავალთ ერთათო.

დედაბერმა წამოვდა და უთხრა ბიჭს. ბიჭმა ხელათ იყიდავორი ცხენი, მჭაწყო თავის მოსართავეებით და მივდა ფადიშაჰის ეზოში. ამ ქალმა შუთვალა ფადიშაჰს, ჩემი თავი თუ ცოტათ უნდა, მე ერთ სიტყვას ვეტყვი და ის დიმიჯეროსო. ამაღამ სინათლე ჩაქროს ყველგანო. ფადიშაჰმაც დგეთანხმა. გასცა ბძანება და დააქრობია სინათლე. ეს ბიჭიც ფადიშაჰის ეზოში დადის, ცხენებს არონიებს. ეს ბიჭი მოიღლება სიარულში და იმ ეზოში ნახავს ერთ ქურთს და ეტყვის: ეს ცხენები ცოტა ხანს გვარუნიევიო. მიცემს ქურთს ცხენებს და თვითონ დაჟღება მოსასვენებლათ და თან დგეძინება ამ ბიჭს. ეს ქურთი არონიებს ცხენებს.

ამასობაში გამოდის გარეთ ის ქალი და ეტყვის მოყვანე ცხენებიო? ქურთი მოიყვანს ცხენებს. ეტყვის ეს ქალი ქურთს რომ შეჯექი ცხენზეო. ეს ქალი და ქურთი შეეძებიან ცხენებზე და გეჟქცევიან. ირბენენ, ირბენენ და ბოლოს მოისვენებენ. ნახავს ქალი კაცს, რომ მისი კაცი არ იქნება. ეს ქურთი ამ ქალის კალთაში დგეძინებს. ეს ქალი პალტოს დუღებს თავქვეშ ქურთს და თვითონ გეჟქცევა.

მარს, მარს და ერთ ქვეყანაში მივა. იქ დეაწყებს საჩქაროთსახლს და აშენებს იმფერ სახს, წინეთ რომ ცხოვრობდენ ეს ქალი და მისი ქმარი. იმფერ ეზოშიც პატარა სასადილოს გახსნის, დეყენებს ერ კაც შით და ეტყვის იმ კაც, რომ ისეთი კაცი არ გუშვა აქ გამოვლილი, რომ სადილი არ ჭამოსო. ფინც აქ სადილს ჭამს და ამ სახლს შემოხედავს და ამოიოხრებსო, ის კაცი ჩემთან მოყვანეო. ამ ქალსაც ისეთ ადგილზე გუქეთებია სახლი, რომ სადაც არნდა წახვიდე, იქ გუწვლეა ვერსად ვერ გეგელი.

ამ ფადიშაჰს დილას უნახავს, რომ ქალი არ არის. გამოსულან გარეთ და წამოყოლიან ცხენი კვალს. იმ ლაპარიკში იმ ბიჭსაც გუწვლიდია და გაყოლია ამ ფადიშაჰს. მარეს, მარეს და დგეწიენ იმ ქურთს, რომ ქალი სა წეყვანეო. ქურთმა უთხრა: მე თქვენ ეზოში ცხენები მეჭირა ხელში, გამოვდა ქალმა და მითხრა შეჯექი ცხენსო და მანაც შეედა ცხენს და წამუედითო. აქ რუმ მუელით, დევსვენელ. მე დემეძინა და ქალი ქე გაპარულიყოვო. ფადიშაჰმა კითხა: საათ წევდაო?—არ ვიცი საათ წევდარ, უთხრა ქურთმა. წევდენ ყველამ საძებნელათ, ცალკე-ცალკე საძებნელათ.

ის დედაბერიც ახლავს იმ ფადიშაპს, რომელმაც პირველათ მოიტაცა დერგით.

მარეს, მარეს და ბოლოს იმ ქვეყანაში მივლენ, სადაც ის ქალი ცხოვრობდა. პირველად ქურთი მოვდა სახლთან. სადილი ჭამა და ამოიოხრა ერთი მეგრემ. ეს ქურთი დეჭირეს და შეაგდეს ერთ ოთახში. მემრე მოვდა დედაბერი, იმანაც ჭამა სადილი, რომ გაძლა, ერთი ამოიოხრა, იგიც დეჭირეს და შეაგდეს. მემრე მივდა ფადიშაპი. ჭამა სადილი, გაძლა მაგრათ და ამოიოხრა. იგიც დეჭირეს და შეაგდეს იმ ოთახში. ამასობაში ის ბიჭიც მივა, სადილს ჭამს და შეხედავს იმ სახლს, რომ მის სახს წაგავს, წინეთ რომ ცხოვრობდა ქალის ერთად და თან ერთ მაგრათ ამოიოხრებს. ამ ბიჭსაც დეჭირავენ და შეაგდებენ იმ ოთახში.

მემრე ეს ქალი დეაწყებს დაკითხვას. პირველად გამეზბარებს ქურთს და ეტყვის ცხოვრებაში რაც გადაგხტა, ყველამფერი მითხარო. ქურთი ყველამფერს ეტყვის. ეს ქალიც იმ ქურთს გათავისუფლებს. მემრე ღუძახებს დედაბერს. იმასაც ისე ეტყვის, როგორც ქურთს კითხა. ეს დედაბერიც ეტყვის მის გადანახადს. ეს ქალი ამ დედაბერს ჩამოახრჩობიებს. მემრე ღუძახებს ფადიშაპს. იმასაც ასე ეტყვის. ფადიშაპიც ეტყვის ყველამფერს. ეს გოგო ამ ფადიშაპს ჩამოარჩობს მისი ხელით. მემრე ღუძახებს იმ ბიჭს. ის ბიჭიც ისე ეტყვის, როგორც მას გადახტა თავზე. ეს გოგო ისევე გაყვება ამ ბიჭს ცოლათ.

23. ვის უნდა მიცენ შვისუნახავი გოგო?

ერთ კაცს მზისუნახავი გოგო ყავდა, ხემა გასათხუარი იყო ეს გოგო. ერთ საღამოს ამ კაცს სამმა სტუმარმა ესტუმრა. სამნივემ დეანახეს ეს მზისურახავი გოგო და სამნივემ სთხუეს ეს მისმიზდა ამ კაცს ეს გოგო. მასპინიელმა თქვა: ვისაც ხელობა აქვს, იმას მივცემო.

პირველმა სტუმარმა უთხრა: ჩემი ხელობა ის არის, რომ გავაკეთებ თიხიდან ცხენს, სადაც ვეტყვი, იქ წამიყვანსო.

მეორე სტუმარმა უთხრა: ჩემი ხელობა ის არის, რომ აქ დევიფიქრებ, რაც ქვეყანაში საქმეა, თელ მივხტებო.

მესამე სტუმარმა თქვა. რომ ჩემი ხელობა ის არის, სადაც თვალს მოვკიდებ, იქ კოდალს მოვატანო.

მასპინძელმა უთხრენ, რომ თქვენ სამნავეს კარგი ხელობა გქონებიან, ამაღამ დევიფიქრებ და ხვალ პასუხს მოქცემთო.

მეორე დღეს დილაზე ადგენ სტუმრებმა. გეახედენ. რომ ი მზის უნახავი გოგო აღარ არის, დაკარქულა, რაცხას ღამეში მწ-
ლაცნია.

მასპინძელმა უთხრა მეორე სტუმარს: შენი ხელობა ახლად
საჭირო. შენ რომ თქვი, აქ დევიფიქრებ, რაც ქვეყანაში საქმეა,
თელ მივხტებო, აბა, სად არის ჩემი გოგო, მიხტო. იმანაც დე-
ფიქრა და თქვა, რომ ქვეყნის იქითა ქუთხეში ფერებს წუყვა-
ნიაგო.

— აბა, შენ გაკეთე თიხიდან ცხენიო, — უთხრა მასპინძელმა
პირველ სტუმარს, იმანაც გაკეთა. — აბა შენ, მოჩხუბაროო, უთხრა
მასპინძელმა მესამე სტუმარს, შეჯექ ცხენზეო, წაე, იჩხუბე და
ჩემი გოგო მომიყვანეო. მოჩხუბარმა შეიკაზმა, შეედა ცხენზე, გა-
წია და წვედა. მივდა ფერის ქვეყანაში, იჩხუბა, გემარჯვა, წამე-
ყვანა მზის უნახავი გოგო, მოყვანა და მოვდა.

სტუმრებს მწედენ დავა: არა ჩემია და არა ჩემიო მზის უნა-
ხავი გოგო.

მასპინძელმა ვის უნდა მიცეს ი ქალიშვილი?

ქალიშვილი გკუთნება მაჩხუბარს და მასპინძელმაც მაჩხუბარს
მიცა.

ბათუმის რაიონი

24. უმცროსი ქმა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. ამ მეფეს ყავდა სამი
ვაჟი. მეფეს ქონია დიდი ბალი, სადაც ერგა ყველანაირი ხილი,
რაც კი არსებობა დედამიწაზე. ყველ წელწად ბალი ისხამდა ბევრ
ხილს. შაშა მეფე მავით ვერ სარგებლობდა იმიტომ, რომ, რაფარც
კი დაწმინდებოდა ბაღში ხილი, ღამით რაცხა აწადგურებდა სულ-
ერთიანათ. არც ერთ კაკალსაც არ ტოვებდა ხეზე. მეფე ამით და-
ინტერესდა და თქვა: მოდი, შევიღებს ვეტყვი და როცა ბალი
დაწმინდება, მაშინ ვადარაჯიფეო.

მართლაც ასე მოექცა. ერთ წელწადს, როცა ბალი მომწი-
ფდა, მეფეს მოაძინო ოარი უმცროსი შვილი და უთხრა ყველამეფერი
და სააავალს, რომ ამხელა დიდი ბალი გვაქ და ვერ ვსარგებლობთ,
განცხა ერეფს და შტამსო. წადით და თითო ღამეს დაცავეთ და
ამის ჩანდენი მომგვარეთო.

უმცროს ვაჟმა ჩეცვა ტანზე, მარალეებით მოეკაზმა და გასწია
ბალისაკენ. როცა მივდა ბაღში, ამოარჩია შუა ადგილზე დიდი

ხე, ევდა ზეთ და ღაიწყო იქით-აქეთ ცქერა. ბევრი უცადა, მარა ვერაფერს გახტა. შეაქნა შუალიმე, უცფათ გახედა, რომ შორს ტყეში მოჩანს ცეცხლი, რომელსაც თანდათანობით ემატება და ახლო მოდის. რამდენათაც ახლო მოდის, იმდენად დიდდება. ბოლოს იმდენად გადიდდა, რომ შეშინდა და გეაქცა სახლისაკენ. ყველამფერი უამბო მეფეს, რაც კი გადახტა.

მხორე ღამეს წვედა შუათანა ძმამ, იმასაც შეეშინდა, გამოიქცა სახლში. ამას ყველაფერს ყურს უგდებდა უმცროსი ძმა. იმან მივდა მამასთან და უთხრა: რას ფიქრობ, მამაეო? გამიშვით მე და გამოვარკვევ ყველაფერსო. შეფემ უთხრა: წადი, შენ ჯერ შმიტი არ მოგიხოცია, შენმა უფროსმა ძმებმა ვერაფერს გახტენ და შენ რა უნდა გამჭარკვიოვო.

ბევრი ხვეწნის შემდეგ მისცა ნება მეფემ უმცროსს შეილს.

შეიქაზმა კარქათ ხალხით და გასწია ბაღისაკენ.

უცდის ვაჟი, რომ ამ დროს რაცხა დეანახა შორ ტყეში ცეცხლი, რომელსაც თანდათანობით ემატება, დიდდება და გორავს. ვაჟმა მოიძახა იარაღი ოხია და უცდის, როცა ეს ცეცხლი მოახლოვდა ოც ნაბიჯზე, ესროლა ოხია და ცეცხლმა გორავით წებდა უკან და ჩაქრა. ვაჟმა მოწყვიტა რამდენიმე ხეხილი, ნაბრნაირი და მიუტანა მამას, თანაც უთხრა, რომ მოვკალიო.

მეფეს გაუკვირდა და უთხრა შევილებს: აბა, დილას ადრე გასწიით, მოაყვანეთ ჩემთანო.

გათენდა, ეაღენ დიდი თოკი და გასწიენ. მივდენ იქ, სადაც ესროლა უმცროსმა ძმამ. გაჰყვენ სისხლის კვალს და მიადგენ ერთ ორმოს. ახედ-ღახედეს, მარა ვერაფერი დეანახეს. ბოლოს უფროსმა ძმამ სთქვა:

— წელზე მომებით თოკი, ჩამიშვით ნელ-ნელაო.

მართლაც ასტე ნეაქცენ. ცოტა რომ ჩაუშვენ, დეაწყო ყვირილი: ვიწვიო და ამეაყვანეს ზეათ. ასევე ჩუშვეს შუათანა ძმა. იმანაც დეაწყო ყვირილი — ვიწვიო და ამეაყვანეს.

ჯერი დარჩა უმცროს ძმაზე. ამან თქვა: მე როცა ჩამიშვებთ, რამდენიც არ უნდა ვიყვირო, მაინც ჩამიშვითო. მართლაც ასტე მოაქცენ. ბიჭმა დეაწყო ყვირილი, მარა მანც ჩაუშვეს. თურმე აქ ჩასულა ცეცალი, ვეშაპი დაჭრილი, უმცროსმა ძმამ მაშინათვე მივარდა მასთან და მოჰკლა.

ცოტა ხნის დასვენების შემდეგ გეახედა და დეანახა კქრები. გააღო, ნახა, რომ ზის ღამაზი ქალი, თქვა: ეს ჩემი უმფროსი ძმისათვისო. გაღო მხორე კარი, კიდევ ღამაზი ქალი. — ეგეც შუათანა ძმისათვისო. გაღო მესამე კარი და დეანახა მზეთუნახავი გოგო.

თქვა: ეგეც ჩემი ცოლი იქნება. ყველას უთხრა—ვინ ვისი ცოლი იქნება.

ახლანდა ამოვდენ ზეით. ვაჟმა უთხრა ქალებს: აბა, ჯერ თქვენ ადით და მემრე მეგო. მისმა სწოლემ უთხრა: ჯერ შენ ადი, რადგან ჩვენ რომ ევდეთ, შენმა ძმებმა შეაძლება გიღალატონო. ვაჟმა არ ქნა. მაშინ საცოლემ მისცა ვაჟს ორი რკინის ნაჭერი და უთხრა: ვინიცომა შენმა ძმებმა გიღალატოს და არ ამოგიყვანონ, მაშინ რკინის ნაჭრები ერთქვანებს დაადევი ჯვარადინათ და მტა შენთან ორი ცხვარი, ერთი შავი და ერთი თეთრი. თუ შავს მოკიდე ხელი, მაშინ შვიდ ქვეყანას კიდევ ჩახვალ ქვეითო, თუ თეთრს მოკიდე ხელი, მაშინ კი ამოხვალ ზეითო.

როცა ქალები ევდენ, ძმებმა გელჩეჟ უღალატეს პატარა ძმას. ამ დროს მტაგონდა მისი საცოლეს დაბარებული. ამოაღო რკინები, დანდვა ერთქვანებს. მოვდენ ორი ცხვარი—და უცბათ მოკიდა შავს ხელი—და ჩეყვანა შვიდ ქვეყანას კიდევ ქვეშ. ბიჭს ძალიან მოშივდა. ძარა, ძარა და მიაღდა ერთ სახლს. მივიდა ახლოს და იქიდან გამოვდა ერთი მოხუცი ქალი. შეეხვეწა, რომ მშობი და მამე რამეო. მოხუცმა უარი უთხრა, მარა, როცა ბიჭმა ფულები დაპირდა და უჩვენა, მაშინ მწყვანა სახლში და აჭამა. ბოლოს ბიჭმა მოითხუა წყალი, მოხუცმა მიაართვა წყალი, ამ ბიჭმა არ დალია. რადგან შით დეანახა მრავალი სხვადასხვა ქვები. თანაც შედეკითხა მოხუცს: თქვენ ასეთ წყალს სვამთო? მოხუცმა უამბო ბიჭს ამ წყლის ისტორია.

— ამ სოფელში არის მხოლოდ ერთი წყარო, ისიც ჭიებით და მატლებით საფსე, მარა ამ წყალს ცავს დევი, რომელიც ყველ წელწად თითო გოგოს რიგრიბით ჭამს. თუ არ მივეცი თ ქალი, მაშინ წყალ არ გვაძლევსო.

ბიჭმა მადლობა უთხრა მოხუცს და წამოვდა. ამ დროს მისმა რაცხა ტირილი. დეანახა, რომ ახალგაზრდა ქალი ზის ქვაზე და ტირის. მივდა მასთან და შედეკითხა: რა გატირებსო? იმან მწუგო: მშობლებმა გამომაგზავნეს და ახ წყალთან დევი მიცდის, უნდა შემჭამოსო. ბიჭმა აისეა ზურგზე ქალი და გაყვა იქითკენ, სადაც დევი უცდიდა. როცა დევი დეანახა, თქვა: ყველ წელწად ერთ მომგვარებდენ, ეხლა კი ორს მიგზავნიანო. ამასობაში ბიჭმა ამეღლო ოხია, ესროლა რაადენჯერმე და მოჰკლა კიდევ.

დადგა სისხლის ღვარი. ქალმა სისხლში ჩაკრა ხელი და დანტყა კაფს ზრუგზე. ქალმა გეჰქცა სახლში სიხარულით, მარა მამამ არ მუშევა და დუწყო ლანძღვა. რომ ახლა მე მეზობლებს

რაფრათ შევხტეო. ქალმა მწყევა ყველაფერი, თუ როგორ მოკლეს დევი. ქალის მამა დაინტერესდა, დედაბარა ვაჟი და უთხრა: ასეთი სიკეთისათვის რანდა მოქცე, მითხარი და ყველაფრის ამსრულეგელი ვარო. ბიჭმა უთხრა: არაფერი არ მინდა, მხოლოდ ჩემს ქვეყანაში გამიშვიტო. ეს ძალიან გუძნელდენ, იმ ღამეს ძან პატივი სცეს და მგერე დღეს გუძდგა გზას.

გზაში ძალიან დედალა და მიეცა ძილს. დაწვა ერთ ხის ძირში და დეაძინა. შუა ძილში იყო, რომ მოესმა ჩიტების ყვირილი საცხა. ეახელა, ზეათ, რომ დედანახა ვეშაპი საჭმელათ მწწვეს ბარტყებისაკენ. ამოაღო ოხია, ესროლა და მოკლა. ამასობაში მოვდა ბარტყების დედა. დიდი მადლობა გადუხადა ბიჭს, რადგან ყველ წელწადს მის ბარტყებს რაცხა უხოცავდა და უთხრა ბიჭს:

— რა გინდა ჩემგან, მითხარი და აგისრულეფო.

ბიჭმა უთხრა: არაფერი არ მინდა, მხოლოდ მე ჩემს ქვეყანაში გამაგზავნე რამეფრათო. ჩიტმა უთხრა: მომიტანე ვორმოცი ფუთი ღვინო და ვორმოცი ფუთი ხორცი. დადევი ერთი ერთ ფხარზე და მეორე მეორე ფრთაზე, შენ კი ჩამოჯექი ზრუგზე. „ლაყს“ ვიტყვი—ხორცის ნაჭერი მომეცი, „ლუყს“ ვიტყვი, ღვინო ჩამისხი და ასე წავალთ ზეათო.

ბიჭს ძან გუხარდა და წევდა იმ პირვანდელ კაცთან, რომლის გოგო გადარჩინა დევისაგან. მას სთხუა ეს ყველაფერი. იმანაც დიდი სიამოვნებით მისცა. მუტანა ჩიტების დედას და გასწია ზეით. ბიჭი ისე იქცეოდა, როგორც დედაბარა დედა ჩიტმა. ასლას რომ დაუახლოვდენ, ბიჭს ხორცი შამეღლია და მისი ბაყვიდან მოჭრა ხორცი და ჩუდგა პირში. როგორც იქნა, ევდენ იქ, საიდანაც თვითონ თოკვით ჩუშვეს. ჩიტი უგნება ბიჭს: წადი, რომ მეც წევდეო, მარა ბიჭი არ მიდის, ვითომ არ უნდა გამოუმეღავნოს, რომ ჭრილობა აქ ფეხზე. დედა ჩიტს ბიჭის ბაყვის ნაჭერი ნისკარტით ქონდა შენახული ენა ქვეშ. ამეალო, დნდვა იქ, საადანაც მოჭრილი იყო, წუსვა ნისკარტი და მჭარჩინა ბიჭი. შემდეგ თითონ დიემშვიდობა და გასწია მის ქვეყნისაკენ. ბიჭმა იქვე მწყენსთან მივდა, უთხრა, რომ განიცვალე ტანისამოსიო. მწყემსს ძან გუხარდა და გუცვალა. ჩეცვა ბიჭმა მწყემსის ტანისამოსი და წავიდა მეფის სახლისაკენ. მივდა ეზოში და ხალხის ლაპაროქს ყური მუგლო გეგგო, რომ მეფეს ქონია დიდი ქორწილი ახლო ხანში.

ბიჭმა ჩევდა ქალაქში, მივდა ერთ მკერავთან და შეგხვეწა: ოლონ მაჭამე და ყველანაირ სამსახურს გაგიწევო. ბიჭი მკერავთან

ინჟოტება. მუშაობს და ქე ირჩენს თავს. ერთ დღეს მკერავი ძან ჩაფიქრებული იჯდა და არაფერს არ აკეთებდა. მივდა მასთან მოსაძისახურე ბიჭმა და შგეკითხა: ჩემო ბატონო, რატომ ხარ ასე მოწყენილიო. მკერავმა უთხრა დიდი ხვეწნის შემდეგ, რომ მეფეს აქ ქორწილი და მომცა დაკვეთა. უნდა შევკერო იმფერი ტანი-სამოსი სამი წყვილი დედოფლებისათვის, რომე იყოს ოქრომასაგან და ხენდა ბრწყინავდესო, ერთ თვეში თუ არ შევკერე, მომკლავსო, რანდა ვქნა, არ ვიცო.

ბიჭმა უთხრა: მომიტანე გორმოცი ფუთი თხილი, გორმოცი ფუთი ტკბილეულობა და მეოზდაცხრამეტე დღეს ხაზირს მოქცემ ყველაფერსო. მკერავს ძან გუხარდა. ყველამფერი შუსრულა. ბიჭმა გოზდაცხრამეტე დღეს ჭამა კარქათ და სალამოს საცოლეს მოცემული რკინები დნდვა ერქვანებზე და მოვდა შავი კაცი. დნვალა, რომ მომიტანე სამი წყვილი ოქროს ტანისამოსიო. მართლაც მშტანა. ბიჭმა ეალო და მიცა მკერავს.

ბიჭმა დემეშვილობა მკერავს და გასწია ქალაქისაკენ. მივდა ერთ ყუიმიჯთან (ოქრომჭედელი). ამასაც სთხუა და დშდგა, მოჯანმაგირეთ. ერთ დღეს მეპატრონე ძან დალონებული ზის და არაფერს არ აკეთებს. მივდა მასთან მოსამსახურე ბიჭმა და უთხრა: რატომ ხარ, ბატონო, ასე დაფიქრებულიო: ოქრომჭედელმშ უთხრა: მეფეს აქ ქორწილი შვილების და მომცა ზაკაზი, რომ ნიგზის ოდენა ოქროში ცოცხალი მამალი რომ კეკდეს სიმინდის კეკლებსო. ბიჭმა აქაც ისე ნოიქცა, როგორც მკერავთან, ერთ თვეს ჭამა სხავდასხვა ტკბილეულობა. მეგორმოცე დღეს. რკინის ნაჭრები დნდვა ერქვანებს და მოვდა შავი კაცი—არაბი. დნვალა და მშტანა ყოლიმფერი თავის რიგზე.

ოქრომჭედელს ძან გუხარდა და უთხრა ბიჭს: აბა, წამოდი მეფესთან. დღეს აქ უმფროსი ვაჟის ქორწილი, ბეგრი ხალხი იქნება. ჯირითობა, სეირნობა, ცეკვა და თამაში იქნებავო. ბიჭმა უთხრა: მადლობთ, რა ჩემი საქმეა ქორწილი და ჯირითობა, მე ისეც ავადნაყოფი ვარ ვინცხა გამჭყიბავსო.

როცა ოქრომჭედელი წევდა, ბიჭმა მაშინათვე ამეალო რკინის ნაჭრები და დნდვა ერთქვანებს. მოვდა შავი არაბი და უბრძანა: წადი და მონგვარე თეთრი ცხენი, თეთრი ჩოხა-ახალუხით თაფიდან ბოლომდის. მართლაც არაბმა ასრულა.

ბიჭმა ჩაიცვა კარქათ და გააფრინა ცხენი ქორწილისაკენ, სადაც ჯირითობდენ. შორიდან დენახა, რომ მისი უმფროსი ძმა ცხენს ათამაშებს. ბიჭმა გააფრინა ცხენი, რამდენიმეჯერ შამუარა და ბოლოს უმფროს ძმას ესროლა ოხია და ფეხზე დასჭრა და

თვითონ გაქრა. ხალხმა ეასვარ-დეასვარა, მარა ვერაფელს ვერ გახტენ.

ოქრომჭედელმა სახლში რომ მივდა, ყოლიმფერი უთხრა მოსამსახურე ბიჭს. მაშინ ბიჭმა უთხრა: ხომ გითხარი, მაქ ჩემი საქმე არ ალი, რომ ვყოფილიყავ, თავს განიტებდენ.

მიორე დღეს დანიშნულია შტათანა ძმის ქორწილი. კიდევნ შეებეწა მჭედელმა, მარა ისევ ისე უბასუხა. როცა წევდენ, ბიჭმა დაუძახა არაბს და მტატანია შავი. ცხენი თავის მოკაზმულობით. შეჟდა ზეთ და გასწია. შორიდან დეანახა, რომ შტათანა ძმა ათამაშებს ცხენს. უცებ გავფრინა ცხენი და მისი ძმა დაშტრა ფეხზე. შეეჭნა კიდევ აყალ-მყალი, მან უცფათ გაქრა. სალამოს მივდა ოქრომჭედელი, უთხრა ბიჭს ყოლიმფერი. ბიჭმა უთხრა: ღმერთმა გადამარჩინა, თტარა ხომ გითხარი, მე რომ ვყოფილიყავი, საცხა გეგჭყებებოდი..

მესამე დღესაც ძან სთხუა ოქრომჭედელმა ბიჭს, რომ დღეს უკანასკნელი ქორწილია — უმცროს დას აძლევენ მეფის ვეზირსო. ბიჭმა მაინც უარი უთხრა. — ქორწილი და ჯირითობა ჩემი საქმე არ არის, მე დამტიე სახლში და სახლს დაგიცავო. ოქრომჭედელი რომ წევდა, ბიჭმა უკანასკნელად ამეალო რკინის ნაჭრები. დანდვა ერთქვანებს და მოვდა არაბი.

უბრძანა: წადი და მომგვარე წითელი ცხენი, წითელი ჩოხა-ახალუხით, ერთი სიტყვით მასი მოწყობილობით.

არაბმა მაშინათვე უსრულა. ბიჭმა მოიკაზმა კარქათ, შეჟდა თავის ცხენზე და გასწია ქორწილისაკენ. როცა დუახლოვდა, დეანახა, რომ ვეზირი ცხენს ათამაშებს და ტრაბახობს, რომელსაც აძლევენ მის საცოლქს.

ბიჭმა მაშინათვე გააფრინა ცხენი, შეეჭრა ხალხში, რანდენიმეჯერ გაათამაშა ცხენი, მიზდი-მოზდია ვეზირს, გასწრო კიდევ. მესამეზე ესროლა ოხია და სასიკვდილოდ დასცა ძირს. ხალხმა აირ-დაირია, დეაწყეს ყვირილი: დეჭირეთ მაგი, ვინ არი, რომ ასეთებს ბედავსო. ბიჭმა აღარ გააფრინა ცხენი. მაშინათვე შეჩერდა და ჩამოხტა ცხენიდან. ხალხმა დეესია, დეჭირენ და მეათხოვდენ მოკლას. მარა ბიჭმა თქვა: მეფესთან მიმიყვანეთ, ორ სიტყვავეტყვი და მემრე მომკალითო.

მართლაც მიყვანეს მეფესთან და ბიჭმა უთხრა: მე ვარ ის რომელმაც თქვენი ორი ვაჟი დავჭარი და ვეზირი კი მოვკალი. ვინაიდან ეს ასე უნდა ყოფილიყო.

მე ვარ თქვენი შვილი, ძმებმა მე მილაღატეს და მეტი არაფერიო.

მეფემ ჩაეხუტა თავის შვილს, უბრძანა ხალხს ჩქარა დედაბ-
ტენითო. ვეზირზე დანიშნული ბიჭის ცოლი დანიშნა მისთვის.
გამართა დიდი ქორწილი, სადაც გეამართა დიდი ჭამა-სმა, რომ-
ლის შემდეგ დეაწყენ ტკბილი ცხოვრება.

ძმებმაც მორჩენ. პატარა ძმამ უამბო ყველიმფერი, ლალა-
ტობის შემდეგ თუ რა გადახტა მას. გადაჰკოცნენ ერთქვანები
და განაგძენ ტკბილი ცხოვრება. ამ დროს ზეციდან ჩამუარდა რა-
მდენიმე ვაშლი.¹

ეაღენ და ერთი კაკალი მე მომცენ, ამ ამბის თქმისათვის.
მეც მაღლობა გადაუხადე და წამოედი ჩემთვის.

25. სამი ძმა

ერთ სოფელში ცხოვრობდა სამი ძმა. მაგინმა გადაწყვიტეს, რომ
ჩვენდა ამ სოფლიდან წევდეთო. უმფროსმა თქვა, რომ მე ვაჭარი-
ნდა გავხტეო. შუათანამ თქვა, რომ მე იმდენინდა ვისწავლო, რომ
მუდელისი (დიდი სასულიერო პირი) უნდა გავხტეო. უმცროსმა
თქვა, მე გოგო შვილინა ვითხოვო, რომო ჰალალი იყოსო. ადგენ
სამნივემ და წევდენ. გზაში შეხტა მაგინს ერთი კაცი და უმფროს
კითხა: ჰა მიხვალო? უმფროსმა ძმამ უთხრა, რომ მე მინდა ვა-
ჭარი გავხტე და ვაჭრობაზე მივალო. ამ კაცმა აწია ერთი კაპეჯი,
მიცა და უთხრა: შენ წადი ამ გზით და ივაჭრეო. მეგრე კითხა
შუათანა ძმას, რომ შენ ჰად მიდიხარო? — მე მივდივარ ხოჯობაზე,
მინდა მუდერისი გავხტეო, — უთხრა შუათანამ. ამ კაცმა მას დუ-
წერა ელიფი (ანბანი) მუხლზე, მიცა და უთხრა: შენ თუ მართლა
გინდა მუდერისი. ვახტე, აწე ვახტებო. მეგრე კითხა უმცროს
ძმას, რომ შენ ჰა მიდიხარო? უმცროსმა უთხრა: მე მინდა ისეთი
ცოლი შევტო, რომ ჰალალი იყოსო და მისი საძებნელათ მივა-
ლო. ამ კაცმა უთხრა, რომ მასეთ ცოლს ნახავ, მარა ძალიან
შორსო. — სადაც არნდა იყოს, მე მაინც წავალ და ვნახავო, —
უთხრა უმცროსმა ძმამ.

მაშინ კაცმა უთხრა, რომ რადგან შენ უცილებლათ ჰალალი
ქალინა ითხოვო, მაშინ შენ წად ამ გზით და ამამუალ ადგილზე
ერთი დიდი ტიალი მინდორია. იმას იქით კიდევ ერთ დღეს მარ
და მიაწევ ერ სახლთან. მაშინ შენ დუძახე მასპინძელს. როცა
კაცი გამოგხედავს და გეტყვის რა გნებავსო, მაშინ შენ უთხარ:
ღმერთის ბრძანებით შენი გოგო მს სათხოვნელად მუელი და
წევლა.

უმცროსმა ძმამ ხუთი წლის განმავლობაში ისეთი ვაჭარი გახტა, რომ მისი ტოლი არსათ მოაძეგვოდა. შუათანა ძმამ ხუთი წლის განმავლობაში გახტა გელჩეკ მუდერისი. უმცროსმა ძმამ მარა, მარა და მივდა იმ სახლთან და დუძახა. სახლის ბატონმა გამოახედა, — რა გნებავსო? ბიჭმა უთხრა: ღმერთის ბრძანებით შენი ქალიშვილინა ვითხოვოვო. ქალიშვილი მხოლოე ოთახში იყო და ვერ გეგონა. მამას კითხა — რა უნდა იმ ბიჭსო? ნამამ უთხრა: იმ ბიჭმა მითხრა, რომ ღმერთის ბრძანებით შენი ქალიშვილინა ვითხოვოვო. — მასე თუ თქვა, მაშინ წაყვებო, თქვა ქალიშვილმა და წაყვა იმ ბიჭს ცოლათ.

ამ ბიჭმა და გოგომ გვედენ ტიალ მინდორზე, დადგეს ჩადირი და დეაწყენ ცხოვრება. იმ კაცმა თქვა: ერთი ჩამწვარო იმ ხალხს, რომელი რა ჭკვაზეაო. და მივდა ვაჭართან. ვაჭარი ფულებს ითვლის და ითვლის, აღარ ცალია არაფრისათვისინ. ამ კაცმა ჩეცვა ძველი ძონძიანი ურუბა, მივდა და სთხოვს: ბატონო, რაცხა მაჩუქე, ძალიან გაჭირვებული ვარო. — წადი, წადი, შენი დრო არ მაქო, უთხრა ვაჭარმა. მარა ამ კაცმა არ მიეშვა და სთხოვს: ერთი შავრი მანც მომეციო, უთხრა იმ კაცმა; ვაჭარმა გაჯავრებით ერთი კაბეჯი გადუგდო. ამ კაცმა მისი მიცემული კაბეჯი უკან ართვა და წამოვდა.

მას შემდეგ ამ ჩვენმა დიდმა ვაჭარმა ხუთი წლის განმავლობაში ისე გალატაკდა, რომ მათხოვრობა დაჭირდა.

შემდეგ გეაარა ამ კაცმა შუათანასან. შეხედა, რომ ზეპირად კითხულობს, კითხულობს, სულ გაჩერება არ აქ. ამ კაცმა მივდა და უთხრა: ცოტა რამე მასწავლეო. ხოჯა ებნევა: წადი, შენი დრო არ მაქო. ეს კაცი კიდევ ეხვეწება — ცოტა მასწავლეო. დამანებე თავი, შენი დრო არ მაქო. აბა ერთი ელიფი მაინც დიმიწერე და მომეციო. ხოჯამ ელიფი დუწერა და მიცა. ამ კაცმა რომ ეს ელიფი წეალო, იმ მუდერის ხოჯას რამდენიმე წელიწადში, რაც ისწავლა და რაც იცოდა, სულ დწეწედა, როგორც პირველად იყო, ის გახტა.

შემდეგ ამ კაცმა წევდა უმცროს ძმასან. მივდა იმ მინდორში და გაჩერდა. დუწყო თვალიერება. იმ დღეს დარი ცუდი იყო. უმცროს ძმას წისკვილზე ეყარა და ფქვილის მოსატანად წევდა. ამ კაცმა წევდა ტალახებში, გაგორდა-გამოგორდა, გზაზე ამოვდა, დეაწყო კანკალი.

უმცროსმა ძმამ რომ გამოაარა, დეანახა, რომ კაცი კანკალებს, შაეკითხა — რა დაგემართაო. ამ კაცმა უთხრა: ხიდიდან გადავარდი ბალოტებში, დავსველდი და მცივაო. უმცროსი ძმა

შეწუხდა, უთხრა: მე აღგილი არ მაქ, მარა წამოდი და რაცხას ვიზამთო.

წყაყვანა. მივდა ჩადირში და ცოლს უთხრა: ერთი კაცი წყალში ჩავარდნილა, სულ სველი და ტალახია, სიცივისაგან აკანკალებს. რაუყოთო? ცოლმა უთხრა: ამ ჩადირში ფარდას ავკიდავ, შემოაყვანე და გათფეო. გელჩქე ფარდა გაკიდეს, გათფეს და იმ ღამეს იქ მტასვენეს. მორე დღეს, დილას უთხრა ამ კაცმა, რომ ხვალვე მოაყვანე უსტაგები და სახლის კეთება დწყებზევეო. ბიჭმა უთხრა: ფული არ მაქ, არც მასალა, როგორ შემიძლია სახლის გაკეთებავო! ხვალ რომ დაჭირდება, ი მასალა ამღამ აქ მუავო, — უთხრა კაცმა, — შენ ნურც ფულის და ნურც მასალის ნუ შეგეშინდებაო.

გელჩქე მორე დღეს მეაყვანა ღურგლები. მასალა იმ ღამეს მუტანაა ვინცხას და დწყყვია. ასე, ერთი თვის განმავლობაში ისეთი სახლი აშენა, რომ იმ სოფელში ჰადმე არ იყო და შემდეგ იმცხოვრა ტკბილათ.

ვინც ღარიბს დახმარებას გწყვეს, ის ყველთვინ მოგებულია.

26. იბრაიმი

იყო მეგემ ერთი იბრაიმი, რომელსაც მამა არ ყავდა. დედამისი ყოველთვინ ხობვებს აშობებებდა. ერთ დღეს ხობვები დგეკარქა იბრაიმს. შეშინდა და გეაქცა. გეაქცა და ხელმწიფის კანოშნაში დეამალა. ამ დროს კანოშნაში ჩამოვდა ხელმწიფის ქალიშვილი და დეაძახა: იბრაიმ, მოდიო? იბრაიმს ეგონა, მე მეუბნებო და უთხრა: მოველიო. ქალიშვილმა საჩქაროთ მტამზადა ცხენები და იმ ღამეს შეყდენ და გეაქცენ.

მეორე დღეს, როცა გათენდა, ქალიშვილს არ მოეწონა, იმიტომ, რომ მას რომ უყვარდა, ი იბრაიმი არ იყო.

ქალიშვილმა უთხრა: შენ ვინ ხარო? ბავშვმა უთხრა: მე იბრაიმი ვარო. გოვომ უთხრა: რადგან წამუელით, ნუ იქნება ი იბრაიმი და იყავი შენო. გეარენ რამდენიმე გზა და ერთ მინდორზე დეაყვენენ. იბრაიმს მოწყურდა და წყალზე მივდა. წყალი დალია და დეაძახა გვალი წითელი ქვა. მოძებნა კიდევ და სამი ქვა ნახა. იბრაიმს უყვარდა ასეთი სილამაზე. მან ეს ქვები დამალა, რომ ქალიშვილმა არ შემანჩნოსო, შემდეგ წევდენ და მივდენ ერთ სახელმწიფოში, იქირავეს ოთახი და დაბინავდენ.

დაწოლის დროს, როცა იბრაიმი ტანისამოსს იხდიდა, გოგომ კითხა:

— ეს ქვები სად ნახე?

ბიქმა უთხრა: ეს ქვები წყლის სასმელათ რომ წავედი, წყალში ვნახეო. მაშინ უთხრა გოგომ, რომ ჩვენ ფული ბევრი გვაქ და ეს ქვები ხვალ ხელმწიფეს აჩუქვე და ჩვენ შეგვხედავსო.

მორე დღეს იბრაიმმა მივდა ხელმწიფესან. ხელმწიფეს კარებთან დარაჯი ედგა. ამ დარაჯმა სარკე აჩვენა. მეგემ სარკის ჩვენება ნიშნავდა საჩუქრის თხოვნას. ეს იბრაიმმა ვერ გეგო. შევდა ხელმწიფესან, ეს ქვები აჩუქვა და ხელმწიფემ მადლობა გადუხადა. იბრაიმმა წამოვდა. კარებთან დახტა დარაჯი, რომელმაც კიდევ აჩვენა სარკე. იბრაიმმა უურადლება არ მიაქცია და არც იცოდა, თუ რას ნიშნავდა სარკის ჩვენება და წევდა. დარაჯმა უკან გაყვა. როცა იბრაიმმა კარი გაღო და ოთახში შევდა, დარაჯმა იბრაიმის ცოლს მოკრა თვალი და კინალამ წეჩქა, ისე მეფონა, მემრე მივდა ხელმწიფესან და უთხრა: შენთან რომ დღეს ბიჭი იყო, იმას ისეთი ქალიშვილი ყავს, რომ ერთ უთქმელი, იმას არ შეეფერება. ი ქალი შენდა კყავდესო.

მეფემ თქვა: რაფრათ შედძლება იმას ი ცოლი წავართვაო. მოჯამაგირემ უთხრა, რომ იმფერი რამენდა დწვალო, რომ ვერ გააკეთოს და შუსრულებლობის გამო კისერი მოვჭრათო. მეფემ თქვა: მოდი, იმას დავავალეფ, მან უმ მეტანა, იმფერი ქვის მოტანასო.

მორე დღეს ხელმწიფემ დეაბარა იბრაიმი ოა უთხრა, რომ უნდა მომიტანო სამი დღის განმავლობაში ათი იმფერი ქვა, შენ რომ მომიტანეო. სამი დღის განმავლობაში თუ არ მოგიტანია, თავს მოკჭრიო. იბრაიმი წევდა. მივდა სახლში და დაიწყო ტირილი. ცოლმა შეეკითხა: რატომ ტირიო?, — უთხრა იბრაიმმა, რომ მეფემ ათი იმფერი ქვა კიდევ დამავალა და თუ არ მუტანე, თავს მოკჭრისო. სანდა ვნახო ი ქვაო.

ცოლმა უთხრა: სადაც ი ქვები ნახე, წადი იქ და ნახეო.

იბრაიმი წევდა, მივდა იმ მდინარეზე და დეაწყო ქვის ძებნა, შვიდი ქვა ნახა. ამ დროს მას რაცხა ხმაურობა მეყურა. გეახედა ზეათ და დეანახა დივი, რომელიც ცეცხლს აგზნებდა. დივი მივდა იმ წყლის სათავეში და ხისძირიდან გამეღო ქალის თავი, სადაც წყალი გამოდიოდა, იქიდან გამეიღო ქალის ტანი. იქვე იდვა ერთი ჩხირი. წუსვა კისერზე და გაცოცხლა ეს ქალი. დივი ქალს უთხრა: წამომყევი თუ არაო? ქალმა ჭარი უთხრა.

გაჯავრებულმა დივმა მოწყვიტა თავი და თავი ცალკე შემოდგა ხის ქვეშ და ტანი ცალკე. ი ჩიბრი, რომლითაც გაცოცხლა, იქვე დადგა. თვითონ გაჯავრებული დივმა წევდა.

მივდა იბრაიმმა იმ ადგილზე, სადაც ქალი იყო. გამოიღო თავი და ტანი, ი ჩიბრი წუსვა კისერზე და გაცოცხლა. წამეფყვანა ქალი იბრაიმმა და წამოვდა. ცოტა ხნის შემდეგ მაგან დაიწყო ტირილი. ქალმა შეეკითხა: რატომ ტირიო? იბრაიმმა უთხრა, რომ მე ხომ შენთვის არ მოვსულვარ, მე ქვებისათვის წამოველი, შვიდი ქვა ნახული მქონდა და შენ რომ დაგინახე, ივინიც დამეკარქაო. ქალმა უთხრა: ნუ გეშინიაო. ი ქვა შენ რომ ეძებ, ჩემი სისხლის წვეთებიდან კეთდებაო. მეტანე ჩანალით წყალი და დანაო.

იბრაიმმა მუტანა გეჭკრა ნეკი თითი და სისხლი დწვეთა. ათი წვეთიდან შედგა ადი ქვა. იბრაიმმა ზიორე დღეს მუტანა ხელმწიფეს. კარებთან დარაჯი დახტა და კიდევ სარკე გუჩერა, მარა იბრაიმმა უურადღება არ მიაქცია და შევდა მეფესან. ი ათი ქვა ჩაბარა და წამოვდა. დარაჯმა კიდევ გაყვა და როცა სახლთან მივდა, იბრაიმმა გააღო კარი ოთახის, დარაჯმა დეანახა ვორი ქალი ეთქვანებზე უკეთესი. მეფემ თქვა: დავავალე იმფერ რამეს, რომ ვერ გჯკეთოს, მოვჭრი თავს და ი ქალები დამრჩებიან მეო.

მაორე დღეს დეებარა იბრაიმი და უთხრა: შენ უნდა გჯკეთო ერთ ქვაბში საქმელი და ჩემმა ჯარმა უნდა ჭამოს და კიდევ იმ ქვაბში უნდა იყოსო. ამისათვის ვადას გაძლევ ათ დღესო. იბრაიმმა მივდა სახლში და დეაწყო ტირილი.

ქალმა შეეკითხა: რატომ ტირიო. იბრაიმმა უთხრა, რომ მეფემ ასე და ასე მითხრაო.

— ნუ გეშინიაო, — უთხრა ქალმა — ეხლავე მოგიმზადეფო.

დაწერა ქალმა წერილი, მისცა იბრაიმს და უთხრა, რომ ად წერილი დეჭირე ხელში და მიდი იმ მდინარეზე, სადაც მე ვიყავი. იქ აუცილებლად მუა ი დივი.

დევს ად წერილი შაგებე, თორემ შეგჭამს. ამ წერილში წერია: გოდა მე ავათ ვარ, ვიბარებ ჩემ დას და შემდგ ვორივე დები მუალთო. ვწერ დევს. დივი რომ ამას წეიკითხავს, შეგისვამს ფხარზე და წავიყვანს. როცა მიხვალ ჩემ დასთან, უთხარი, რომ ი კარდალი წამეაღოს.

იბრაიმი წევდა. მივდა იმ წყაროსთან და დაედა. გახედა, რომ დივი მოღის. მმარდა დივმა, ად წერილი რომ დეანახა, იბრაიმი აწია, შენოისვა ფხარზე და წევდა. დივი მივდა სახლში

და ქალიშვილიც წამყვანა. მარა ი ქვაბი დწვიწყტა. როცა მოვდა სახლში და გაახსენდა ქვაბი, დეიწყო ტირილი. ახალმოსულმა ქალმა შგეკითხა, რომ რატომ ტირიო. იბრაიმიმა უთხრა, რომ მე შენთვინ არ მოვსულვარო. მე ქვაბი მინდოდა ისეთი, რომ ხელმწიფის ჯარი გამძღარიყო შით გაკეთებული საქმლით და კიდვენ დარჩენილიყო. ქალიშვილმა უთხრა: ნუ გეშინიაო და ამეალო უბიდან რაცხა სპილენძისფერი და უთხრა: გადგქეცი დიდ ქვაბათო. გადგქეცა დიდ ქვაბათ. გაკეთდი საქმელიო. საქმელმა დეაწყო შით დუღილი. იბრაიმს უთხრა, რომ წადი და მეაყვანე მეფე თავის ჯარითო. იბრაიმიმა მეაყვანა მეფე თავის ჯარით. კამეს ბევრი საქმელი, მარა ქვაბში მაინც არ ილეოდა. მეფე ამ შემთხვევაში მოტყვილდა. დარაჯმა მივდა იბრაიმის კარებთან და გაჩერდა. კარები, რომ გეალო, დარაჯმა დეანახა სამი ქალი, ერთი მჟორეზე უკეთესი, მივდა ხელმწიფესან და უთხრა, რომ ახლა სამი ქალი ყავსო, ერთი მჟორეზე უკეთესებიო. მეფეს უნდა გამონახა ისეთი რამე, რომ იბრაიმს ვერ გეკეთებია და გამონახა კიდეც, მას რომ კითხოს. დედაბარა იბრაიმი და უთხრა:

— შენ უნდა გაკეთო ზღვაზე ხიდი ისეთი, რომელზედაც მე ჩემი ჯარით უნდა გევიარო და კიდვენ ზეთ ადგილი რჩებოდესო. იბრაიმიმა მივდა სახლში და დეაწყო ტირილი: ახლა მე რა მეშგელებო. ქალმა შგეკითხა, რომ რეაზა ტირიო? იბრაიმიმა უთხრა, რომ მეფემ დამავალა ზღვაზე ხიდის გაკეთება ისეთის, რომ მეფემ თავისი ჯარით რომ გეააროს და კიდევ ადგილი დარჩესო.

— ნუ გეშინიაო, — უთხრა ქალმა. მისცეს იბრაიმს ერთი ჩაქუჩი ხელში და უთხრეს, რომ როცა ზღვასთან მიხვალ, უთხარი ამ ჩაქუჩს, რომ ხიდი გააკეთეო და ხიდიც მისით გაკეთდებაო. შუა ხიდზე ერთი ლამფა უკულმა დწვენეო.

იბრაიმმაც მართლაც ასტე მოაქეცა და ხიდიც გაკეთდა. შუა ადგილზე ერთი თახთა უკულმა დწვენა. ქალებმა იბრაიმს მისცეს ერთი ფირფიტა და უთხრეს, რომ აჲ ფირფიტაჲ ქქონდეს შენ, მიდი და მეფეს უთხარ, რომ ხიდი გავაკებთ და შენი ჯარით გეაარეო. როცა მეფე ნივა ხიდთან, წინ შენ გაგიშვებსო. როდესაც შუაზე მიხვალ, მეფე დეანახავს, რომ თახთა ბრუნდეთ არის და შენებული და ჩხუბს დაგიწყებს. მაშინ შენ გადახტი ზღვაში და ხიდს უთხარი — ჩემსხვერიო. ხიდი ჩემსხვერევა და მეფე თავის ჯარით დეალოებება, შენ კი ამ ფირფიტის საშუალებით გამოხვალ გარშეო.

იბრაიმმა მივდა ხელმწიფესან და უთხრა, რომ ხიდი მზათ არისო. ხელმწიფემ თავის ჯარით მივდა ხიდთან. იბრაიმს უთხრა: წაგვიძებ წინო. იბრაიმმა წუძღვა წინ და მიდიან ხიდზე. როცა მიაღწიეს შუა აღგილზე და მეფემ რომ დაინახა ბრუნდეთ დაშენებული თახთა, იბრაიმს ჩხუბი დუწყყო. ამ დროზე იბრაიმმა გადახტა ზღვაში და ხიდს უთხრა: ჩემტვეროო. ხიდი ჩემტვრა და მეფე თავის ჯარით დეფლუპა.

ფირფიტის საშუალებით იბრაიმმა გევდა გარში და აა სახემწიფო ჩეგდო ხელში. მემრე დიდხანს იცხოვრა ტკბილათ.

27. გიორგი

იყო მეგემ ერთი გლენი და მას ყავდა ერთი შვილი, რომელიც იყო ოცი წლის. ერთხელ ამ გლენმა ავად გახტა ძალიან. მან მიხტა, რომ მისი მორჩენა შუძლებელი იყო. დუძახა თავის შვილს და ანდერძი დუტია. უთხრა გიორგის: გიორგი, შენ რომ დაქორწილები, მანამდი ქალთან არ დაწვე, სანამ თავის პერანგს არ გაიხდის და თავქვეშ არ დაგიდებს.

გიორგის მამა მოკვდა. მან რომ მეანდომა დაქორწილება, მონახა თავის შესაფერი გოგო. ეს გოგო იყო ხელმწიფის შვილი. ხელმწიფეს გუჯავანა ერთი კაცი და სთხტა გოგო. ხელმწიფემ მისცა და გემართა ქორწილი, მაგრამ გიორგი მამამისის ანდერძს ასრულებს. გევდა ერთი წელი. გიორგი და მისი ცოლი არიან ისე როგორც ქორწილობამდი იყო. გიორგი ასრულებს ანდერძს, რომ სანამ მისი ცოლი პერანგს არ გეიდრობს და თავქვეშ არ დუდებს, მანამდი არ ინახულებს, გევდა ორ წელწადი, კიდევ ისე არიან. ქალმა არ იცის, რატომ არ წვება მისი ქმარი მასან. ასე ამფრათ გევდა სამი წელწადი.

ბოლოს ქალმა დაწერა წერილი და გუჯავანა მამამის, რომ მე, მამაჩემო, ახლა როგორც ვარ, ისე ქმართან წამოსვლამდინაც ვიყავიო, ამ დროს ხელმწიფემ მოაწყო ასე: გნზადა ახალი სასიძო და თქვა, რომ გზორგის დავპატიებ, როგორც სიძეს და დავათრობთ, მემრე თრალ კაც შევავდებთ სამხეცეში და იქ მხეცები შეჰამენ და გადავრჩებით, თვარემ სხვანაირად შეუძლებელია გიორგის დამარცხებაო. გელჩექ ასტე მოაქცა. მუამზადა სასიძო და გიორგიც დაჰპატიეა როგორც სიძე.

გიორგი და თავის ცოლი მოდიან გზაში. ამ დროს შეხტა მაგინს დევების დედა და უგნება გიორგის: შვილებო, გეაქეციო, თვარემ შვილები შეგჰამენო. გიორგიმ უთხრა: გამუშვი შენი შვი-

ლებიო. დევის დედამ გელჩექ გავებია თავის სამ შვილს და გამწვინდენ გიორგის. გიორგიმ ამეღლო ხანჯალი და სამტე მოკლა. შემდეგ ცოლს უთხრა: სადმე არ თქვა, სირცხვილიაგო.

მივდენ კამპანიაზე. გიორგის ჩამოხადეს იარაღი, და დეაწყენ ქეიფი. როცხა დალამდა, გიორგიც ცოტა არ იყოს, დათრა. წყევანეს გიორგი და შიაგდეს სამხეცეში. გიორგის მისცვინდენ მხეცებმა, უნდა შეეჭამენ, მარა გიორგის დაშენოდა ბებუთი დანა და ამ დანით ყველა მხეცები დახოცა. დალაულ-დაქანცულ გიორგის მოეძინა, მარა იმ ოთახში დაწოლა შეძლებელი იყო. სისხლის მორევის გამო გარეთ ვერ გამოდიოდა, რადგან კარი დაკეტილი იყო. მან მოაფიქრა აწე: ერთქვანებზე მიაწყო დახოცილი მხეცები, გამეღლო დარაბიდან ერთი ძელი, გუდვა ზეადან, დაწვა და დეძინა.

ახლა დუბრუნდეთ, რა ქნა ახალმა სიძემ, ე. ი. გიორგის ცოლის ახალმა ქმარმა. ნეფე-დედოფალმა რომ შევდენ მისთვის გამზადებულ ოთახში, ნეფე წინ მიდიოდა და ხელში ეჭირა მათრახი. ამ დროს ერთმა თავგმა გეარბინა. ნეფემ მათრახი მუქნია და კული წააწყვეტია. ხმამალა თქვა: ოჰ, რა ვაჟაკი ვარ, თავგს კული წავწყვეტეო.

მაშინ ცოლმა თქვა თავისთვის: ჩემმა ძველმა ქმარმა სამი დივი მოკლა და მითხრა: სადმე არ თქვა, რომ სირცხვილიაო. ამან თავგი ვერ მოკლა და ამბობს რა ვაჟაკი ვარო, რათ მინდა ასეთი კაციო და გევდა გარეთ. გადაწყვეტა, რომ ჩემი ქმარი მხეცებმა შეჭამეს. მეც შევაჭმიებ ჩემ თავს, მე არ მინდა მის შემდეგ სიცოცხლეო და შევდა სამხეცეში. დეანახა, რომ თავის ქმარს გუწყვეტია მხეცები და ფიცარზე ძინავს.

მაშინ გეახდა პერანგი და შამუდვა თავქვეშ.

გიორგიმ რომ გაჰედღეძა, ნახა, რომ თავქვეშ უდვია თავისი ცოლის პერანგი. ამის შემდეგ ეღირსა იმ ბედნიერებას, რომელ ბედნიერებასაც სამი წელია უცდის.

ასე შეასრულა გიორგიმ თავის მამის ანდრეზი.

28. ოჰ!

იყო ერთი გლეხი და მას ყავდა დასაქორწინებელი ბიჭი. ბიჭმა უთხრა მამას: წადი და ხელმწიფეს უთხარი, რომ მისი გოგო მომცესო.

მამა წევდა. მივდა ხელმწიფესან. იჯდა, იჯდა და ვერ გუბედა. ბოლოს ადგა და წამოვდა. ხელმწიფემ წამოსლიხან ერთი ტორი ოქრო მიცა. მოვდა სახლში.

შვილმა უთხრა: რა ქენიო?

— არაფელიო, — უპასუხა მამამ — ვერ გუბედღე ხელმწიფეს და წამოსლიხან ერთი ტორი ოქრო მომცაო.

შვილმა უთხრა: შენ მე ოქროსთვინ არ გიმეგზანხარო. მხოორე დღეს გნგზანა კიდეე. მამა მივდა და უთხრა ხელმწიფეს, რომ ჩემი შვილი შენ გოგოს გთხოვსო. ხელმწიფემ უთხრა: შენმა შვილმა ისეთი ხელობა შეისწავლოს, რომ ქვეყანაზე არვინ იცოდესო და მაშინ მივცემ ჩემ შვილსაო.

მამამ მივდა სახლში და ყველამფერი უთხრა შვილს. შვილმა უთხრა: აბა მომიკიდე, წამიყვანე და შემასწავლე ისეთი ხელობაო. მამას მეტი გზა არ ქონდა. მიეჭიდა და წეაყვანა. მარა სამ დღეს, ბევრი გზის გავლის შემდეგ დეაღალა და დეასვენა. მეოთხე დღეს კიდეე მარა, მარა და როცა დეაღალა, დეასვენა. დეასვენა და დეიძახა ოფო! ამ დროს გამოხტა ერთი კაცი და უთხრა: რა გინდაო. გლეხმა უთხრა: არაფელიო. ოფი ეუბნება: ოფი მე მქვია; თუ არაფელი არ გინდოდა, მე რატომ მიძახდიო. გლეხმა უთხრა: მე შენთვინ არ დამიძახნია, დეველალე და ჩემთვინ დეეძახეო.

ოფმა შეეკითხა: მაგ გოდორში რა გაქვსო? გლეხმა უთხრა, რომ ამ გოდორში შვილი მყავსო, მიმყავს შორს, იმისათვის, რომე ისეთი ხელობა უნდა შევასწავლო, რომ ვინმემ არ იცოდესო. ოფმა უთხრა: მომეცი შენი შვილი ერთი თვით და შევასწავლიო. გლეხმა დათანხმდა და მისცა.

გლეხმა წამოვიდა შინ და შვილი დუტია ოფს. ოფმა მართლა შეასწავლა ისეთი ხელობა, რომ მას შეეძლო გადაქცეულიყო: კამბეშათ, ცხენათ, ძროხათ და სხვა რამეთ, რაც მას სურდა.

მარა ჯერ გამოცდა ჩაბარებული არ ქონდა.

ოფს ყავდა ერთი ქალიშვილი და ამ ქალიშვილს შუყვარდა ეს ბიჭი. ბიჭს უთხრა: მამაჩემი რომ ყველიმფერს შეგასწავლის, გადაგაქცევს ხარათ, ჩაგიყვანს ბაღაში და დასაკლავათ მე დიმიძახებს, რომ დანა ჩანომიტანეო. მე ვეტყვი, რომ ვერ ვნახეო. მაშინ მეტყვის: ჩამოდი, დეიჭირე ეს შენ და მე ჩამოვიტანო. მაშინ მე გაგიშვებ და გეიქეციო.

მართლაც, რომ შეისწავლა ყველამფერი, გადააქცია ხარათ და ჩეაყვანა ბაღაში დაბმული. შვილს დუძახა, დანა ჩამომიტანეო. გოჯა მოძებნა და უთხრა: ვერ ვნახეო.

მამამ უთხრა: ჩამოდი, დეაჭირე და მე ჩამოვიტანო.

ჩეველა და დეაჭირა. როცა მამა ევდა სახში, გოგომ გუშეა. ხარმა გადეაქცა მიმინოთ და გაფრინდა, მამამ გადაექცა შევარდნათ და

გამჟღავნა. მიმინომ მივდა იმ ხელმწიფესან, რომელსაც გოგოს თხოვდა. ქუდათ გადგეჟცა და თავზე დგეხურა. მგვარდენი გახტაკაცი და ხელმწიფეს უთხრა: მომე ჩემი ქუდიო. ხელმწიფემ უთხრა, რომ მე ქუდი არ მეხურა და ღმერთმა მომცაო, მარა ოფმა არ მოეშვა: ქუდი ჩემია და უნდა მომცეო.

ხელმწიფემ გაჯავრდა, ქუდა მოიძრო და შამოკრა. ქუდმა იქცა ღომათ და ღომი დგეზნა. ოფი გადგეჟცა მამლათ და ღომი დაკრიფა, გეგდა გარეთ, შეფრინდა ღობეზე და დგეყვილა.

მეგემ ერთი მარცვალი ღომი დარჩა ნაცრებში. ღომმა იქცა მელათ, გავარდა გარეთ, შავლო მამალს და შეჭამა. ოფი შეჭამა. მელამ გადგეჟცა კაცათ და უთხრა ხელმწიფეს: ნახე, როგორი ხელობა მაქვსო? ახლა მომეცი შენი ქალიშვილიო. ხელმწიფეს რაღანდა ეთქვა, მისცა მისი ქალიშვილი და დგეწყენ ცხოვრება.

29. „სილაგაზე“

ერთი ძალიან გაჭირვებული კაცი იყო, მას არაფერი არ გეჩთა გარდა ერთი ქოხისა. არც მიწა ქონდა, არც ფიზიკური შეძლება. ერთხელ შემთხვევით მისას ღამე გნთია ერთმა მათხტარმა და ღამე, როცა ვახშამზე დაქდენ, მათხტარმა მისი მათხოვრობის შინარსი მჟყვა. ღარიბმა მჟსმინა მათხტარს ყოლიფერი და აღმოჩნდა, რომ ეს მათხტარი ისევე ღარიბი ყოფილა, როგორც ეს კაცი და მას დჟწყეველია მისი ოჯახი, მიუტეგებია ცოლი და შვილი და ვინცხაჲს გაპირებით წასულა ჰქტის სასწავლათ, მარა გზაზე ყოლიფერი დაღეგია და მათხტარი გამხტარა.

ღარიბმა კითხა, რომ ახლა შენ საჲთ მიემგზავრებეო? მათხტარმა უპასუხა: მივიღივარ ამადამ ქვეყანაში, თჟარ მოგკტი, იქნება კაცი გავხტეო. ღარიბმა სთხტა, რომ შევამხანაგდეთ და ერთად წევედეთო. მათხტარი დათანხმდა და მჲორე დღეს ორივენი ერთათ გემგზავრენ ფულის საშტარათ. დიდხანს იარენ და ბოლოს მიადგენ ერთ დიდ მდინარეს, რომელზედაც გასლა მჟხეობებელი დარჩა. ვინაიდან მახლობლათ მოსახლეს ვერ ხედავენ და წასასლელათ ძალა არ შესწევედენ, გადასწყევიტენ ღამე მდინარის პირზე ტყეში გიეთიათ. დაღლილმა მგზავრებმა ტყეში ცეცხლი გნჩადეს და დგეძინენ. ღამე თურმე ქარი ამოგჟრა, ცეცხლი გადგეტანა და ტყეს ხანძარი გჟჩთა. ხანძრის ხმაურობაზე მგზავრებს გამეღვიძათ, მაგრამ არც ტყის შველა შგედლოთ, არც წასასვლელი გზა ჰქონდენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ შორიდან მოისმა ცხენების ფეხის ხმა და მალე ადამიანებიც გამოჩნდნენ, ივინმა ხანძრის გარშემო ტყე გაკაფეს და ხანძარი ჩაქრეს. მგზავრები დეფტირენ და თავის სოფლის უფროს მიჰგვარეს. უმფროსმა რომ გეგაგო ამ ხალხის ვინაობა, გასცა განკარგულება გაენთავისუფლებიენ ივინი და ამ უფროსმა მაგინს ერთ ცნობილ ვაჭართან მიასტავლა გზა. ვაჭარმა ღარიბები მიიღო, მარა ასეთი პირობით: სამი წლით ავიყვან მოჯამაგირეთ: სამი წლის მემრე ან სამ ჰკუას გასწავლი, ან ჯამაგირს მოქცემ და გაგიშვეფო.

ავინიდან ერთმა ჯამაგირზე დადგა და ერთმა სამი ჰკუის სასწავლათ. გეგდა სამი წელწადი და პირველმა ფული მიიღო, მეორემ კი სამი ჰკუიერი გამოცდილება შეაძინა. მგზავრები სახლში დაბრუნდენ თავის ცოლშვილთან. ავინს გზაზე შეხვტენ ქარავენები. მგზავრები შეეკითხა, თუ საათ მიდიოდა ქარავენები. ქარავენის უფროსმა მაგინს უბასუხა, რომ ქარავეანი მიდის მეფის სასახლეში. მეფეს ვამოცხადებული აქ, რომ ეს სიმდიდრე საჩუქრად მიაართვას იმას. ვინც მის ასახსნელს ამოხსნისო.

თურმე მეფეს დიდხანს შვილი არ ეყოლა. ერთ დღეს „ამინმა“ ჩამოაარა კაცის სახით, მეფეს გამაგემცხადა, უთხრა: შენ გეყოლება შვილი, მე რომ გეტყვი, თუ ისე მოაქცევიო. შვილს სახელათ სილამაზე დარქვი, ის იქნება მეტად ლამაზი და სანამ გათხოვდებოდეს, ამ ტყავში უნდა შედნახოვო. ვინც ამ ტყავს შესაფერ სახელს მიანიჭებს, რაც მე მინდა, მაშვინ ტყავი გეახსნება და შვილი გაგიბედნიერდებაო, თუ არა და შვილი ტყავში უნდა მოხუცთესო, რომ შენით გახსნა, ხელათ მოკტებაო. ეს არის და ეს. თუ ამას ახსნი, ეს ქარავენები საჩუქრად გადმოგეცემაო.

გლახამ იფიქრა, სამი წელიწადია ჰკუის სასწავლათ ვიყავი, სახლში არაფერი დამიტოვებია. ჩემი ცოლ-შვილი ცოცხლები თუ დამხტა. ჩემი მისლა მაანც არ გუხარდებთან, ვინაიდან ფული მე არ მაქ და ჰკუით ჯერ არაფერი შემიძენიაო. ვცდი, ამას, იქნებ ავხსნა და ბედნიერი გავხტებო. ეზოში რომ მივდა, უკვე დიდძალი ხალხი შეკრებილიყო, მარა ეზოს გაღავეანი კაცის თავებით იყო შემოვლებული. ვინც ნახავდა იმ სდშინელებას, რომელიც მეფეს ედვა თავის სამეფო დარბაზში, ყველა განცვიფრებით ამბობდა: ეს ბატონო ხელმწიფევე, ვინ მოგიტანა და რა საზიზღრობნვო. საგანი უცვლელად ხტებოდა და ხელმწიფეს ბრაზი ემატებოდა. დარბაზში შესული კაცი იქიდან გარეთ ველარ გამოდიოდა, ხელათვე თავს მოსჭრიდენ და გაღავეანზე აცვამდენ.

რამოდენიმე ათასი ვაჟკაცი შეეწირა ამ სიმდიდრეს და ბოლოს ეს ყოფილი გლახა შეედა. როგორც კი ნახა მეფის ზალაში ეს საშინელება, განცვიფრდა, მეფეს შეხედა და მისგან მრისხანე შეკითხვა მიიღო: რა არის ესო?

ამ კაცს გვხსენდა, რომ იმ სამ წელს ჭკუის სასწავლათ იყო წასული და ერთ-ერთი ჭკუა ასე უკარნახებდა, მისი ცხოვრების საბედნიეროთ: „რა ცუდი არ ნახო, ცუდი არ უწოდო და არ განცვიფრდო“. ამის მოგონება და მისი სახის გამომეტყველების სევდიანობა ღიმილათ გადაიქცა. თანაც მეფის ყურადღება მიზპრო. მან უპასუხა მეფეს: ეს საგანი მე ძალგან მომეწონა და ის შენი ბედნიერებაა და არა ცუდი რამეო.

ეს რომ თქვა, ტყავი გეახსნა და მეფის ქალიშვილმა მეფეს გადაეხვია. ეს თითქოს მოჩვენება იყო სამივესთვის. მალე მეფე გონს მოვდა. წარმუდგენელი ბედნიერების შემხედვარე მეფემ ამ გლახას ნახევარი სამეფო და ეს სიმდიდრე დულოცა. გახარებული და გამდიდრებული კაცი სახლში დაბრუნდა. გზაზე შეხვთა ნაცნობი ხალხი. კითხა მისი ოჯახის ამბავი, მარა ყველამ ასე უთხრა: არეინ ცოცხლები არ არიანო. გლახას ძალგან ეწყინა, მარა მოაგონდა ბოლოს ის ჭკუა, რომელმაც მან მოჯამაგირეობით შეეძინა: რაც შენი თვალით არ დეგანხო და ყურით არ გეგაგონო არ დეაჯეროვო.

ამ სიტყვებმა გამოათხიზლა ის და მანც სახლისაკენ პირი იბრუნა. ბევრი გედა თუ ცოტა, ყოფილი გლახა ახლა კი მეფე, სახლში მივდა, ყველანი ცოცხლები დახტენ სახში და ბედნიერად ცხოვრობდენ სიკვტილამდე.

30. დელი ბალთა

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი გლეხი, რომელსაც ყავდა სამი ვაჟი. ერთხელ მამამ დუძახა თავის შვილებს და თითოს მიცა ვოზდათუთხმეტი მანეთი და უთხრა — წადითო. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ დუძახა და უმფროს შვილს კითხა: მე რომ თარა მოგეცი, გაქ თუ დახარჯეო. უმფროსმა შვილმა უთხრა: დაეხარჯეო.

მამამ შეიკითხა: რაში დახარჯეო? შვილმა უთხრა, რომე სასარგებლო არათელი მიყიდიავო. შემდეგ კითხა შუათანა შვილს. შუათანამაც იგივე პასუხი გაცა, რაც უფროსმა. შემდეგ კითხა უმცროს შვილს. უმცროსმა შვილმა უთხრა: თუთხმეტი მანეთი ვიხმარე და ვოცი მაქვსო.

მამამ კითხა: თუთხმეტი მანეთი ჰად იხმარეო? შვილმა უთხრა: ერთხელ მივდოდი მეხელულზე და დეგანხე, რომ ერთ კაც

ამდგომარეობა კტარი მიწიდან და ურტყმიდა. მე შემეცოდვა და უთხარი, რისთვის ურტყამ მეთქინ. მან მითხრა: ამ კაცზე მქონდა მიცემული თუთხმეტი მანეთი და სიცოცხლეში არ მომცა. ახლა ყველ-ლამეს ასე უნდა ურტყა, სანამ მე ცოცხალი ვიქნები და ჩემ სიკვდილამდი რტყმით უნდა მუახლდეიო ვალიო. მე შემეცოდვა, მივეცი თუთხმეტი მანეთი და უთხარი, რომ აწე არ გალახოვო.

მამამ უთხრა: კარგ ადგილზე მიგიცია შენ ფულიო, შენ გამოდგები კაცათ და დანარჩენი ფულით წადი და ივაჭრე, შენ არ წააგეფო.

ამ ბიჭმა მართლა წევდა სავაჭროთ. იყიდევდა სოფელში, წეაღებდა ზრუგით, ქალაქში გაყიდევდა. იყიდევდა ქალაქში, გაყიდევდა სოფელში. ასე მან ჩქარა იყიდა ერთი ცხენი, შემდეგ ვორი, მემრე სამი და ასე-გახთა ვორმოცი ცხენი. ამ კაცმა გახთა მავარი ვაჭარი.

ერთხელ იყიდა სოფელში საქონელი. აკიდა ვორმოც ცხენს და მიდის ქალაქში, მარა ერთი კაცისათვის ვორმოცი ცხენის წაყვანა ადვილი არ იყო. შეწუხთა, რა ქნას არ იცის. გეახედა მინდორში და დეახანა, ერთი კაცი ცულგადებული მოდის. მან დუძახა, კაცმა მოვდა. ამ ვაჭარმა უთხრა, რომ შენ რა გქვიაო?

— მე მქვია დელი ბალთაო (სულელი ცული), უთხრა კაცმა. ვაჭარმა უთხრა დელი ბალთას: იცი, მე რაზე დაგიძახეო?

— არაო.

— აბა გეტყვო. მე ეს ცხენები მიმყავს ქალაქში მარტოა. მე ვერ წევყვანე და თუ წამაყვანეფო. დელი ბალთამ უთხრა: წავაყვანიეფ იმ პირობით, რომ რაც საქონელი ვაქ, უნდა იყოს ნახევარი ჩემი. რასაც შევძენთ ახალს, ისიც ნახევარი ჩემი იქნება. შემდეგ მე რასაც ვავაკეთებ, არ უნდა მითხრა, რატომ აკეთებ, ან არ გაკეთოვო, თუ არა ამ ცულით თავს მოგჭრიო. ვაჭარს ცოტა არ იყოს, არ მდევონა, მარა მეტი გზა არ ქონდა და დათანხმდა. დელი ბალთა წევდა წინ და რაც რომ ცხენებია, ყველა მიზღევს მას. ქალაქში მისასლელი სამი გზა იყო: ერთი იყო შორე გზა, მარა იმ გზიდან არავითარი სიგლახე არ შეგემთხვევოდა, თავისუფლათ ჩეხვიდოდი ქალაქში. მხორე იყო ცოტა იმაზე ახლო, მარა შეაძლება ხიფათი მოგსლოდა გზაში. მესამე გზა იყო სულ ახლო, მარა გზაში ხიფათი არ აგცილდებოდა. აე ამბავი ყველა გზას აწერია. დელი ბალთამ წუძღვა და სულ ახლო გზით წევდა. ვაჭარმა უთხრა: ჰად მიხვალ, დევლუბებითო. დელი ბალთამ უთხრა: ხომ არ გინდა მოგჭრა თავიო? მე ხომ გითხარი, რომ ჩემ საქმეში ნუ გაერევიო. დელი ბალთამ გუძღვა გზას.

დაღამებამდი ერთი სწოთი იქნებოდა, რომ მიაღგენ ერთ სახლს. დელი ბალთამ შერეკა. ამ სახლის ეზოში, ცხენებს ჭვირთები ჩამოხსნა და გუშუა საძოვარზე. სახლში ვინმე არ იყო, სახლის ეზოში სარებზე კაცის თავები იყო ჩამოცმული, კარები იყო ღია. დელი ბალთამ უთხრა ვაჭარს, რომ შენ წადი იმ ოთახში და დეასვენე. მან გაჩერდა ეზოას კარებში ცელით. რომ დაღამდა, გეახედა, რომ თუთხმეტე შედარადებული ცხენოსანი მოღიან ამ სახლისაკენ. როცა მოვდენ კარებთან, დელი ბალთამ შეუყვირა და დეაწყო ჩხუბი. ყაჩაღებმა დუწყეს ჩხუბი, მარა დელი ბალთამ სულ თუთხმეტნივე მოკლა. ეს სახლიც ამ კაჩაღების იყო მეგემ. დილას წვედოდნენ საცაცვაათ და საღამოს მოვდოდენ.

რომ გათენდა მგორე დილა, დელი ბალთამ გნღვიდა ამხანაგი და უთხრა: აბა, მომყვი მეგო. დელი ბალთამ დარუნდა ყველა ოთახები, დეანახეს ოქრო-ვერცხლი, საქონელი სულ აბრეშუმის. ოქრო-ვერცხლი აკიდეს ერთ ცხენს.

აბრეშუმში აკიდეს ოთხ ცხენს. დანარჩენი კარგი, ძვირფასი საქონელიც აკიდეს ხუთ ცხენს და დანარჩენი საქონელი და ცხენები დატიეს. თვითონ შექდენ ცხენებზე. წეაყვანეს ათი ცხენი და წვედენ. ქალაქში რომ შევდენ, დეაწყეს ყიდვა, მარა დელი ბალთამ თქვა, რომ ეს საქონელი ერთად უნდა გაყვიდოთო. ვინც იყადის სულ წეილოსო. იმდენი ფული ვის ექნებოდა, რომ ეყიდა. ადვა დელი ბალთამ და მივდა ხელმწიფესან. უთხრა, რომ ამდენი საქონელი მაქვს და იყიდევო. ხელმწიფემ უთხრა: ვიყიდი, მარა მაგის დრო არ მაქვსო. — რატომ არ გაქ დროგო? — უთხრა დელი ბალთამ. ხელმწიფემ უთხრა: იმიტომ, რომეო ერთი ქალიშვილი მყავს, რომელიც ექვსი თვეა ავათ არის და მისი მორჩენა ვერ შეეძელიო. დელი ბალთამ უთხრა: მე მოვარჩენ, მარა თუ იმ გოგოს გოგვემ ჩვენო. თექ მოარჩინე და შენ ითხოვე ცოლათო — უთხრა ხელმწიფემ.

— არა, მე მარტო არ მინდაო, — უთხრა დელი ბალთამ, — მე ერთი ამხანაგი მყავს და ჩვენ ხელშეკრულება გვაქ, თუ რამეს შეეძენთ, იქნება საზიარო. ხოდა, თუ მე ამ გოგოს მუარჩენ, ეს გოგოც იქნება მე და იმ ამხანაგის საზიარო.

ხელმწიფეს რა უნდა ეთქვა? — მხოლოდ მოარჩინე და როგორც გინდა, ისე იყოსო.

მივდა დელი ბალთამ გოგოსან, შეხედა და მიხტა ყველამფერი: მეგემ ამ გოგოს ყავს მუცელში გველეშაპი, რომელიც გოგოს რომ დეეძინება, ამოძრება და შემდეგ ისეე ჩაძრება მუცელში და ასე ამწვალებს ხელმწიფის ქალიშვილს. აჲ გველეშაპი იმ დროს

ამოდრება, როცა ხალხი არ არი. დელი ბალთამ უთხრა ხალხს: ახლა გადი თ გარში და მე როცა გავებრახუნები, მაშინ შემოდით შითო. ხალხმა გვედენ გარში. თვითონ კუთხეში მიიმალა თავის ცულით. ცოტა ხნის შემდეგ გახედა, რომ უშველებელი გველე-შაპი ამოდრა და დარება ოთანში. ამ დროს დელი ბალთამ ესროლა ეს ცული და წელზე გაატანა. შემდეგ მივარდა მანაც და გველე-შაპი მოკლა. ხალხმა შემოცვინდენ და რომ დედანხეს გველეშაპი, გუკვირდენ. მორჩა ქალმა და დელი ბალთამ წყევანა. რაც საქონელი ქონდა, ხელმწიფეს მიყიდა. ფული აკიდა ორ ცხენს, რაც ქონდა და რაც ახლა შეიძინა. ამხანაგს უთხრა: ფული ბევრი გვაქ, რათ გვინდა ყველა ცხენები, რაც არ გვჭირია, ყველა გუშვათო. შეედენ ცხენებზე, გოგოც შეუდინეს და ის ორი ცხენიც, რომელსაც ფული ეკიდა, წყევანეს და წვედენ. დანარჩენი ცხენები გუშვეს.

მივდენ ერთ წყალზე და ჩამოვდენ. ცოტა ისაუბმეს და შემდეგ დელი ბალთამ უთხრა ამხანაგს: ახლა მე მივდივარ სხვაგან და ყველამფერი გავანაწილოთო.—გავანაწილოთო, უთხრა ამხანაგმა. დელი ბალთა ანაწილებს: ერთი ცხენი ტვირთი ფული შენ, ერთი მეგო. ახლა გავანაწილოთ ეს გოგო. ამხანაგმა უთხრა: გოგო რაფრათ განაწილდებაო! ან შენ წყევა ან მეო. დელი ბალთამ უთხრა: ჩემ საქმეში ნუ გავრევი, თქარემ ხომ გითხარი თავს მოგჭრიო. მე ამ გოგოს გავჭრი შუაზე და ნახევარი შენ წყელე და ნახევარი მეო. დელი ბალთამ უთხრა გოგოს: მოდი და დაწევი აგზე, უნდა გავჭრა შუაზეგო. გოგოს შდეშინდა, მარა ვერაფლის თქმა ვერ გაბედა და დაწვა. დელი ბალთამ მოდწიწა ცული და დუქნია. გოგომ შიშისაგან ერთი მაგრათ დეკვენესა და ამუაგლო ვორი კვერცხი. მაშინ დელი ბალთამ თქვა, რომ ეს კვერცხი არის გველე-შაპის და მე მინდოდა გოგოას ამ კვერცხიდან განთავისუფლება, რადგან რამდენიმე ხნის შემდეგ ეს კვერცხი გამოიჩეკებოდა და გუწინდებოდა კიდევ გველეშაპი მუცელში. მემრე ავით გახტებოდა და შენ ამას ვერ უშველიდი. ეხლა ეს გოგო თავისუფალია, ავით არ გახტება და შენი იყოს. ეს ფულიც შენი იყოს. ერთი სიტყვით, რაც მე მხტება ყველამფერი შენთვის მიჩუქებია. კტარს რომ მცემდა და შენ ფული მიეცი, ი კაცი მე ვარო და დეკარქა იქიდან. ამ ვაქარმა წყევანა ხელმწიფის გოგო და იმცხოვრა ტკპილათ.

31. ოქროსთმინანი და-ქმა

ერთმა ხემწიფემ ერ დღეს გამოაცხადა, რომ ამეზლამ ცეცხლი არვინ დანთოსო.

სალამოზე ხემწიფემ ყველა კუთხეს დაგზავნა მცველები, რომ ვინმემ განთოთ თუ არა ცეცხლიო. ერ სოფელში მივდენ მცველებმა. მარეს მარეს და ვინმეს არ გგენთო. ბოლოს მივდენ სამი დის სახში, რომ ცეცხლი უნთიან და ლაპარაკობენ. უფროსმა დამ თქტა: მე ერთ გირვანქა მატყლით ისეთ ხალიჩას მოვქსოვ, რომ თელმა ხელმწიფის ჯარმა რომ შედგეს ზეთ, დეტივა და კიდევ ზეთ იქნება ადგილიო. შუამ თქტა: მე ერთი კილო ხორციოთ იმდენ საჭმელს გავაკეთეფ, რომ თელ ხელმწიფის ჯარმა რომ ჰამოს, ეყოფაო. უმცროსმა თქტა: ნე რომ ხელმწიფემ მითხუოს ცოლაო. ორი შვილი მეყოლება ტყუპათ გოგო და ბიჭი, რომელსაც თმები და კბილები სულ ოქროას ექნებიანო.

მარე დღეს ხელმწიფემ კითხა, რომ ვინმეს გგენთო ცეცხლი თუ არაო? მაშინ მცველებმა უთხრეს, რომ ამამულ ადგილზე სამი და ცხოვრობს და იგინს გგენთენ ცეცხლიო. მიველით და დუსმინეთ. ისინი ლაპარაკობდენ, ჩვენ დაგვაიმტერესა და დუსმინეთ. უფროსმა თქტა ასე: მე ისეთ ხალიჩას მოვქსოვ ერთ გირვანქა მატყლიდან, რომ ხელმწიფის ჯარმა რომ დადგეს ზეთო, დეტივა და კიდევ ადგილი დარჩება ზეთო.

შუათანამ თქტა, რომ მეო ერთი გირვანქა ხორციოთ იმდენ საჭმელს გავაკეთეფ, რომ თელ ხელმწიფის ჯარს ეყოფაო.

უმცროსმა თქტა: მევო, ხელმწიფემ რომ მითხუოსო, ისეთი შვილები მეყოლება, კბილები ოქროასა ექნებიანო.

ხელმწიფე დაიმტერესდა, გელჩექ სამნივე დები ითხუა. ხელმწიფემ უთხრა უმფროს დას: აბა შენ მოქსუე ერთი გირვანქა მატყლიდან ხალიჩაო. უმფროსმა დამ უთხრა: მომიტანე იმფერი მატყლი, რომ ის იყოს სამი თვის კრავზე გაკნაჭილი. ე. ი. ერთ სამთვიან კრავს თუ გაკნაჭავ ერთ გირვანქა მატყლს, მეც მოვქსოვ იმ მატყლით ხალიჩასო. შემდეგ შუათანას უთხრა: შენ გაკეთე ერთი გირვანქა ხორციოთ იმდენი საჭმელი, რომ თელ ჩემ ჯარს ეყოსო. შუათანამ უთხრა: წადი და დაკალი მაკე ცხვარი, მხოლოდ იყოს სამი თვის მაკე. გამოიღე შიგნიდან კრავი და დაკალი. მემრე იმ კრავის ხორცი მომიტანე. თუ ერთ გირვანქას ეაწონის, მაშინ მეც გავაკეთებ ერთი გირვანქა ხორციოთ იმდენ საჭმელსო. შემდეგ ხელმწიფემ უთხრა უმცროს: შენ რაშ შობიო? უმცროსმა უთხრა: რომ ჩემი სიტყვა სიტყვა. ცხრა თვე რომ ათავდება, მაშინ დეანახავ სიმართლესო.

გვედა. ცხრა თვე. მოაწია ლოგინობის დრომაც. დიებმა წევდენ მარჩიელთან და უთხრეს, რომ ჩვენ ხელმწიფე მუატყვი-

ლეთ და თუ ჩვენმა დამ არ მუატყუა, ხელმწიფე ჩვენ დაგვბოცავს, გელჩეკ თუ ჩვენმა დამ მეყვანა ისეთი ბაღვები, რომლებსაც ოქროს თმა და კიბილები ექნებიან.

მარჩიელმა უთხრა: მომეცით თქვენ ორმოზდაათი ოქრო და ებე ქალათ მე წამიყვანეთო და დანარჩენი ჩემზე იყოსო. ამ ორმა დიდებმა მუტანეს ვორმოზდაათი ოქრო და დალოგინების დღესაც დუძახეს ი მარჩიელი. იმ კუდიანმა მარჩიელმა თან წყაყვანა ვორი ლეკვი. ქალს ეყოლა მართლა ოქროსთმიანა და კიბილებიანი გოგო და ბიჭი. ებემ ბაღვები მოპარა და ლოგინში ჩუსვა ლეკვები. ხელმწიფეს უთხრეს, რომ შენს ცოლს ეყოლა ლეკვები და ნუ გაჯავრდები, რადგან ახ ღმერთის საქმეაეო. ხელმწიფემ რომ აგი გეიგო, გადაწყვიტა, რომ ქალ მოვკლავ, მარა ებემ უთხრა: ცოლს ნუ მოკლავო. ახ ქალი ამოკირე წელამდინ, ვალმა ჯვარედინი გზა რომა, იქა და გუკეთე წარწერა, რომ ამ ქალმა ბაღვების მაგიერ ლეკვები დაყარა, ამისათვის გეძარს ვინმე და არ შეაფუთხებს, ისიც ისეთი გამხტარიყოსო.

ხელმწიფემ გელჩეკ ამტრათ გაკეთა და მას დღეში აძლედა ერთ გირვანქა პურს, რომ შიერი არ მომტარიყო. წყალს გამლეღამომლეღი მიაწტიდა, თუ მოთხოვდა.

ებემ ბაღვებს გუკეთა პატარა ყუთი. ქვეშ დუგო ბამბა და შიან ჩასვა ეს ბაღვები, ჩუდო პირში თითო კენჭი შაქარი, დაჭედა ეს ყუთი და ჩავდო მდინარეში. მდინარემ წედაღო. მდინარის პირზე ცხოვრობდა ერთი მოხუცი, რომელიც ირჩენდა თავს თევზებით. ერთხელ მოხუცმა გეახედა მდინარისაკენ და დეგნახა, რომ ერთი პატარა ყუთი მუაქ წყალს. მან მუამზადა ერთი გრძელი კავი, რომ ახლოს ჩამოარუნებდა მდინარე, კავით გამეგტანა გარში. მოხუცმა ახ ყუთი განოატანა და ერთი მიმოახედა იქით-აქეთ, ვინმემ დამინახა თუ არაო!

მოხუცს ეგონა, რომ ან ფული იქნება ან რამე ძვირფასი საქონელიო. შამოადო თხარზე და მრტანა ქობში, რომ გახსნა, დეგნახა ორი ბაღვი გოგო და ბიჭი, რომელსაც ოქროს თმები და კიბილები აქ. მოხუცმა ამოსვა და დწვიინა ერთ კარქ ადგილზე. ერთი სიტყვით, ახ ბაღვები მოხუცმა გამოზარდა. ბაღვებმა გახტენ თუთხმეტი წლის.

ერთხელ მოხუცმა თავისთვინ გამზადა საფლავი და ყოლიფერი, რაც საჭირო იყო კტარისათვის დამარხვის დროს, მოატანა და ბაღვებს უთხრა: მე მოეხუცდი ისე, რომ ბევრი დღე

აღარ დამჩნია, მე რომ მოვკტები, გაცხელეთ წყალი ისე, რომ ხელს არ დაგწვავდეს. ტანი დამბანეთ, მემრე ჩამაცვით აი მიტკლის ურუბა, ჩამდევით კუბოში, მემრე მიმიყვანეთ მეზერთან (საფლავი), ჩამდევით და მიმაყარეთ მიწა. თქვენ ჩემ შემდეგ საჭმელ-სასმელი გამოგელევიან და დარჩებით შეერი, მაშინ კარისთავზე, ამადაამ ადგილზე ვორი ბალანია, ეღეთ ი ბალნები. ერთი მხორეს წააკარეთ, იმ წუთში მტა თქვენთან ცხენი.

თქვენ მაშინვე ცხენს აკიღეთ ყველამფერი, რაც გაქვან და ცხენს უთხარით, რომ, სადაც ჩვენ კარგათ ცხოვრება შეგვიძლია, იქ მიგვიყვანეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ი მოხუცი გელჩქე მოკტა. ბაღებმა ისე გსვენეს, როგორც მოხუცმა დარიაგა. რამდენიმე თვეს დარჩენ ბაღებმა იმ ქოხში უპატრონოთ. გამიელიენ საჭმელი და რა ქნან არ იციან. ბოლოს ქალიშვილს განსენდა, რომ მოხუცმა გვასწავლა ცხენის ბალნებიო. მონახეს ბალნები, ერთი-მხორეს ჩაკრეს და ცხენი მოგდა გელჩქე. აკიღეს რაც თუ ხაბაკი ქონდენ და უთხარენ: წიგვიღე იმ ადგილზე, ჰადაც ჩვენ კარქათ ცხოვრება შეგვიძლიაო. ცხენმა წუძღვა წინ და მწყვანა იმფერ პატრა ადგილზე — მინდორზე, რამდენიც ახლო იყო ქალაქზე და ამავე დროს ახლო იყო ტყეზეც.

ბიჭმა გაკეთა იქა ქოხი.

მხორე დღეს დამ უთხრა ძმას: ძმავე, ერთი ჭვირთი შიშა წეღლე ქალაქში და გაყიდე. იმ ფარით იყიდე პური და მოაქთანე, თვარემ შიმშილით გაფწყდებითო.

ბიჭმა მართლა წეღლო შიშა, მარა არ იცის უფრო სა გეყიდება შიშა, ამიტომ დიდი მწვალემა გადახტა. ბოლოს ერთ თავარ ქუჩაზე გეგარა. იმ ქუჩაზე იყო ერთი სასადილო. ამ სასადილოში იქდა თურმე ხელმწიფე. ხელმწიფემ გეახედა ქუჩაში, რომ დეგანხა იმფერი ბაღვი, როგორც მის ცოლს უნდა ყოლოდა, ადგა და გეგდა გარეთ. ამ ბიჭს დუძახა, ერთი ოქრო აჩუქა და უთხრა, რომ მაი შიშა ამ სასადილოში მგეციო. ბიჭმა შიშა მიცა იმ სასადილოში, იყიდა იმ ფულით პური და წევდა სახლში. ხელმწიფემ რომ მივედა სახლში, თავის ცოლებთან თქვა, რომ დღეს ისეთი ბაღვი დეგინახევი, როგორც თქვენმა უმცროსმა დამ სთქვაო. ი ბაღვი ძალაან შემეყვარდა და, თუ დავახერხე, ჩემ სახლში მოყვანონაო.

მხორე დღეს დებმა გეაქცენ კუდიან დედაბერთან და უთხარეს, რომ ი ბაღვი, შენ რომ წყალში ჩაგდევთ, გუშინ ხელმწიფეს უნახია და რამენაირათ ი ბიჭინა დაკარკოვო. ებემ უთხრა, რომე

მომიტანეთ ასი ოქრო და იმ ბიჭს დავკარქავო. ამ დანებმა მესამე დღეს მუტანეს ასი ოქრო.

ბიჭმა მხორე დღეს კიდევნ წეალო შიშა. გზაში ხელმწიფე ფაათონით მიდიოდა და შეხტა ბიჭს. ორი ოქრო კიდევ აჩუქვა და წევდა, ცოტა რომ გეძარა ბაღვმა, შეხტა ერთი კაცდ, რომელიც ყიდევდა ერთ კარზინკას ერთ ოქროზე და ამბობდა: მყიდველიც ინანებს და არამყიდველიცო.

ბიჭმა თქვა, რომ მოდი ამ კარზინკას ვიყიდი და რაც უნდა, ის დამემართოსო. იყიდა, ჩევდა ქალაქში, შიშა გაყიდა, იყიდა პური, ჩადვა კარზინკაში და წამოვდა სახლში. სახლში რომ მოვდა, პური ამოაღო და კარზინკაჲ მხორე, პატარა საწოლ ოთახში დაკიდა.

ისადილეს. ბიჭმა კიდევ დეაგვენა. მემრე ადგა და მივდა კარზინკასან. თქვა, რომ რეაზანა ვინანო, ერთს ჩევხედავ შითო. ბიჭმა ჩამეალო კარზინკაჲ და ჩახედა, რომ შიგნიდან ერთი დაბალი კაცი გამოხტა, რომელსაც ორჯერ მეტი აქ წვერი თავის ტანის სიგრძეზე. ამ მოხუცმა გამოხტა გარეთ და გეაქცა. ბიჭმა დუძახა: ბიძია, სა გარბი, შენ მამა და მე შვილიო.

მაშინ მოხუცმა მოტრიალდა და უთხრა: შენ რომ მამი არ გეტქვა, რომ შენ მამა და მე შვილიო, მე წევდოდი, ახლა მე შენ დევგებარები ყველამფერშიო. ხვალ რომ ქალაქში ჩახვალ, რვა ფუთი თოკვი იყიდე, რომელ თოკვითაც გემებს აბმენო.

მხორე დღეს ბიჭმა წევდა ქალაქში. იყიდა რვა ფუთი თოკვი სხვილი და უკვირს, რომ იმ პატარა კაცმა ეს თოკვი რაფრათ უნდა მოიხმაროსო. დეაჭირა დროგი და თოკვი მოატანა სახლში. მოხუცმა გამოვდა სახლიდან გარეთ. მოკიდა თოკვს ხელი და ჩამეალო. მემრე მოკიდა ერთ წვერში ხელი და რომ გაძრია, სულ ბოლოში გაქანა.

აჲ თოკვი შემდეგ წეალო ტყეში, რაც ხაგებს შამუსტვა, შამუარტყა. მოსწია და დაგლიჯა. მიათრა მდინარესან. გაკეთა უცფათ ვებერთელა ტივი, დაქდინა ტივზე ეს ბიჭი და გატანა ქალაქში. ქალაქში ყიდევდა ბიჭი შიშას და ასე მდიდრდებოდა.

ერთხელ, როცა წევდენ მოხუცი და ბიჭი შიშის მოსაჭრელათ, კუდიანმა ებემ ჩაქდა დერაში, გამოცურა წყალი, მივდა ამ ბიჭის სახლში და გოგოს დუწყო ლაპარიკი. გოგოს უთხრა, მე რომ თქვენთვის ძალიან კარგი მინდა და იმიტომ გებნევი, თუ არა არ გეტყოდი არაფელს. თქვენ აქ ცხოვრობთ ძალიან ღარიბულათ. თქვენ რომ ის ბეჭედი ქონდეს, თქვენ ბედს ძალი არ დაყფს.

მართალია, შორს, მარა ძალიან ძვირფასია და მემრე თქვენს
საქმე წინ წავა. კუდიანმა ლაპარაკში ისე შდაყვარა, ი ბეჭედი,
რომ გოგომ ტირილი დეფწყო. კუდიანმა ებემ წვედა. ქალიშვილი
ტირის. ამ დროს მოვდა მოხუცი და კითხა: რატომ ტირიო?
გოგომ უთხრა: ამამუალ ადგილზე ერთი ბეჭედი ყოფილა და ის
მინდაო. მოხუცმა უთხრა: ნუ ტირი, ვინცხამ გითხრა მაგი, იმას
შენი სივლახე უნდა და იმიტომ გითხრა. იმ ბეჭედისათვის ბევრი
წვალობს, მარა ვინმემ ვერ შესძლო მისი მოტანა. მოხუცმა იმდენი
ქნა, რომ ქალიშვილი წწყურა, მარა გოგომ ბეჭედის, სიყვარული
ვერ ამოაღლო გულიდან. ბიჭიც მოვდა.

გოგომ უთხრა ძმას: იმავ, ამამუელ ადგილზე ერთი ბეჭედი
ყოფილა, ი თუარ მოვტანეთ, მე არ მინდა ცხოვრებაო. იმამ
უთხრა, რომ წვალ და მოვტანო. მოხუცმა ბევრი უშალა, მარა
ბიჭმა მანც არ დეშალა. მოხუცმა უთხრა: რადგან არ იშლი,
მე ვალდებული ვარ გასწავლო გზა.

მოხუცმა დაჯდა და დუწყო სწავლება: აქიდან რომ წახვალ,
ყოველთვის ძარე მარჯნით. მაშინ მიაღებები ერთ სახლს. სახლის
ეზოში ქალი სარეცხის რეცხვაში იქნება. შენ რომ მიხვალ, ჩუ-
მად მდებარე, ძუძუებზე ხელი შწვლე და უთხარი: შენ დედა და მე
შვილიო, თვარემ ცოცხალი ვერ გადურჩები.

უთხარი, რომ ბალორ შექერმა მოკითხვა შემოგითვალაო.
იქიდან რომ წახვალ, მიაღებები ერთ დიდ მდინარეს. დეფწათე და
რამდენიც გინდა ერთი იმდენი სვი. მდინარე ბინძურია, მარა შენ
თქვი: ოჰ! რა კაა წყალი ყოფილაო. მაშინ მდინარე მოქცემს გზას
და გვივლი. შემდეგ შეგბტება სურათები აქეთ-იქით. შენ არ შე-
ხედო იმ კაცის სურათებს, თვარემ მოგკლავენ, რომ არ შეხედავ,
გვივლი. მემრე შეგბტება ყოჩი და ვეფხი. ყოჩ აქ წინ ხორცი და-
დებული, ვეფხვს აქ თივა. შენ თივა ეაღე და ყოჩს დუყარე და
ხორცი ვეფხვს. მაშინ იგინი გაგიშვებენ. შემდეგ მიაწვიე იმ სახლს,
სადაც ბეჭედი, მარა იქაც ფრთხილათ უნდა იყო. კარებთან რომ
მიხვალ, პირველად კარებში არ შეხვიდე, კარები ყვირილს მო-
რთობენ. მაშინ მცველები გამოხტებიან, შენ დამალვა მოასწარი.
მცველებს რუმ არვინ დახტება, კარებს გალახვენ, შენ შემდეგ
მიხვალ, შაღებ კარებს და შეხვალ. კარები ხმას არ ეგაღებენ,
რადგან გალახეს. იქ ძინავს ერთ ლამაზ ქალს და მას აქ თითზე
ი ბეჭედი წამოცმული. ათის დათლაში ი ბეჭედი წამოაძრე და
გამოაქეცი. ეს ყველამფერი რაც გითხარ, ვინმეს არ უთხრა. აწე
მშვიდობით.

ბიჭმა წევდა და ძარა სულ მარჯვენე. შეხტა ერთი ხარი, მუხლამდი ბალახშია, გვერდზე წყალია, ძოვს და კიდევ ამბობს — რა მშვიავო! ბიჭმა კითხა, რომ რატომ ამბობ მშვიავო.

ხარმა უთხრა: მასე გამლელი ბევრი გვინახავს და გამომლელი არაო. თუ შენ გამოივლი, მაშინ გეტყვიო. გეძარა.

შემდეგ ნახა ერთი მსუქანი ხარი, უბალახო კორდზე დვას და ამბობს — რა მაძლარი ვარო. ბიჭმა ამასაც კითხა — რაშია საქმეო. ხარმა ისე უთხრა, როგორც პირველმა. გეძარა, შეხტა ერთი ქალი და კაცი, ერთ კრავეტზე წევან და ყვირიან: გწწორე, არა შენ გწწორეო.

ბიჭმა უთხრა: რაშია საქმე, რომ ამისისხო კრავეტზე წევხართ და ვერ ეტყვიითო? მაგინმა უთხრეს, რომ მასე გამლელი ბევრი გვინახავს და გამომლელი არავო. შენ ეხლა წადი და, თუ გამოიარ, მაშინ გეტყვით ყველამფერსო. ბიჭმა წევდა. შეხტა კიდევ ერთ ქალ და კაცს, რომლებიც თოხის ტარზე იწვენ და ერთი მეორენ უგნებოდენ: გამდეწურე, არ გადავარდე! არა, შენ გამდეწურე, არ გადავარდეო. ბიჭმა აგინს შეეკითხა: იქით შემხტა ქალი და კაცი კრავეტზე არ ეტევოდენ, აქ თქვენ თოხის ტარზე გამიეწურეთო უგნებით, თუ ძმა ხართ, მითხარით, რაშია საქმეო. კაცმა უთხრა: მასე გამლელი ბევრი გვინახავს და გამომლელი არვინ. შენ თუ გამოიარ, მაშინ გეტყვითო.

წევდა ბიჭმა და მიაღდა იმ ბინძურ მდინარეს. რღმელზეც გასლა უნდა მას. დიეწათა და რაზღუნიც მას უნდოდა, ერთი იმდენი ზედმეტი დალია. რომ ადგა ზეთ, წყალი არ მოწონდა, მარა მინც თქვა: ოჰ! რა გემოიანი ყოფილაო. მაშინ წყალმა გზა დუთმო. და ბიჭმა გეძარა. მემრე გზაზე შეხტა მას იქით-აქეთ ვლრი სურათი, რომელსაც ბიჭმა ზეთ არ შეხედა და გეძარა. მივდა იმ ადგილზე, სადაც დაბმული იყვნენ ვეფხვი და ყოჩი, ყოჩს წინ ეყარა ხორცი და ვეფხვს თივა. ბიჭმა შუცვალა: ყოჩს თივა დუყარა და ვეფხვს ხორცი, რაც მაგინს ძალძან გუხარდენ და ეს ბიჭი სიხარულით გუშეეს.

ბიჭმა მივდა სახლთან. შესავალი კარი ცალი ღია იყო, ცალი დახურული, ღია მოხურა და დახურული გნდო. მემრე შევდა. ათი წუთის განმავლობაში ქალს ბეჭედი წამოაძრო და მობრუნდა უკან. ამ დროს ქალს გამდეღვიძა და კარებს დუძახა: არ გუშვით ეს ბიჭიო. დახურულმა უთხრა, რომ მე დახურული ვიყავი, მომწყინდა ისე ყოფნა. ამ ბიჭმა კი მიხურა და ამას როგორ არ გუშვებო, მისთვის გზა დიმილოცნია, წევდესო. ღიამ უთხრა: მე

ყველთვინ მიხურული მომწყინდა და ამ ბიჭმა გამალო. მეც მისთვის გზა დიმილოცნია, წევდესო.

ბიჭი გარბის, ქალი მიზღვეს. ქალმა დუძახა ვეფხს, რომ, ვეფხო დეჰირე ეს ბიჭიო. ვეფხმა უთხრა: მე ჯერ ხორცი არ მიჭამია და მაჭამა ამ ბიჭმა და მაგას როგორ დევქერ, მისთვის გზა დიმილოცნიაგო. შემდეგ დუძახა ყოჩს. ყოჩო, არ გუშვია ეს ბიჭიო. ყოჩმა უთხრა: ჯერ ჩემთვის თივა არვის უქმეგია და მაგას როგორ არ გუშვებ, მისთვის გზა დიმილიცნიაგო. ბიჭი გარბის და ქალი მიზღვეს. მიაწიენ სურათებთან. ქალმა დუძახა სურათებს, რომ არ გუშვია ეს ბიჭიო. სურათებმა უთხრეს: ვინც აქ გეივლიდა, ყველა თვალეზში გვიმზერდა. ამ ბიჭმა კი ერთიც არ შემოგვხედა. ალბათ დიდი კაცია. გეძაროს, მაგას ხელს არ შუშლითო. მემრე მივდენ წყალთან და ქალმა წყალს დუძახა: — არ მიცე გზაო, მარა წყალმა უთხრა, რომ ვინც ჩემთან მოდიოდა და დამლედა, ამბობდენ: ფუ, რა გლახა წყალიაგო და ჩემ სიბინძურეს კიდევ უმატებდენ. ამ ბიჭმა, რომ დამლია, წამოძახა: ოჰ, რა გემრიელი წყალი ყოფილაო და იმაზე გზის მუცემელ როგორ ვიზამ, მისთვის გზა დიმილოცნიაგო. და მიცა გზა. ბიჭმა რომ გეძარა, ქალმაც შევარდა, მარა წყალმა მუსწრო და ქალი დარჩო. ბიჭმა გუდგა ნელნელა გზას.

გზაზე შეხტა მას ის ქალი და კაცი, რომელიც თოხის ტარზე იწვიენ. მაგინმა უთხრენ, რომ ჩვენ ახლა გეტყვითო. ჩვენ რომ ერთმანეები გვიყვარდა და კიდევ გვიყვარს, იმიტომ ვეტყვით თოხის ტარზეო. შემდეგ შეხტენ კრავეტზე რომ იწვიენ. იგინმა უთხრენ: იმიტომ ვამბობდით ჩვენ გეწურეო, რომ ერთქვანები გვძულდა და გვძულსო. შემდეგ შეხტა სუქან ხარს. ხარმა უთხრა, რომ ჩემიდან ჩემი პატრონი მადლიერი იყო და ახლაც მე იმიტომ კარქათ ვარო. შემდეგ შეხტა ხმელ ხარს. ხმელმა ხარმა უთხრა, რომ მე ჩემი პატრონის მუხანათი ვიყავი და ახლა, რაც კარქა ვჭამო, მაძნც შეიერი ვარო.

იქიდან ბიჭმა მივდა ვორმოცი ძმა დიეების სახლში. ეს ბიჭი ამ დიეების სახლში დარჩა შვიდ დღეს და მისი ბეჭედი ხელში ეჭირა დიეების უფროს ძმას და ხელში ათამაშებდა. მარა მნიშნელობა არავითარი არაფერე არ იცოდა. მეშვიდე დღეს დილას გარეთ გეახედენ, რომ მათი სახლის მახლობლათ ერთი დიდი სახლია აშენებული, დიეებს ძალდან გუხარდენ და სიხარულით გადევდენ ახლად აშენებულ სახლში, სადაც თითოს მუწია სამსამი ოთახი. შემდეგ ბიჭმა ართვა თავის ბეჭედი და წამოგდა სა-

ხლში. როცხა შინ მივდა, ბალორშექერი სახლში დახტა და ძა-
ღან გუხარდა.

ბალორშექერმა ართვა ბეჭედი, დუწყო ლოცვა და იმ ღამის-
განმავლობაში ისეთი სულ ოქროას სახლი აშენა, რომ თელ სა-
ხელმწიფოს იყიდდა მისი ფასი, დილაზე, რომ მზემ ამოვდა და
ოქროას სახლს მანათა სხივები, ოქროას სახლიდან ხელმწიფის
სახლზე შანათა, ხელმწიფეს გუკვირდა და ყავაზები გავზანა, თუ
რა ანათებს ჩემ სახლს, გამიგეთო. ყავაზებმა გეგეს, რომ ოქროას-
სახლზე ანათებდა მზე და მისი შოპნე ხდებოდა ხელმწიფის სახლს.
მივდენ და ხელმწიფეს მუახსენეს, რომ ოქროსთმიან ბაღებს უშე-
ნებიან ოქროას ისეთი სახლი, რომ ჩვენ სახელმწიფოს იყიდის
და როცხა მზე ამოდიოდა და ანათებდა იმ სახლს, მისი შოპნე
ანათებს ამ ჩვენ სახლსო. მაშინ ხელმწიფემ თქტა: რაცნდა დამი-
ედეს, ი ბაღებიინდა მეყყვანოვო.

ეს რომ ქალებმა გეგეს, მაშინათვე გეგქცენ კუდიან ებესან
და უთხრეს: ი ბაღები რამეფრათ მოგვაშორე. ახლა იმფერი
სახლი უგიან, რომ თელ სახელმწიფოს იყიდისო. მეგემ მეფეს ძაღან
მოეწონა და თქვა, რომ რაცნა დიმიედეს ი ბაღებიინა მეყყვა-
ნოვო და მის მოყვანამდი ი ბაღები მოგვაშორე, თორემ ჩვენი
საქმე ცუდათ წევდა. ფული და საჩუქვარი შემდეგ ჩვენზე
იყოსო.

კუდიანმა ებემ უთხრა, რომ მე იმფერ ადგილზე გავავზანე,
რომ იქ წამსვლედი ცოცხალი არ დაბრუნებულა და იმან თუ იქი-
დან ცოცხალი მოვდა, ელბეთ ბეჭედიც მოიტანა, რომ იმფერი
სახლი გავკეთა. ახლა მე ჰად გავავზანო, რომ ი დავლუმპო. იმაზე
ძნელი არა მაქ სადმე გასავზანო.

ქალებმა უთხრეს, რომ შენ გავზანე და შემძლება ვერ შა-
სრულოს და დეაღუბოსო. კუდიანმა უთხრა; კარგი, მე ვეცდე-
ბი, მარა ვორმოზდაათი წითელი ოქრო ხვალ დილას მომი-
ტანეთო.

მორე დღეს დილას ქალებმა მუტანეს ვორმოზდაათი ოქრო-
კუდიანმა წევდა იმ ბიჭის სახლში. თან წეაღო დერგი, რომ მდი-
ნარზე მივლოდა, ამ დერგში ჩაედებოდა და გევლოდა გაღმაში.
მივდა მდინარეზე, ჩაედა დერგში და გევდა გაღმაში. შემდეგ
მივდა ოქროას სახლში. სახლში დახტა მარტო ოქროას თმიანი
გოგო.

დუწყო ქალიშვილს ლაპარაკი: მე ხომ შენთვის გასწავლე.
ყველამფერი. გითხარი — ბეჭედი მოატანეთ და გამდიდრდებით
მეთქინ და ხომ მართლა მოატანეთ, ამფერი სახლი აშენეთ. მე,

გოგოვ, რასაც გეტყვი, თქვენთვის ვჩივი იმიტომ, რომ მებრალე-
ბით, უღედმამო ხართ. ახლა ასეთ სახლს მწებება იმფერი არლა-
ნი, რომ თავისთავათ უკრავს. სწორედ ასეთი არლანი ამა-
მუალ ადგილზე აქ ერ ქალს და ი არლანიც მუატანიე შენ
ძმასაო.

კუდიანმა ებემ წევდა, მარა ისე შეაყვარა ამ ქალიშვილს ი
არლანი, რომ ქალიშვილი ატირა. ბალორშექერმა რომ მოვდა,
ტირალე დახტა, კითხა: რა დაგემართაო. გოგომ უთხრა: — ამა-
მუალ ადგილზე არლანი ყოფილა და თუ არ მეეტანეთ, მე დერ-
დით მოვკტებოო. ბალორშექერმა უთხრა: მაგას შენ ვინ გე-
ბნევა, შენი ძმის და შენი სიგლახე უნდა და ამიტომ გებნევაო.
მოხუცმა იმდენი ქნა, რომ ქალიშვილი წაყურა, მარა ქალიშვილს
არლანი მაინც არ ამიწყდებოდა.

ძმა რომ მოვდა, დამ მაშინათვე უთხრა ძმას არლნის ამბავი.
ძმამ უთხრა: ხვალვე წავალო. მოხუცმა ბევრი უშალა, მარა ძმამ
არ დეაშალა და სთქვა: რაც არ უნდა დამიჟდეს, ის არლანიდა
მეეტანოვო. მაშინ მოხუცმა უთხრა, რომ რადგან მიდიხარ, მე
მევალება გზა გასწავლოვო.

შენ რომ წახვალ აქიდან, სულ დარე მარცხნი ტერეფზე.
ჯაში დივები არ შეგბდება და სხვა, რაც შეგბტა ბეტდის მოსატანათ,
ყველაი შეგბტება და როგორც მოიქეცი მაშინ, ისე მოაქეცი
ახლაც და ისე მიაწევ სახლთან. შენ რომ მიხვალ სახლთან, ი
ქალი, რომელსაც არლანი აქ, ნაორე კუთხეს ქათმებზე დასაყარათ
იქნება, გადასული. მაშინ შენ შევარდი, კედელზე კიდი არლანი,
ჩამოაღე გადეჯიდე და გამოაქეცი.

ბიჭმა წევდა და დარა სულ მარცხნი ტერეფზე. მიაწია წყალ-
თან. წყალი დალია და თქვა: რა კარგი წყალი ყოფილიაო. მაშინ
წყალმა გზა მიცა. ბიჭმა გეარა და მიდის, სურათებთან რომ
მივდა, სურათებს ჰერ არ შეხედა, ისე გეარა, მივდა ყოჩთან
და ვეფხთან. მაგინს საჭმელი შუტკვალა და გეარა მივდა კალოზე.
ე. ი. ეზოში. სახლის ბატონი მხორე კუთხეში ქათმებს უბნობდა.
ამ დროს ბიჭმა შევარდა ოთახში, ჩამოაღო არლანი, გადეჯიდა
და გამოაქცა. ქალმა დეანახა, რომ არლანი მოპარა და გარბის.
გამეხსრივა მას დასაჭირავათ და ვეფხს დუძახა: ვეფხო, დე-
ჭირე მად ბიჭი, არლანი მიაქო. ვეფხმა უთხრა, რომ ამ ბიჭმა
იმფერი საჭმელი მაჭამა, რომ ჯერ არ მიჭამია ასეთი საჭმელი.
მაგას როგორ ვაწყენილეთ. გეაროს, მისთვის გზა დამილოცნია-
ვო. შემდეგ მიმართა ყოჩს, მარა ყოჩმაც იგი უთხრა, რაც
ვეფხვმა. ბიჭი გარბის და ქალიც მიდევს. ამ დროს მიაწიენ სუ-

რათებთან. ქალმა მიმართა სურათებს, რომ არ გუშვათ, დეჰქი-რეთო. სურათებმა უთხრეს: მაგას არ დევეჭირავთ, რადგან მაგას ჩვენთვის ზედაც არ შემუხედნია. ალბათ დიდი კაცია, რომ არც იკადრა ჩვენზე შემოხედვა და მაგას ჩვენ როგორ დევეჭერთო. ცოტა ირბინეს, თუ ბევრი ირბინეს, მიაღწიენ წყალთან. ქალი დუძახებს წყალს: არ გუშვია, წყალო, მარა წყალმა მიცა გზა-სთქვა: ჩემთან ვინც მოდიოდა და მსმიდა, ამბობდა: რა ცუდი წყალი ყოფილაო. ამ ბიჭმა კი სთქვა, რომ რა კარგი წყალი ყოფილაო და მაზე გზის მუცემელ როგორ ვიზამო.

ბიჭმა გეგარა და ქალმაც შევარდა გასავლელათ, მარა წყალ-მა არ დეცალა და ქალი დეახრჩო.

ბიჭმა ეს ამბავი რომ დეგანახა, ერთი კარკათ დეგსვენა და მემრე ნელ-ნელა გუდგა გზას სახლისაკენ. სახლში რომ მივდა, თავის დას ძალმან გუხარდა, რომ ძმამ არლანი მუტანა, მემრე დღეს, დილას არლნი ტკბილი ხმამ ხელმწიფის სახლამდი მიაწია. ხელმწიფეს ძალმან მემწონა ეს ხმა და კაცი გავგზანა, რომ წადით და გამიგეთ, ვის სახლშია ი არლანიო. კაცმა წევდა და გეგგო, რომ ეს არლანი თავისთავად უკრავს თანჯარასან იმ ოქროს სახლში. ხელმწიფემ თქვა კიდევ: რაც არ უნდა დამიჟღეს, ი ბა-ღეებინდა მევეყანოვო.

მხორე დღეს ხელმწიფის ორმა ცოლმა გეგქცენ იმ კუდიან-ებესან და უთხრეს: ი ბიჭი კიდევ სახლშია. რამდენი ფულიც გინდა წედღე, მხოლოდ ბიჭი რამენაირათ დაღუმპეო. ებემ თქვა, რომ მე იმ ბიჭს ძნელი საქმე დავავალე და შასრულა, აწე მე ისეთი საქმე არ მაქ გასაკეთებელი, რომ იმან ვერ გააკეთოსო. დებმა უთხრენ, რომ შენ დავალე და ბელქი ვერ გავკეთოსო. ებემ ფული მწლო რამდენიც უნდოდა და მხორე დღეს წევდა დავა-ლებული საქმის შესასრულებლად.

ებემ რომ მივდა სახლში, დახტა მარტო ქალიშვილი, ქალი-შვილს დუწყო ლაპარაკი: შვილოვო, ხომ იცი მე რაც გითხარ, თქვენთვის სასარგებლო გითხარ. სახლი ჩემი საშუალებით გავკე-თეთ. და ეს არლანიც მე გასწავლე, რომელი არლანიც თქვენს საალს აშვენებს, მარა ახლა ერთი თუთიყუში აკლია. თუთიყუშიც რომ იყოს არლანის თავზე და მისებურათ ლაპარაკ დეგწყებდეს, თქვენი ცხოვრება იქნება შემდეგ სმური, ქალიშვილს იმდენი ელაპარაკა, რომ სულით და გულით დარწმუნა და ასწავლა, თუ ი თუთიყუში ჰად იყო და უთხრა: ხვალვე გავგზავნე შენი ძმა და ი თუთიყუში მუყყანითო და წევდა.

როდესაც ძმამ მოვდა, დამ უთხრა: ამამუალ ადგილზე ყოფილა თუთიყუში და ის თუ არ მოგყვანეთ, ჩვენი ცხოვრება კაპე-აკათ არ ვარგაო. ძმამ გადაწყვიტა წასლა. ამ დროზე ბალორშე-ქირიც მოვდა. ბიჭს კითხა: ჰად მიდინხარო? ბიჭმა უთხრა, რომ ამამუალ ადგილზე თუთიყუში ყოფილა და მოგყვანონაო. ბალო-შექერმა უთხრა: ნუ წახვალ, თუარა დეაღუმებბიო, მარა ბიჭმა მაანც არ დეაშალა, მაშინ ბალოშექერმა უთხრა: რადგან არ იშლი და მიხვალ, მე მოვალე ვარ, რომ გასწავლო ყველამფერი. მოცაჲ ცოტაო.

ბალორშექერმა გათალა სამი კომბალი, გამოაყვანა ცხენი, შუქლუმლა ბიჭი. მიცა სამი კომბალი და უთხრა: სამ თვეზე მიხვალ იმ ადგილზე, ჰადაც ი თუთიყუში არისო. თუთიყუში ზის ერთ მისირის ხუმბრაზე. შენ რომ მიხვალ, დეანახავ ბევრ ხალხს, რომლებიც გაქვავებული არიანო. შენ რომ მიხვალ იმ ადგილზე, საიდანაც კომბალინა ესროლო, გაჩერდი, დეასვენე და ერთი კომბალი ესროლე. თუ ვერ დეტანე თუთიყუშს, მუხლამდი ამოიკირვი. მემრე ესროლე მორე. მეორეც თუ ვერ დეტანე, წელამდი ამოიკირვი, მესამეს ესრი და ისიც თუ ვერ დეტანე, სულ გაქვავედებო და ბიჭმა წვედა.

სამ თვეს ძარა ცხენით და მივდა იმ ადგილზე, სადაც თუთიყუში იყო. სასროლ მენძილზე გაჩერდა და ესროლა კომბალი, მარა ვერ დეტანა. მუხლამდი ამოაკირა, მორე ესროლა, ვერც მორე მუახვედრა. წელამდი ამოაკირა. ესროლა მესამეც. ვერც მესამე მუატანა და გაქვავედა. ბალოშექერი თლის თვეებს. გამოთლილი აქვს მისლა და მოსლა ექსი თვე. ექვს თვეზე თუ არ მოვდა, მაშინ მიხტება, რომ თუთიყუშს ვერ დეტანა და გაქვავედაო. ბიჭმა რომ წვედა, მას მემრე გევედა ექსი თვე და ეს ბიჭი არ მოვდა. გამოვდა კიდევ თუთხმეტი დღე. ბალორშექერმა დარწმუნდა, რომ ბიჭი ცოცხალი აღარ, იყო. ამისათვის დაიწყო მზადება წასასლელათ. გათალა სამი კომბალი და გოგოს დუძახა: ცოცხი მოატანე და მოა ჩემთანო. გოგომ მუტანა ცოცხი და მივდა. ბალორშექერმა ცოცხი ართვა, რაცხა ჩუკითხა. გოგოს დარტყა ცოცხი და გოგოც გადაქცია ცოცხათ. ეს ორი ცოცხი თაროზე შემოდვა და გამოვდა გარეთ. დაუკილტა კარები და გუდგა გზას.

ბალორშექერმა ერ თვეში მიაწია იმ ადგილს, სადაც თუთიყუში იყო. მოამარჯვა კომბალი და ესროლა თუთიყუშს. ვერ მორტყა, მუხლამდი ამოაკირა. ესროლა მეორე, ისიც ვერ მორტყა. ესროლა მესამე და მუარტყა. ამ დროს ყველა ამოციმენტებულა

კაცები გაცოცხლდნენ და დეაწყენ ჩხუბი. არა მე მუარტყი და არა მეგო. ბალოშექერმა მოაქრია ჭკუა, დნტანა ხელი თუთიყუს, მიაღდა თავის ნაშვილებს, შეედენ ცხენებზე და მუსვენ. სახლში რომ მოვდენ, ცოცხი გადნქცია გოგოთ და ბალოშექერმა უთხრა ბიქს, რომ შენ უცილებლათ ხელმწიფე დაგპატიეავს და მის დაპაიჯებაპდი, შენ დაპააჯე თავის ჯარითო. ბიქმა გელჩექ დაპაიჯა ხელმწიფე თავის ჯარით, ხელმწიფემ ესტუმრა სამი ათასი კაციოთ და ხელმწიფეს უკვირს, რომ ცეცხლი არ ანთია, რანა გვაჭამონო. მარა, როცა სტოლები გემპართა, ისეთი თბილი საქმელები მოვდა, რომ მეფეს არც ენახა. მეფეს ძალიან გუჟკვირდა. ყველა კაც მიცეს თავისთაველა ოქროჟს კოვზები. მეფეს ისე მგეწონა კოვზები, რომ ერთი დასტა კოვზების მოპარვა მეგნდომა, მარა მისმა თანაშემწემ უთხრა: შენ ხელმწიფე ხარ და არ შეგშენის, სირცხვილია და არ მოაპაროვო.

ეს ბალოშექერმა მოაწყო ყვლაფერი, შამინია, თავის ნაშვილებს უთხრა: მუტანე ვორი-სამი დესტე კოვზები და ხელმწიფეს აჩუქეო. მართლაც ბიქმა მუტანა სამი დესტე კოვზი და აჩუქვა ხელმწიფეს. ხელმწიფეს ძალგან გგეხარდა და მაღლობაც გადუხადა. შემდეგ იქედეს კაჟ სასმელებით და საღამოზე ნასიამოვნევი მეფე თავის ჯარით დაბრუნდა სახლში.

მგორე დღეს მეფემ დაპატიჯა თავის სახლში ეს ბიქი. მაშინ ბალოშექერმა უთხრა: შენ რომ მიხვალ კალოზე, მოსამსახურები ცხენს აგართმევენ და გეტყვიან: შენ ცხენს რა დუყაროთო. მაშინ შენ უთხარი, რომ ჩემ ცხენს დუყარე ნალ-მუხიო. ისინი გეტყვიან: ნალ-მუხი როგორ დეყრებო! მაშინ შენ მაგარი სილლე გნრტყი. ისინი მეფესან გიჩივლებენ. მეფე დაგიბარებს, რომ მიხვალ მეფესან, მეფე გეტყვის: რატომ გიმილახე მოსამსახურეო? მსახური ეტყვის — იმიტომ, რომ მე ვკითხე — შენ ცხენს რა დუყაროვო. მან მითხრა — ნალ-მუხიო. მე უთხარი: ნალ-მუხი როგორ დეყრებავო და ამისათეინ მან სილლე გამარტყაო. მაშინ მეფე გეტყვის: ნალ-მუხი როგორ დეყრებო? მაშინ შენ უთხარი: შენ ის დეაჯერე, რომ ქალმა ლეკვები დაყარაო და ნალ-მუხის დაყრას არ ჯერობო! და ერთი სილლეც მასაც გაარტყიო.

ბიქმა რომ მივდა, მსახურმა ნრთვა ცხენი და უთხრა: შენ ცხენს რა დუყაროთო. — ჩემ ცხენს დუყარეთ ნალ-მუხიო, უთხრა ბიქმა. ნალ-მუხი როგორ შეაძლებავო! — უთხრა მოსამსახურემ. ბიქმა — რატომ მითხარ მასეო და სილლე გნრტყა. მსახურმა მეფესან გუჟსაჩივრა, რომ სტუმარმა გამლახაო. მეფემ დეაბარა სტუმარი და კითხა: რატომ გიმილახე მოსამსახურეო.

— თვითონ მას კითხეო, უთხრა.

ხელმწიფემ კითხა მოსამსახურეს: რატომ გაგლახაო. მოსამსახურემ უთხრა: მე ვკითხე შენ ცხენს რა დუყაროვო და მან მითხრა ნალ-მუხიო, ნალ-მუხი როგორ დეაყრებო, — უთხარი და ამისათვის გამლახაო. ხელმწიფემ მუბრუნდა და უთხრა ბიჭს: ნალ-მუხი როგორ დეაყრება ცხენზეო.

ბიჭმა უთხრა: შენ ცოლმა ლეკვები დაყარა, ი დეაჯერე და ცხენზე ნალ-მუხის დაყრას არ ჯერობო და ერთი სილღე ხელმწიფესაც გაართყა.

ხელმწიფე მიხტა თავის დანაშაულობა, მარა რაღა დრომს. ხელმწიფეს ჯარმა შუჯანყდა ამ მიზეზის გამო და ხელმწიფე მოკლეს. ხელმწიფეთ გეაყვანეს ეს ბიჭი. დედამისი კიდევ შეიდჯვარედინ გზაზე იყო. გზგზანა იქანაჲ ქაცვები და მოაყვანია. თავის დედინაცვლებისათვის დამშია ოთხი ცხენი.

ოთხ ცხენსაც მარილი აჭამა და წყალი არ ასვა.

შემდეგ ერთ კუთხეს თივა დაყარა და ერთ კუთხეს წყალი დადგა ვედრებით. გეაყვანა და გზაზეა ცხენები მოპირდაპირეთ, ისე რომ შიერი ცხენის თავები თივისკენ და მარილნაჭამი წყლისკენ. მიყვანეს ეს ქალები და ცალი ფეხი მზაბეს მშიერ ცხენებს, ცალი მარილ ნაჭამს. ასე გამშაბეს ვორვე დები ცხენებს და შტაზე გწყყედის. შემდეგ ბალორშექერმა გამოხტა და გეიქცა. ბიჭმა დუძახა: ჰად გარბიო? ბალორშექერმა უთხრა: აწე მე წავალ, შენ ჩემი თავი არ დაგჭირდებავო, მარა ახალმა ხელმწიფემ და არ გწუშვა და უთხრა: არა, მე შენ არ გაგიშვებ, რადგან შენ მე ბევრი დახმარება გამიწიე, — შენ ჩემი მამა ხარ და დედაჩემიც უნდა მოქცე ცოლათ და ჩემთან იცხოვრეო. მართლაც დედამისი მიცა ბალორშექერს ცოლად და შემდეგ იმცხოვრეს ტკბილათ.

32. მამა და შვილი

ერთ დედ-მამას ერთი შვილი ყოლია. ეს ვაჟი რომ თუთხმეტი წლის გახტა, მამამ უთხრა, რომ შენ ქაცი არ გახტები, არაფელში არ გამოდგებიო. ასე უთხრა მამამ შვილს ერჯერ, ორჯერ და ბოლოს ათჯერაც.

მამშინ ამ შვილმა რა ქნას, იძულებული გახტა ამ ადგილიდან გასულიყო და გევდა ამ სახლიდან შვილი. გევდა და წევდა. გადევდა ამ ბიჭმა სხვა სახემწიფოში. ერთ ქალაქში მივდა და

ბევრი ისწავლა. ამ სწავლაში ათი-თორმეტი წელწადიც გევდა. სწავლა დამთავრა და ამან გახტა ხემწიფე.

მამამ კი სულ არ იცოდა, იგი შვილი სწავლობდა თუ რას იზამებდა. ის ხომ სახლიდან წვედა, მას მემრე დედ-მამისთვის წერილი არ მუწერია და მაგინს შვილისაგან წერილი არ მშლია.

ახლა ამ ბიჭმა ხემწიფე გახტა დი მამამისი, რაც შეაძლებოდა, ძლიერ ღარიბათ ცხოვრობდა. ღარიბ ოჯახში იყო. ამ ბიჭმა შეთვალა. მიცა ცნობა ამა და ამ სოფელში, — ბრძანება გნგზანა, რომ ესა და ეს კაცი დეაჭირეთ მომიყვანეთო, — ემ ამ მამამისიზა მიცა ცნობა.

მართლაც დეაჭირენ ეს კაცი და მიყავენ დაგლეჯილი ურუბით. ჰად მიყავენ არ იცის, არც ის იცის, რომ იქ, იმ სახემწიფოში, მისი შვილი ხემწიფეა. მხოლოთ ის იცის, რომ მიყავენ ხემწიფის წინაშე. წუღვინენ ხემწიფეს ეს კაცი.

შეგეთხა ხემწიფემ, რომენ შენ შვილი გყავს თუ არაო.

— კი მყავდა შვილიო, უპასუხა ბერმა.

— სადნ შენი შვილი, თუ იციო!

— ჩეი შვილი რამოდენიმე წელიწადია, სახლიდან გევდა, წვედა და მემრე აღარ დაბრუნებულა, ისე დეაქარქაო. მას შემდეგ მისი წერილი არ მიმიღია და მის მერაყში ჯავრით ძლიერ დავ-გლახდით მეცა და ჩემი ცოლიცო.

შვილმა კი იცნა მამა, მაგრამ მამამ ვერ იცნა შვილი.

— რამდენი წელწადია მას შემდეგო? — უთხრა ხემწიფემ.

— მას შემდეგ ათი-თუთხმეტი წელიწადი გევიდა, რაც ჩემი შვილი სახლიდან წასულიავო, — უთხრა ბერმა.

მაშვინ უთხრა ხემწიფემ, რომენ შენ შვილს ეუბნებოდი, რომ კაცი ვერ გახტებო, ახლა ხომ გახტო კაცი, ის შენი შვილი მე ვარო. მამას გუხარდა შვილის ნახვა, გულზე მოვდა და უთხრა შვილს, რომენ ეს კარქიავო, მაგრამ ერთი უნდა გითხრა, შვილო, და არ გეწყინოსო. სწავლა კი მიგიღია, შვილო, მაგრამ ზრდილობა ვერ გისწავლიავო.

— რატომო? — უთხრა შვილმა.

იბიტომ, რომ შენ ჩემი თავი ასე დაჭირული კი არ უნდა მოგეყვანა, არამედ სხვაფრათ უნდა მოქცეულიყავი. შენ ჩემთვის უნდა კარქი ტანისამოსი გამოგეგზავნა და ჩეგეცმია უნდა. კარქი კაცი უნდა გამოგეგზავნა ჩემთვის, ჩემი მიმკითხავი ელჩე, რომელიც შენს ამბავს წინასწარ გამაგებებდა და ისე უნდა მოგეკითხე

და მოგეყვანევო. ამიტომ შენიშვნას გაძლევ, რომ ვერ მიგიღია ზრდილობაო.

შვილმა მამას დიდი ბოდნიში მჭახადა და შემდეგ კარგი პატივი ცა. მიხტა მის დანაშაულობას.

33. მოხერხებული ბიჭი

ყოფილა ძველ დროში ერთი დედა და შვილი. ესენი მეტად ღარიბი ყოფილა მეგემ, ფუხარა. შვილმა უთხრა დედას: ჩვენ მეტი ღარიბი ვართ, წევდეთ აქედან ჰაცხა სხვა ადგილზე, რომ ცოტა რამე ვიშოვნოთ და შეძლებული გავხტეთო. შვილმა წყევანა დედა და წევდა.

მარენ, მარენ და მივდენ ერთ ადგილ და ნახენ ერთი სახლი. იმ სახში გაჩერდენ, დადგენ, მარა ამ სახლს პატრონი არ ყავს. შვილმა მეგრემ შევდა სახლში, გწლო და დოლაბი ნახა, ამ დოლაბში თასი. თასი ისეთია, რომ წყალს ჩნსხამ შიან, წყალი ოქროთ გადვიტყევა. იმ ბიჭიშვილმა უთხრა დედას, რომ მენდა წევდე ამ სახლიდან ფარის მოსაგებლათო. დედა დატია სახში, თასი თვითონ ბიჭმა წყალო და წევდა სხვა სახემწიფოში. დადგა მოჯამაგირეთ ერთ მეფურნესან, ეშვილა.

უთხრა მეფურნემ ამ ბიჭს, რუმე ჩემ უნებართვით თუ შენ ჰადმე წახვალ, მემრე მე შენ სახში არ მიგიღეფ და სახლიდან გაგიშვეფო. დწთანხამ ამ ბიჭმა და გაჩერდა მეფურნესან, სადაც ეს ბიჭი იმყოფებოდა ეს იყო ქალაქი, ამ სახელმწიფოს დიდი ქალაქი. ამ ბიჭმა გუხედა ერთ დღეს, რომ ხალხი მიდის ხელმწიფის სახლისაკენ კარგი ჩაცმული და გამოდინ სახლიდან ტიტველი. ბიჭმა შეეკითხა იქ ერ კაცს, რომ რატომ არის ხალხი ასე კარგი ჩაცმული მიდიან და შემდეგ უკან ტიტველი ბრუნდებიანო. უთხრეს ამ ბიჭს პასუხი, რომ ხემწიფეს ყავს ერთი გოგო. ძლიერ ლამაზი. ეს ბიჭები იქ სანახავათ მიდიან, როცა აკოშკიდან ი გოგო გადმოახედავს, ის ისეთი ლამაზი და კარგია, რომ მისი შეხედვით, მის დანახვაზე იბნიდვიან, ვარდებიან ძირსო. შემდეგ გამოდინ ხემწიფის მოსამსახურაგები, ხემწიფის მოურავები, დაბნედილებს ტანისამოსს ხდიან და როცა ესენი გონს მოვლენ, მაშინ ტანისამოსი უკვე აღარ აცვიან და ისე ტიტველი ბრუნდებიან სახლშიო.

ახლა ეს ბიჭი დაინტერესთება და იტყვის, რომ განა კაცი გოგოს დანახვით დეგბნიდვისო!

არა შჯერა ეს და თვითონაც წაყვება ვინცხას და წავა
გოგოას სანახავათ, თასიც თან მიაქვს. როცა ესენი ახლოს
მივლენ, გამოახედავს ეს გოგო და ესენიც დეაზნიდვიან- ეს ბიჭიც
დეაზნიდვის. მაშინ ჩამტა ძირში მოსამსახურაები, ვართმევენ თას-
საც და ურუბასაც გახტიან. გეაღვიძებს ეს ბიჭი, ტიტველია.
ვეფერს ვერ ნახავს, წავა სახში. დარჩება ცოტა ხანს ფურუნჯთან
და მემრე ეტყვის, რომ მომეცი ნება დედასან წევდე. ვნახავ ჩემ
დედას და ჩამტალო. გუშვებს ფურუნჯი დედასან ბიჭს.

ბიჭი წავა და მივა დედასან. ის მიჩვეულია დოლაბში. გვ-
ლებს დოლაბს. იქ თასი გონია კიდევ. იქ ნახავს ქუდს და თავზე
დეაზურავს. როცა ქუდს თავზე დეაზურავს, მაშვინ მას ვერა კაცი
ვერ ხედავს და როცა გადებხტის, კი ხედავს. ეალო ეს ქუდი და
წეალო მეფურნესან. ეს ქუდი მას აქვს შენახული მეფურნესან,
არა კაცს არ ანახვებს. ადგა ამ ბიჭმა და წევდა ხემწიფის გოგო-
სან. ეს ქუდი თავზე დაბურული აქ. მიდის, მივდა ხემწიფის სახში
ამ ქუდით. ის დუქდა ხემწიფის გოგოს, რომელ გოგოსთვინაც
თასი წართვენ ამ ბიჭს, მივდა, რომ აქ საქმელ ჭამენ. გოგოც
ჭამს, მარა ვერც ისე კარქათ. ჭამს იმიტომ, რომ რამდენ ლუქმას
ამეალებს, თვითონ იგი ბიჭი უჭამს უჩუმალაჲ, გოგო კი ამას
ვერ ხედავს, ეს უშუმჩნეველია. ბოლოს შეატყო ამ გოგომ, რომ
რაცხა მემართება, რაცხა ცუდი საქმე მჭირსო.

როდესაც საქმელს გვათავებენ, დეაწყებენ ცოცხის ფართხუნს.
უცვათ ამ ბიჭს თავიდან ქუდს გადაშვლებენ და დეანახავენ. იმ-
დენს ცემენ, რომ არც მოკლავენ და არც დატევენ. ადგება ეს
გალახული ბიჭი და წავა მის ბინაზე მეფურნესან. ცოტა ხანს
დადგება იქ და მემრე ეალებს ნებართვას მეფურნიდან და წავა
თავის დედასან. ნახავს დედას და მისგანაც ეალებს ნებართვას,
გალებს დოლაბის კარს და კიდევ ეძებს — ეგება კიდევ რამე ნახოს,
შეხედავს, რომ დოლაბში ერთი ქაჲ არის. ამ ქას თავსახური აქ-
სახურავი თავდახურულია. ფიქრობს ეგი ბიჭი. ჯერ არ იცის
როგორ უნდა მოაქცეს, ბოლოს გადაძრობს სახურავს ქას.
ხედავს, რომ ამ ქიდან ამოდის ორი კაცი. ეტყვიან ბიჭს: რა
გინდა გააკეთოთ, მიბრძანეთ, სადაც გაგვაგზანი, ყველამფერს
აგისრულებთო. ის ბიჭი ეტყვის ამ კაცებს, რომ ჯერ ჩადით შიან.
ისევ შეაყვანს ქაში, ისევ დახურავს ქას და კაფალს. წეალებს ამ
ქას და წავა ისევ მეფურნესან,

ეტყვის მეფურნეს, რომ გემეგზავნე, ჩემო ხაზეანო, ხელმწი-
ფესან. იმას ერთი ქალიშვილი ყავს და მე მომცეს ცოლათო.
გმგზავნება ხემწიფესან მეფურნე. მივა და ეტყვის ხემწიფეს, რომ

მე ერთი ბიჭა მყავს სახში, იმას ძლიერ მოსწონს შენი ქალიშვილი და მე ელჩათ, მაჭანკლათ გამომიშვავო, რას იტყვიო, თუ მისცემთო.

ხემწიფემ უთხრა: მე მივცემ გოგოს იმ პირობით, თუ რამ სიტყვას, წინადადებას შემისრულებსო. ან ამ საშუალებაში ერთს შემისრულებს, რომელიც—მე მინდა, მაშინ იმას ჩემ გოგოს ქალათ მივცემო. პირველად ეტყვის, რომ რამოდენიმე წლის წინათ ერთი პარახოთი წყალში ჩეძირა, დეაღუმბა. ვერ ვიპოვეთ ისე დეაღუმბა. იმ პარახოთს ახლა თუ მონახავს და ნაპირზე მოაყენებს, მაშინ უცილვებლათ მივცემ გოგოსო.

უარს არ ეუბნება ხემწიფე, მარა ამით უნდა მეაშორვოს იმიტომ, რომ იცის დაღუპულ პარახოთს მაძეც ვერ ამეატანს ზღვის ფსკერიდან.

წამწა მეფურნე სახში. მოვა ამ ბიჭთან და ეტყვის, რომ ასეთი წინადადება შენზე მოცემული. გაკეთებ თუ არა, უარია მაძეცო, გოგოს არ მოგცემსო. ბიჭს გუხარდა და იფიქრა, რომ მკამას გავაკეთებო, ფიქრობს გუნებაში მეფურნუჯე, — მე ამას გავაკეთებო, რომ თქვა ბიჭმა, სიდან უნდა გვაკეთოსო? მეფურნემ რა იცის, თუ რით უნდა გვაკეთოს, შეასრულოს წინადადება. რომ დაღამდება, ეს ბიჭი ამ ქას თავს გადახტის. შიგნიდან ამუღა ორი კაცები. ეტყვიან ამ ბიჭს, რომ მიბძანე ახლა, რა გავაკეთოთო. ის ბიჭი ეტყვის, რომ ამა და ამ ხემწიფეს ერთი პარახოთი დიდი ხანია წყალში დაკარგული, ჩაძირული ყავს. ის პარახოთი უნდა იპოვნოთ და მჭყენოთ კრისტანზეო. ისინი ხელათ წევდენ. იმ დროს მოვდენ, როცა მამალი დეაყვილებდა. მოვდენ და ჩევდენ ისევ ქაში. გათენდა დილა. ხემწიფემ დეანახა, რუმე პარახოთი, უკვე მჭყენებთან.

გუშეებს მის ნამობილ მეფურნუჯეს ხემწიფესან, ეს პირველი წინადადება შესრულებულია. წადი, კითხე მეორე წინადადება რა აქვს, მითხრას, შემომითვალოსო. წვედა მეფურნე ხემწიფესან. მივდა და უთხრა, რომ მითხარი მეორე დავალება, მეორე წინადადება რა გაქვსო. ხემწიფემ უთხრა, რომ მეორე დავალება ასეთია: მე რომ სახლი მაქვს აშენებული, იმაზე უკეთესი სახლი იმიშენოსო და მაშინ ჩემ გოგოს მივცემო, წეაყვანოს ცოლათო. მუტანს ხებერს მეფურნე, რომ მეორე წინადადება ასე და ასე დამბარა ხემწიფემ.

რომ დაღამდება, ეს ბიჭი ხელმეორეთ ქას ახსნის თავს. ამოვლენ კაცები და ეტყვიან ბიჭს, რომ გვიბრძანე, რა უნდა გავაკე-

თოთო. ეს ბიჭი ეტყვის: ასეთი და ასეთი სახლი უნდა უშენოთ ხემწიფესო. უცფათ წევლიან ისინი და გაჩენენ, ძლიერ კარკ სახლს გაკეთებენ და ადრე დილით მამლის ყვილის დროზე დაბრუნდებიან და ჩევილიან მის ადგილზე ქაში. გეახედავს ხემწიფე, რომ სახლი აშენებულა, საუკეთესო სახლი.

ახლა ბიჭს აქვს შესასრულებელი მესამე წინადადება, გავზანის ისევ მეფურნეს: გამიგე, რა აქვს მესამე საკითხი ჩემ შესასრულებლათო.

წავა მეფურნე. ეტყვის ხემწიფე, რომ სანი ჯორით ტანისამოსი და ოქროვლობა უნდა მეატანოსო. დაბრუნდა მეფურნემ და უთხრა ამ ბიჭს, რომ ასე და ასე შემოგითვალაო. ესეც დავალა ამ ბიჭმა ამ კაცებს. ამოვდენ კაცებმა ქიდან, ეს საქმეც გაკეთენ და სამუე საკითხი შეასრულენ. ამ ბიჭმა ახლა უნდა გადაწყვიტოს ქორწილის საქმე. იზამენ ქორწილს, წყევანენ მზის უნახავი გოგო.

ხემწიფე, გოგოს მამა, წახვანიხან დუბარებს თავის გოგოს, რომ იმ ბიჭს, შენ საქმაროს, რაცხა ეშმაკობა აქვს გაკეთებული, რაცხა ნივთი აქ, თუ ასეთი რამე აქ, რითაც ასე კარგათ მოქმედობს, რამენაბრათ მოპარე ის ნივთი და მომიტანეო. დძინებს დედოფალი თავის ქმარს. დუწყებს ძებნას, თუ ასეთი რამე აქვს ჩემს ქმარსო. ნახავს ქას, მოპარავს მის ქმარს და მუტანს თავის მამას. ხემწიფე გადძრობს თავს, ამოვა კაცები და ეტყვიან: რა გნებავთო, მაშინათვე ავისრულოთო.

ხემწიფე ეტყვის კაცებს, რომ ეყვანეთ ეს ბიჭი, დაკარკეთ და მოდიოთო. მართლაც ეყვანებენ ამ ბიჭს მძინარეს, წყევანებენ, დაკარგავენ და მოვლიან. ჩევილიან მის-მის ადგილზე, ისე დახურავს კაფალს ეს ხემწიფე და ქას შემანხავს ლამაზათ. როცა ეს ბიჭი გამოაღვიძებს, ნახავს, რომენ. რაცხა სხვა ალიგზე არი. გეახედავს, გამეახედავს, რომ იქაურობას ვერ იცნობს, ზიხტება; რომ დაკარკულია საცხა ტყეში.

რა ქნას, არ იცის. მარს, მარს და ერთ კუთხეს წავა. კიდევ მარს, მარს და ერთი ვაშლის ძირში მივა. უკვე შემოდგომაა. ვაშლს ნაყოფი ასხია. მივა, ერთ ვაშლს მოწყვეტს და შეჭამს. გეახედა, რომ ქები ამუვდა, კამბეუსავეთ ქები. გახტა ქიანი. რა ქნას ამ ბიჭმა, არ იცის. წევდა იქიდან, რამდენიმე გზა გეაძრა და კიდევ შეხტა ერთი ძირი ხეა — ერთი ძირი ვაშლი დეანახა მოსხმული. ისიც მოწყვიტა, შეჭამა და გამოსხმული ქიები მოშორდა, გუქრა — გუქარდა.

მან იფიქრა, რომენ მე ეს წამალი კაჲ ვნახევო. წევდა. ის-
ვაშლი მონახა, რომელიც პირველათ მოკრიფა და მისი ქა-
მით ქაჲ გამჯესხა. აგრეთვე ეს ვაშლიც მოკრიფა, რომელიც
მეორეთ ნახა, მოკრიფა ბლომათ, წამოაღლო და წამოვდა. მარა
მან იცის, თუ რომელი ვაშლი რომელია, ისე ვორივე სორტის ვა-
შლები ძალვან ლამაზებია. წევდა მარა, მარი ამ ბიჭმა და მივდა
იმ გოროდში, სადაც ეს მისი სიმაური — ხემწიფე ცხოვრობდა.
მარა ბიჭმა ისე არ იცის, თუ რომელ ქალაქშია.

ქალაქში გახსნა სავაჭრო დუქანი და ის ვაშლები დწყო გასა-
ყიდათ შით მარტო. მარა ისე ძვირს აფასებს, რომ ვერვინ ვერ
ყიდულობს, გაგზანა მოსამსახურაები ხემწიფემ და აყიდვია ის
ვაშლი. ამ ბიჭმა მხოლოთ ის ვაშლი მიყიდა, რომელიც ქიებს აჩენდა.

ჭამა ხემწიფემ ეს ვაშლი და ფეშინვე ქაები ამუვდა, ისეთი
ქაები, რომ ყველაჲ გწკვირვა. ხემწიფემ შეანძრია ქვეყანა: ვინ
მომიძრჩენს და გამიქრობს ამ ქებსო. ამ მედუქნე ბიჭმა კარქათ
იცის, მარა არ ეტყვის — რა მუარჩენს, არ ასწავლის.

ბოლოს ვერაფერი ვერ გახტა ხემწიფემ, ბიჭმა გეგო და
გუგზანა კაცი, რომ რას შეპირდება მაგი ხემწიფე, რომ მოაცილ-
ვო, გუქარვო და გუდუქრჩინო ეს საქმე. ქაები ჩქარა გასცვიდესო.
ხემწიფე იტყვის, რომ მე იმას ჩემ ქალიშვილს მივცემ, აგრეთვე
სახლს, კარს და ოჯახის მოწყობილობას მივცემო.

დადევს ხელშეკრულობა და გწკეთეს პირობა. ელო ამ ბიჭმა
მაროე ვაშლის ნაყოფი, რომელიც ქაებს აქრობდა, თავს ურჩენდა
ყველას და ეს ვაშლი გუგზანა ხემწიფეს. ხემწიფემ ჭამა ეს ვაშლი,
მეგემ და ფეშინვე გუქრა ეს ქაები.

ხემწიფემ მემრე შესარულა თავის პირობა და ნამდვილათ
მიცა გოგო ამ ბიჭს და კიდვენ მიცა ყველამფერი, რაც ხელშე-
კრულობით იყო ნათქვამი. რაც უწინ დაქარქა ბიჭმა ყველა ახლა
მწლო ერთათ. ამ გოგომ ყველამფერი მზითვში მოატანა. ცხოვრო-
ბენ ორთავე კარქათ და ბედნიერათ. წევდა ამ ბიჭმა. მეყყვანა
მასთან მისი დედა. იზამა კარქი კამზანია. გწყო სუფრა. დაპაჲჯა
ბევრი ნაცნობ-ნათესავეები და რამოდენიმე დღეს ასე ქეჲფით გწ-
ტარა დრუება.

34. კოლმეურნეობის თავმჯდომარის თავადასაგალი

ერთ სოფელში ყოფილა მეგემ ერთი კოლმეურნეობა. ამ
კოლმეურნეობაში გაერთიანებული ყოფილა რამდენიმე ათეუ-
ლი კომლი. ამ ახალგაზრდა, ჯერ მოუძწიფებელ კოლმეურნეობას
ქონებია გაშენებული სხვადასხვა ჯიშის ვაშლის ხილი.

ერთ ზაფხულში კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დღუდგენიან მეგემ, რომ ვაშლის მოსავლის ნაწილი გვეტანოთ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში და იქ გაეყიდოთო. მართლაც იმ წელიწადს ვაშლის მოსავალი ძალიან კარგი დარჩა. სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შესრულებიან და კიდევ დარჩენიან დიდძალი ვაშლი.

კოლმეურნეობაში მოაწვიენ საერთო კრება, სადაც უნდა გამოყონ ამ საქონლის გამტანი, გამსაღებელი პირი, წევრთა და უმრავლესობის თხოვნით ეარჩიენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ერთ მშვენიერ დღეს დასჭკირთენ ვაშლით რამდენიმე ვაგონი და გამგზავრენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქისაკენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გაყიდა ეს საქონელი, რომლიდანაც ეღო ვორმოზდა ათი ათასი მანეთი ფულათ. ეს აღებული ფული ჩაწყო თავის პორთფელში სხვა საბუთებთან ერთად და წამოვდა თავის კოლმეურნეობაში. თავმჯდომარე ძალაძან დაღლილი იყო და მატარებელში ჩაეძინა. პორთფელი თავთან დაშრა დაღებული. ამ პორთფელს შენიშნავს ერთი ქურდი, რომელიც მატარებელში საქურდლათ არის ამოსული. მოჰპარავს პორთფელს და მატარებლიდან გადახტება. გადახტომიხან, როგორ ხტება ვინ იცის, ეს ქურდი მოყვება მატარებელს და რამდენიმე ადგილას გადაჭრის მატარებელი. ეს ამბავი არავის არ გუგია. მატარებელი მიდის. გვედა რამდენიმე ხანი და თავმჯდომარეს გამიეღვიძება. ნახა რომ პორთფელი ფულით და საბუთებით აღარ არის, რაღა უნდა ქნას საწყალმა! ჩამოვა ერთ-ერთ სადგურში და დეაწყო სამუშაოს ძებნა, რადგან სახარჯო გზის ფულიც აღარ დარჩენია. მოძებნა სამუშაო და დეაწყო მუშაობა, რომ სამგზავრო ფული შეაგროვოს და კოლმეურნეობაში დაბრუნდეს.

ეს ქურდი კტარი ნახა ერთმა რკინიგზის მოსამსახურემ ყველა ნაქურდალით. რკინიგზის მოსამსახურემ გახსნა პორთფელი და ნახა შით აუარება ფული და საბუთები. წეაკითხა და რომ გეგო ეს ყველაფერი კოლმეურნეობის საკუთრებაა, ხელათ აქნობა მახლობელ სადგურს საქმის შინაარსი. მაგინს ეგონენ ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაცი მოკლული. გნმზადეს კუბო, ჩნსვენეს კუბოში კტარი თავის ფულებით და საბუთებით და გაგზავნეს კოლმეურნეობაში. კოლმეურნეები ამის გეგებაზე ძალგან შეწუხდენ, მარა რაღას იზამდენ. ფული უკლებლათ ჩეიბარეს და.

დიდი პატივისცემით დასაფლავეს გომა თავმჯდომარე. სინამდვილეში კი ქურდი მიაბარეს მიწას.

ამასობაში გველა ხანი. მართლა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამოამუშავა სახარჯო ფული და წამოვდა სახლში, თავის კოლმეურნეობაში, ჩამოვდა თავის სოფელში და პირდაპირ კოლმეურნეობის კანტორაში წვედა. მივდა კანტორაში და ხედავს, რომ კანტორაში კოლმეურნეობის საერთო კრებაა და ირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. როცა კრების თავმჯდომარე გადადის მორიგ საკითხზე და აცხადებს, რომ ახლა საჭიროა ავირჩიოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეო, ამ დროს შეალო კარი ამან და შეველა შით.

ამის დანახვაზე ხალხი გაკვირდა. რგი ჩვენ გავასვენეთ და აქ სიდან გაჩთაო. ბევრს შეშინა და გაქცევაც დაპირენ.

რა ამბავიაო? იკითხა თავმჯდომარემ. ხალხი ეარია, სიხარულით არ იცოდენ რა ექნენ. მემრე ლამზენ ყველამფერი, რაც მომზთარიყო. თავმჯდომარემ კრებას თვითონ გაცნო საქმის თელი შინაარსი. თავმჯდომარის არჩევის საკითხი მოისხნა დღის წესრიგიდან და გაიმართა დიდი ზეიმი.

მაშინ ადგა ძველმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომელიც კტარი ეგონენ და სთქვა: კოლმეურნეობის პატიოსანი ნაშრომი არასოდეს არ იკარგება საბჭოთა კავშირშიო.

მოგულისხმობის რაიონი

35. მამალი, თხა, ღოკი და ვიკი

ერთი ბებერი ქალი იყო და ორი შვილი ხავდა. ერთი მამალი ხავდა ამ ქალს და ვოთხი დედალი. მამალმა თითო დღეს წეყვანა თითო დედალი ტყეში და დაკარქა ვოთხივე. ახლა იმ დედაბერმა და გოგომ თქვა: დედლები დიგვიკარქა ამ მამალმა, დაეკლათ მად მამალიო. ერთმა დანა მოლესა და დადუა, ერთმა ბახჩაში წვედა სუნელის მოსატანათ, ერთმა ფიჩხზე და წყალზე წვედა მოსატანათ.

შეხტა მამალმა ოდაშბ, დანტა მოლესილ დანას, წეალო და წვედა. მარა, მარა და შეხტა თხაჲ.

-- გამარჯობა. — გაგიმარჯოსო. — უთხრა.

თხამ უთხრა:

— ყოლიფერ წელწადს თიენებს ვყრიდი, წროულს ველარ დაყარეო და მკლიდა პატრონი და გევექციო.

წევდენ ტყეში, იარენ მაგინმა და შეხტენ ერთი ღორი. ღორმა უთხრა:

— ყოლიფერ წელწადს გოჭებს ვყრიდი, წროულს ველარ დაყარე, მკლიდა პატრონი და გევექციო. მამალმა უთხრა:

— მეც მასტე ვარო. წამოხ აფხანაკათო და წევდენ ერთათ. წევდენ კიდევ. იარენ ტყეში და შეხტენ ვირი.

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოსო.

— რა ამბავი, სა მიხვალ, ვიროვო?

— ყოლიფერ წელწადს თაზე ჭვირთს ვზიდვიდით, წროულს ველარ შეეძელი, მკლიდა პატრონი და გამოვექციო.

— ჩვენთან იყავი, ჩვენაც ასტე ვართო, — უთხრენ მაგინმა და ვოთხვე დამძობილდენ. წევდენ, იარეს, იარეს მაგინმა და ნახეს ტყეში ერთი სახლი, გელების სახლი. გეაარენ იმ სახლთან, ღამე აღარ გჷთევიან და წევდენ იქიდან. ტყეში ერთი გელი ნახეს გაცვეთილი. მამალმა გახადა გელი და ტყავი მოკიდა ვირს. ვირმა უთხრა:

— მე ჭვირთს გამდექეცი და ახლა კიდევ ჭვირთს მკიდებთო? მამალმა უთხრა:

-- ახ ჩვენ დაგვიკირდება. დღეს ზიდვ და ხვალ სხვას მოგვიკიდებთო.

წევდენ ახლა მაქიდან. გევდენ ერთ მინდორში და ნახეს, გელების ბაირამი იყო. გელებს გჷხარდა; მოგვიედა პურიო. მამალმა დღმახა გელებს, რუმე ვინც უმ წინაა, მუხტარია, მოვდეს. აქა ყველააო: მოვდენ ვამჷანცადა მამალმა, რუმე სასამართლოადან გამოგზავნილი ვარ. დაკალით, რაც გელებია, გახადეთ და ტყავები ჩამოძინეთო! უჩვენა ტყავი. აჰა, ერთი ტყავი მიგვაქო. ეგენმა რუმ მივდენ და ასტე-ასტე არის საქმეო, უფხრენ გელებს, გელებმა გეიქვა, თავს უშველენ იგინმა და აგინმა უკან გამეძეკენ. შგეშინენ. მივდენ ტყეში, რუმ სახლი ნახეს. იქანაჰ მივდენ და ღამე გეათიენ. მამალმა და თხამ ევდენ ჭერზე. ღორი და ვირი ღოგინქვეშ დამალა მამალმა. რა იცოდენ, გელების იყო ი სახლი, თჷარა რავარ მივდოდენ იქა. გევდა კახ ხანი და მოვდენ ღამე გელები, დანთეს ცეხლი, შამუაქდენ გარეშამო და ღაპარიკობენ, რუმე რა იყო აგი, რომ ჩვენ ამფერი საქმე გვიქნაო? ჩვენ გე-

ვონა, პური მოგვივიდაო და აგი რა დაგვმართა იგინმაო! აგინი გამოპარული არიან, ეშინიან, არ შიგვიტყონ და არ შეგვჭამონო. თხამ უთხრა:

— მამალო, მამალოო!

— რა გინდა, რა გინდა, თხაო?

— გელეები ქვეშ არიან და ლაპარაკობენ. შარდის დაქცევა მინდაო.

— დეეყუდე პირალმაო და ისე დაქციე შარდიო. თხამ დაწვა პირალმა და დეაწყო შარდის ქცევა. გუშმა ჭერი და წევდა აგი შუაზე. «თხუბ-თხუბ». დეაწყო თხამ. მამალმა დეაძახა: ერთი კი არა, ხუთვე დაკალი მაგინიო. გელეებმა შიშით გასლი ხან ერთქვანები დაქნიხეს, თლა ტყავები დაზზრენ. გეაქცენ და გეაქცენ.

გათენდა მკერე დღეს და მამალმა ევდა ხეზე და დეიწყო ხილვა. ღორმა მიწის ჩუგნა დეაწყო. ვირმა გემეალო ხელი და გულზე იბაყუნებს: ვაი, საცხა ვნახავ იგინსო! თხამ ბარდის ჭამა დეაწყო. მჭადარაჯეს გელეებმა. უთხრენ თავის აფხანიკებს: ერთი გვამთვალეირებსო,—მამალიზა; ერთი ბარდში ჩაძრა და კვალს გვიკლოვსო, თხიზა; მესამე მიწაში ჩაძრა, თუ სა წევდა, არ ვიცი, მიწას თხრის და გვეძებსო;—ლორიზა; ერთიო იბაყუნებს გულზე ხელსო: ვაჟ, საცხა ვნახავო! ამაზე შეშინდენ გელეებმა და ჰაადე, დასცალეს იქოფრობა, მოშპენ და გეაქცენ. დღესაც მირბიან.

ო იქანაჟ კირში, ჩვენ აქანაჟ რხინში.

36. უნცროსი ვაჟი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, ეს მდიდარი კაცი ვოთხმოცი წლის იყო და ყავდა სამი შვილი ვაჟები. გახტა ეს კაცი ავათ, სიკტილის დროს დეგბარა შვილები და უთხრა: მე რომ მოვკტები და დამმარხავთ, სამ ღამეს მარტო ნუ დამტოვებთ, თითო ღამეს თითო შვილმა მიყარაულოსო. პირველ ღამეს უმფროსმა შვილმა, მეორე ღამეს — შუათანამ და მესამე ღამეს — უნცროსმაო. ღუბარა ეს შვილებს და მამაც მოკტა.

იტირეს შვილებმა მამა და მდიდრულათ მიაბარეს მიწას. უმფროს ძმებს უნცროსი არაფრათ მიაჩნდენ. სულ მასხრათ იგდებდენ, კიდევ სცემდენ, გლახას უძახოდენ. უნცროსი ძმა ისეთ

დამცირებას იტანდა და ძმებს პატივს მაინც სცემდა, მამის მაგივრათ სთლიდა.

მჭაწია უმფროსი ძმის ყარაულობის დრო, მარა უმფროსმა შვილმა მამის დანაბარები არაფლათ არ ჩააგდო. უთხრა უნცროს ძმამ, რომ ყარაულობის დრომ მჭაწია, წადი და იყარაულეო. ამ სიტყვაზე უმფროსმა ძმამ უნცროსი კახამ მოკლა, რაფერ გამიბედე სიტყვის თქმაო. მაშინ ადგა უნცროსმა, შეეკაზმა, გადიკიდა ხმალი, ედლო შვილდ-ისარი, გასწია და წევდა. მივდა მამის საფლავეზე და დეჟწყო ყარაულობა.

შუალამე რომ გადავიდა, გახედა, რომ აღმოსავლეთისაკენ გათეთრდა. ეს თეთრი თანდათან დიდდება და საფლავს უახლოვდება, ძალჯან ახლო რომ მუაწია სითეთრემ; ვაჟმა დუმიზნა შვილდ-ისარი და ესროლა და საფლავთან ვორთავიანი დევი ჩამუარდა. ვაჟმა იძრო ხმალი, მარა დევემა შეხვეწა: ნუ მომკლავ და გაჭირვების დროს გამოგადგებიო; მოაძრო ერთი ბეწვი და მიცა ვაჟს. ვაჟმა გუშევა დევი. დილამდი იყარაულა უნცროსმა ძმამ და დილას მივდა სახში.

მეორე ღამეს უთხრა უნცროსმა ძმამ შუათანას, რომ წადი, ძმავო, და ღამე გუთიე მამასო. ამელამ შენი ნობეთი არისო. ამის სიტყვაზე შუათანა ძმა თავში ჩარტყამს უნცროსს. რა ქნას უნცროსმა ძმამ. ისევლე ადგა და წევდა საყარაულოთ.

მეორე ღამესაც ისეთი ამბავი მოხტა. შუალამე, რომ გადავა აღმოსავლეთი გამწვანდება, ვალურჯდება და ეს სიმწვანე თანდათან უახლოვდება საფლავს. სულ ახლოს რომ მჭაწევს და ვაჟიც ესრის შვილდ-ისარს. ესრის და ჩამოაგდებს სამთავიან დევს. იძრობს ხმალს, უნდა ისიც მოკლას, მარა დევი სთხოვს: ნუ მომკლავ და გაჭირვების დროს გამოგადგებიო. აძრობს ერთ ბეწვს და აძლევს ვაჟს. რომ დაგჭირდე, ეს ბეწვი ამოილე და ხელათ შენთან ვაჟინდები და გიშველიო. გუშევებს ვაჟი დევს, დილამდის ყარაულობს და დილას მიდის სახში.

მესამე ღამეს შეჟარადდება და მიდის საყარაულოთ. შუალამე რომ გადავა, აღმოსავლეთით რაცხა წითლათ ამოგორდება, იზრდება და თავდათან უახლოვდება მამის საფლავს, ახლოს რომ მჭაწევს ვაჟი გატყორცნის შვილდ-ისარს და ხუთთავიან დევს ჩამოაგდებს მამის მეზერთან. იძრობს ხმალს, უნდა თავები მოჭრას. მარა დევი სთხოვს: ნუ მომკლავ და გაჭირვებაში გამოგადგებიო. იძრობს ერთ ბეწვს და აძლევს: რომ ვაგჭირდეს, ეს ბეწვი ამოილე, მახსენე და ვალანდვაზე იქ ვაჟინდები და გიშველიო.

ხუთთავიანი დევი გუშვა ვაჟმა, გათენებამდი უყარაულა მამას. დილას აღვა და წვედა სახში. მარტო უნცროსმა შეიღმა შეასრულა მამის ანდერძი.

სამტე ლამეს მან უყარაულა. ამ ხნის განმავლობაში ვორმა ძმებმა ნახევარი მამის ქონება შეჭამეს და განიავეს.

იმ ქვეყანაში, სადაც ეს ძმები ცხოვრობდნენ, იყო ერთი სახელგანთქმული მეფე. ამ მეფეს ხავდა ერთი მზისუნახავი, გოგო. მეტი შვილიც არ ხავდა მეფეს. ამ მზითუნახავის გათხუების დრომ მტაწია. მეფემ გამტამცხადა: ვინც ცხენით შეხტება ჩემი სასახლის მესამე სართულზე და იქ ჩემ შვილს თითზე ბრილიანტის ბეჭედს წაძრობს, იგი იქნება ჩემი სიძე და ჩემ სახემწიფოს იმას დულოცავო. ეს მზისუნახავი მესამე სართულზე აკოშკაშია გადმომდგარი და თითზე ბრილიანტის ბეჭედი აქ წამოცმული.

ეს რუმ გამოაცხადა მეფემ, მთელი იმ ქვეყნის ახალგაზღვები წეჟკაზმენ და წვედენ ბედის საცთელათ. უმფროსმა ძმებმაც შეჟკაზმენ წასასლელათ. წასლის დროს უნცროსმა სთხუა ძმებს, რომ მეც წამიყვანეთო, მარა ის არ მიხავან და კიდეც დასცინიან:

— შენ რას გჟკეთებ იქ, გლახავო?

წვედენ ძმებმა ცხენებით. მთელი ქვეყნის ახალგაზრდობა მოყრილია იქ და ცდილობენ შეხტენ მესამე სართულზე, მარა ვერვინ ვერ ახერხებს. ძმები რომ წვედენ, უნცროსმა ძმამ ამეღო ერთი ბეწვი. ხელათ გაჩთა მასთან თეთრი რაში. რაშია უთხრა, რომ გამიძვერი ყურშიო, გაძრა ბიჭმა და თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი გამოვდა. შეჟდა თეთრ რაშიზე და გჟქროლა.

აკოშკაში გადმომდგარი მზისუნახავი ხედავს, რომ ამ ზღვა ხალხში თეთრ რაშიზე მქდომი თეთრათ გამოწყობილი ლამაზი ვაჟი მოჰქრის მისკენ. მოაფრინა რაში სასახლესან და საგანგებოთ გაკეთებულ თხრილზე ახტუნა, მარა ერთი მეტრი დუკლდა მესამე სართულამდი აკოშკაზე ასლას. დაღონებული დაბრუნდა უკან. გზაში ძმები შეხტა და თითო მათრახი გადუჭირა ზრუგში, მარა ძმებმა თეთრათ გამოწყობილი უნცროსი ძმა ვერ იცნეს. დაბრუნდა უნცროსი ძმა სახლში, გუძრა თეთრ რაშს ყურში და ისევლე ძველებში გამოწყობილი დაჟდა სახლში. ძმებმა რომ მოვდენ შინ, ერთქვანებში ლაპარიკობენ, რომ ვინ უნდა ყოფილიყო ის თეთრათ გამოწყობილი ვაჟიო.

მაორე დღეს ხელმეორეთ გამეფყვენ ძმები და წვედენ. უნცროსმა ძმამ ამოღო მაორე ბეწვი და ხელათ გაჩთა ლურჯი რაში. გუძრა ყურში, გამეფყო ლურჯათ, შეჟდა რაშიზე და წიგდა

სასახლისაკენ. ხედავს მზისუნახავი, რომ ის ვაჟი ახლა ლურჯათ გამოწყობილი, მუაქროლებს ლურჯას. ხალხმა გზა მისცა. ვაჟმა მუაქროლა რაში, შეახტა, მარა თითზე ხელის მოდებას ერთი მტკაველი დუქლდა. დაბრუნდა დალონებული სახლში, გუძრა ყურში ლურჯას და ისევ ძველი ტანისამოსით გამოვდა. ცხენი გუშვავდა თითონ დეაწყო სახლში მუშაობა. დიდხანს მემრე მოვდენ ძმები სახლში, რაცხაზე გამცხარებით ლაპარაკობენ. დაწყურა, რომ ახლა ამბობენ: ლურჯათ გამოწყობილ ვაჟს პაწაა დუქლდა ბეჭდის წაძრობასო. ნეტაჲ კიდევ თუ მტა ის ვაჟიო?

მესამე დღეს კიდევ წევდენ ძმებმა. ძმებმა რომ წევდენ, ამ უნცროსმა ძმამ ამეალო მესამე ბეწვი. ხელათ მასთან გაჩთა წითელი რაში. რაშმა უთხრა: გაძვერი ყურშიო. გაძრა ყურში და წითელ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი გამოვდა. ცხენმა უთხრა, რომ შეხტომიხან ფერდებზე უზენგები შემომკარ ისე, რომ მეტკინოს ფერდებო.

შეჟდა ვაჟმა და გაფრინდა. მიაქროლებს წითელ რაშს წითლად გამოწყობილი. მზითუნახავი ხედავს, რომ იგივე ვაჟი ეხლა წითლათ გამოწყობილი, წითელ რაშზე მჯდომი მოჰქრის. ქარსავე ჩუქროლა ხალხს, შეხტომიხან შემოკრა რაშს უზენგები და რაშმა ისე მაღლა შეხტა, რომ მზისუნახავს გუსწორდა. წაძრო ვაჟმა მზისუნახავს თითზე ბეჭედი და გაჰქრა. მივდა სახში. გუძრა ცხენს ყურში და ძველი ტანისამოსით გამოვდა. წამოაცვა თითზე და თითი ქინჭრით შეახვია, რომ არ დეგნახენ ბეჭედი.

ხემწიფე დანიშნავს ქორწილს და მთელი სახემწიფოს ხალხს მეაწვევს გაჩალებს დიდ ქორწილს. ამ ქორწილში ამ გლახას ძმები არიან. ხოლოთ ეს ვითომ გლახა ჯერჯერობით არ ჩანა. მზისუნახავი და ხელმწიფე დაინტერესებული არიან, თუ ვის ამოაჩნდება თითზე ბეჭედი. მარა ჯერ ვერ ხედვენ. როდესაც ქორწილში ყველა მექორწილეს დააბანიეს ხელები, სასიძო არ ჩანდა. ბოლოს მოაწვიეს ეს გლახაც. ამ ბიქს თითი ხონდა შეხოვლი.

მზისუნახავმა სთხტა, რომ თითი შეგხსნა, ბიქმა არ ქნა, მტკიავაო. ბოლოს აიძულეს, რომ შეგხსნა თითი. როდესაც ამ ვაჟმა შეხვეული თითი შეგხსნა, ბრილიანტის ბეჭედმა უცფათ განათა იქოვრობა. მეფემ გადაკოცნა სასიძო და დაულოცა მთელ თავისი სამეფო. მზისუნახავი და ეს ვაჟი გადგებვიენ ერთქვანებს. და დიდხანს კოცნეს ერთქვანები.

ბოლოს გემაართა ქორწილი, რომელიც სამ დღეს და ღამეს გრიელდებოდა. გაკვირვებული, დარცხვენილი და დალონებული უმფროსი ძმები დაბრუნდენ სახში.

უმცროსმა ვაჟმა მთელი სახემწიფო და მზისუნახავი ქალი ჩეაბარა და შუღლა მუშაობას და მზიარულ ცხოვრებას.

მეც იქ ვიყავი და ძალადანიც ვიქეიფე.

37. ქმარი

იყო ერთი ცოლი და ქმარი, იმათ ყავდათ ერთი შვილი. სახელათ ეთქვა მემედი. მემედს მალე მშუკტა მამა და დარჩა ობლათ. დედა-შვილი ერთათ ცხოვრობდენ და იყო ძალზე ლარიბი. რამდენიმე ხანს იმცხოვრეს ასე. მემედი გეჯახარდა და დავაშაკცდა. ერდლეს მემედს მაეწყინა და ევდა ოდის თავზე, თავანში, მონახა მამის იარალი, ნახა ფიშტო და ხნალი. ჩამოატანა ძირში, დასწმინდა და დაფერა. მხოვრე დლეს დედას უთხრა: მე.საცხა ნიალო. მიემზადა, ადგა და წევდა.

ბევრი ძარა, თუ პაწაჲ, რალა ბრეველი გავაგრძელოთ, ნივდა ერ სარაჲაში, გეახედა, გამოახედა, მარა არეინ არ იყო სახში. დაჟდა და ფიქრობს ნეტაჲ აჲ უნარმაზარი შენობა ვისიავო!

ამ დროში შეხედა, რომ მოდის რაცხა, მიაქ ხეჲ და მიწა. მემედმა დეჲმალა.

თურმე არიან დივები. მოვდენ ეზოში, გვლეს კარები და დეჲსვენეს. სულ ყოფილან სანი. უნფოსმა დივემა თქვა, რომ რაცხა ადამიანის სული არისო. ამ დროში მემედი გამუჲთა და გეჲციოა. უმფროსმა დივემა უთხრა უცროს ძმას: ადექი და მაგას თავი მოქარიო. მემედმა უთხრა: რა სხვას უსაქმებ, შენ ადექი, თუ კარგი ბიჭი ხარო. უმფროს ძნას გული მშუგდა და უყვირა უცროსს: ჩქარა მოჭარი თავიო.

მემედმა ადგა და წიეგება. დნრტყა ხმალი და მოჭრა თავი. უმფროსმა ძმამ შუათანას დჲძახა: მოჭაოი თავიო. იმასაც წიეგება მემედმა, დნრტყა ხმალი და მოჭრა თავი.

დარჩა უფროსი ძმა, ~~ტამკლადც~~ იყო სამთავიანი. ადგა და წევდა მემედზე საჩხუბრათ. იმასაც წიეგება მემედმა, დნრტყა კისერზე და მოჭრა თავი. იყვირა დივენა: ერთი კიდეჲ დამარტკივო. უთხრა მემედმა — ეს გეყოფაო. ერთი კიდეჲ რომ დიერტყა, ორი თავი გამეებმებოდა.

აწია მემედმა ეს მიცვალეზლები, წეჲლო და ჩაყარა ქაში. დაბრუნდა. სახში თავის დედასან. დედას უთხრა. რომ წამოლი ჩემთან, სარაჲა ჩევედჲ ხელში და იქ ვიცხოვროთო.

მეღენ სარააში და განაგძნეს ცხოვრება. მემედმა მჭაწყო
ეზოში სალოცავი. — აწი მე უნდა ვინადიროვო, — უთხრა მემედმა
დედას და შუღდა ნადირობას. წაეა მემედი დილას, სალამოს მწე-
ტანს ხან შველის. ხან ირმის ხორცს, დღეს, ხეალ, მიდის, მოდის
ყოველ დღეს.

ამ მალაზონმა იფიქრა: ერც გევიარ-გამოვიარო, წევდა და
გეაარა ეზუეფში. ჩეახედა ჭაში და დეანახა ეს დივი, გაცოცხ-
ლებულა. დუძახა ამ მალაზონმა შენ ვინ ხარო! მე კაცი ვარო და
ამომიყვანეო. მე საადან ამოგიყვანოვო, უთხრა ქალმა. დივი
უთხრა, რუმ ამა და ამ ადგილზე ბაწარი მაქ, წაე და მომიტანე,
ჩამუშვი ამ ჭაში და ამჟალ მევო. მუტანა მალაზონმა ბაწარი,
ჩმუშვა ჭაში და ამოიყვანა დივი. დივი შეაართო ეს მალაზონი
ცოლათ.

რამდენიმე ხანს იცხოვრენ ერთად. მემედის ეშინოდა ორვეს.
ეს დივი ღამე იმალებოდა, მემედის არ უჩდებოდა, დღეი ქე იყვენ
ერთად. ამ დროში მძიმეთ შეექნა ეს მალაზონი და მემედმა არა-
ფელი არ იცის. რამდენიმე ხანს მემრე დეებადა ბალანაე. ახლა
რა ქნას! შეშინებულად ხარდა ეს ბალანაე. ღამე ყავდა მამასან
და დღე ყავდა მასან, გევდა ხანი და ბალანამ გეაზარდა. მემედი
კი ყოველდღე დადის სანადიროს. დედამისმა იფიქრა, რომ
მოდი. მემედს კეტყვი, ეს ბალანაე მევიძიეო და ვნახოთ, რას
იტყვისო.

ერ სალამოს დანაეღრა მემედს ბალანაე და უთხრა: შვილო,
მემედ. ეს ბალანა მევიძიეო. მემედს ძალიან გუხარდა და უთხრა:
ეს დედა ჩენი უმაროსი ძმა იქნებაო. ამ ბალანას მემედმა სახელი
დარქვა ასლანი.

წაეა მემედი ცყენი. მოიტახს ნანადირევს და ყოველ დილა-
სალოცავს ლოცვილობს მია ქვაზე.

რამდონიმე წელწადი გევდა და მოელაპარაყენ დედამ და
ქალმა, რომ მემედი მოვკლათო. დედამ უთხრა, რომ შენ ვერ
მოკლად მავასო — მე ინას კი მოვკლავო, უთხრა დივიმა. როდესაც
დილას წაეა სალოცავათ და ასლანს წეყყენს, მე უკნიდან მივე-
ბაოები და მოვკლავო. ბატარა ასლანმა მიხტა, რაშიც იყო საქმე
და აჟღში გეახაზორა, რომ მემედს არ მჭაკლიფეთო. სალამოს
მემედი მოვდა სახში. მოეტანა მოკლული შველი. ძალიან და-
ლაღელი იყო. ბაწაე დეესვენა და წევდა სალოცავათ. წეყყენა
ასლანი. დეეგლინა წინ, მასან დწყო იარალი და თითონ შუღდა
ლოცვას.

დივმა წევდა მოსაკლავათ. ასლანმა წამოდგა მოკიდა ხელი ხმალს. წიეგება, დაკრა კისერზე და მოკლა დივი. მემედმა ლოცვა დანთავრა და ასლანმა უთხრა ყოლაფერი მათი სეკრეტები. მემედმა ჩაკოცნა ასლანი. უთხრა ასლანმა მემედს, რომ მე აწე ყოლიფერს გავაკეთებო. ადგა მემედმა, წეალო ეს მოკლული დივი და ჩაგდო ყოფილ ჭაში. მივდა დედასან, მოკიდა ხელი, წეაყვანა და ისიც ჩაგდო ჭაში.

მემედმა ასლანი შამეაყვანა სახში და დეაწყენ ახალი ცხოვრება. მემედმა მოაყვანა მეზობლის მალაზონი ასლანის მოსარებად. ჩაბარა ასლანი და თითონ წევდა სხვა სახელმწიფოში. დიდი ხნის შემდეგ მივდა ერთ მალაზონთან დალაღული და მშიერი.

მემედმა უთხრა: ბებია, მშიავო. მალაზონმა ადგა, გასცრა ქფილი და დაუუყდა შარდის დასაქცევათ. უყვირა მემედმა: რას იქცევი მაგასო!

—რა ვქნა, შვილო, წყალი არ არისო,—უბასუხა დედაბერმა— ჩვენ წყალზე გველეშაპი არის და წყალს არ გვაძლევსო.

— მომეცი წყლის ჭურჭელივო — უთხრა მემედმა: დედაბერმა მისცა. წეალო მემედმა ჭურჭელი. მივდა, ნახა, რომ გველეშაპი წყალში შემეღარია და წყალი პირში მიდის. დუძახა გველს, მარა არ გექანა, თურმე ეძინა. მემედმა დუძადა გველის გამოღვიძებას. გეაბდა, რომ ~~ვოკრა გოგვებმა~~ მოვდენ ატირებული.

ნემედმა უთხრა: რატონ ტირიო?

— რატონო და ჩვენ ვართ ხემწიფის შვილები, ერთი უნდა შეგვჭამოს გველეშაპმა და ერთმა წყალი წევლოთ უნდავო.

მემედმა უთხრა გოგუებს: მე ცოტას წევძინებ და რომ გეღვიძოს, მაშინ მეც გამაღვიძეთო. მიწვა მემედმა და წეაძინა. ცოტა ხანს შემდეგ გეღვიძა გველმა. გოგვებმა ნემედიც გაღვიძეს. ადგა მემედმა, მივდა გველთან და უთხრა, რომ საჩხუბრათ ვარ მოსულიო.

გველმა უთხრა: ოცი ფეხის ნაბიჯში დადექიო.

წევდა მემედმა, გადათვალა ვოცი ნაბიჯი, დაკრა ფეხი და წელთანდი მიწაში ჩევდა. დუძახა გველეშაპმა: სამსელ სულს მოვთქვან და თუ შეგჭაბე, შეგჭამო. და თუ მე ვერ შეგჭამე, მერე შენ მომკალივო. გველმა ეათქუა ერთი სული, მემედი ამოწია წელამდი. მმორე მოათქუა, ამეალო მიწიდან კოჭამდი და დუძახა: აწე შენიავო. წევდა მემედმა, დარტყა ლეკური და კისერი წაგდე, ბია. დუძახა გველმა: ერთი კიდევ დამარტყიო. მეტი არ გინდავო.

მიიძახა მემედმა კიდევ რომ დიერტყა, სამი თავი გამგებმებოდა. ახლინა წყალი მემედმა გოგუებს და წაატანა.

გოგომ მემედს ნიშანი დაზღვა, მანაც წეალო წყალი, მუტანა ზალაზონს. მალაზონს გუკვირდა, გამუტაბო კილი და აქამა.

ახლა გოგვებმა წყალი მიტანა ხემწიფის სასახლეში და ხემწიფეს ძალვან გუკვირდა. უთხრა ხემწიფემ გოგვებს, რომ ეს რაფერ იქნავო!

— ერთი ბიჭი მოვდა წყალზე და გველვეშაბი მოკლავო, უთხრენ გოგვებმა. ხემწიფემ უთხრა: თუ იცნობთ თქვენ იმ ბიჭსო?

— კი ვიცნობთო — უპასუხენ. ხემწიფემ გასცა ბძანება და მოპაჟა 15 წელს ზედაა ხალხი და დნთვალეირებია გოგვებს. გოგვებმა იცნეს ი ბიჭი. ხემწიფემ მემედი შეეყვანა საახლეში. შეეყვანა და ერთი მზისუნახავი გოგო მისცა ცოლათ. დუჭვირთა ჯორი ოქროას ფულით და გატანა. მივდა სახში მემედი და განაგზენეს ცხოვრება.

მემედმა ასწავლა ასლანს ნადირობა. ყოველ დღე ნადირობდენ დილა-სალამოს ორი ძმები და სულ ერთად იყვენ. მემედმა უთხრა ასლანს, რომ აწე ჩვენ დედას ეყოფა სარჯელიო და ჭიდან ამეყვანეს. ამის შემდეგ მემედმა გაკეთა ორი ერთნაჯრი ბეჭედი, ერთი ასლანს მისცა და ერთი მან წამოაქცვა თითზე. უთხრა ასლანს რომ ჩვენ ორში რომელცხას... გასაჭიოი ექნება, მჯორე ბეჭედი თითზე გაშავდება და ერქვანებს უნდა მიეხმაროთო. შენ თუ გიგიშავდეს თითზე ბეჭედი, მაშინ მე ვიქნები გასაჭირში და მომეშველეო.

მემედმა გეგო ერთი ზის უნახავი გოგო და უნდა ასლანიზა ცოლათ. ასლანს უთხრა ყოლიფერი და დნბარა, რომ ბეჭედი თუ გიგიშავდეს, მიშველეო. ადგა და წევდა. ღარა, ღარა, და ბევრი ღარა, თუ პაწაა იარა, მიადგა ერ ადგილს. ნახა, რომ ქვები არის კაცის სურათეფში. დგელაპარაკა გოგოს მემედმა. რომ შენთან ვარ მოსულიო.

— რა გინდავო, უთხრა მზის უნახავმა გოგომ.

— რა მინდა და შენი რძლობა მინდაო, უპასუხა მემედმა.

ქვათ იქეციო, უთხრა გოგომ. მემედმა გადმეჭკა ქვათ. ასლანი ნახა, რომ ბეჭედი გუშავდა. — ჩემი ძმა — მემედი გაჭირვებაშიაო. თქვა ასლანმა, ხელათ გამეყვანა მისი რაში, გადავლა ზეთ. გასწია და წევდა.

ბევრი ღარა თუ ცოტა ღარა, მივდა იმ ადგილზე, სადაც კაცები ქვათ არიან გადაქცეული. დნთვალეირა ეს ქვის

სურათები, მარა მემედი ვერ იცნა. და ღუძახა მზის უნახავ ქალს:

— საღა ჩემი ძმა, გამიცოცხლეო.

ქალმა უთხრა: სამი გზობა დიგიძახეფ — ქვათ იქეციო. თუ არ იქეცი ქვათ, მერე შენ ძმასაც გიგიცოცხლეფ და შენი ცოლიც ვიქნებიო.

ღუძახა ქალმა სამხელ: ქვათ იქეციო, მარა არ იქცა ქვათ, ვინაიდან ადამიანის შვილი არ იყო, დივის შვილი იყო.

გუცოცხლა ასლანს მისი ძმა — მემედი. წეალო მისი ქონება და წევდენ თავის ოჯახში. განაგძნეს ტკპილი ცხოვრება. მეტი არაფერი.

38. ეთერიკ გოდოკს ძვეუ

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ცოლ-ქმარი და ამ ცოლ-ქმარს ყავდა ერთი შვილი, რომელსა სახელათ ეთერი ეთქვა. ეთერი ძალიან ლამაზი გოგო იყო. ერთ დღეს, როცა მამა ყანაში იყო წასული, დედა მოულოდნელად ავად გახტა. დადგა უკანასკნელი წუთები.

სიკტილის დროს დედამ მოიხმო შვილი და უთხრა: შვილო, მე არ მოვკტები, მე ახლა ძროხათ გადევიქციეო; მამაშენი ცოლს მოიყვანს, შენ ის ქალი კარქათ არ მოგეპყრობა, მარა შენ ყორიფელი ეატანე. ერთხელ იქნება მე დამკლავენ და შენ ჩემი ტყავი, რქები, ჩლიქები მოიპარე და შეენახე ჩემს ბოგას ქვეშ, ხოლო სამი თვის შემდეგ ნახეო. დამთავრა თუ არა ეს ამბავი დედამ, იმ წუთშივე გადექცა ძროხათ და დეაწყო სიარული სახში.

დაბრუნდა ქმარი ყანიდან და ხედავს, რომ ოთახში ძროხა დასეირნობდა, ეთერის კი თვალები ცრემლით ავსებია. ბოლოს მამამ ყორიფელი გეაგო, თუ რაში იყო საქმე. თელი 5 წლის განმავლობაში ექიმობდა ქმარი ცოლს. მარა არ იქნა და არა. ვერაფრით ვერ მუარჩინა იგი.

გევდა რამდენიმე ხანი და ამ კაცმა მოაყვანა ცოლი. ამ ქალს მოყვა ერთი შვილი, რომელიც ულაძაზო იყო, ამიტომ დედინაცვალი თავიდანვე ეატანა შურიანობამ გერის მიმართ. დეაწყო ეთერის ტანჯვის დღე. ეთერი სამწყესურში დადიოდა. მიხავდა ყოველთვის თავისი ძროხა (დედა). ერთ დღეს დედინაცვალმა გამუაცხო ერთი მჭადი, მისცა ეთერის და უთხრა: წადი, ეს მჭად

წელე, ძროხა წეყუანე. ეს მჭადი ვინც გეჟარ-გამეჟაროს, იმას აჭამე, შენც ჭამე და სახლში თელი მოჟტანეო.

რა ექნა ეთერის? წევდა, წეყუანა ძროხა და დეჟწყო ტირილი. ჰროხამ უთხრა: შენ ნუ ტირი, მოდი, მომტეხე რქარ. ეთერიმ მივდა, მოსტეხა რქა და დეჟანახა მრავალნაჟარი საჭმელეზი. ეთერიმ დეჟწყო ჭამა ისე, რომ ჭადისთვინ ხელი არ უხლია. საღამოს დაბრუნდა სახში ყოველმზრიე კმაყოფილი.

ღედინაცვალმა მაანც უყვირა. მჟორე დღეს გუშევა მისი შეილი, გატანა კვერი და ისე დანბარა, როგორც ეთერის, მარა მისი შეილი ჭიშქარზეც არ იყო გადარებული, რომ კვერი შეჭამა და მეზრე მთელი დღე მშიერი იყო. საღამოს, რომ დაბრუნდა სახში, არც ძროხა ნუყუანია გამძღარი.

გაბრაზდა ღედინაცვალმა და გაღასწყვიტა დეჟკლა ძროხა. შანუხთა ქმარს: ვინდა თუ არა, დეჟკალი ძროხაო. ქმარს არ უნდოდა ძროხის დეჟკლა, მარა რა ექნა, მაანც უსსრულა ცოლს ხასიათი. ძროხამ ეთერის მოაგონა სიკტილის ხან მისი სიტყუეზი. ეთერი კი ეხვეოდა ცრემლეზს ღვრიდა.

დეჟკლეს ძროხა. ეთერის პირში იმ დღეს საჭმელი არ ჩასულა. პოლოს ეთერიმ მოჟპარა ჩლიქეზი, ტყავი, კული, ძვლეზი და ყველა ესენი შეჟანახა იქ, საღაც ამ ძროხას აბამდენ. გევდა ერთი თვე. ეს ღედინაცვალი მეტად შურიანი ვახტა და უნდოდა, რომ როგორმე დეჟმანინჯეზია ეთერი.

ერთ დღეს ღედინაცვალმა მოჟხმო ეთერი და უთხრა: ეთერი, ხედავ ეგერ რომ მთა ჩანს? წადი იმ მთის ძირში, იქ წყალი ვანოღის. თეთრმა წყალმა რომ ჩამოჟაროს, თავზე ვადეჟოე, შევმა რომ ჩამოჟაროს, სახეზე და ტანზე ვადეჟრე, წითელმა რომ ვამოჟაროს,—თვალეზზე და წარბეზზე ვადეირეო.

— კარგიო, უთხრა ეთერიმ და წევდა. მივდა იმ მთასთან. ეთერი და ხედავს, რომ იმ მთის ძირში ზის ერთი დეღაბერი და ნუზეზე თბეზა. მივდა იმ დეღაბერთან ეთერი. დეღაბერმა ჰკითხა: რა ვინდაო. ეთერიმ უთხრა: მე ღედინაცვალმა ვამომგზავნა და ასე დამაბარავო და ყოლიფერი მუყუა.

— არავო,—უთხრა დეღაბერმა. მასე კი არა, წამოდი ჩემთან და მე რომ ვასწავლო. ისე მოჟქეციო, მნყუანა დეღაბერმა ეთერი იმ წყალთან და გნჩერა. ვამოჟარა თეთრი წყალი,—ვადარო სახეზე და ტანზე; ვამოჟარა შავი წყალი,—ვადარო თმეზზე წამწამეზზე და წარბეზზე, ვამოჟარა წითელი წყალი და წუსვა ტუჩეზზე და ლოყაზე. ეთერი შეჟქნა ვადასარევი სიღამაზის ქალი, წამოვდა

ეთერი იქიდან და მივდა სახში. დეანახა დედინაცვალმა და კინალამ თავი მოაკლა, როცა ასე გამშვენიერებული დეანახა ეთერი.

მიორე დღეს გუშუა მისი ქალიშვილი და დნბარა: როცა თეთრი წყალი გამოააროს, სახეზე და ტანზე გადმარე, როცა შავი წყალი გამოააროს, თმებზე და თვალებზე გადმარე და წითელმა რომ გამოააროს, იგი ტუჩებზე და ლოყაზე გადმარეგო.

წევდა ეს ქალიშვილი და მივდა იქა, დეანახა დედაბერი და ყურადღება არ მიაქცია მას. დედაბერი კუდიანი იყო, ყოლიფერი იცოდა. დუძახა ამ გოგოს და ჰკითხა: რა გინდა აქაო? გოგომ უთხრა ისე, როგორც დედამ დნბარა. დედაბერმა უთხრა: მასე კი არა, მე რომ გითხრა, ისე მოაქეციო. როცა შავი წყალი ჩამოაარს, სახეზე და ტანზე გადმარე, როცა თეთრი ჩამოაარს, თმებზე გადმარე და როცა წითელი ჩამოაარს თვალებზე და წარბებზე გადმარეგო.

კარგო, უთხრა გოგომ და წევდა. მოაქცა ისე როგორც დედაბერმა დნბარა. ეს გოგო საშინელი შეაქნა, სულ დაუშნოვდა. მივდა სახში და დედამისმა კინალამ მოაკლა თავი, მარა რაღას იზამდა.

გვდა ორი თვე ძროხის სიკვტილის შემდეგ. ერ დღეს ეთერის დედინაცვალი წევდა წირვაზე. ეთერი კი სახლში დატია. მუშნია ღომის კეკალი მინდორზე და უთხრა: აკრიფე ეს ღომი, ცრემლით გარეცხე და ცრემლით დნშადეო. რა ქნას ეთერიმ? ტირის და ტირის. ამ დროს მოფრინდა ერთი ჩიტი, დუძახა ჩიტებს, წკრიფენ ღომის კეკლები. დნშადა მარილიანი წყალი. გარეცხა და დნშადა. მოვდა დედინაცვალი სახლში და უყვირა მანც ეთერის. რა ექნა საწყალ გოგოს, დაჯდა და დენწყო ტირილი.

გვდა მესამე თვეც და დადგა დრო, რომ ეთერის უნდა ენახა დამარხული ძვლები, ერ დღეს დედინაცვალი და მისი ქალიშვილი წევდენ წირვაზე.

მივდა ეთერი ბავასთან და გულის ფანცქალით დუწყო ღარა მიწას. ამოთხარა და დეანახა რაში მორთული ოქროდთ, რომელზედაც იყო ქალის ძვირფასი ტანისამოსი. ამოვდა რაში და ეთერის უთხრა, რომ ჩეცვა ტანზე. ეთერიმ ჩეცვა ოქროდს ტანისამოსი და ფეხზე ოქროდს ქოშები.

— შემაჯექიო!—უთხრა რაშმა. შეაჯდა ეთერიმ და რაში გაქროლდა. ჩეარა ეკლესიაზე, სადაც მთელი ხალხი მას შეკუთრებდა. გეესეირნა რამდენიმე ხანი და ბოლოს, არ დამაგვიანდესო,

გამჭასწრო წინ დედინაცვალს. მდინარესან რომ მოვდა, ფეხზე ოქროს ქოში გაზზრა და წყალში ჩაგარდა. ამოღების დრო აღარ იყო სახში ეჩქარებოდა. მოვდა სახში, გააზრო ტანზე და ჩაკეტა რაში თავის ადგილზე.

ცოტა ხანში მოვდა დედინაცვალი და ეთერი, რომ ნაცარში დეანახა ჩამჯდარი, დუყვირა: აჰ, შენ უშნოვო, სად გაქ შენ შნო, ქალი იმან თქვას ვარო, დღეს წირვაზე რაშით რომ ჩამოქროლაო. ეთერის არაფელი არ უთქვამს. გულში კი ეცი-ნებოდა.

ამ სახელმწიფოში იყო ერთი მეფე, რომელსაც ხავდა ლამაზი ვაჟიშვილი. ამ ვაჟიშვილს უყვარდა ნადირობა. ერ დღეს წამოვდა სანადიროთ და მდინარეზე მუწია გავლა. ჩეხედა მდინარეში და დეანახა, რომ რაცხა ბრწყინავს. ამოძლო და ნახა, რომ ქალის ქოშია. წამოძლო ეს ქოში თავის სახში, მუყარა თავი ყველას და უთხრა, რომ ვისაც ეს ქოში ერგება, ის იქნება ჩემი ცოლიო. შეძრა მთელი სახელმწიფო, მოყვანენ რაც ქალები იყო და არც ერთს არ ერგო ეს ქოში. დაღონდა ხელმწიფის ვაჟიშვილი, ჩეკეტა ოთახში და დეაწყო ჯერ კიდევ სრულიად უცნობ ქალზე ფიქრი. გახდა მეფის ვაჟიშვილი. ფიქრობს მხოლოდ იმ ქალზე.

ერ დღეს მოვდა ამ მეფისას ერთი დედაბერი და გამოახმო მეფის შვილი. მივდა მასან და უთხრა: შენ რომ გაუწხებს, იმის გაკეთება მე შიმიძლიაო. მეფის შვილმა გადირია სიხარულით და დაპირდა დიდი ჯილდო. დედაბერმა ასწავლა ის სოფელი, სადაც ეთერი ცხოვრობდა. ადგა მეფის შვილი, წეყვანა რამდენიმე მხლებლები და მივდენ იმ სოფელში, დეაჩა ყველა სახლები და ბოლოს მიადგა ამ სახლს. დედინაცვალმა რომ გეგო, მეფის შვილი ჩემსას მოღისო, ეთერი გოდორს ქვეშ დამალა. ამ ქალს ყავდა ერთი მგზნობიარე ჩიტი, რომელმაც კაცის ენით ლაპარაკობდა, გამეგება მეფეს დედინაცვალმა და უჩვენა თავისი ქალიშვილი, მარა ქალიშვილს არ ერგო ქოში.

დაჟდა ეს მეფის შვილი და დაღონდა. ამ დროს მოვდა ჩიტი, დაჟდა ფხარზე და დასძახა: „ეთერი გოდორს ქვეშ“, „ეთერი გოდორს ქვეშ“.

ბოლოს ქალს შეეკითხა: რა არის აგიო? ქალმა—არაფელიო, უთხრა. ბოლოს მეფემ ველარ მოათმინა, მივდა გოდორთან და ასწია ზეათ. შით ნახა გოგო, რომელსაც ნამტირალევი თვალები ხონდა. გამოაყვანა და მუალერსა. მუარგო ფეხზე ქოში და ნახა, რომ მისი იყო. ბოლოს ყორიფელი გამოარკვა, მეფის შვილმა

წყევანა ვთერი, დედინაცვალი კი ცხენის ჩკულზე მჭაბა და დნ-
გლეჯია. ისინი დიდხანს ცხოვრობდენ ბედნიერათ.

იგინი იყო ჭირში, ჩვენ ვიყავით რხინში, გამოვაცხვეთ ხაჭა-
პური და შევჭამეთ პირში.

39. თემბელ მემედაა

იყო და არა იყო რა, ხთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორი
ძმა კაცი, — ერთი ჭკვიანი და ერთი ბეჩი. ბეჩი თემბელი იყო და
არაფრის გაკეთება არ შეეძლო, საჭმელსაც სხვა აჭმევდა. ამ ბეჩს
ხონდა ერთი ბტყელი ყამა. მდეწყინა ამ თემბელ მემედას სახლში
ტყულაა ჟდომა და გადაწყვიტა ბაზარში წასლა. გადაეკიდა მისი
ბტყელი ყამა და გუდგა გზას, მარა, მარა და ჩევდა ბაზარში. გე-
მარ-გამემარა, მივდა საყსბოში, ნახა, რომ ხორცს აუარებელი
ბუზები დასეგია. ამოაღო მისი ყამა და სიბტყით დარტყა ხორცს.
მემრე დათვალა დახოცილი ბუზები და გამოდგა ასი. თემბელ მე-
მედამ გახარებული წამოაძახა: ერთი დარტყმით ასი მომიკლავსო.
წევდა და მივდა ქედელთან. მის ყამაზე ქედელს დწყერია: „ერთი
დარტყმით ასი მომიკლავს“. ამასობაში მოაწია სახლში წასლის
დრომ და თემბელ მემედამ გუდგა გზას, მარა ჩქარი სიარული არ
შეეძლო თემბელ მემედას და გზაზე ტყეში დწლამდა.

ამ სახელმწიფოში თურმე ცხოვრობს ხუთი-ექსი განთქმული
ყაჩაღი. ისეთი მაგარი ყაჩაღებია, რომ სახელმწიფომ ვერაფერი
ვერ უშველა. ამ ქალაქს, სადაც ხელმწიფე იქდა ტახტზე, გარემამრ
ეკრა დიდი ტყე, ამ ტყეში ერთი უშველებელი ტახტი ცხოვრობდა,
რომელიც აწუხებდა თელ ქალაქს, კაცსაც ერჩოდა და საქონელსაც.
ნოლოს, რომ ვერიფერი ვერ მუახერხეს ამ ტახს, ხელმწიფემ გა-
ნუამცხადა: ვინც ამ ტახს მოკლავს ან დეჭირავს, ას ოქროს მიე-
ცემ და თუ დანეშაული იქნება სახელმწიფოს წინაშე, ყველას ვა-
პატივებ და გავანთავისუფლებო. ამ ყაჩაღებმა გადასწყვიტეს ამ
ტახის მოკვლა და შუდგენ მზადებას.

სახლში მიმავალ თემბელ მემედას გზაში დწლამდა სწორეთ
იმ ტყეში, სადაც ი ტახტი ცხოვრობდა. მას განაგონი ხონდა ტახის
შესახებ და შიშით კანკალებდა. ძალმან რომ დაბნელდა, გადას-
წყვიტა ხეზე ასლა, მარა ამ დროს ტყის პირზე ერთი დიდი
ნუხის ძირში ცეცხლი დემახა და გული მდეცა და მივდა
ცეცხლთან. რომ მუახლოვდა, შესილალული ხალხი დემახა.
ძალიან შწშინა, მარა უკან დაბრუნება აღარ შეეძლებოდა. პირდა-
პირ მივდა მაგინთან, წამოწვა ცეცხლთან და დეაწყო ძილი. ყა-

ჩალებს გუჯვირდენ: აჲ კაცი ვინ მოვდაო. დუწყენ თვალიერება, თან უკვირან: ვინ არის, ასე გაბედულათ რომ მოვდა, ჩვენ არაფრათ არ ჩაგვაგდო, არც დეგველაპარიკა, მოვდა და დეაწყო ძილიო.

ყაჩალებმა დუწყეს შორიდან თვალაერება. დუნახეს ყამა, და ხედეს, რომ ზეთ აწერია: „ერთი დარტყმით ასი მომიკლავს“. უკვე შიში შეეპარა ყაჩალებს, გევდენ მოშორებით და დეაწყენ ჩუმათ ლაპარაკი, თუ როგორ მოვქცეთო. ერთმა თქვა, რომ თუ გვიშველის, მაჲ კაცი გვიშველის ჩვენო. მაჲ კაცი დაგვაჭირვებებს ჩვენ ტახსო. მოჲლაპარაკეს: დილას რომ გადღვიძება, ვსთხოოთ, რომ წაგვეყვეს ტახის დასაჭირავათო. ყაჩალებმა თელი ღამე უყარაულეს ამ კაცს, სულ არ დუძინიან.

გათენდა დილა, გადღვიძა თემბელ მემედას, ადგა ზეთ და დანირა წასლა, ყაჩალებმა დუწიოქვეს და დუწყეს ხვეწნა არ წასულიყო, რომ გამხტარიყო მაგინის აფხანაგი. თემბელ მემედამ მუსმინა მაგინს და უთხრა, რომ წამოგყვებით და დაგაჭირვებთ ტახსო. თემბელ მემედას გადაწყვეტილი აქვს, რომ გზიდან გეჲპაროს, მარა ველარ მუახერხა. ყაჩალები არ სცილდებიან. მარეს, მარეს და შევდენ ტყეში. თემბელ მემედამ შიშმა ეატანა. თან ტახის ეშინია და თან ყაჩალების. ბოლოს უთხრა მაგინს, რომ თქვენ შედით ტყეში და გამორეკეთ ტახი. მე აქ დავხტები და თუ გამომარა, დევჭირავო. ყაჩალებმა წევდენ ტახის გამოსარეკავათ.

თემბელ მემედამ განოარჩია ერთი ხეჲ, რომელიც ოთხ ხეს შუაში იყო ამოსული და ევდა ზეთ. ევდა და გეჲსაჲა. გევდა პაწაჲ ხანი და ტყეში შორს ატყდა ყიყინი და ხმაურობა. ტახმა მომარბინა და გაჩერდა იმ ხის ძირში, რომელზედაც თემბელ მემედამ იყო ასული. თემბელ მემედამ რომ ეს დეჲნახხა, შიშით კანკალი დეაწყო ხეზე. ტახმა იგრძნო, რომ ვინცხა არის ხეზეო და ხეს მუქნია ეშვი. ერთი ნოქნევით მოჭრა ხე. ხემ დეჲცა ეშვზე და ტახს ეშვი ნიწაში ჩარგვია. დარჩა დაბმული ტახი მისი ეშვითვე. აღარ ექანება. ეს რომ დეჲნახხა თემბელ მემედამ, გევდა მეორე ხეზე და ჩაღოვდა.

ამასობაში მოვდენ ყაჩალებმაც. დეჲნახეს თუ არა დაბმული ტახი, მაშინათვე დაყარეს ზალპი და მოკლეს.

ეს რომ დეჲნახხა თემბელ მემედამ, იყვირა და მუმატა: როგორ გაბედეთ, რომ დაჭირული ტახი მომიკალით. მე იგი ცოცხალი უნდა ნიმეყვანა ხელმწიფესან. ახლა დაგწყვიტეთ და ეს არის ყველაო. დუწყეს ხვეწნა ყაჩალებმა, რომ ეს ერთი გვაპატივეთ, ნუ

მოგვკლავთ და მეტს აღარ ვიზამთო. ბევრი იმჯავრა თემბელ მე-
მედამ მარა ბოლოს ყაჩაღების ხეწნამ მუღბო გული და თქვა:
კარგი, აბა ამ ერთ გაპატიებთ, მე კი მინდოდა ცოცხალი ტახის
მიყვანა ხელმწიფესან მარა, რალამც რუმ მოკალით, ახლა გემ-
კიდეთ ზრუგში და წამოაღეთო. აპკიდეს ხეზე და წეღეს. მრტა-
ნეს ქალაქში ხელმწიფის კარზე. ნახა ხელმწიფემ მოკლული ტახი
და ძალვანი გუჟვირლა, იმხელა იყო ი ტახი. ხელმწიფემ ყველას
აპატივა დანაშაული და ყველა განთავისუფლა.

ყაჩაღებმა მუყვენ ხელმწიფეს ყორითელი დაწვრილებით.
უთხრეს, რომ ჩვენ გვყავს ერთი აფხანაგი, რომელსაც ერთი და.
რტყმით ასი ყავს მოკლულიო. მან მარტო დეაჭირა ამხელა ტახი
და ჩვენ რომ მოკალით, კახამ დავწყვიტა ყველა: რატომ მომი-
კალით ტახი, მე იგი ცოცხალი უნდა მიმეყვანა ხემწიფიზაო. ხელ-
მწიფემ. რომ ეს გეგგო, გასცა განკარგულება. უშენეს თემბელ
მემედას ცალკე სასახლე, დუყვენეს მოსამსახურეები და დეაყო.
ცხოვრება შით, ხელმწიფე თემბელ მემედას ყოველდღე თითო შე-
მწვარ ცხვარს უგზავნიდა, მარა თემბელ მემედას სა შეძლო მისი
შეჭმა. ერ ბარკალს გაფცქვნიდა და დანარჩენს მოსამსახურეებს
ურთიგებდა.

გველა დიდი ხანი და ამ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფო-
დან გაპოცხადდა ერთი დიდი ფალავანი. რომელმაც მოსთხუა
ხელიწიფეს: ან უნდა გამეყვანო შენ სახელმწიფოადან. ჩემი მო-
მოვეცი, თუარა ნაივარი სახელმწიფო უნდა დამითმოვო. ბევრი
იფიშმანა ხელმწიფემ და ბოლოს გამუაშცხადა, რომ ვინც გამტა
და დამარცხებს ამ ფალავანდს, იმას ნახევარ სახელმწიფოს მივ-
ცემ და ჩემ ქალიშვილსაც მივათხოვებ მასო.

ეს ამბავი გეგგეს ყაჩაღებმა, მივდენ ხელმწიფესან და მუახსე-
ნეს: მამ ფალავანდს თუ დამარცხებს, თემბელ მემედაა და-
მარცხებსო. დეაბარა ხელმწიფემ თემბელ მემედაა და ყოლიმფე-
რი ხუთრა.

— მაგი ჩემი საქმე იყოსო, — თქვა თემბელ მემედამ, — ერ
თვეს დაბასვენეთ, კარქათ მასვით და მაჭამეთ და მეძრე მე დავა-
მარცხებ მაგ ფალავანდსო.

თემბელ მემედაა ფიქრობდა: ახლა მახც ველარ გადა-
ვრჩები ცოცხალიო და ქემადნც ერ თვეს კარქა ვჭამ და
ვსვამო.

მუწია დანიშნულმა დრომ. მაგინის შეჯახება დანიშნულია
ერ დიდ მინდორზე. თელი სახელმწიფოადს ხალხმა იქ მოაყარა
თავი. გამოსულა მეადანზე ფალავანდი, დანქროლებს რაშს და ელო-

დება მოწინააღმდეგეს. თემბელ მემედამ მოალესა მისი ყამა ისე, რომ ბეწვს იღებდა, მუყვანეს თემბელ მემედას ჯაჭვებზე ნაბამი ცხენი, მარა იყვირა და მშმატა თემბელ მემედამ: მაგფერი ცხენით ყველა ივაჟკაცებს, მე სამფება ჯორი მომიყვანეთო. ეს იმიზა თქვა, რომ ვერ შეედებოდა ცხენზე, გადმზაგდებდა. მუყვანეს თემბელ მემედას ერთი გლააა ოჩანი ცხენი. შექდა ზეთ და გაჩაქაქა. თემბელ მემედას გადაწვეტილი აქ, რომ მივალ ფალავანდთან, დავლუნავ თავს და წუწევ, დამკრავს კისერზე და წამაგდებიებს თავსო. მეტი რა იქნებაო. სახელმწიფოს თავმოყრილი ხალხი გულის ფანქვალით ელოდებოდენ თემბელ მემედას, მოდის, მოდისო, — დეაწყეს ძახილი ხალხში. მოთამაშე ფალავანდმაც მიაქცია ყურადღება ამას. ხალხში გაკეთდა გზა და თემბელ მემედამ ჩაქაქით გევდა მედღანზე.

ფალავანდს ძალადან გუქვირდა თემბელ მემედამს გამოჩენა მედღანზე. გუქვირდა და თანაც შეშინდა, რამე ხერხს მიწყობენო.

იგი მოელოდა მასავეთ ძლიერ კაცს და ხედავს, რომ გამოვდა ვინცხა ოჩანი კაცი, მთელი ხალხი უყურებს ამ ამბავს. თემბელ მემედამ ჩამოაჩაქაქა ცხენი და მივდა ახლო ფალავანდთან. მივდა, დაქუჭა თვალები და წუწია კისერი. ეს რომ ფალავანდმა დეანახა, შეფიქრიანდა, — რამე მულამს არ მიწყობდესო, დაქუჭა იმანაც თვალები და კისერი წამუწია. თემბელ მემედამ უცდის, როდის წამჭრიან კისერსო. რომ შეაგვიანდა, ცალი თვალი გაჭყირა და შეხედა, რომ იმასაც დუჭუჭავს თვალთ და წამუწევია კისერი. უცბათ იძრო მისი ყამა, დუქნია კისერში და ფალავანდს თავი გავდებია ძირში. გამოაბრუნა ცხენი და გაჩაქაქა. ეს რომ ხალხმა დეანახა, ასწიეს თემბელ მემედამ და მუყვანეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ ნახევარი სახელმწიფო დულოცა თემბელ მემედას, ქალიშვილიც მიათხუა, და რომ მოხუცდა, ტახტიც დულოცა:

საქივბელი

1. ტექსტების ჩამწერ-შემკრებნა¹

- გეგრიშვილი ნადიდე — 4.
თურმანიძე ზუსნი — 22.
კომანიძე როზა — 38.
ნოღაიდელი ჯემალ — 1, 3, 6, 7, 8,
9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17,
18, 19, 20, 21, 23, 24, 25, 26, 27,
28, 30, 31, 35, 36, 37, 39.
- რამიშვილი კლარა ყარაქანის ასული —
32, 33.
რუხაია ივლიანე — 29.
ქათაშიძე ალოსმან — 5.
ჩამოღლი ომერ — 34.

2. მოჭმელები

- აბაშიძე მურად კუკულის ძე 1.
ანანიძე ზუსეინ მემედის ძე 35.
ბერიძე მიქაილ ზაბაის ძე 15.
ვაბაიძე ოსმან შაქირის ძე 5.
დიასამიძე მემედ ყვდირის ძე 29.
ზოიძე მევლუდ ოსმანის ძე 3.
თავდგირიძე ანმედ ომეროს ძე 30.
თავდგირიძე მემედ ომეროს ძე 26.
თავდგირიძე მუხამედ ომეროს ძე 25,
27, 28.
თავდგირიძე მუხამედ ანმედის ძე 31.
თურმანიძე ეუბ 22.
თურმანიძე მემედალი ომერის ძე 33.
იჩემაძე სულეიმან 34.
კილაძე ღურსუნ ხასანის ძე 13.
კონცელიძე ალიოსმან მევლუდის ძე
20.
ლორთქიფანიძე მოლა ალი 32.
- მესხიძე ესედ ოსმანის ძე 37.
მიქელაძე ისკენდერ შამუდის ძე 8.
ნოღაიდელი იბრაიმ ყეზეთის ძე 36,
39.
ტაკიძე ღურსუნ ოუნუსის ძე 16.
ტარიელაძე ოსმან ხასანის ძე 10, 7.
ტაკიძე ლენა რომანის ასული 38.
ქარცივაძე ისმაილ მუხამედის ძე 19.
შარაშიძე მემედ ემინაზმედის ძე 14.
ჩიკვაიძე აბდულ 23.
ჩოგაძე ადალი 2, 6;
ცენტერაძე ნური შამუდის ძე 18.
ცინცაძე ალი ოსმანის ძე 9.
ქალაღიძე ოსმან იბრაიმის ძე 21.
ქალაღიძე მუხამედ ხუშუტის ძე 11,
12;
ქოლოყვა ქაზიმ 24.
ჯინჭარაძე ღურსუნ ზაბათის ძე 17.

3. სოფლები

- ანგირა 24.
აჭყვისთავი 35.
ბათუმი 29.
ბარათაული 17.
- დეკანაშვილები 3.
ღუაძეები 1.
ერგე 32.
ვანი 7, 10, 18.

¹ რიცხვით აღნიშნულია ტექსტების ნომერი.

ზემოხევი 19; 20;
ინწკირვეთი 11, 12, 21;
კიბე 25, 26, 27, 28, 30, 31;
ლეღა 37.
მახვილაური 33.
მერისი — 22.
ორცვა 23.
უანიერი 13.
ტაკიძეები 9, 16.

ქედლები 2, 6.
ქობულეთი 38.
ცხემლისი 15.
ჩანჩხალო 8.
წყავროკა 36, 39.
ხაბელაშვილები 14.
ხელვაჩაური 34.
ხიზაძიძი 5.
ხულო 4.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	83
	7

აჭარულის თაზისმეზურებანი

1. აჭარულის გავრცელებულობა . . .	7
2. აჭარულის შესწავლის მოკლე მიმოხილვა	7

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

3. ბგერითი შედგენილობა	9
4. ასიმილაცია	10
5. პროგრესული ასიმილაცია თანხმოვნებისა . . .	11
6. რეგრესული ასიმილაცია თანხმოვნებისა	12
7. პრევერბთა დამსგავსება	13
8. თავისებურება პრევერბთა დამსგავსებაში	15
9. დისიმილაცია	17
10. ა პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსება ვნებითის ე თავსართთან და შემდეგ დისიმილაცია	18
11. მეტათეზისი	18
12. სუბსტიტუცია	19
13. ბგერათდაკარგვა	20
14. ხმოვანთა დაკარგვა	22
15. ბგერათჩაშატება	23
16. ბგერის განვითარება	24
17. ფონეტიკურ პროცესთა თავმოყრა	24

მ ო რ უ ო ლ ო გ ი ა

18. ბრუნვის ნიშნები	28-
19. ფუძის თავისებურება სახელობითში	29
20. შრავლობითი რიცხვი	30
21. ორმაგი მრავლობითობა	31
22. ხარისხი	32
23. რიცხვითი სახელი	32
24. თანდებული	32
25. ფუძის შეცვლა	33
26. გარდაუვალი ზმნის მრავლობითი რიცხვი	34
27. -ე ბოლოსართიანი ზმნები	35
28. ხოლმეობითი	35
29. კონტაქტი	35
30. ირიბი ობიექტის ნიშანთა ცვლილება	36
31. თავისებურება მესამე პირთან	37
32. -ევ სუფიქსი	37
33. უარყოფითი მიმღობა	37
34. სიტყვაწარმოებიდან	38
35. შემოკლებული სიტყვები და გამოთქმები	38
36. კ ა ი მსაზღვრელი სიტყვის თავისებურება	40
37. თანდებულისიანი ზმნისართი	40

ს ი ნ ტ ა ქ ს ი

38. კითხვითი წინადადება	41
39. ქვემდებარე გარდაუვალ ზმნებთან	41
40. გარდაუვალი რელატური ზმნის (შემასმენლის) შეთანხმება მრავლობით- ში დასმულ რეალურ ქვემდებარესთან რიცხვში	42
41. შემასმენლის ურთიერთობა უსულო სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან რიცხვში	42
42. კრებითი სახელი ქვემდებარედ.	42
43. თავისებურება ლექსიკაში	43

ა ზ ა რ ე ლ თ ა მ ე ბ უ ვ ე ლ მ გ ის ნ ი შ უ მ გ ი

I. ს ა უ ბ რ ი დ ა ნ

ქობულეთის რაიონი	44
ქედის რაიონი	45
ხულოს რაიონი	45

II. ზღაპრები და თქმულებები

ხულოს რაიონი	52
შუახევის რაიონი	76
ქედის რაიონი	130
ბათუმის რაიონი	136
ქობულეთის რაიონი	177
საძიებელი	195

რედაქტორი ა. კ ი ზ ი რ ი ა

ტექნოგრაფიკული და კორექტორი პ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

შეკვეთა № 1361

უფ 01643

ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 29/IX-59 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-60 წ. ანაწყოების ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 12,5 საარტიკვლო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 10,9.

ზანი 5 შან. 25 კაპ.

წასნი 1961 წ. 1/1-1-1-1 53 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ა. ჯავახიძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси,
проспект И. Чавчавадзе, 1.

Джемал Изетович Ногайдели

ОСОБЕННОСТИ АДЖАРСКОГО ДИАЛЕКТА

(На грузинском языке)

**Государственное издательство Аджарской АССР
Батуми — 1960**